

ნუგზარ კაპუაშვილი

საქართველო  
და  
მსოფლიოს  
რელიგიები



წიგნში მოკლედ და პოპულარულადაა განხილული ის რელიგიური სისტემები, რომლებიც მსოფლიოში დღესაც არსებობენ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცნობიერებაზე გავლენას ახდენენ. მუტი ადგილი და ყურადღება იმ კონფესიებს, ეკლესიებს და დენომინაციებს ეთმობა, რომლებსაც საქართველოს ისტორია და თანამედროვეობა იცნობს. წიგნი საგანმანათლებლო მიზნებს ისახავს და მკითხველთა ფართო წრისათვისაა განკუთვნილი. ავტორი და გამომცემლები იმედოვნებენ, რომ იგი საქართველოში სხვადასხვა მრწამსის მოქალაქეებს შორის მშვიდობისა და სათნოების გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

**რედაქტორი: სოზარ სუბარი**

**გამომცემელი: კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი**



**ICCN**

**მადლობას ვუცხადებთ ჰოლანდიურ ფონდ Cordaid-ს გამოცემის დაფინანსებისთვის**

**Cordaid**

**ცენტრის მისამართია:**

ივ. მაჩაბლის 5, I სართული,  
თბილისი 0105, საქართველო

**ტელეფონი: (995 32) 99 99 87**

**ფაქსი: (995 32) 93 91 78**

**e-mail: [iccn@iccn.ge](mailto:iccn@iccn.ge)**

**<http://www.iccn.ge>**

**ISBN 99940-805-5-5**

© 2004 by Nugzar Papuashvili

ნუგზარ პაპუაშვილი

საქართველო და  
მსოფლიოს  
რელიგიები

მიმოხილვა და ლექსიკონი

თბილისი  
2004

წიგნში მოკლედ და პოპულარულადაა განხილული ის რელიგიური სისტემები, რომლებიც მსოფლიოში დღესაც არსებობენ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცნობიერებაზე გავლენას ახდენენ. მეტი ადგილი და ყურადღება იმ კონფესიებს, ეკლესიებს და დენომინაციებს ეთმობა, რომლებსაც საქართველოს ისტორია და თანამედროვეობა იცნობს. წიგნი საგანმანათლებლო მიზნებს ისახავს და მკითხველთა ფართო წრისათვისაა განკუთვნილი. ავტორი და გამომცემლები იმედოვნებენ, რომ იგი საქართველოში სხვადასხვა მრწამსის მოქალაქეებს შორის მშვიდობისა და სათნოების გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

**რედაქტორი: სოზარ სუბარი**

**გამომცემელი: კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი**



**ICCN**

**მადლობას ვუცხადებთ ჰოლანდიურ ფონდ**  
**სამოქალაქო განვითარების დაფინანსებისთვის**



**ცენტრის მისამართია:**  
ივ. მაჩაბლის 5, I სართული,  
თბილისი 0105, საქართველო

**ტელეფონი: (995 32) 99 99 87**

**ფაქსი: (995 32) 93 91 78**

□□□ □□□□□□□□ □□□□□□□□

□□□□□□□□ □ □□□□□□□□

□□ □ □□□□□□□□□□□□□□

□ □□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□□□□□□

## რედაქტორისაგან


დემოკრატიულ და სამართლებრივ ქვეყანად მხოლოდ ის სახელმწიფო ჩაითვლება, სადაც ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები, როგორც წარუვალი და უზენაესი ღირებულებები – ცხოვრების განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

პიროვნების უფლებათა შორის ერთ-ერთ პირველ ადგილზე სინდისის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება დგას, მაგრამ ყოფაცხოვრებაში მისი დანერგვისა და რეალიზაციისათვის დემოკრატიული კონსტიტუცია და შესაბამისი კანონმდებლობა საკმარისი როდია. ამ მიმართულებით ბევრი რამ (თუ უფრო მეტი არა) მოქალაქეების ცნობიერებაზე დამოკიდებულია. ჩვენი მიზანი ჩვენი ხალხის, საქართველოს მოქალაქეების, ინტელექტუალურ-კულტურული დონის ამაღლება უნდა იყოს. მხედველობაში გვაქვს სამოქალაქო და რელიგიური ურთიერთობების კულტურა, ინდივიდებსა და კოლექტივებს შორის ტოლერანტული სულისკვეთება, რომლის დახვეწისა და სრულყოფის გზაზე წიგნს ყოველთვის ეთმობოდა საპატიო ადგილი.

ნუგზარ პაპუაშვილის წინამდებარე ნაშრომი საგანმანათლებლო მიზნებს ისახავს. იგი მკითხველთა ფართო წრეს თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებული რელიგიების მიმოხილვასა და მნიშვნელოვანი ცნებების

განმარტებას სთავაზობს; ძირითადი ყურადღება გამახვილებულია იმ სარწმუნოებაზე, რომელიც საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურისათვის ყველაზე ახლობელია, მაგრამ სხვა რჯულადმსარებლობებიც ობიექტურად და პატივისცემის გრძნობითაა აღწერილი.

ნაშრომში ერთმანეთშია შერწყმული მაღალი პროფესიონალიზმი, საქმის კარგი ცოდნა და პოპულარული ენა. წიგნი იკითხება ხალისით და საინტერესოდ, რაც, ვფიქრობთ, მკითხველს სხვადასხვა რელიგიის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიღებაში დაეხმარება. მჯერა, რომ ურთიერთგაგების ატმოსფეროს ჩამოყალიბება მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი.



**სოფარ სუბარი,  
საქართველოს სახალხო დამცველი**

ავტორი და რედაქტორი  
მადლობას უძღვნიან კონფლიქტებისა და  
მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის  
თანამშრომლებს, განსაკუთრებით გამგეობის თავმჯდომარეს -  
ბატონ გიორგი სუციშვილს თანადგომისა და  
საუურადლებო წინადადებებისათვის.

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

## რელიგია: სული და ღმერთი

რელიგიური განცდები, რწმენა-წარმოდგენები და, ზოგადად, რელიგიური ცნობიერება ადამიანური არსებობის, ე.ი. კაცთა ცხოვრების, განუყოფელი ნაწილია. ეს ნიშნავს, რომ სულიერი და უხილავი სამყაროს რწმენა პიროვნებაში თავისთავად არსებობს, - იგი თვითნაბადია, მის შინაგან არსებაში თავისთავადაა მოცემული. სხვანაირად რომ ვთქვათ, რელიგიურობა არის უნარი, რომელსაც შექმნა არ სჭირდება, რადგან მოაზროვნე არსებას იგი დედის საშოღანვე დაჰყვება.

ამ უნარს, ისე როგორც სხვა უნარებს (გარემოსთან შეგუებას, გარემოსაგან თავდაცვას, საზოგადოებასთან ურთიერთობის ნორმათა გამომუშავებას და ა. შ.), ზრდისა და განვითარების შესაძლებლობა აქვს. მეტიც, ადამიანს დაბადებითვე მიმადლება იმპულსი, რათა ეს უნარი დახვეწოს და ააღორძინოს. ამგვარი დახვეწისა და ააღორძინების ნაყოფია სულიერი, ინტელექტუალური და სოციალური არსებობის ის სფერო, რომელსაც ჩვენ **რელიგიას** ვუწოდებთ.

**რელიგიის** არსება და შინაარსი თვით სახელწოდებაშია არეკლილი. იგი წარმოშობით ლათინური

სიტყვაა და თავდაპირველი აზრით როგორც კავშირს, ისე კრძალულებას ნიშნავს, გადატანითი მნიშვნელობით - ღვთის ხმობას და მისდამი თაყვანისცემას. შეგვიძლია, ეს განმარტება კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ: სიტყვა „რელიგია“ ხელახალ კავშირს, - კავშირის აღდგენას, კავშირის განახლებას გულისხმობს (წინსართი „რე“ რაღაც პროცესის განმეორებითობას აღნიშნავს, ძირითადი ნაწილი „ლიგარე“ - დაკავშირებას). ლაპარაკია ღმერთსა და ადამიანზე, რომელთა შორის, ამ განმარტების თანახმად, ადრე უშუალო კავშირი არსებობდა; ამჟამად ეს კავშირი დარღვეულია და საჭიროა მისი აღდგენა, რაც რელიგიის, როგორც ასეთის, მოწოდება და დანიშნულებაა.

**რელიგია არის ხილული სამყაროს გარეთ არსებული სამყაროს, - მიღმიერი, უხილავი, ზებუნებრივი, ზეცნობიერი რეალობის რწმენა.**

ასე რომ, რელიგია იმ სახის და შინაარსის ცოდნაა, რომლის ობიექტურობას და რეალურობას გონება და გონისმიერი მეცნიერება, ვერც ჰუმანიტარული და ვერც საბუნებისმეტყველო, ვერ დაამტკიცებს, მას **რწმენისმიერი ცოდნა** უნდა ვუწოდოთ.

როდესაც ზებუნებრივ სამყაროზე ვსაუბრობთ, ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ამ სამყაროს შესახებ ორი სახის რწმენა-წარმოდგენები: 1) სტიქიური, პრიმიტიული, ერთი სიტყვით, - ბუნებითი (ბუნებისეული) რწმენები და შესაბამისი რიტუალები და 2) მეტ-ნაკლებად სისტემაში მოყვანილი რელიგიური და თეოლოგიური სისტემები.

რელიგიური რწმენის საფუძველი სასოებაა (იმედი). პავლე მოციქული ამბობს: „სასოებით ვცხოვრობით“ (რომ. 8:25), რაც ნიშნავს, - ჩვენ, ადამიანებს, სასოება გადაგვარ-



ჩენს. ლაპარაკია მომავლის, ხვალინდელი დღის უდრტვინ-ველსა და უშფოთველ მოლოდინზე. ჩვენ არ ვიცით, რა მოხდება ხვალ; არ ვიცით, რას გვიმზადებს ბედი, მაგრამ გვჯერა და გვწამს მისი. და ვინც მეტად სძლევს ეჭვსა და უნდობლობას, მეტადაა იგი **რწმენის კაცი, რელიგიური აღამიანი**.

მოციქულის ზემოდამოწმებული სიტყვები, რომ ცხონების საფუძველი რწმენაა, იესო ქრისტეს შეგონებასა და მოწოდებაზეა დაფუძნებული: **შენი სარწმუნოება გაცხოვნებს** ანუ გადაგარჩენს შენ!

რა იგულისხმება „სარწმუნოების“ ქვეშ?

აღნიშნული სიტყვებით მაცხოვარმა მიმართა წილოვან (სწორნაწლავიდან სისხლმდინარე) დედაკაცს (ლუკა 8:48), სინაგოგის წინამძღვარს (ლუკა 8:50), სამარიელ კეთროვანს (ლუკა 17:19), შობითგან ბრმას (მარკოზი 10:52; ლუკა 18:52), რომაელ ასისთავს (ლუკა 7:9) და ბევრ სხვას, რომლებიც მასთან რწმენით მოვიდნენ და რწმენა არ გამტყუნებიათ. მათგან ზოგი იუდეველი იყო, ზოგი სამარიელი, ზოგი წარმართი (ელინი). აქ, ცნება „სარწმუნოების“ ქვეშ, რელიგიურ-დოგმატური სისტემა, ე.ი. კონკრეტული სარწმუნოება (რელიგია) არ იგულისხმება. რა დოგმატურ-თეოლოგიური რწმენა, გნებავთ მცოდნეობითი, გნებავთ მჭვრეტელობითი, უნდა ჰქონოდა ან წილოვან დედაკაცს, ან სამარიელ კეთროვანს, ან რომაელ ასისთავს? ცხადია, აქ იგულისხმება ნდობა, მინდობა, ერთგულება და არა რელიგიური დოგმატიკა.

სხვადასხვა რელიგია იმქვეყნიური სამყაროს სხვადასხვა მოდელს გვთავაზობს. ცნობილია რამდენიმე საკლასიფიკაციო ნიშანი, რის მიხედვითაც რელიგიურ

სისტემებს აჯგუფებენ. ყველაზე გავრცელებული და ზოგადი პრინციპის თანახმად, რელიგიები (სარწმუნოებები) ორ ნაწილად იყოფა. პირველს ბუნებითი რელიგიები ეწოდება, მეორეს - გამოცხადებითი; პირველისათვის დამახასიათებელია წერილის (წიგნის) არქონა, მეორისათვის - წერილის, წიგნის ქონა; პირველთ უავტორო რელიგიებსაც უწოდებენ, მეორეთ - ავტორიანებს. ავტორად, ამ შემთხვევაში, მორწმუნეები ღმერთს ასახელებენ.

რელიგიის პირველყოფილი ფორმებისათვის, ე.ი. ბუნებითი რელიგიისათვის, როგორცაა ფეტიშიზმი, ანიმიზმი, ტოტემიზმი და მაგია, ზოგადად - წარმართობა, ნიშანდობლივია მატერიალური სამყაროსა და სულის, სულისა და ნივთის, სულისა და სხეულის განუყოფლობა. ამ მოვლენას **პანთეიზმი** ეწოდება. მისი არსებითი ნიშანია რწმენა, რომ სული ყველაფერშია და სულია ყველაფერი. როდესაც თაყვანს ვცემთ, მაგალითად, სამარიის თუ იერუსალიმის მთათა სულებს, თაყვანს ვცემთ სამარიისა და იერუსალიმის მთებს. ასე ფიქრობდნენ სამარიელებიც და იუდეველებიც (იოანე 4:20), რაც მათ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში წარმართულ ელემენტთა სიჭარბეზე მიუთითებს. რწმენა, რომ სული მთაშია და მთა სულში, სულის შესახებ წარმართული რწმენაა. ამ რწმენას უპირისპირდება რელიგიური რწმენა, ჩამოყალიბებული იესო ქრისტეს მიერ (იქვე: 21-23), რომლის თანახმად ჭეშმარიტი თაყვანისცემის საგანი არც ერთი მთაა და არც მეორე, არამედ თვითთავადი სული, - ღმერთი.

რელიგიურ-თეოლოგიური სისტემების უმრავლესობა ქადაგებს, რომ არსებობს ღმერთი, რომელმაც შექმნა როგორც ხილული, ისე არახილული სამყარო. მაშასადამე,

## შესავალი

---

იგი ყოველისშემძლე და ყოველისმცოდნეა, რის გამოც მორწმუნეებს ბუნებრივად უჩნდებათ სურვილი, რომ მას, უაღმატებულეს არსებას, თაყვანი სცენ და დახმარება სთხოვონ. ამიტომ ნებისმიერი რელიგიური წეს-განგება იმისთვისაა მოწოდებული, რომ ადამიანებმა ღმერთი და, ზოგადად, ზებუნებრივი სინამდვილე შეიმეცნონ.

ცნებები „სული“ და „ღმერთი“ მსჭვალავს როგორც რელიგიურ, ისე არარელიგიურ სამყაროს. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ რელიგიური მსოფლმხედველობის თანახმად ისინი რეალურად არსებობენ, ათეისტური ცნობიერება კი მათ მხოლოდ თეორიულად წარმოსახავს, - გონების, ოცნებისა და იმედის პროდუქტად მიიჩნევს.

თეოლოგიური განმარტების თანახმად, **ღმერთი არის უზენაესი სახელი, აღმატებულთა შორის უაღმატებულესი სიტყვა და ცნება, რომელსაც უკავშირდება ადამის ტომის ნათელი და წმიდა სასოება**. იგი „ყოველთა არსთა მარსებელი“, მფარველი და პატრონია. მისი მეშვეობით პოულობს ქვეყანა ახსნას და გამართლებას, ყოფიერება - საზრისს. იგი გვეგულების შემოქმედად, ხილული და არახილული სამყაროს შემწედ, მიზნად და იდეალად.

სხვადასხვა ეთნოსის (ხალხის) და რელიგიური სისტემის მიერ ღმერთი სხვადასხვანაირად მოიაზრება. პირველყოფილი და ბუნებითი რელიგიებისათვის ნიშანდობლივია ღვთაების ერთიანი სახის დანაწევრება და ბუნების თითოეული მოვლენისათვის, ცხოვრების ყოველი უბნისათვის საკუთარი საწყისის (მფარველის) „გაჩენა“. ასე ჩამოყალიბდა **პოლითეიზმი** (მრავალღმერთიანობა) და **პანთეიზმი** (ღმერთისა და ბუნების ერთიანობა, იგივეობა). მათ საპირისპიროდ აღმოცენდა **მონოთეიზმი**

(ერთდმერთიანობა), **დეალიზმი** (ორმაგობა, ორი დაუსაბამო საწყისის, კეთილისა და ბოროტის, რწმენა) და **დეიზმი** (ბუნებისაგან ღვთის სრულად გამიჯნულობა, აბსოლუტურად ტრანსცენდენტულობა).

ამ მოძღვრებათა მიხედვით, რომელთაგან ზოგი რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემად წარმოგვიდგება, ღმერთი ან აბსოლუტურად იმანენტურია, ე.ი. ბუნებისაგან განუყოფელია (ასეთია, მაგალითად, ინდუიზმი), ან აბსოლუტურად ტრანსცენდენტური, ე.ი. სამყაროსაგან ისევე გამიჯნული და შორს მდგომი, როგორც, მაგალითად, ხელოვანი ნახელავისაგან (ასეთია, მაგალითად, აფრიკელი აბორიგენების რელიგია). მათ შორის, როგორც ზომიერება, დგას **თეიზმი**, რომლის თანახმად ღმერთმა არა მარტო შექმნა ყოველივე ხილული და არახილული, არამედ უყვარს თავისი ქმნილება, ზრუნავს მასზე და გზადაგზა ეცხადება კიდევ. თეიზმის, უფრო ზუსტად, - **მონოთეიზმის თავისებური ფორმა არის ტრიადა** (ერთარსება-სამების ღოგმატი, ტრიადოლოგია), რაც ქრისტიანული რელიგიის განუყოფელი ნაწილია.

**თეისტური რელიგიები გამოცხადების რელიგიებია.** ღმერთი სამყაროს მიმართ იმანენტურიცაა და ტრანსცენდენტურიც, რის გამოც იგი ადამიანს თავისუფლებასაც ანიჭებს და, მზრუნველი მამის მსგავსად, წვრთნის და სჯის კიდევ.

ღვთისმეტყველებამ და იდეალისტურმა ფილოსოფიამ ღვთის არსებობის ლოგიკური დასაბუთებისათვის რამდენიმე არგუმენტი შეიმუშავა. მათგან ძირითადია კოსმოლოგიური არგუმენტი ანუ კოსმოსის (სამყაროს) მოწესრიგებულობასა და ჰარმონიულობაზე მითითება. ეს

## შესავალი

---

არგუმენტი სრულყოფილად სოკრატემ, პლატონმა და არისტოტელემ (V-IV) ჩამოაყალიბეს. მათი მსჯელობა ზოგადად, შეჯამებულად, შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: სულიერ არსებათა შემოქმედი გაცილებით მაღლა დგას პოემებისა და ქანდაკებების ავტორებზე. ადამიანის ორგანიზმის მიზანშეწონილობა და ჰარმონიულობა შეეძლო შეექმნა მხოლოდ უმაღლეს გონებას, რადგან შემთხვევა მიზანშეწონილობას ვერ წარმოქმნიდა. რეალური სამყარო თავისთავად არ არსებობს. მას მყოფობას იდეალური, უზენაესი სამყარო ანიჭებს. იქ იდეები იერარქიულ სისტემას ქმნიან. ამ სისტემის სათავეში დგას სიკეთის იდეა, რომელიც ღმერთის იდეის იდენტურია. ჩვენს გარემომცველ სამყაროში შედარებითი სიკეთის არსებობა აბსოლუტური სიკეთის რეალურ არსებობაზე მიგვანიშნებს. შედარებითი სილამაზე, რომელსაც მიწაზე ვხვდებით, გვაფიქრებინებს, რომ არსებობს აბსოლუტური მშვენიერება, რომელიც სრულიად თავისუფალია ხორციელისა და გრძნობადისაგან. ეს არის მშვენიერება თავისთავად, რომლისაგან იღებს დასაბამს ყოველგვარი სილამაზე,

ღვთის არსებობის რაციონალურ მტკიცებულებებს რელიგიურ ტექსტებშიც ვხვდებით. ყველაზე ძლიერ არგუმენტად ქვეყნიერების სიღიადესა და სილამაზეს მიიჩნევდნენ: „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა და ქმულთა ხელთა მისთასა მოუთხრობს სამყარო; დღე დღესა აუწყებს სიტყვასა და ღამე ღამესა მოუთხრობს მეცნიერებასა... ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყვანი მათი“ (ფს. 18:2-5). „...უთხრეს ცათა სიმართლე მისი, და იხილონ ყოველთა ერთა დიდება მისი“ (იქვე, 96:6). ასე რომ, წინასწარ-

## შესავალი

---

მეტყველ დავითის თქმით, სამყარო ანუ კოსმოსი, როგორც ერთიანი და მთლიანი ორგანიზმი, თავად ღალადებს შემოქმედზე.

ხილული სამყაროს შემოქმედი არა მარტო შემოქმედი, არამედ – მზრუნველი და მოყვარული მამაც. ამიტომაც ადამიანის სწრაფვა სულის უზენაესი მოთხოვნილებებისაკენ – ჭეშმარიტების შეძენა, სიკეთის აღსრულება, დედამიწაზე მშვიდობის გამეფება და სხვა – ყოველგვარ შემწობასა და თანამოქმედებას პოვებს ზეციერი მამისაგან. პავლე მოციქული ასე მიმართავს კერპთაყვანისმცემლებს: „კაცნო, რას სჩადით? ჩვენც თქვენზე მსგავსი კაცნი ვართ და განხარებთ თქვენ, რათა ამ ცრუ ღვთაებათაგან ცოცხალი ღმერთის მიმართ მოიქცეთ, რომელმაც შექმნა ცა და მიწა, ზღვა და ყველაფერი, რაც არის მათში, და რომელმაც გარდასულ თაობებში ნება უბოძა ყველა ხალხს, ევლოთ თავიანთი გზით. თუმც უმოწმებლად არასოდეს დაუტოვებია თავისი თავი, ქველმოქმედებდა, და გაძლევდათ ზეცის წვიმებსა და უხვნაყოფიან ალოსთავთ, და საზრდოთი და სინარულით გივსებდათ გულებს“ (საქმ. მოც. 14:15-17).

ბუნებრივად დაისმის კითხვა: როდის და როგორ წარმოიშვა რელიგია და ღვთის იდეა? ამ საკითხში თეისტური და ათეისტური თვალსაზრისები ერთმანეთს მკვეთრად უპირისპირდება. ათეისტები უარყოფენ რელიგიური იდეებისა და ღვთის ცნების ადამიანში იმანენტურად არსებობას. ლ. ფოიერბახის (XIX) მტკიცებით, ღმერთმა კი არ შექმნა ადამიანი, არამედ ადამიანმა შექმნა ღმერთი. ჰომო საპიენსს (მოაზროვნე ცხოველს) თავიდან არავითარი რელიგია არ ჰქონდა. ეს ინსტიტუტი თავისი მარტივი

და რთული ფორმებით, ათეისტების მტკიცებით, გვიან, 30-40 ათასი წლის წინათ, ჩამოყალიბდა. ადამიანი კი ცხოველთა სამყაროს მილიონი წლის წინათ გამოეყო.

ამ თეორიის საპირისპირო არგუმენტი ასეთია: ადამიანი, მით უფრო დაბალ საფეურზე მდგომი, განუზომლად აღმატებულ არსებას თავისთავად ვერ წარმოიდგენდა. ველურის შეზღუდული გონება, რომელიც ცნებებით აზროვნებასაც ვერ ახერხებს, სრულყოფილების იდეას როგორ შექმნიდა? ადამიანს, რაც აშინებს, გაურბის კიდევ. პრიმიტიული ხალხები აღმერთებენ არა მტაცებლებს, არამედ შინაურ ცხოველებს (ძროხას, სპილოს). მაშასადამე, არსებობს ღმერთი, რომელიც ადამიანზე განსაკუთრებული ფორმით ზემოქმედებს. ცნობილი რუსი ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველის დეკ. **სერგეი ბულგაკოვის** (1871-1944) თქმით, „რელიგია ღვთის განცდის შედეგად წარმოიშვა“ და ეს იმის გამო გახდა შესაძლებელი, რომ რელიგიურობა ადამიანის განუყოფელი ნაწილია, რომ **ადამიანი რწმენის კაცია**, რომ ღვთის სიტყვის მოსმენისა და აღქმის უნარი მას მომადლებული აქვს.

სხვადასხვა სისტემის რელიგიებისა და რელიგიის ისტორიის არსებობა ცხადყოფს, რომ ეს უნარი სხვადასხვა ადამიანში და სხვადასხვა კოლექტივში სხვადასხვა ხარისხითა და დონითაა მოცემული – ისე როგორც სხვა უნარები: აზროვნება, იარაღის მკეთებლობა, პოლიტიკურობა, მორალურობა. ეს სხვადასხვაობა ანუ ამ უნარის აქტივიზაციის ხარისხი განსაზღვრული ფაქტორებითაა გაპირობებული. ადამი სამოთხეში ღმერთს მანამ უმზერდა, სანამ სულიერად სუფთა იყო. მისი შთამომავალნიც

უზენაესს ზნეობრივი და სულიერი ჯანმრთელობის კვალობაზე შეიმეცნებდნენ. ღვთის იდეა თაობიდან თაობას მემკვიდრეობით გადაეცემა, მაგრამ მისი ცხოველმყოფელობა კონკრეტულ ადამიანსა და საზოგადოებაზე დამოკიდებული, კერძოდ, – აღზრდაზე, განათლებაზე, გარემოებაზე და სხვა. ადამიანი მაშინ ხდება რელიგიური, როდესაც უჩნდება სურვილი და პირადად მიმართავს ღმერთს (მდრ. მათე 7:7-8).

## საქართველო - რელიგიების გზათშესაყარი

საქართველოში, მისი გეოპოლიტიკური რეალობის გამო, ძველთაგანვე ერთმანეთს სხვადასხვა შინაარსის კულტურა და რელიგია ხვდებოდა. ადგილობრივი მოსახლეობის ბუნებითი რწმენა-წარმოდგენების, - ქვათა, ხეთა, ტყეთა თუ მთათა მისტიკის პარალელურად აქ ბერძნულ-რომაული და ქანაანურ-მესოპოტამიური პოლითეიზმი, ე.ი. მეზობელი ქვეყნების კერპები და რიტუალები იკაფავდა გზას. XX ს-ის ვანის, ნოქალაქევის, მცხეთა-არმაზისა და სვა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა დაადასტურა ქართლისა და კოლხეთის ტერიტორიებზე როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კულტების არსებობა. ჩვენი წინაპრების ნაწილი ქრისტეს შობამდე მონოთეისტურ და დუალისტურ თეოლოგიასაც ეზიარა იუდაიზმისა და ზოროასტრიზმის სახით. სავარაუდებელია, რომ მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა, ელიტარული საზოგადოება მაინც, ინდუიზმსა და ბუდიზმსაც იცნობდა.



## შესავალი

---

საკუთრივ ქართული კულტურა, როგორც საკაცობრიო კულტურის ინდივიდი, ძირითადად ქრისტიანული რწმენისა და ტრადიციის ნაყოფია. მართლმადიდებელმა სარწმუნოებამ არა მარტო ჩვენი ქვეყნის საეკლესიო წარსული, არამედ სამოქალაქო ისტორიაც განმსჭვალა. ვერ დავუპირისპირდებით აზრს, რომ ქართული ეთოსის (ხასიათის) და ეროვნული ცნობიერების არტერია ჯვრისა და ხატის თაყვანისმცემელი რელიგიაა. ამ საგანზე მკვლევრები არ დავობენ, მაგრამ შეცდომა იქნება იმის თქმა, რომ ჩვენი ქვეყნის კულტურის, ქართული ეთოსისა და ეთოსის შექმნასა და ფორმირებაში მხოლოდ და მხოლოდ ქრისტეს მოძღვრება და მისი ეკლესია მონაწილეობდა. საქართველოს ისტორია და, მეტიც, ქართული ლიტერატურა, ფოლკლორი და ეთნოგრაფია ასეთი დასკვნის საშუალებას არ იძლევა. საქართველოში, როგორც ძველ დროში, ისე ახალ დროში სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაცია მოქმედებდა და მოქმედებს, რომლებმაც კვალი ცხოვრების ამა თუ იმ უბანზე დატოვეს და ამჟამადაც ტოვებენ. აქ პირველ რიგში ზოროასტრიზმი და ისლამი იგულისხმება. ისტორია მოწმობს, რომ მათი მიმდევრები ქართულენოვან შემოქმედებასაც მისდევდნენ. თანამედროვე ეთნოგრაფები ბევრს ლაპარაკობენ ზოროასტრიზმის ნაშთებზე როგორც საქართველოს მთიანეთში, ისე ბარში. ქართულ მწერლობასა და ფოლკლორში ისლამის ადგილი უფრო თვალსაჩინოა. საერთო ქართული კულტურის ქმნალობაში წვლილი ებრაულ სინაგოგებსაც შეჰქონდათ. ჩვენი წინაპრები რომ ინდურ-ტიბეტურ სამყაროსაც იცნობდნენ, ამის თაობაზე ძველი ქართული მწერლობის როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური

ბეგლებიც მეტყველებს. ამის ნიშნად „ბალაგარიანის“ დასახელებაც იკმარებს.

შეგვიძლია დავასკვნათ: ქართული კულტურა ქრისტიანული კულტურაა, მაგრამ ქართველი ხალხის კულტურულ-შემოქმედებით პროცესში არაქრისტიანული რელიგიებიც მონაწილეობდნენ. მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ არაქრისტიანი ქართველების, უფრო სწორად, - საქართველოს როგორც ეთნიურ ქართველთა, ისე ეთნიურად არაქართველთა, მაგრამ საქართველოს მკვიდრთა, კულტურაც ფართო მასშტაბით მოაზრებული ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილია.

რა კონფესიებია საქართველოში დღეს წარმოდგენილი და რამდენი მიმდევარი ჰყავს თითოეულს?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა პირველად ჩვენ ვცადეთ. 2002 წლის გაზაფხულზე ერთგვარი საველე სამუშაო ჩავატარეთ: ვეწვიეთ ჩვენთვის ცნობილი რელიგიური ორგანიზაციების მმართველ ორგანოებს და მონაცემები უშუალოდ ხელმძღვანელი პირებისაგან მივიღეთ. შევადგინეთ ტაბულა (ცხრილი), რომელიც იმავე წელს გამოქვეყნდა (ნ.პაპუაშვილი, მსოფლიო რელიგიები საქართველოში, თბ., 2002, გვ. 219-220). ძირითადად ასეთი სურათი გამოიკვეთა: 2001 წელს საქართველოში ადგილზე მყოფი მოსახლეობა (არაკონტროლირებადი ტერიტორიების გარეშე), სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემით, 4 452 100 სულს შეადგენდა. ამ ციფრის ჩვენს მონაცემებთან შეჯერების შედეგად გაირკვა, რომ 2002 წლის გაზაფხულზე არამართლმადიდებლების საერთო რიცხვი, ე.ი. მათი, ვინც თავის თავს მართლმადიდებელს არ უწოდებს, 823 100 კაცს ანუ ქვეყნის

## შესავალი

აღწერილი მოსახლეობის 18,5%-ს არ აღემატებოდა.

მოსახლეობის რელიგიური ნიშნით აღწერის პროცედურა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2002 წელს ჩაატარა, რომლის შედეგები 2004 წელს გახდა ცნობილი (დაგვაკვლიანა დეპარტამენტის თანამშრომელმა მაია ნოზაძემ). ამჟამად სურათი ასე გამოიყურება: საქართველოს იმ ტერიტორიის მოსახლეობა, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებს, უკანასკნელი, 2002 წლის, მონაცემების მიხედვით 4 371 535 (ოთხი მილიონ სამასსამოცდათხუთმეტი ათას ხუთასოცდათხუთმეტი) სულს შეადგენს. მათ შორის:

მართლმადიდებელია 3 666 233 ადამიანი ანუ აღწერილი მოსახლეობის 83,9%;

კათოლიკე - 34 727 ანუ - 0,8%;

გრიგორიანი (ე.ი. სომხური სამოციქულო ეკლესიის მრევლი) - 171 139 ანუ - 3,9%;

იუდეველი (ებრაელი) - 3 541 ანუ - 0,1%;

მუსლიმი - 433 784 ანუ - 9,9%;

სხვადასხვა - 33 468 ანუ 0,8%;

არცერთი - 28 631 ანუ 0,6%.

ამრიგად, არამართლმადიდებელითა საერთო რიცხვი, ათეისტების, ნიჰილისტების და აგნოსტიკოსების ჩათვლით, უკანასკნელი ოფიციალური მონაცემების მიხედვით 705 302-ს უდრის, რაც მოქალაქეთა საერთო რიცხვის 16,1%-ს შეადგენს.

როგორც ვხედავთ, ჩვენი მონაცემები, რომლებიც პირადი ძალისხმევით შედეგად და სტიქიურად იქნა მოპოვებული, თითქმის ემთხვევა იმ მონაცემებს, რაც

ბოლო დროს სტატისტიკის დეპარტამენტმა წარმოადგინა. ამკარაა, რომ იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც თავს მართლმადიდებლებს უწოდებენ.

## მიმოხილვის პრინციპი

დღემდე ცნობილი და შესწავლილი რელიგიების აღნუსხვისა და სისტემატიზაციის მყარი მოდელი ჯერჯერობით შემუშავებული არ არის. თითოეული მკვლევარ-ანალიტიკოსი პრობლემას საკუთარი მიზანდასახულობის შესაბამისად წყვეტს. სუბიექტურია, მაგალითად, ამა თუ იმ რელიგიის წიაღში აღმოცენებული მიმდინარეობების კლასიფიკაცია და, ცხადია, კვალიფიკაცია. თეოლოგთა, მეცნიერთა და პოლიტიკოსთა ენა აქ მეტწილად ერთმანეთს არ ემთხვევა. არ არსებობს მყარი განმარტება: რა არის სექტა? ის, რაც მართლმადიდებელი თეოლოგისათვის სექტაა, „სექტის“ იდეოლოგისათვის ეკლესიაა, პოლიტიკოსისა თუ სახელმწიფო მოხელისათვის კი, უბრალოდ, - რელიგიური ორგანიზაცია.

წინამდებარე წიგნი საგანმანათლებლო მიზნებს ისახავს. იგი საქართველოს მოქალაქეებისთვისაა განკუთვნილი, რის გამოც მისი ძირითადი ორიენტირი ჩვენი ქვეყნის კულტურა და ისტორიაა. ამიტომ აქ მასალა, თანამედროვე მსოფლიოს რელიგიური აღმსარებლობებისა და ორგანიზაციების მიმოხილვა, ამ კულტურასა და ისტორიასთან ახლოობლობის კვალობაზეა განლაგებული.

## I. ბიბლიური რელიგიები



ამ სახელით იმ სამ რელიგიას მოიხსენიებენ, რომელთაც ერთი საერთო წყარო აქვთ - ბიბლია (საღვთო ანუ წმინდა წიგნი, წერილი). ესენია (ქრონოლოგიურად): იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი.

„ბიბლია“ ბერძნული სიტყვაა და „წიგნებს“ ნიშნავს. იგულისხმება, ძველი ტრადიციით, 49 წიგნი, რომლებიც, ქრისტიანთა რწმენის თანახმად, წმინდა სულის კარნახით არის შექმნილი. ბიბლია ორ ნაწილად იყოფა - ძველი აღთქმა და ახალი აღთქმა. იუდეველები მხოლოდ პირველი ნაწილის უცდომელობას აღიარებენ, მეორისას კი კატეგორიულად უარყოფენ. ქრისტიანები ორივე აღთქმას ღვთის სიტყვას და სულიწმინდის ხმას უწოდებენ.

## I. ბიბლიური რელიგიები

---

მუსლიმები კი თვლიან, რომ ძველი და ახალი აღთქმის თავდაპირველი ტექსტები ებრაელთა და ქრისტიანთა ხელში დამახინჯდა, რის გამოც ღმერთმა (ალაჰმა) დედამიწაზე ახალი წიგნი გამოგზავნა - ყურანი, რომელსაც საღვთო ჭეშმარიტებების სრულყოფილად გადმოცემის თვითპრეტენზია აქვს.

სამივე რელიგია აღიარებს, რომ ჭეშმარიტი და, მამასადაბე, ღვთიური რჯული ადამიანთა წინაშე ღმერთმა პირველად ერთი მართალი კაცის, აბრაამის, მიერ წარმოაჩინა, რის გამოც ამ რელიგიებს **აბრაამისეულ რელიგიებსაც** უწოდებენ როდესაც მას საყვარელი შვილის მსხვერპლად შეწირვა მოსთხოვა. იგი მოწოდებას დაემორჩილა, მაგრამ გადამწყვეტ წამს მისი ხელი ღვთის ანგელოზმა შეაჩერა.

ესაა საერთო შინაარსი, რომელიც ბიბლიისა და ყურანის მონათესავე ეპიზოდებს აქვთ. ძირითადი განსხვავება შესაწირი ბავშვის ვინაობაში მდგომარეობს: ბიბლიის მიხედვით აბრაამი ისაკს სწირავს, რომელიც კანონიერი ცოლისაგან, სარასაგან, მას შემდეგ შეეძინა, რაც მოსამსახურე ქალმა, აგარმა, პირველი ვაჟი, ისმაილი, უშვა. ყურანი გადმოგვცემს, რომ აბრაამის პირველი შვილი ისმაილი იყო და მამამ სამსხვერპლოზე ის მიიყვანა. ისაკი კი შემდეგ შეეძინა როგორც ჯილდო ერთგულებისათვის.

ბიბლიასა და ყურანს კიდევ ბევრი რამ განასხვავებს, მაგრამ ბევრი მამათმთავარი (პატრიარქი), წინასწარმეტყველი და წმინდანი სამივესათვის საერთოა. ამდენად, მათ ბევრი საერთო ფასეულობა აქვთ.

## ქრისტიანობა



ქრისტიანობა მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული და ყველაზე გავლენიანი სარწმუნოებაა. მისი მიმდევრების საერთო რიცხვა 2000 წელს 2 მილიარდს გადააჭარბა. მათ ნებისმიერ რასაში, ერსა თუ სახელმწიფოში ნახავთ (ზოგან ბევრს, ზოგან ცოტას). ქრისტიანული ეკლესიის წიაღში აღიზარდნენ მსოფლიო მასშტაბის მოაზროვნეები, რამაც ქრისტიანულ სარწმუნოებას ავტორიტეტი სხვა სარწმუნოების მიმდევართა, ნიჰილისტთა და ათეისტთა თვალშიც შესძინა.

ქრისტე მცირე აზიის ერთ არაპრესტიჟულ პროვინციაში დაიბადა და გაიზარდა. იქ იქადაგა ახალი მოძღვრება, რომელსაც შემდეგ მოციქულები და თანამოციქულები ავრცელებდნენ. მათ რომის იმპერიასა და მის საზღვრებს გარეთაც შექმნეს მორწმუნეთა გაერთიანებები, - საზოგადოებები, რომელთაც **ეკლესიები** ეწოდა.

პირველი ეკლესია იერუსალიმში დაფუძნდა

## I. ბიბლიური რელიგიები

---

აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს, როდესაც მოციქულებზე სულიწმიდა გადმოვიდა და მათ ქადაგების განსაკუთრებული უნარი შეიძინეს. იმ დღეს სამი ათასი კაცი დარწმუნდა, რომ ქრისტე ღვთის შვილია, და მოინათლა.

ქრისტიანები I-III სს-ში იუდეველთა და წარმართთა გააფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდნენ, მაგრამ ცეცხლმა და მახვილმა ეკლესია უფრო განამტკიცა და სულიერად გაამდიდრა. დევნილების ეპოქაში მან იმდენად მოიხვეჭა ავტორიტეტი, რომ იგი ყველასათვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცა და მისი უგულებელყოფა სახელმწიფოს აღარ შეეძლო. 313 წელს, იმპერატორ კონსტანტინე დიდის ბრძანებით, ქრისტიანების დევნა აიკრძალა.

ქრისტიანები თავიანთ თავს ახალ ხალხს, ახალ ერს, ახალი აღთქმის შვილებს უწოდებდნენ და უარყოფდნენ ტომთა და ენათა შორის უფროს-უმცროსობის, უკეთესობა-უარესობის რწმენას. ასეთ რწმენას, რომელსაც ებრაელთა და ელინთა შორის ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული, ისინი ცრურწმენად რაცხდნენ.

ქრისტიანთა რწმენის პირველწყარო არის **საღვთო წერილი** (ბიბლია) და **საღვთო გადმოცემა** (საეკლესიო მოძღვრება, საეკლესიო ტრადიცია). ძველი საეკლესიო თვალსაზრისით ერთიც და მეორეც სულიწმინდის შთაგონების ნაყოფია და, ამდენად, - ჭეშმარიტება. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ პირველი გასრულებულია წინასწარმეტყველთა და მოციქულთა კალმით, მეორე (საღვთო გადმოცემა) ეკლესიის მამებისა და მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ. რწმენას, რომ ორივე წყაროს თანაბარი ავტორიტეტი აქვს, ევროპაში (რომის ეკლესიაში,



## I. ბიბლიური რელიგიები

---

კათოლიკურ სამყაროში) ოპონენტები გამოუჩნდნენ. ამ საგანზე განსხვავებული თეორია პირველად გერმანელმა ბერმა მარტინ ლუთერმა შეიმუშავა (XV-XVI სს.), რამაც სათავე პროტესტანტობას დაუდო. ამდენად, ქრისტიანულ სამყაროში საღვთო გადმოცემასთან დამოკიდებულების საკითხში ორად გაიყო: ერთ მხარეზეა მართლმადიდებლობა და კათოლიკობა, მეორე მხარეს კი – პროტესტანტობა. მათ ერთი და იგივე საღვთო წერილი (ბიბლია, ძველი და ახალი აღთქმა) აერთიანებთ, მაგრამ საღვთო გადმოცემასთან დამოკიდებულება განასხვავებთ. მართლმადიდებლები და კათოლიკეები საღვთო გადმოცემის ავტორიტეტს აღიარებენ, პროტესტანტები კი მის მნიშვნელობას ან უგულვებელყოფენ, ანდა, ყოველ შემთხვევაში, საღვთო წერილთან არ ათანაბრებენ.

ასეა თუ ისე, საღვთო წერილი და, შესაბამისად, საღვთო ისტორია ქრისტიანთა საერთო რწმენის საფუძველთა საფუძველია.

## საღვთო ისტორია

ყველაფერი, რაც არსებობს - ხილული თუ არახილული, ამქვეყნიური თუ იმქვეყნიური, შექმნილია. შესაქმნის პროცესი ექვს დღეს გაგრძელდა - ხილული ქვეყანა ღმერთმა ექვსი დღის განმავლობაში შექმნა, მეშვიდე დღეს კი დაისვენა. თავდაპირველად მან „ცა და მიწა“ შექმნა. აქ იგულისხმება როგორც ანგელოზური,

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ისე მატერიალური სამყარო. „ცა“ მოიცავს ზეცის უხორცო და გონიერ ძალებს, ე.ი. ანგელოზებს, „მიწა“ კი ყოველივეს ცისქვეშეთში. თუ როგორ შეიქმნა ანგელოზთა დასები, ბიბლია კონკრეტულად არაფერს გვეუბნება, რაც გასაგებია: იგი დაწერილია ადამიანისათვის ადამიანისავე ენაზე და ყურადღებას ამა ქვეყნის ბედზე, მის თავგადასავალზე ამახვილებს.

სიტყვა „შექმნა“ („ღმერთმა შექმნა...“), მიგვანიშნებს ღვთის შემოქმედებით პროცესზე, ნებაყოფლობით აქტზე, მის თავისუფალ ნებაზე. ღმერთი არის ყოველივეს არა იძულებითი, არა ბუნებითი, არა აუცილებლობითი, არამედ ნებაყოფლობითი და შემოქმედებითი მიზეზი. შემოქმედება კი ყოვლის უწინარეს გულისხმობს თავისუფლებას და ძირშივე გამორიცხავს იძულებას. ასე რომ, თავისუფლების იდეა ბიბლიის პირველ სტრიქონშია ჩამარხული.

პირველ დღეს ღმერთმა ნათელი შექმნა; მეორე დღეს - ცა; მესამე დღეს - მიწა; მეოთხე დღეს - მანათობელნი ცისა და ქვეყანისა: მზე, მთვარე და ვარსკვლავები. ასე დაედო სათავე წუთისოფელში ნათელისა და ბნელის მონაცვლეობას.

მეხუთე დღეს ღმერთმა შექმნა სულდგმულთა სამყარო - წყლის ბინადარნი და ცის ფრინველები. მეექვსე დღეს ღმერთმა ცხოველთა სამყარო და ადამიანი შექმნა, რითაც შესაქმის პროცესი დაგვირგვინდა, რადგან შეიქმნა ცისა და მიწის მშვენება, შესაქმის უდიადესი ნაყოფი და გვირგვინი, ქვეყნის პატრონი და უფალი - ადამიანი.

პირველი კაცი, რომელიც ღმერთმა შექმნა, იყო

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ადამი, ადამის ნეკნისაგან კი მისი ცოლი ევა გამოიყვანა. აკურთხა ღმერთმა ისინი და უთხრა: „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას, ეპატრონეთ ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, ყოველ ცხოველს, რაც კი დედამიწაზე დახოხავს“.

ღმერთმა რაც შექმნა, კეთილად ქმნა. მის მიერ ქმნილი სამყარო სრულყოფილი, უმწიკვლო და მშვენიერი იყო. იქ სუფევდა სრული ჰარმონია და სიმფონია, აბსოლუტური თანხმობა და წესრიგი. მატერია, რომელიც ღმერთმა შექმნა, არის სულიერი მატერია. მისთვის უცხოა ავადმყოფობა, ე.ი. კოროზია – ჟანგვა ანუ ხრწნა. ამ მატერიას არა აქვს სიმყიფე, ზომა და წონა. ეს კატეგორიები მხოლოდ მის პოტენციაშია და გამოვლინდება გარკვეული მიზეზის შედეგად. მიზეზი არის ცოდვა, რის გამოც სულიერი მატერია გარდაისახება ხრწნადად და მოკვდავად, - მარადიულობიდან წუთი-სოფლად, სულიერებიდან მშვენიერად, უმწიკვლოებიდან მწიკვლოვანად.

მაშ რამ გააუხემა ღვთის ქმნილება? ვინ გადააქცია უკვდავი და უხრწნელი მატერია მოკვდავად და ხრწნადად? ვინ შექმნა წუთისოფელი ანუ სამყარო, რომელსაც ჩვენ ვგრძნობთ, აღვიქვამთ და ვხედავთ, სადაც თანაარსებობს ჰარმონია და, დროდადრო, დისჰარმონია, სიკეთე და ბოროტება, სიყვარული და სიძულვილი, სილამაზე და სიმახინჯე? ერთი სიტყვით - ვინ არის მიზეზი უკეთურების და უმსგავსობის?

დავაზუსტოთ: ღმერთმა შესაქმნის გვირგვინად ადამიანი შექმნა და განუზომელი ღირსებით - საკუთარი ხატებითა და მსგავსებით დააჯილდოვა. ღმერთმა

## I. ბიბლიური რელიგიები

---

მარტოდენ ადამიანს მიმადლა ის, რაც მას, და მხოლოდ მას, - ცისა და ქვეყნის შემოქმედს, ამკობს - აზროვნება, ნებისყოფა, არჩევანის თავისუფლება და შემოქმედებითობა. ღმერთმა გამორჩეულ ალაგას დაასახლა ადამი - ედემის ბაღში. ედემის ბაღი, იგივე სამოთხე, ქვეყნის შუაგულია, სადაც სახლობდა ღვთის ხატი და მსგავსი. იქ ადამიანს უნდა ეშრომა და ეღვაწა, ოღონდ არა ლუკმაპურისათვის (როგორც წუთისოფელში), არამედ სულიერი და ფიზიკური ძალების განმტკიცებისათვის, რათა აღსრულებულიყო ღვთის ლოცვა-კურთხევა: აღორძინდით და გამრავლდით (ახალი თარგმანით – ინაყოფიერეთ და იმრავლეთ)! ისინი, ადამი და ევა უნდა აღორძინებულიყვნენ, მათ უნდა ენაყოფიერათ და ემრავლათ, მაგრამ არა ისე, როგორც დღეს - ხრწნილებით, არამედ სულიერად, წმიდად და უმანკოდ (მსგავსად ქალწული მარიამისა).

ღმერთმა ადამიანს არა მარტო თავისუფლება მიმადლა, არამედ - არჩევანის გაკეთების, ორიენტაციის დამოუკიდებლად აღების, ნაბიჯის შემოქმედებითად გადადგმის საშუალებაც. ამის ნიშანი იყო ედემის შუაგულში აღმოცენებული ორი ხე: ხე სიცოცხლისა და ხე კეთილისა და ბოროტის შეცნობისა. პირველის ნაყოფი განამტკიცებდა უკვდავებასა და უხრწნელებას, მეორისა - პირიქით, სოფელს ავადმყოფობასა და სიკვდილს უქადდა. ადამმა და ევამ ღვთის ნების საწინააღმდეგო ნაბიჯი გადადგეს, - შეჭამეს კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხის ნაყოფი, რაც საბედისწერო აღმოჩნდა. ისინი ეურჩნენ ღვთის ნებას, და ამ ურჩობას ჩვენ **პირველცოდვას** ვუწოდებთ. მან მყისიერად, ერთბაშად და თვისობრივად

## I. ბიბლიური რელიგიები

---

შეცვალა კაცის სხეულიც და ხასიათიც. ცოდვის შედეგად დაირღვა გვამისა და სულის სიმრთელე: სხეული ხრწნადად და მოკვდავად იქცა, - დაავადდა, დასნეულდა. ცოდვის შედეგი იმავდროულად გავრცელდა გარემომცველ სამყაროზე: უსულო და სულიერ საგნებზე - მინერალებზე, ფლორასა და ფაუნაზე, კოსმოსზე, მთელს გალაქტიკაზე, ნებისმიერ კუთხესა და კუნჭულზე. მატერიალური სამყარო განემსგავსა პირველსახეს და შეიძინა ის ქიმიური შემადგენლობა, ფორმა და თვისებები, რასაც დღეს ვხედავთ, აღვიქვამთ და ვსწავლობთ. ასე რომ, ჩვენი თვალთახედვის წინ მყოფი სამყარო - ჭუჭყიანი და ცოდვილი - შეიქმნა ადამიანის მიზეზით, პირველცოდვის გამო, ერთბაშად და მყისიერად.

ცოდვას და დანაშაულს, აუცილებლობის პრინციპით, სასჯელი მოჰყვა. სასჯელმა ცისქვეშეთში ყველაფერი მოიცვა. დაირღვა ჰარმონია, თანხმობა ადამიანისა ღმერთთან და გარემომცველ სამყაროსთან, მცენარეებთან და ცხოველებთან. ზოგიერთი ცხოველი გახდა მტაცებელი და მავნებელი, მცენარე კი - შხამიანი და მომწამვლელი. ყველა და ყოველივე ცოდვის მარწუხმა დაიმონა.

ადამსა და ევას, უკვე დაცემულთ, შეეძინათ შვილები - აბელი და კაენი. პირველი მწყემსი იყო, მეორე - მიწის მუშა. ორივემ მიაართვა უფალს შესაწირავად თავთავისი შრომის ნაყოფი. მოხედა უფალმა აბელის ძღვენს, კაენისა კი უარყო, რაც კაენს შეშურდა და ძმა მოკლა.

კაცთა სიმრავლე ორმა ძმამ წარმოშვა - კაენმა და სეთმა, რომელიც ღმერთმა ადამსა და ევას აბელის მაგიერ შესძინა. გადიოდა დრო. ადამიანები მრავლდებოდ-

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ნენ; მრავლდებოდა ცოდვაც. ხსნა არსაიდან ჩანდა, რადგან ადამიანს საკუთარ ძალებზე დაყრდნობით დანაშაულის გამოსყიდვა არ შეეძლო. იგი უკვე არასრულყოფილი არსება იყო, რის გამოც მას აღარ შეეძლო იმ მასშტაბის სიკეთის ქმნა ანუ, რაც იგივეა, იმ მასშტაბის მსხვერპლის გაღება აღარ ძალუძდა, პირველცოდვა და მისი შედეგები რომ გაეზოგებინა და მოესპო. ამ იდეალის შესრულებაში მას ღმერთი დაეხმარა. დახმარება კი იმაში გამოიხატა, რომ ღმერთი ადამიანს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ეცხადებოდა, ჭეშმარიტებას გზადაგზა აუწყებდა და მასთან აღთქმებს (ხელშეკრულებებს) დებდა.

აღთქმა ორია - ძველი და ახალი. ძველი აღთქმა მხსნელის მოვლინებასა და ეშმაკის, სიკვდილისა და ჯოჯოხეთის ბატონობისაგან კაცობრიობის გამოსყიდვას გულისხმობს, ახალი კი - სამოთხის განახლებას და ცათა სასუფეველს.

ძველი აღთქმა, თავის მხრივ, რამდენიმე ეტაპს, რამდენიმე აღთქმას გულისხმობს. მათგან პირველი პირველ სასჯელს, საყოველთაო წარღვნას, მოჰყვა. ამ დროს დაიღუპა მთელი კაცობრიობა ერთი მართალი კაცის, ნოეს, და მისი ოჯახის გარდა. ღმერთმა ნოეს წუთისოფლის ხსნა და გადარჩენა აღუთქვა და ამ აღთქმის ნიშნად ცაზე ცისარტყელა გამოსახა.

კაცობრიობა თავდაპირველად ერთპირი და ერთ ენაზე მოლაპარაკე იყო. ერებად და ენებად დაყოფა არის იმ სასჯელის შედეგი, რომელიც ბაბილონის გოდოლის შენებას მოჰყვა. მრავალ ერთა შორის ღვთის რწმენა და მისდამი მორჩილება ყველაზე მეტად ებრაელთა მამამთავ-

## I. ბიბლიური რელიგიები

---

რებს აღმოაჩნდათ. ამის გამო ამ ერმა რჩეული ერის სახელი დაიმკვიდრა, რადგან ღმერთმა აღთქმა მის მადლიან შვილებთან დადო. ესენი არიან: აბრაამი, ისააკი და იაკობი (იგივე ისრაელი), რომელთაც ღმერთმა აღუთქვა, რომ გაღებულ იქნება მსხვერპლი, რომელიც ადამიანებს პირველცოდვის გავლენისაგან გამოისყიდის. ამ აღთქმის ნიშანი წინადაცვეთა იყო.

ძველი აღთქმის შინაარსი უფრო მეტად წინასწარმეტყველ მოსეს მეშვეობით გაცხადდა. მან ისრაელიანები (ებრაელები) ეგვიპტიდან, მონობის ქვეყნიდან, გამოიყვანა; სინას მთაზე მათ ათი მცნება და სამართლის კოდექსი (რჯული) მისცა; აღთქმულ ქვეყანაში გადასვლის აღსანიშნად დღესასწაული „პასეჟი“ დააწესა, რომლის დროსაც საკლავი უნდა დაკლულიყო. საკლავი კი, რომელსაც პასეჟსაც უწოდებდნენ, გამომსყიდველი მსხვერპლის სიმბოლო და წინასახე გახლდათ.

აღთქმის მიზანი და ამ მიზნის რეალიზაციის მაგისტრალური გზა ყველაზე სრულყოფილად მეფისა და წინასწარმეტყველის დავითის მიერ გაცხადდა. პიროვნება, რომელიც მხსნელის უღელს იტვირთავს, აღმოცენდება ცხებულის მეფის, იესეს ძის, დავითის თესლისაგან და დედის საშოშივე მეფედ იკურთხება; დაიბადება ჭეშმარიტ მეფედ და დაერქმევა „მესია“, რაც ბერძნულად „ქრისტედ“ ითარგმნება, ქართულად - „ცხებული“. სწორედ მესია აღასრულებს ხილული და არახილული სამყაროს იდეალს, - აღადგენს დაცემულ ადამს და განაახლებს ცისა და მიწის კავშირს.

ამრიგად, კაცობრიობას მხსნელი რჩეული ერის

## I. ბიბლიური რელიგიები

---

წილიდან მოვევლინება. ერთსა და იმავე დროს იგი ღმერთიც იქნება და კაციც. იგი სამსხვერპლოზე მიიტანს თავის თავს, რითაც შეარიგებს კაცთა მოდგმას ღმერთთან და დაამარცხებს წუთისოფლის საცთურს, - ეშმაკს და მის სამეფოს - ჯოჯოხეთს.

**ძველმა აღთქმამ და წინასწარმეტყველებამ ხორცი ახალი წელთაღრიცხვის გარიჟრაჟზე შეისხა.** ღმერთმა კაცთა ნათესავის გამოსახსნელად დედამიწაზე მხოლოდმობილი ძე მოავლინა. მარადიული, დაუსაბამო და უყამო ღმერთი განკაცდა. იგი ქალწულმა მარიამმა შვა.

იესო ქრისტე 30 წლის ასაკში მოინათლა იოანე წინასწარმეტყველის, წინამორბედისა და ნათლისმცემლის მიერ. ამ ფაქტით ძველი აღთქმა და რჯული დასრულდა. იოანე ნათლისმცემელი დგას გზათგასაყარზე და ითვლება ძველი აღთქმის უკანასკნელ წინასწარმეტყველად და ახლის წინამორბედად. მისი ქადაგება - მოინანეთ, რადგან ცათა სასუფეველი მოახლოებულია! ნიშნავდა ღმერთსა და ადამიანს შორის ახალ ურთიერთობათა, ახალ ხელშეკრულებათა დასაბამს. აქ არის მინიშნება ახალი აღთქმის უმთავრეს იდეალზე - ცათა სასუფეველზე და მისი მიღწევის პირობაზე – სინანულზე. ძველი აღთქმის გარეგანი ნიშანი წინადაცვეთა იყო. ახალი აღთქმის ხილული ნიშანი კი ნათლისღება და ზიარებაა. ნათლისღება არის ახალი აღთქმის კარი, წინაბჭე, ზიარება კი - მისი გვირგვინი. ნათლისღების მეშვეობით მორწმუნე ქრისტეს ეკლესიის წევრი ხდება, ზიარების მეშვეობით კი იგი ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეზიარება. ერთიც და მეორეც ეკლესიის მიერ გააზრებულია საიდუმლოდ



## I. ბიბლიური რელიგიები

---

(საკრამენტად), რომელთაგან მეორე (ზიარება) თავად უფალმა დაადგინა. მან მოციქულები პირველად საპასეჟო სუფრაზე აზიარა. პური საკუთარ ხორცად, ღვინო კი საკუთარ სისხლად დასახა და ამით მსხვერპლშეწირვის ებრაული წესი გააუქმა. სახარების ამ ეპიზოდს საეკლესიო ტრადიცია **საიდუმლო სერობას** უწოდებს.

ქრისტიანობა არის ხსნისა და გამოსყიდვის რელიგია. მისი სპეციფიკური ნიშანი არის ჯვარი და ჯვარცმა, რასაც **გამოსყიდვის ღოგმატი** ეფუძნება. იესო ქრისტემ ადამიანი და წუთისოფელი საკუთარი თავის ჯვარცმამდე დამდაბლების გზით გამოისყიდა. მან მიატოვა „თავისი მამული“, შეიმოსა მონის ხატი და ჯვარს ეცვა როგორც დამნაშავე, განწირული და მიუსაფარი. ახალი აღთქმის მთავარი ნიშანი თავმდაბლობის შედეგად დაღვრილი და შეწირული სისხლია. მისი მოძღვრებისათვის ნიშანდობლივია ძველი ფასეულობების გადაფასება და ახალი ზნეობრივი კრიტერიუმების დამკვიდრება. მაგალითად, სიმდიდრე, სილალე, თვალტანადობა, რასაც ელტვოდა წარმართთა ცნობიერება, ქრისტიანთა მიერ ჩათვლილია არაარსებით კატეგორიებად. გამოცლილი აქვს საფუძველი პრინციპს - ლამაზ სხეულში ლამაზი სულია. ამქვეყნიური დიდება, რაც ებრაელთა რჯულშიც თვალსაჩინოდ ფიგურირებდა, სახარების თანახმად სანუკვარი ფაქტი არაა. ადამიანს აღიადებს არა ძლიერი მკლავი, ანდა სავსე ქისა, არამედ უმანკო გული და სინდისი. ქრისტიანული ეთიკისა და მორალის სპეციფიკური ნიშანია შენდობა, მტერთათვის ლოცვა და ბოროტების სიკეთით გადახდა. ყოველივე ეს ძველ

## I. ბიბლიური რელიგიები

---

აღთქმაში არაერთგზისაა აღნიშნული პირდაპირ თუ ალერგორიულად, მაგრამ მაცხოვარმა იესო ქრისტემ სიმდაბლის, მოთმინებისა და მიტევების პირადი მაგალითი გვიჩვენა.

ქრისტე ამქვეყნად მოკვდავი და ხრწნადი სხეულით მოვიდა, მაგრამ ჯვარცმისა და ღამარხვის შემდეგ, იმის გამო, რომ იგი ბუნებით ღმერთი იყო, უკვდავი და უხრწნელი სხეულით აღდგა. ქრისტიანებს სწამთ, რომ საყოველთაო განკითხვის ჟამს ჩვენი ხორციც ასევე განახლდება. ქრისტეს აღდგომა მოასწავებს დაკარგული სამოთხის პოვნას და მისკენ დასაბრუნებელ გზას გვისახავს.

## ღვთისმეტყველება და ღვთისმსახურება

მართლმადიდებლებისა და კათოლიკეების ღვთისმეტყველება და ღვთისმსახურება როგორც ბიბლიას, ისე საღვთო გადმოცემას ეფუძნება, პროტესტანტული კი - მხოლოდ ბიბლიას. მოძღვრების ძირითადი დებულებები, დოგმატები, გამოთქმით და წერილობით გზადაგზა ყალიბდებოდა. ეს პროცესი ძირითადად IV ს-ში დამთავრდა, რაც აისახა „სარწმუნოების სიმბოლოში“, რომელსაც მეორენაირად „მრწამსი“ ეწოდება. ამ დოკუმენტში ქრისტიანული რელიგია რეზიუმეს სახითაა წარმოდგენილი.

ზოგადქრისტიანული ღვთისმეტყველების (თეოლოგიის) საფუძველთა საფუძველია მოძღვრება **ერთარსება-სამების** შესახებ. კითხვას, თუ რატომაა ერთი ღმერთი

## I. ბიბლიური რელიგიები

---

სამპიროვანი, სამსახოვანი, სამპიპოსტასოვანი, თეოლოგია ზოგადად ასეთ პასუხს სცემს: ღმერთი სიყვარულია. სიყვარული კი ითხოვს ობიექტს, - ტრფობის საგანს, რომ ჰპოვოს კმაყოფილება და ნეტარება. ადამიანი ვერ კმაყოფილდება გარემომცველი ბუნების: მცენარეთა თუ ცხოველთა, ვერც საკუთარი პროფესიის სიყვარულით და ეძებს თავის მსგავსს ალერსისათვის, - შვილს. უზენაესის ტოლსწორი, ცხადია, ქვეყნიერების ვერც ერთი ელემენტი ვერ იქნება. მისი სიყვარული, ერთი და ერთგვამოვანი რომ იყოს (ანუ მარტო), დაუოკებელი დარჩება. ქრისტიანული თეოლოგია ამ საკითხს სამპიროვნულობით წყვეტს: მარადმოყვარულ მამას ჰყავს მარადსაყვარელი საგანი - მხოლოდშობილი ძე, ხოლო მამას და ძეს თავსეველება წმიდა სული, რომელიც არის მამის ნათელი და სიწმიდე, მისი ელვარება, მისი სინათლე. ამრიგად, არსებით მთლიანი და ერთიანი აბსოლუტი გასამგვამოვნებელია - მამა, ძე და სულიწმიდა.

სამების არსებას ვიზუალურად მზის, სითბოსა და სინათლის ურთიერთმიმართება ასაჩინოებს. არ არსებობს მზე სითბოსა და სინათლის გარეშე, როგორც უკანასკნელი - პირველწყაროს, მზის დისკოს გარეშე: სადაცაა მზე, არის სითბოც და სინათლაც. ასევე: სადაც მამაა, არის ძე, არის სულიწმიდა და - პირუკუ. ღმერთი ყველგანაა. მაშასადამე, წმიდა სამება მადლითა და ღიღებით სუფევს ყველგან და ყოველთვის.

საღმრთო წერილში, ძველშიც და ახალ აღთქმაშიც, არაერთგზისაა მინიშნებული ღვთის სამობით არსებობა. ბიბლიის კომენტატორები თვლიან, რომ აბრაამის სამი

## I. ბიბლიური რელიგიები

---

სტუმარი (დაბ. 18) სამების ალევორიული სახეა. დავით წინასწარმეტყველის სიტყვებში: „სიტყვითა უფლისათა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირისა მისისათა ყოველი ძალი მათი“ (ახ. თარგმ. „უფლის სიტყვით შეიქმნა ზეცა და მისი ბაგეების ქარით - მთელი მისი საკრებულო“) (ფს. 32:6) „სიტყვა“ ძე ღმერთს უდრის, „სული“ („ქარი“) - წმიდა სულს, „უფალი“ - მამაღმერთს. უფრო მკაფიოდ სამების საიდუმლო გამოთქმულია ახალ აღთქმაში (მათე 28:19; 2 კორ. 13:13), განსაკუთრებით - იოანე ღვთისმეტყველის მიერ: „სამნი მოწმობენ ზეცად: მამა, სიტყვა და სულიწმიდა; და ეს სამნი ერთი არიან“ (I იოანე 5:7).

ხილული და არახილული სამყარო ერთარსება-სამების შემოქმედებაა. მართალია, სამება ერთი ნებით, ერთი განზრახვით ქმნის სამყაროს, მაგრამ ცალკეულ პირთა როლი შესაქმნის პროცესში სხვადასხვაგვარია. ცისა და ქვეყნის შექმნის ინიციატორი არის მამაღმერთი, უშუალო აღმსრულებელი ანუ მისი ნების მოქმედი - ძე, ხოლო სრულმყოფელი და მადლით აღმავსებელი - წმიდა სული.

ბიბლიური **კრეაციონიზმის** (სამყაროს შექმნის) თანახმად ქვეყანა სამების ერთიანი და თავისუფალი ნების შედეგად შეიქმნა. თუ ძე მამისაგან იშვა ბუნებითად, უმიზეზოდ, სამყარო ღმერთმა განზრახვის, სურვილის შესაბამისად დაასაძირკვლა.

რამ განაპირობა ეს სურვილი? - სიყვარულმა, ტრფობისა და ზრუნვის საგნის წყურვილმა. ღმერთმა ასეთ საგნად სამყარო გამოსახა.

## I. ბიბლიური რელიგიები

---

დაისმის კითხვა: თუკი ღმერთი არის სიკეთე და მხოლოდ სიკეთე, როგორ აღმოცენდა სამყაროში ბოროტება?

ბოროტებას საფუძველი ანუ წყარო არ გააჩნია. იგი არასუბსტანციური ძალაა და, ამდენად, წარმავალი, დროებითი. უკეთურების სიმბოლოა ბნელეთი, სიკეთისა კი - სხივი ანუ ნათელი. სიბნელეს ანუ ღამეს, განსხვავებით დღისაგან, წყარო, ე.ი. ობიექტური მიზეზი არა აქვს. იგი მაშინ წარმოიშობა, როდესაც სხივი გარდატყდება მრუდე გზის გამო ანუ მზეს (სინათლის პირველწყაროს) მყიფე სხეული ჩამოეფარება. ასე ჩამოწვევა ხოლმე ჯანლი და ყიამეთი, რაც იძლევა და იმუსრება ცისკრის მიერ. დღე და ნათელი უძლეველია, რადგან აქვთ წყარო - თვალ-შეუდგამი მზე. ღამე და უკუნეთი კი მოკლებულია საფუძველს, რადგან ობიექტურად არ არსებობს „სიბნელის ბუდე“ და პირველმიზეზი. ამგვარივე ურთიერთობაა სიკეთესა და ბოროტებას შორის. პირველი სუბსტანციური და მარადიულია, მეორე - დროებითი. სიკეთეს აფრქვევს ღმერთი, რომელმაც შექმნა ყოველივე; ბოროტებას თესავს ეშმაკი ანუ სატანა, რომელიც ღმერთს პირველად ეურჩა და დაადგა უკეთურების გზას, თუმცა კეთილ არსებად იყო შექმნილი. ასე რომ, ქრისტიანობა თავისი არსებით სიყვარულის და იმედის რელიგიაა.

ღმერთმა მხოლოდ კეთილი ანგელოზები შექმნა. მათგან ზოგიერთმა ბოროტად გამოიყენა თავისუფლება, დაადგა ღვთის საწინააღმდეგო გზას, რასაც შედეგად დაცემა მოჰყვა. უნილავი ცის კაბადონზე დემონები ანუ ბოროტი ანგელოზები (ეშმაკები) გამოჩნდნენ. რადგან

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ისინი ღმერთს საკუთარი სურვილით გადაუდგნენ, შეიძლება ითქვას, რომ მათ თვით დაიწყველეს თავი ანუ განეშორნენ მადლს, რითაც ადრე აღვსილნი იყვნენ. ანგელოზთა ამ დასს ეწოდა ეშმაკი ანუ სატანა, ლიუციფერი, რომელიც გახდა ბოროტების წყარო და ნიადაგი. მართალია, ღვთის ქმნილება ეშმაკის მანქანების გამო გაუხეშდა, მაგრამ პასუხისმგებლობა ადამიანის კისერზეა. იგი გონიერი არსება იყო და თვითკონტროლის უნარი ჰქონდა. ეს პასუხისმგებლობა მის მხრებს დღესაც აწევს, რადგან მას შერჩა ღვთის ბეჭედი, ღვთის ნაპერწკალი - ცნობიერება, გონიერება, არჩევანის უნარი, თავისუფლება. აზროვნება ის უნარი და თვისებაა, რაც ადამიანს ცხოველისაგან გამოარჩევს.

ზოგადქრისტიანული მოძღვრების თანახმად პიროვნებათა გამოსყიდვა და ხსნა ეკლესიაში ხორციელდება. მაღალი (თეოლოგიური) აზრით **ეკლესია არის ქრისტეს სხეული**, ხოლო თითოეული მორწმუნე მისი ნაწილი, რომლებსაც წმინდა სული აერთიანებთ. ეკლესია, როგორც ასეთი, არის უმწიკვლო. ესაა ზეციური, წმინდა ეკლესია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ, ამასთანავე, მიწიერი, ე.წ. ქვათა ეკლესიაც არსებობს როგორც სოციუმი, რომელიც ყველანაირ მორწმუნეს აერთიანებს, მათ შორის - ცოდვილებსაც. ეკლესიის იდეალი უკანასკნელთა აღზრდა და გაკეთილშობილებაა.

ხილული ეკლესია მხოლოდ გეოგრაფიული ადგილის, საღვთისმსახურო ენისა და ტრადიციების მიხედვით განიყოფა, სხვა მხრივ კი ისეთივე მთლიანია, როგორც ზეციური ეკლესია.

## I. ბიბლიური რელიგიები

---

**საღვთისმსახურო ტრადიციები** სხვადასხვა ეკლესიებში სხვადასხვაა. სხვაობას როგორც თეორიული და დოგმატური, ისე ადგილობრივი წეს-ჩვეულებები განაპირობებს. მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებს სწამთ, რომ სულის ცხონებისათვის აუცილებელია საიდუმლო ქმედებათა აღსრულება. საეკლესიო საიდუმლოთა რიცხვი უდრის შვიდს. ესენია: ნათლისღება, მირონცხება, ზეთისცხება, მღვდელობა ანუ მღვდელმსახურად ხელდასხმა, სინანული (რომლის შემადგენელი ნაწილი აღსარებაა), უსისხლო მსხვერპლი ანუ ევქარისტია, ე.ი. წირვა და ზიარება, და ქორწინება. ნათლისღება ეკლესიის კარიბჭედ იწოდება, ზიარება კი - გვირგვინად. ნათლისღების წყალობით მორწმუნე ახალ კაცად იბადება და ეკლესიის წევრი ხდება, ზიარება კი მას სისხლით და ხორციით იღვალთან, ე.ი. ქრისტესთან აკავშირებს. ჩამოთვლილ საიდუმლოთაგან პროტესტანტული ეკლესიები მხოლოდ ორს აღიარებენ - ნათლისღებას და ზიარებას. თანაც, ზოგიერთი პროტესტანტული ეკლესია მათ საიდუმლოდ მოიაზრებს და ასეც მოიხსენიებს, ზოგიერთი კი - სიმბოლურ აქტად. რაც შეეხება საწესჩვეულებო სხვაობებს, ასეთი რამ ერთი და იმავე აღმსარებლობის წიაღში ყოველთვის არსებობდა და დღესაც არსებობს. მაგალითად კათოლიკური ეკლესიის პრაქტიკა გამოგვადგება. ამ მხრივ იქ რამდენიმე რიტი (ტიბიკონი, წესი) არსებობს - ლათინური, ბერძნული, ქალდეური, სომხური და სხვა.

ეკლესიის მიზანი მორწმუნეთა შორის **ესქატოლოგიური მოლოდინის** გაღვივებაა. ესაა რწმენა ქვეყნის

## I. ბიბლიური რელიგიები

---

დასასრულსა და მკვდართა აღდგომაზე ანუ იმაზე, რომ იესო ქრისტე კვლავ მოვა დედამიწაზე; აღდგებიან მკვდრები და განახლდება სამოთხე, იქნება სულიერი ცა და სულიერი მიწა, - დაისდგურებს ცათა სასუფეველი.

მკვდრეთით ყველა მიცვალებული აღდგება: მართალიც და ცოდვილიც, მორწმუნეც და ურწმუნოც. განახლდება ყველა სხეული, მაგრამ თითოეული სხვადასხვა ღირსებით შეიმოსება: მართალნი ცათა სასუფეველს დაიმკვიდრებენ, უკეთურნი საუკუნო სატანჯველს მიეცემიან. თუ როდის დადგება ქვეყნის აღსასრულისა და საშინელი სამსჯავროს ჟამი, კაცთაგან არავინ იცის. რადგან თითოეულ პიროვნებაში თანაარსებობს ავიც და კარგიც, ცოდვაც და მადლიც, ეს ჟამი, „მერმისი საუკუნე“, ერთდროულად დამაფრთხობელიცაა და მომხიბლავიც. საშიშია სასამართლო, მაგრამ მომხიბლავია ღვთის სამეფო, რომელიც მოვა და რომელიც ისეთი იქნება, როგორსაც ესაია წინასწარმეტყველი გვამცნობს:

„ამოვა ყლორტი იესეს ღეროდან და მისი ფესვის ამონაყარი გაიხარებს. დაივანებს მასზე უფლის სული, სული სიბრძნისა და გონიერებისა, სული რჩევისა და სიმხნევისა, სული შეგნებისა და უფლის შიშისა. ის უფლის შიშით ისულდგმულებს, დანახულით არ განსჯის და გაგონილით არ დაიწყებს მხილებას. სიმართლით განსჯის ღარიბ-ღატაკთ, სისწორით განიკითხავს ქვეყნის ბედშავთ. დაჰკრავს მიწას თავის ბაგეთა კვერთხს და თავის პირისქართ ბოროტეულს მოაკვდინებს. სიმართლე იქნება სარტყლად მის წელზე და სიწრფელე სარტყლად



## I. ბიბლიური რელიგიები

---

მის ფერდებზე. დადგება მგელი ცხვართან ერთად და ვეფხვი დაბინავდება ციკანთან ერთად. ხბო, ლომი და ნასუქალი პირუტყვი ერთად იქნებიან და ჩვილი ბავშვი წაუძღვება მათ. ძროხა და დედა დათვი ერთად მოსძოვენ და მათი შვილები ერთმანეთის გვერდით დაწვებიან, ლომი ძროხასავით შეჭამს ჩალას. ძუძუთა ბავშვი უნასის ხერელთან ითამაშებს და ძუძუანასხლეტი ასპიტის ბუდეში ჩაყოფს ხელს. არავინ იბოროტებს და არავინ იბილწებს მთელ ჩემ წმიდა მთაზე, რადგან აივსება მიწა უფლის ცოდნით, როგორც ზღვა არის წყლებით დაფარული. იმ დღეს ხალხთა ღროშად იდგება იესეს ფესვი და მისკენ დაიწყებენ დენას ტომები; დიდება იქნება მისი საშვებელი. იმ დღეს მეორედ გაიწვდის უფალი ხელს, რომ გამოიწყიდოს თავისი ერის ნატამალი...“ (11:1-11).

## მართლმადიდებლობა

„მართლმადიდებლობა“ ბერძნული „ორთოდოქსიის“ ქართული თარგმანია. აღმსარებლობის მნიშვნელობით იგი პირველად II-III სს-ის უდიდესი საეკლესიო მოღვაწის კლიმენტი ალექსანდრიელის შრომებში დასტურდება და ეკლესიის საერთო რწმენის გამომხატველ ტერმინად გზადაგზა მკვიდრდება.

მართლმადიდებელი ეკლესია დღემდე შეუცვლელად ინახავს როგორც მოციქულთა და თანამოციქულთა, ისე წმ. მამების სარწმუნოებას და შვიდი მსოფლიო საეკლესიო

## I. ბიბლიური რელიგიები

---

კრების სულისკვეთებას. ამდენად, **მართლმადიდებლობა არის იესო ქრისტესა და მოციქულების მოძღვრება, ჩამოყალიბებული ძველი რწმენის სიმბოლოებში და გადმოცემული ეკლესიის მამების და მასწავლებლების მიერ.**

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების გაცალკეების შემდეგ ეს სახელწოდება აღმოსავლეთის, ასე ვთქვათ, **შვიდ მსოფლიო კრებისეულ ეკლესიებს** შერჩა და მათ დაუსაკუთრდა. დასავლეთის ეკლესიას, რომის საყდრის დაქვემდებარებაში მყოფს, რომელიც აღმოსავლეთის ეკლესიებს აღმსარებლობითაც გაემიჯნა, ერთიანი ეკლესიის მეორე დასახელება შერჩა - **კათოლიკობა.**

მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებს ზეციური და ამქვეყნიური ეკლესიების არსებით მთლიანობას და განუყოფლობას. ეკლესია არსებითად იგივე ქრისტეს სხეულია და, ამდენად, წუთისოფელში ისეთივე მსხემი და მწირია, როგორც მისი პატრონი და მთავარმესაჭე - მაცხოვარი იესო ქრისტე. ხილული ეკლესიები, რომლებიც არიან საბერძნეთში, საქართველოში, რუსეთსა თუ დედამიწის ნებისმიერ კუთხეში, წუთისოფლის სტუმრები არიან და სანამ სტუმრად რჩებიან, მათაც ამძიმებთ წუთისოფლის მწიკვლი და უკეთუდება. მაგრამ ეს დროებითია. ისინი მიიღტვიან ჭეშმარიტი სამშობლოსაკენ, ზეციერი მამის საუფლოსაკენ, რომელიც ყოვლითურთ წმიდაა. სიწმიდე არის ეკლესიის არსება და მის წიაღში დამკვიდრება მორწმუნეთა იდეალია.

წუთისოფელში ეკლესიები ორგანიზებულია რეგი-

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ონების, სახელმწიფოების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, სოფლებისა და უბნების მიხედვით, მაგრამ ეს დაყოფა პირობითია, უტილიტარული მოტივებით და პრაქტიკული მიზნებით გაპირობებული. არსობრივად ეკლესია ერთიანია, საყოველთაოა, მსოფლიოა, რადგან მთელს ოიკუმენას (მსოფლიოს) მოიცავს და, ამდენად, იგი ჭეშმარიტად ეკუმენურია, - კათოლიკეა.

როგორც ზეცის, ისე ქვეყნის ეკლესია იერარქიულია. ანგელოზები და მორწმუნე ადამიანები დაყოფილი არიან დასებად, რომლებიც ერთმანეთთან იერარქიულ ანუ საფეხურებრივ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. ამქვეყნიურ ეკლესიაშიც ანგელოზთა იერარქიის მსგავსი იერარქია მოქმედებს. უქვემოეს დასს ერისკაცთა სიმრავლე შეადგენს. მისი მაკურთხეველი ანუ ხელდამსხმელი სამღვდელთა დასია, რომელიც, თავის მხრივ, სამ იერარქიულ დასად იყოფა (ქვემოდან ზევით) - დიაკონთა, მღვდელთა და ეპისკოპოსთა დასებად. თითოეული დასი თავის წიაღში ასევე იერარქიულია: კერძოდიაკონი, დიაკონი და მთავარდიაკონი; მღვდელი, ღეკანოზი და პრესვიტერი; ეპისკოპოსი, მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი (ან პატრიარქი). „ეკლესია“ ნიშნავს როგორც მორწმუნეთა ცალკეულ თემს, ისე ეკლესიათა მსხვილ გაერთიანებებს და, პირველ რიგში, ყველა ეკლესიის ერთიანობას. საეკლესიო თემების, ასე ვთქვათ, ოლქობრივ გაერთიანებას **ეპარქია** ეწოდება. ეპარქია ოლქის შესატყვისია და მის მმართველს **ეპისკოპოსი** (ზედამხედველი) ჰქვია.

ნებისმიერი საეკლესიო თემი ტერიტორიის

## I. ბიბლიური რელიგიები

---

მიხედვით შესაბამისი ეპისკოპოსის იურისდიქციაში შედის. მართლმადიდებლური მოძღვრების თანახმად, ეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევისა და მფარველობის მიღმა მყოფი ეკლესია არ არის ეკლესია. ეს ნიშნავს, რომ **მართლმადიდებელი ეკლესია მკაცრად ეპისკოპალური ეკლესიაა.**

IV ს-ის ბოლო წლებში მსოფლიო ეკლესია ხუთ დამოუკიდებელ საეპისკოპოსო კათედრად ანუ ხუთ ეკლესიად იყო დაყოფილი, - რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის საეპისკოპოსო კათედრებად, უფრო სწორად - საპატრიარქოებად. შემუშავდა თეორია, რომელსაც **პენტარქია** („ხუთთავრობა“) ერქვა და რომელიც მოცემულ ვითარებას, ე.ი. მთელი ოიკუმენეს ხუთ საპატრიარქოდ დაყოფას, საკრალურ-ეკლესიოლოგიური მოტივებით უმაგრებდა ზურგს. ლაპარაკია აღნიშნული კათედრების აპოსტოლური (მოციქულებრივი) წარმომავლობის რწმენაზე. რომის საყდარი წმ. პეტრემ დააარსა, კონსტანტინოპოლის (ეფესოდან გადმოტანილი) - იოანე ღვთისმეტყველმა, ალექსანდრიის - მარკოზ მახარებელმა, ანტიოქიის - ლუკა მახარებელმა, იერუსალიმის - წმ. იაკობმა, უფლის ძმამ. ცნობილია ამავე თეორიის მეორე ვარიანტიც. ქვეყანაზე ოთხი პატრიარქია, ოთხი მახარებლის კათედრათა მიხედვით. რომის პატრიარქს (პაპს) ლუკა მახარებლის კათედრა უჭირავს, კონსტანტინოპოლისას - იოანესი, ალექსანდრიისას - მარკოზისი, ანტიოქიისას - მათესი. მეხუთე პატრიარქს კი, იერუსალიმისას, ასეთი ტიტული მისი ქალაქის განსაკუთრებული სიწმინდის გამო ერგო. თუკი ქრისტეს მოძღვრებას რომელიმე „ბარბაროზი“ ერი

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ეზიარება, მისი ეპისკოპოსი ხუთიდან ერთ-ერთ პატრიარქს უნდა დაექვემდებაროს, კერძოდ იმას - ვისგანაც რჯული მიიღო.

პენტარქია რომსა და ბიზანტიაში ღვთისგან დაწესებულ მოვლენად გაიაზრებოდა და მართლმადიდებლური ცნობიერების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. მას მტევნის ხუთ თითს, ანდა ხუთი გრძნობის ორგანოს აღარებდნენ. IX ს-ის ერთი თეოლოგის თქმით, „ქრისტემ თავის სხეულში, ე.ი. ეკლესიაში, იმდენი საპატრიარქო კათედრა დააწესა, რამდენი გრძნობაცაა მოკვდავი ადამიანის სხეულში. თუ ეს კათედრები შეკავშირებულნი არიან ერთი ნებისყოფით, მაშინ მთელი ეკლესია ჯანსაღია ისე, როგორც ადამიანის სხეული მრთელია მაშინ, როდესაც ხუთი გრძნობა მთელი და უზალოა“.

პენტარქიის ხანაში ახალი საპატრიარქო კათედრების დაარსება მწვალებლობად და მართლმადიდებლობის ღალატად აღიქმებოდა. მსგავსი „ღალატი“ პირველად სომხეთის ეკლესიამ ჩაიდინა. VI ს-ის მიწურულს კათალიკოსმა აბრაამმა არა მარტო ქალკედონის მართლმადიდებლური კრების დადგენილება უარყო, არამედ თავის თავს პატრიარქი უწოდა, რაც სომხეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას ნიშნავდა. ამის გამო კონსტანტინოპოლის კრებამ სომხეთის ეკლესიას 597 წელს ბრალი არამართლმადიდებლობაში დასდო და ერთიანი ეკლესიის შემადგენლობიდან გარიცხა (განკვეთა).

მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის რწმენისეული განხეთქილებები IV-X სს-ში არაერთგზის მომხდარა, მაგრამ დაძაბულობის განმუხტვა ხერხდებოდა და XI ს-მდე პენტარქიის ავტორიტეტი ასე თუ ისე ძალაში რჩებოდა. XI ს-იდან, როდესაც აღმოსავლეთისა და

## I. ბიბლიური რელიგიები

---

დასავლეთის ეკლესიებმა ერთმანეთისათვის ლოცვა შეწყვიტეს, მსოფლიოში ახალი საპატრიარქოები (მათ შორის, საქართველოს საპატრიარქო) აღმოცენდა და პენტარქიას ყავლი გაუვიდა.

ამჟამად მართლმადიდებელი ეკლესია თხუთმეტი ავტოკეფალური და სამი ავტონომიური ეკლესიითაა წარმოდგენილი. ავტოკეფალური ეკლესიებია: 1. კონსტანტინოპოლის (კათედრა კონსტანტინოპოლში ანუ სტამბოლში), 2. ალექსანდრიის (კათედრა ალექსანდრიაში), 3. ანტიოქიის (კათედრა დამასკოში), 4. იერუსალიმის (კათედრა იერუსალიმში), 5. რუსეთის (კათედრა მოსკოვში), 6. საქართველოსი (კათედრა თბილისში), 7. სერბეთის (კათედრა ბელგრადში), 8. რუმინეთის (კათედრა ბუქარესტში), 9. ბულგარეთის (კათედრა სოფიაში), 10. კვიპროსის (კათედრა ლეკუსიაში), 11. ელადის (კათედრა ათენში), 12. ალბანეთის (კათედრა ტირანაში), 13. პოლონეთის (კათედრა ვარშავაში), 14. ჩეხოსლოვაკიის (კათედრა პრაღაში) და 15. ამერიკის (კათედრა ნიუ-იორკში). ავტონომიური ეკლესიებია: 1. სინაის (კათედრა კაიროში), 2. ფინეთის (კათედრა კუიპიოში) და 3. იაპონიის (კათედრა ტოკიოში).

დღევანდელ მსოფლიოში მართლმადიდებელთა საერთო რიცხვი 153 მილიონს აღემატება. დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში, ბოლო მონაცემებით, მართლმადიდებელი ეკლესია მზარდ და პერსპექტიულ ეკლესიად გამოიყურება. იგი ძველ ეპოქათა სულიერი კულტურისა და ტრადიციების მემკვიდრეა, რის გამოც განათლებული საზოგადოება, აღმსარებლობის მიუხედავად, მის მიმართ ინტერესსა და პატივისცემას ამჟღავნებს.

## ძველმართლმადიდებელი ეკლესია

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში პირველი სერიოზული განხეთქილება 1652-1666 წლებში მოხდა. პატრიარქ ნიკონის ბრძანებით ბერძნულიდან ძველად თარგმნილი საღვთისმსახურო წიგნების მეცნიერული კორექტირება და ზოგიერთ საეკლესიო წესში ცვლილებების შეტანა დაიწყო, რაც მორწმუნეთა ნაწილმა, პროტოპოპ (იგივე დეკანოზ) ამბაკუმ პეტროვისა და ეპისკოპოს პავლე კოლომენსკის შთაგონებით, რეფორმატორობად მონათლა და ერესად გამოაცხადა. ნიკონის რეფორმები გაიგივებულ იქნა აპოკალიფსურ სისაძაგლესთან, რომელიც უკანასკნელი ჟამის მომასწავებელია. კონსერვატორ-ფუნდამენტალისტები, ქარიზმატულ და საკუთარ რწმენაში გაკერპებულ ლიდერ ამბაკუმთან ერთად, მეორედ მოსვლას გულისფანცქალით ელოდნენ. თვითგანადგურება გადარჩენის ყველაზე ეფექტურ საშუალებად გამოცხადდა, რის გამოც ბევრი თავს იმარხავდა, ბევრი თავს იწვაავდა, ბევრიც შორეული ციმბირის უღრან და მიუვალ ტყეებში გარბოდა, იქ სახლდებოდა და გარესამყაროსთან, „ანტიქრისტეს სამეფოსთან“ ყოველგვარ კავშირს წყვეტდა. ამბაკუმი დააპატიმრეს და 1682 წელს დაწვეს, მაგრამ მის მიერ აზვირთებული ტალღის დაცხრომა ვერ მოხერხდა. მოხდა **რასკოლი** (განხეთქილება). წარმოიშვა სტაროვერების (იგივე სტარობრიადცების) ეკლესია, რომელიც რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას დღემდე ნიკონის ეკლესიას უწოდებს და

## I. ბიბლიური რელიგიები

---

მაღლაცრილად მიიჩნევს.

„სტარობრიადცი“ კარგად გამოხატავს ამ მიმდინარეობის ბუნებას - წესების გაფეტიშებას ანუ წესებისადმი იმ მნიშვნელობის მინიჭებას, რა მნიშვნელობაც ღოგმატს შეჰფერის. სტაროვერობის სპეციფიკური ნიშნებია: პირჯვრის ორი თითით გადაწერა, ნათლობისას მზის მიმართულებით სვლა, ორჯერ „ალილუია“, რვაბლოიანი ჯვარი, თავის მიწამდე დახრით თაყვანისცემა და სხვა.

ღვენილების გამო, რომელიც XIX ს-ის მიწურულამდე გაგრძელდა, სტაროვერები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაიფანტნენ. ნაწილი საქართველოში ნებით გადმოსახლდა, ნაწილი გადმოსახლეს და ფოთის მიდამოებში დაასახლეს. ისინი ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ და ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტში, სავაჭრო ურთიერთობის გარდა, არ შედიოდნენ.

XX ს-ის 80-ანი წლების დასაწყისიდან სტაროვერული იდეების ქადაგებას ფილოლოგი მურთაზ ჩახავა (+ 2003) შეუდგა და თბილისსა და ზოგიერთ სხვა რეგიონში მცირერიცხოვანი ეკლესიები ჩამოაყალიბა. მოგვიანებით მ.ჩახავას ეპისკოპოსის ხარისხი მიანიჭეს და დაარქვეს იონა.

საქართველოში მცხოვრები სტაროვერების ანუ იგივე ძველმართლმადიდებლების საერთო რიცხვი (ეროვნების განურჩევლად) ღლეისათვის არაზუსტი მონაცემებით 1000-მდე აღწევს.



## საქართველოს ეკლესია

არსებობს გადმოცემა: როდესაც მოციქულებმა წილი იყარეს, ვის სად უნდა ექადაგა, ივერთ მხარე ღვთისმშობელს ერგო. თუმცა, ღვთის განგებით, ჩვენს მიწაზე ფეხის დადგმა მას არ დასცალდა. მაცხოვარმა მოციქულები - ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი - წარმოგზავნა. მათგან მეორემ ბიჭვინთაში ჰპოვა ძვალშესალავი.

ამის შემდეგ საქართველოში ქრისტეს მოძღვრება მოგზაურებს, ვაჭრებს და ტყვეებს შემოჰქონდათ. „ქართლის ცხოვრებაში“ რევ მეფეზე ნათქვამია: „იყო წარმართი, არამედ მოწყალე ქრისტეანეთა, რამეთუ სმენილ იყო მისდა მცირედ რაიმე სახარება უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი, და აქვნდა რაიმე სიყვარული ქრისტესი“. ამის გამო მას „მართალი“ ეწოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ იმხანად, II-III სს-ში, ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანთა თემები და ტაძრებიც არსებობდა. ამ ვარაუდს ზურგს არქეოლოგიური მასალა უმაგრებს.

საქართველოს განმანათლებელია მოციქულთა-სწორი ნინო, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო (ქართლი) ქრისტეს რჯულზე 326 წლის ახლო ხანს მოაქცია.

საქართველოს ეკლესიამ ავტონომიური მმართველობის უფლება V ს-ის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასალის დროს, მიიღო. ივერიის მთავარეპისკოპოსი ამიერიდან კათალიკოსად იწოდება, რაც ავტოკეფალიისაკენ

## I. ბიბლიური რელიგიები

---

მიმავალ გზაზე პირველი ნაბიჯი იყო. მცხეთის საკათალიკო საყდრის საერთაშორისო ავტორიტეტი განსაკუთრებით V-VII სს-ში ამაღლდა, როდესაც მან დასავლეთის (რომისა და ბიზანტიის) ეკლესიების საღვთისმეტყველო კურსი აიღო და აღმოსავლეთის მონოფიზიტურ ეკლესიებთან, მაგალითად სომხურთან, ლოცვითი კავშირი გაწყვიტა. VIII ს-ში საქართველოს საკათალიკოსომ მირონის მონარშვის უფლებაც მოიპოვა, სრულყოფილი ავტოკეფალია კი მას XI ს-ის შუა წლებში, კათალიკოს მელქისედეკის დროს, ებოძა.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის თვითმმართველობის უფლება 1811 წელს რუსეთის ეკლესიის უწმიდესმა სინოდმა და საიმპერატორო კარმა შეზღუდა. ამიერიდან მას ეგზარქოსები (რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლები) მართავდნენ, რასაც შედეგად ჩვენს ქვეყანაში სასულიერო ცხოვრების რეორგანიზაცია მოჰყვა. გააუქმეს თელავის სასულიერო სემინარია და სხვა ეროვნული სასწავლებლები; შეამცირეს ეპარქიებისა და მონასტრების რიცხვი; ეკლესიებს ჩამოართვეს მამულები და გადასცეს ხაზინას, ხოლო მღვდლების რჩენა დააკისრეს ადგილობრივ მოსახლეობას; ზოგიერთ დიდ ტაძარში თითქმის დააკანონეს ჟამისწირვისა და ლოცვის რუსულ, ე.ი. მრევლისათვის გაუგებარ ენაზე აღსრულება და სასულიერო ხელოვნების ყველა უბანზე გააბატონეს არაქართული სტილი, რამაც რელიგიური თვალსაზრისითაც არასასურველი ნაყოფი გამოიღო: თანამემამულეთა შორის განელდა სარწმუნოებრივი გრძნობა.

აღნიშნულმა გარემოებამ აიძულა ქართველი

## I. ბიბლიური რელიგიები

---

სამღვდელთა და საერო საზოგადოება, რომ წართმეული ავტოკეფალიის განახლებისათვის ბრძოლა წამოეწყო. ეს ბრძოლა 1905 და 1917 წლების რევოლუციის დროს გააქტიურდა და გამარჯვებით დამთავრდა. 1917 წლის 12 (ახ. სტ. 25) მარტს, კვირა დღეს, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში ათი ათასზე მეტმა ქალმა და კაცმა მოიყარა თავი. განცხადება ავტოკეფალიის განახლებასა და კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობის განახლების შესახებ ეპისკოპოსმა ლეონიდემ გააკეთა, რამაც საყოველთაო აღტაცება გამოიწვია. იმავე წლის 17 სექტემბერს კათალიკოს-პატრიარქად ცნობილი მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე ეპისკოპოსი კირიონი აირჩიეს.

XX ს-ის 20-30-იანი წლები საქართველოს ეკლესიისათვის უმძიმესი პერიოდი იყო. ანტირელიგიური კამპანიის ბობოქრობის დროს საერო და სასულიერო პირებს დევნიდნენ. ზოგიერთს აპატიმრებდნენ და ანადგურებდნენ კიდეც. ტაძრებს კეტავდნენ და, არც თუ იშვიათად, ანგრევდნენ. ეწყობოდა ანტირელიგიური პროცესიები: „ბეზბოჟნიკები“, იგივე კომკავშირლები, სიცილ-კისკისით დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა ჯგუფ-ჯგუფად და დაატარებდნენ ჯვრებს, ხატებს, ბაირაღებს და სხვა საეკლესიო საგნებს; გადაიცვამდნენ ანაფორებს, მანტიებს; იხურავდნენ კუნკულ-ბარტყულებს; შეხინტრიცდებოდნენ ეკლესიებში, ოხუნჯობდნენ, მღვდლებს წვერს აკრეჭდნენ და ა.შ. ასეთ ვითარებაში მოძღვართა დიდმა ნაწილმა, ნებსით თუ უნებლიეთ, მრევლი მიატოვა. ზოგმა სახალხოდ გმო ღმერთი და სარწმუნოება. ზოგიც გაუკუღმართებული რჯულის - ცრუმორწმუნეობის - ჭაობში ჩაიძირა,

## I. ბიბლიური რელიგიები

---

გაწყვიტა მეტროპოლიასთან კავშირი და დაიწყო საეკლესიო წესების თვითნებურად შესრულება, სისხლიანი მსხვერპლის შეწირვა და ჯადოსნობაც კი. დევნის ფორმები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიცვალა, მაგრამ შევიწროება პერესტროიკამდე - 1980-იანი წლების მეორე ნახევრამდე - გრძელდებოდა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების დროს, 1989 წლიდან, სასულიერო და საერო საზოგადოების გარკვეულ კატეგორიას ეკლესიურ-ნაციონალური და ფუნდამენტალისტური ემოციები, ფიქრები და იდეები მოეძალა. კათალიკოს-პატრიარქი ილია II იძულებულია, რომ ასეთ ტენდენციებს ანგარიში გაუწიოს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში ეკლესიასა და ქვეყნის დემოკრატიულ სექტორს შორის ურთიერთობას ამწვავებს.

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს კონსტიტუციითაც აღიარებულია, რაც ფაქტობრივად სახელმწიფოში ამ ეკლესიის იურიდიულ პრიორიტეტზე მიანიშნებს. კონსტიტუციაში აგრეთვე აღნიშნულია (თავი 1, მუხლი 9), რომ სახელმწიფო „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან“ ურთიერთობას კონსტიტუციური რანგის შეთანხმებით (ხელშეკრულებით, კონკორდატით) არეგულირებს. ეს „შეთანხმება“ საქართველოს პრეზიდენტისა და კათალიკოს-პატრიარქის მიერ ხელმოწერილ იქნა მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში 2002 წლის 14 ოქტომბერს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველობის უმაღლესი ორგანოა სრულიად საქართვე-

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ლოს საეკლესიო კრება, რომელიც საჭიროებისამებრ მოიწვევა. კრებათაშორის პერიოდში პასუხისმგებელი პირია მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, რომელსაც საეკლესიო კრება ირჩევს და რომლის ხელდასხმა და აღსაყდრება (ინტრონიზაცია) მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში აღესრულება. იგი მოვალეობას უწმიდესი სინოდის თანადგომით აღასრულებს. 1977 წ. 25 დეკემბრიდან ამ თანამდებობაზე უწმიდესი და უნეტარესი **ილია II** (ირაკლი შიოლაშვილი) ბრძანდება, რომლის საჭეთმპყრობელობის პირველ ნაბიჯებს საქართველოში საეკლესიო ცხოვრების გაცოცხლება და საყოველთაო სინარული მოჰყვა.

ამჟამად უწმიდესი სინოდი 25 მღვდელმთავრისაგან შედგება. სულ 27 ეპარქიაა. მღვდელმსახურთა და ეკლესიის თანამშრომელთა მომზადების საქმეს ორი აკადემია და რამდენიმე სასულიერო სემინარია ემსახურება.

იურიდიულ ავტოკეფალიას ანიჭებენ მხოლოდ იმ ეკლესიას, რომელიც მზადაა ამისათვის, ე.ი. შეუძენია უნარი საკუთარი პრობლემების დამოუკიდებლად მოწესრიგებისა, დგას რელიგიურად მართებულ პოზიციაზე და აკმაყოფილებს ინტელექტუალური, სულიერი და ზნეობრივი ცხოვრების ნორმებს. საქართველოს ეკლესიამ საქრისტიანოს შემატა წმიდა მოწამეთა, ღირს მეუდაბნოე მამათა და მართალთა რიცხვმრავალი დასი. ესენია: რაჟდენ პირველმოწამე, წმიდა შუშანიკი, ევსტათე მცხეთელი, აბიბოს ნეკრესელი, აბო ტფილელი, კონსტანტი კახი, დავით და კონსტანტინე არგვეთელი მთავრები და მრავალი

სხვანი, - ძველი, საშუალო საუკუნეებისა თუ ახალი დროისა.

## მონოფიზიტობა და სომხური სამოციქულო ეკლესია

**მონოფიზიტობა** ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ერთბუნებიანობას (მონე „ერთი“ და ფიუსის „ბუნება“). მისი, როგორც მოძღვრების, დამაარსებლებად ითვლებიან **დიოსკორე და ევტიქი**, რომლებიც V ს-ის შუა წლებში ცხოვრობდნენ. საერთო პოზიცია ასეთია: იესო ქრისტე წუთისოფელში ორი ბუნებით მოვიდა, მაგრამ განკაცების ანუ განსხეულების ჟამს საღმრთო ბუნებამ გამოუთქმელად და სასწაულებრივად შეირწყა კაცობრივი და ერთ ბუნებად გამოჩნდა; ღმრთეებამ შთანთქა კაცება და, ამდენად, ერთიანი ბუნება ჩასახლდა ქრისტეს გვამში და მოგვევლინა ერთი პიროვნებით, ერთი არსებით, ერთი ნებით. მაშასადამე, ქრისტეს სინკრეტული ბუნება აერთიანებს ღვთიურს და ადამიანურს, რომელთაგან მეორემ დაკარგა თვითმყოფადობა და მხოლოდ ლოგიკით თუ განირჩევა ღვთიურისაგან. აქედან მივდივართ დასკვნამდე, რომ მაცხოვარი, მოსული სოფლად, მხოლოდ ღმერთია. მისი ადამიანური სახე, ცხოვრება და ვნება – მოჩვენებითი, ილუზიური, არაარსებითი.

ეს მოძღვრება რომის პაპმა ლეონიმ ერესად შეაფასა და საგანგები ეპისტოლე გაავრცელა, რომელიც

## I. ბიბლიური რელიგიები

---

„ლეონის პომარის“ სახელითაა ცნობილი. მისი მოწოდების საფუძველზე ბიზანტიის იმპერატორმა მარკიანემ და დედოფალმა პულხერიამ **451 წელს ქალკედონში IV მსოფლიო საეკლესიო კრება მოიწვიეს.**

შვიდთაგან ეს ყველაზე მრავალრიცხოვანი კრება იყო. თუ ნდობით აღჭურვილ პირებსაც არ მივიღებთ მხედველობაში, დელეგატების რიცხვი 630-მდე აღწევდა.

კრებამ შეიმუშავა დებულება, რომლის დედააზრი ასეთია: ერთი და იგივე პირი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, არის სრულყოფილი ღმერთი და სრულყოფილი კაცი, ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი გონიერი სულით და სხეულით; თანაარსი მამისა ღვთაებით და თანაარსი ჩვენი კაცებით, ყოვლითურთ ჩვენი მსგავსი ცოდვის გარეშე; შობილი საუკუნეთა უწინარეს მამისაგან ღვთაებით, ხოლო უკანასკნელ ჟამს - ჩვენთვის და ჩვენი ხსნისათვის მარიამ ქალწული ღვთისმშობელისაგან კაცებით. ერთი და იგივე ქრისტე, ძე, უფალი მხოლოდშობილი ორი ბუნებით შეურწყმელად, შეუცვლელად, განუყოფლად, მამისაგან განუშორებლად განკაცდა ისე, რომ შეერთებით არანაირად არ დარღვეულა ორი ბუნების განსხვავება, არამედ მეტად შეინახა თითოეული ბუნების თავისებურება და გაერთიანდა ერთ პირში, ერთ ჰიპოსტასში, – არა ორ პირად განწვალდა ანუ გაიყო, არამედ სუფევს ერთი და იგივე მხოლოდშობილი ძე, ღვთის სიტყვა, უფალი იესო ქრისტე, როგორც ძველი წინასწარმეტყველები გვაუწყებდნენ მასზე და როგორც თვით უფალი იესო ქრისტე გვასწავლის ჩვენ და როგორც გადმოგვცემს ჩვენ მამათა სიმბოლო.

ესაა **დიოფიზიტური** (ორბუნებოვნობის) დოგმატი,

## I. ბიბლიური რელიგიები

---

რომელსაც **მართლმადიდებელი რწმენის განვრცობილი სიმბოლო** ეწოდება. რომელმა ეკლესიამაც ეს დოგმატი არ გაიზიარა, იგი კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისაგან განიკვეთა. ასეთი ეკლესიების რიცხვში V ს-ის მიწურულიდან სომხეთის ეკლესიაც აღმოცენდა.

ქრისტიანობა სომხეთში პირველად მოციქულებმა თადეოზმა და ბართლომემ იქადაგეს. დევნილების ხანაში იქ მორწმუნეთა ღონიერი თემები ჩამოყალიბდა და ახალი აღთქმა ოფიციალურ სარწმუნოებად ადრე გამოცხადდა. ეს IV ს-ის პირველ ათეულში მოხდა. განმანათლებელი გრიგოლ პართელი გახლდათ, რომელიც სომხეთის პირველი ეპისკოპოსი იყო. ამიტომ სომხეთის ეკლესია **გრიგორიანულადაც** იწოდება.

საქართველოსა და სომხეთის ეკლესიებს შორის სარწმუნოებრივი ნიადაგზე განხეთქილება VI ს-ის დასაწყისიდან დაიწყო, რამაც მწვერვალს 554 წელს მიაღწია. ამ დროს ღვინში შედგა კრება, რომელზეც სომხეთის იერარქიამ ერთბუნებიანობა ანუ ქალკედონის ზემოაღნიშნული კრების მიერ დაგმობილი მოძღვრება სახალხოდ აღიარა. ამის გამო ამ ორ ძმა ეკლესიას შორის ევქარისტული კავშირი შეწყდა.

V-VI სს-იდან სომხეთის სამეფო დაიშალა; ერმა სახელმწიფო დაკარგა, რის გამოც ეკლესიის ნაციონალურ-გამაერთიანებელი ფუნქცია გაიზარდა და საკათალიკოსო საყდარი საერო ხელისუფლების ფუნქციითაც აღიჭურვა. ასე ჩამოყალიბდა სომხური ნაციონალური ეკლესია. მის წიაღში კი შეიქმნა მდიდარი სასულიერო მწერლობა, რაც სომხურ კულტურას მსოფლიო მნიშვნელობას



## I. ბიბლიური რელიგიები

---

ანიჭებს. ეს განსაკუთრებით საისტორიო ლიტერატურის მისამართით ითქმის.

ამჟამად სომხური ეკლესიის სამეუფო ქალაქია ერმიადინი, სადაც ცხოვრობს უმაღლესი პატრიარქი და უწმიდესი კათალიკოსი ყოველთა სომეხთა. თუმცა ამავე ეროვნების მორწმუნეებს თვითმართვადი საპატრიარქოები სხვაგანაც აქვთ, – იერუსალიმსა და კონსტანტიპოლოლში (ქილიკიის, იგივე კილიკიის, საპატრიარქო). მათგან უპირატესი ერმიადინის კათედრაა.

თეოლოგიურმა სეპარატიზმმა საეკლესიო პრაქტიკაშიც იჩინა თავი. დაიწყეს, ერთბუნებიანობის კვალზე, ზიარების საიდუმლოს უცომო პურით და წყალგაურეველი ღვინით აღსრულება; შეინარჩუნეს ქრისტეს შობისა და ნათლისღების ერთობლივად ზეიმის აღმოსავლური ტრადიცია, შეითვისეს ლოცვა “ხაჩეცარი“ (ანუ სამწმინდაობის საგალობელზე მეოთხის დამატება: წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდაო, **წმინდაო ჯვარცმულო**) და შემოიღეს ორიგინალური მარხვა - **სურბსარქისი**, იგივე **ალაჯორი**. ესაა ერთკვირიანი მკაცრი მარხვა, რომელიც დიდმარხვას უძღვის და მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკეს მოიცავს, როდესაც ეკლესია წმ. სარქისს (სურბ სარქისს, სერგის) მოიხსენიებს. თავად „ალაჯორი“ კი ქართულად „წინასწარს“, „წინამავალს“, „პირველს“ ნიშნავს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესიურ-დოგმატური კავშირის გაწყვეტის მიუხედავად ქართველებსა და სომეხებს შორის კულტურულ-ლიტერატურული თანამშრომლობა ყოველთვის ინტენსიურად მიმდინარეობდა.

## I. ბიბლიური რელიგიები

---

დღეს სომხური სამოციქულო ეკლესია საქართველოში წარმოდგენილია შვიდი ეკლესიით: თბილისში - 2, ბათუმში - 1, დანარჩენი კი მესხეთ-ჯავახეთში. მორწმუნეთა რიცხვი, მათი წინამძღვრების თქმით, 200.000-ს უდრის (ქართველი სომხების საერთო რიცხვი კი 500 000-მდე აღწევს). ისინი ერთი ეპისკოპოსის სულიერი მსფარველობის ქვეშ იმყოფებიან. მისი კათედრა თბილისშია - წმ. გიორგის ეკლესიაში. სამღვდელთა კრებული ათ სასულიერო პირს ითვლის. თბილისში საკვირაო სკოლაც მოქმედებს.

### **დიდი სქიზმა: კათოლიკეები და ქართველი კათოლიკეები**

IX ს-ის შუა წლებში რომსა და აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რაც ეკლესიათა გათიშვით და პენტარქიის გაუქმებით დამთავრდა. დიდი სქიზმის კონკრეტული თარიღი 1054 წლის 16-20 ივლისია, მაგრამ ეს დღე საუკუნეთა განმავლობაში მზადდებოდა.

განხეთქილების ბალავერი დედაქალაქად დაბა ბიზანტიონის ანუ, მერმინდელი სახელით, კონსტანტინოპოლის გამოცხადების (330 წ.) და იმპერიის გაყოფის-თანავე (395 წ.) გაიჭრა, მაგრამ IX ს-მდე ეს ბალავერი ნაკლებად იგრძნობოდა. VII-VIII სს-ში აღმოსავლეთის ეკლესიები მორიგმა წვალებამ მოიცვა და, რადგან ყველა

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ცდა ხატებზე მართებული წარმოდგენის აღდგენისა იმხანად ამო აღმოჩნდა, პაპებმა პოლიტიკური კურსი, ბიზანტიის ნაცვლად, საფრანგეთისაკენ აიღეს.

რომისა და კონსტანტინოპოლის კათედრებს შორის ატყდა დავა გავლენის სფეროთა განაწილების თაობაზე. კერძოდ, – ბულგარეთსა და მის მიმდებარე რეგიონებზე. ეს მხარე ქრისტეს რჯულზე კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის ღვაწლით მოიქცა, მაგრამ რომი თავისკენ ეზიდებოდა, რადგან მიაჩნდა, რომ მას მეტი სამოძღვრო გამოცდილება ჰქონდა და უცდომელი სარწმუნოებაც ეპყრა. პრობლემები გაჩნდა სამხრეთ იტალიაში, სადაც VII-VIII სს-ში თავი შეაფარეს ხატთაყვანისმცემლებმა და შეიქმნა ბერძნული კოლონიები. კონსტანტინოპოლი მათ საკუთარ სამწყსოდ მიიჩნევდა, რასაც პაპი უკანონობად ნათლავდა და, თანამედროვე ტერმინი რომ ვიხმართ, კონსტანტინოპოლს ფილეთიზმში სდებდა ბრალს. რომი ბიზანტიონის მთავარეპისკოპოსს „მსოფლიო პატრიარქის“ ტიტულის უზურპაციაში ადანაშაულებდა.

846 წელს მსოფლიო პატრიარქად აღასაყდრეს სარწმუნოებით და ზნეობით გაბრწყინებული ბერი **ევნატე**, რომელიც მეფის შთამომავალი იყო. მან სამეფო კარის პირველი პირები უმსგავსი საქციელს გამო ამხილა და ნათლისღების ლიტურგიაზე მათ ზიარების უფლება არ მისცა, რაც ძვირად დაუჯდა. ჩამოყალიბდა ოპოზიციური პარტია, რომელმაც, ნორჩი იმპერატორის მიმხრობის შემდეგ, 858 წელს თანამდებობიდან გადააყენა ევნატე და აღასაყდრა ერისკაცი, სახელმწიფო მდივანი - **ფოტიოსი (ფოტი)**, განთქმული ნიჭით და განათლებით, ცნობილი

## I. ბიბლიური რელიგიები

---

მწერალი და იურისტი (რჯულისკანონის რედაქტორი და კომენტატორი). მან იერარქიული კიბის ყველა საფენური ოთხი დღის განმავლობაში (20-24 დეკემბერი) გაიარა. მორწმუნეთა უმრავლესობა ამ ფაქტს უარყოფითად შეეგება, რადგან დიდი სასოება ჰქონდათ ეგნატეს მიმართ. მოიწვიეს კრება, სადაც ფოტიოსმა „ამა სოფლის ძლიერთა“ თანადგომის შედეგად გაიმარჯვა.

IX ს-ის 60-70-იან წლებში ბიზანტია ორი პარტიის, ე.წ. ეგნატიელთა და ფოტიელთა ანუ რომის პრიმატის მადიარებელთა და უარყოფელთა, მკაცრი და შეუბრალებელი ბრძოლის ასპარეზად იქცა. წმ. ეგნატე, ბავშვობაში ძალადობის მსხვერპლი (გამოსაჭურისებული), მონასტერში გაზრდილი და ასკეტური იდეალებით გამსჭვალული პიროვნება გახლდათ. მისთვის უცხო იყო ე.წ. იკონომია ანუ გარკვეული დათმობები, თვალის დახუჭვა და წაყრუება სარწმუნოებისა და ზნეობის ხაზით, რის გამოც მას დიდი გავლენა ჰქონდა ბერძონაზნებზე და სამონასტრო იდეალებით ანთებულ ერისკაცებზე. რაც შეეხება წმ. ფოტიოსს (ფოტის), მის მხარეზე ძირითადად თეთრი სამღვდელოება, არისტოკრატია და ინტელიგენცია იდგა. იკონომიაზე იგი ადვილად თანხმდებოდა, რითაც „ამა სოფლის ძლიერთა“ გულებს იგებდა. იმდენად იტაცებდა ელინური ფილოსოფია და პოეზია, რომ მოწინააღმდეგეები ქირქილებდნენ: წირვის დროს ფოტიოსი ლოცვების მაგიერ მგოსანთა თხზულებებს ბუტბუტებსო. ეს ცხადია, ცილისწამება იყო, მაგრამ შესაძლებელია, ეკლესიოლოგიის სფეროში რომისაგან განცალკევებისაკენ მას სწორედ ბერძნულ-ნაციონალური კულტურით ესოდენ გატაცებამ უბიძგა. ეროვნული და

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ეკლესიური დამოუკიდებლობის იდეას მეტი გასავალი, როგორც წესი, ერისკაცთა წრეში აქვს; ბერმონაზვნობა, კათოლიკე ცნობიერებით გამსჭვალული, მას, როგორც წესი, ძნელად ეგუება. ამ შემთხვევაშიც რომისადმი სასოებას, ეგნატესთან ერთად, უფრო ბერმონაზვნობა იჩენდა. იმდროინდელმა პაპმა ნიკოლოზ I-მაც ეგნატეს დაუჭირა მხარი, რამაც ფოტიოსის აღშფოთება გამოიწვია და ამ შინაარსის ეპისტოლე გაავრცელა: ლათინებმა, ვით ველურმა ტახებმა, ბულგარეთში გადათელეს ჯეჯილი, რაც კონსტანტინეს ქალაქმა დათესა და რაც უხვი მოსავლის იმედს იძლეოდა. აცდუნეს, ფერადფერადი დაპირებებით მოთაფლეს და მოხიბლეს ახალნერგი ერი, მათი მთავარი – ბორისი, თავკაცობა და ავრცელებენ სწავლა-განგებას, რაც უცხოა კათოლიკე ეკლესიისათვის. ესენია: შაბათის მარხვა, მარხვა რძით და ყველით, სამღვდელთა უქორწინებლობის მოთხოვნა ანუ ცელიბატობის დაკანონება, მრწამსის დამატება წმ. სულის ძისაგანაც გამოსვლის შესახებ - ფილიოკვე, წვერის პარსვა, დიაკონთა ეპისკოპოსად კურთხევა და ა.შ. თუ სხვა წერილში მსგავს სიახლეებს იგი შესაწყნარებლად მიიჩნევდა, აქ ისინი ლამის ერესთან არიან გაიგივებულნი.

ბრძოლებში, რომლებიც საპატრიარქო ტახტისათვის წარმოებდა, ხან ეგნატიელთა პარტია იმარჯვებდა, ხან ფოტიელთა. უპირატესობა თითქოს ფოტიოსმა მოიპოვა, მაგრამ კათედრა მაინც ვერ შეინარჩუნა. მას მისმა აღზრდილმა და საყვარელმა მოწაფემ ლეონ IV-მ უღალატა. გახდა თუ არა იმპერატორი, მან ყველასათვის მოულოდნელად სახელგანთქმული იერარქი თანამდებობიდან გადააყენა და თავისი ძმა სტეფანე აღამაღლა.

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ეკლესიათა ერთიანობა შენარჩუნდა, მაგრამ დროებით.

პაპ ლეონ IX-ის, პატრიარქ მიქაელ კერულარიოსის და მეფე კონსტანტინე IX-ის, მონომაქის, დროს განახლდა დავა სამხრეთ იტალიის მიწებზე. პაპის ბრძანებით იქიდან გამოაძევეს ბერძნები, რომლებიც უარს ამბობდნენ რელიგიური ცხოვრების ლათინურ წესზე და თავს კონსტანტინოპოლის მრევლად თვლიდნენ. პასუხად პატრიარქმა 1053 წელს ბიზანტიონში დახურა ლათინური ტიბიკონის ეკლესიები და ერესად მონათლა უფუარი პურიით ზიარების მათეური წესი. ამბობენ, რომ მან სანაწილედან გამოყარა მაცხოვრის ხორცად გადაარსებული ხმიადი და იატაკზე დაანარცხა. ეკლესიათა საჭეთმპყრობელებმა ურთიერთმებრალეული წერილების გამოქვეყნება დაიწყეს.

პაპმა, თავადაც მძიმე დღეში მყოფმა ჩრდილოეთიდან არიანელი ნორმანების ლაშქრობათა გამო, ვითარების გასანეიტრალებლად კონსტანტინოპოლში სამი ლეგატი გაგზავნა კარდინალ ჰუმბერტის მეთაურობით. ისინი მეფისა და პატრიარქის წინაშე 1054 წლის ივნისში გამოცხადდნენ. ხელმწიფე ღირსეულად შეეგება მათ, პატრიარქი – ცივად, რადგან იცოდა, რომ ლეგატები მის „გამოსასწორებლად“ ჩამოვიდნენ. მოლოდინი გამართლდა. კარდინალი მბრძანებლური ტონით ელაპარაკებოდა პატრიარქს და გასამართლებითაც ემუქრებოდა; თავი საკუთარ ეპარქიაში ეგონა. პატრიარქმა ქედმაღლობას უარესი ქედმაღლობა შეაგება: ოფიციალურ შეკრებაზე წმ. ტახტის მოციქულებს ბერძნების უკან მიუჩინა ადგილი, რაც, ფაქტობრივად, რომის პრიმატის უარყოფას ნიშნავდა. დამცირებულმა და შეურაცხყოფილმა ლეგატებმა დატოვეს

## I. ბიბლიური რელიგიები

---

დარბაზი და გეზი სამეფო პალატისაკენ აიღეს. ხელმწიფე შეწუხდა და დაიწყო გამოსავლის ძებნა. ამ დროს მოვიდა დეპეშა პაპი ლეონის გარდაცვალების შესახებ.

16 ივლისს, დილით, პაპის სულის მოსახსენიებელ წირვაზე წმიდა სოფიის ტაძარს აურაცხელმა მლოცველმა მიაკითხა. გამოჩნდნენ ლეგატებიც. ისინი აიჭრენ ამბიონზე და მიმართეს ერს, რომ მოლაპარაკება ჩაიშალა პატრიარქ კერულარიოსის ამპარტავნებისა და უკანონო საქციელის გამო; მის სინდისზეა პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე. ეამბორნენ წმ. ტრაპეზს; დადეს ბულა; თქვეს: „ღმერთი ხედავს და სიმართლით სჯის!“ და ტაძრიდან გავიდნენ. ხალხი დაიბნა და გაოგნდა. იპოდიაკვნებმა ბულა პატრიარქს მიართვეს. მან პირველად წაკითხვაც არ ისურვა. შემდეგ, რომ ტექსტი მოსახლეობაში უკომენტაროდ არ გავრცელებულიყო, ათარგმნინა ბერძნულად და წყევლა-კრულვა იხილა.

დრამატული ამბიდან ოთხი დღის შემდეგ, 20 ივლისს, შედგა ადგილობრივი კრება 12 მიტროპოლიტის, რამდენიმე ეპისკოპოსისა და სამღვდლო დასის შემადგენლობით. ეს იყო ტრიბუნალი, რომელმაც ანათემა შეუთვალა პაპს და მის თანამეინახეთ. ბულა კი დაწვა.

ამრიგად, რომის პაპმა და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ერთმანეთი შეაჩვენეს. მოხდა დიდი სქიზმა: დასავლეთის და აღმოსავლეთის ეკლესიები გაითიშნენ. **მიზეზი პოლიტიკურია, საბაბი - დოგმატური. უფრო სწორად, ისინი გადახლართულია პირველის უპირატესობით.**

1054 წლიდან აღმოსავლეთისა და დასავლეთის თანამორწმუნე ეკლესიები ერთმანეთისაგან რამდენადმე

## I. ბიბლიური რელიგიები

---

განსხვავებული რწმენის ეკლესიებად, ორ კონფესიად - **მართლმადიდებლურ** და **კათოლიკურ** ეკლესიებად - ჩამოყალიბდნენ. ერთიანობის ხანაში ამ ეკლესიებს საერთო სახელი ჰქონდათ - „მართლმადიდებელი და კათოლიკე“. აღმოსავლეთის **შვიდ მსოფლიო კრებისეულ** ეკლესიათა სახელად ამიერიდან „მართლმადიდებელი“ დამკვიდრდა, დასავლეთის (რომის) ეკლესიის სახელად - „კათოლიკე“ (კათოლიკური). შესაბამისად ორი კონფესია გამოიკვეთა - მართლმადიდებლობა და კათოლიკობა. პირველს აღნიშნული სახელწოდება **ეკლესიის მამებისა და კრებების საღვთისმეტყველო მოძღვრების უცვალვლად შენახვის გამო** დაუსაკუთრდა, მეორეს იმის გამო, რომ მისი არსებითი ნიშანი **ეკლესიის კათოლიკეობის, ე.ი. ერთიანობისა და საყოველთაობის მძაფრი განცდაა**.

მკაფიოდ უნდა ითქვას შემდეგი: ევქარისტული კავშირი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის ერთბაშად არ გაწყვეტილა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, - აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს რომის ეკლესიის თეორია და პრაქტიკა განსხვავებულ კონფესიად ერთსა და იმავე დღეს არ აღუქვამთ. ეს თანდათანობით და, შეიძლება (საქართველოს ეკლესიის მაგალითზეც) ითქვას, ნაბიჯ-ნაბიჯ მოხდა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიურად გაუცხოების საქმეში ყველაზე კატასტროფული შედეგი ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობას და გაძარცვას მოჰყვა (1204 წ.).

გაყოფა საბედისწერო აღმოჩნდა როგორც დასავლეთის, ისე (და უფრო მეტად) აღმოსავლეთის ეკლესიებისათვის. ისინი მარტოსული დაუხვდნენ პირგამეხებულ



## I. ბიბლიური რელიგიები

---

მტერს - ოსმალეთს, რომელმაც XIV ს-ის 50-იანი წლებიდან ზედიზედ დაიპყრო და ბიზანტიას ჩამოაჭრა საბერძნეთი, ბულგარეთი, სერბეთი, შავიზღვისპირეთი და ჯერი იმპერიის დარჩენილ ნაწილზე მიდგა, – დედაქალაქსა და მის შემოგარენზე.

მოვლენები კატასტროფულად ვითარდებოდა. გადარჩენის ერთადერთ სახსრად რელიგიური თანხმობა და მის საფუძველზე დასავლეთ-აღმოსავლეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ისახებოდა. ინიციატივა პაპმა ევგენი IV-მ და იმპერატორმა იოანე პალეოლოგმა გამოიჩინეს. დაიწყო მოლაპარაკება უნიაზე, რომელიც მრავალწლიანი საორგანიზაციო სამუშაოს ჩატარების შემდეგ შედგა. კრება 1438 წლის 9 აპრილს ფერარაში გაიხსნა, მაგრამ 1439 წლის 9 თებერვალს პაპისავე მოთხოვნით ფლორენციაში გადაიტანეს, რის გამოც ეს ფორუმი **ფერარა-ფლორენციის** სახელითაა ცნობილი.

დიალოგები მწვავე და დაძაბული იყო. თანხმობა არც ერთ ბლოკში არ სუფევდა. ორივე მხარეს იყვნენ პრინციპულები და ლიბერალები, ფუნდამენტალისტები და შემწყნარებლები, კონსერვატორები და ნოვატორები. ყველაზე რთული „ფილიოკვე“ და პაპის უფროსობის საკითხი აღმოჩნდა. აქ ლათინები არ თმობდნენ. ბერძნები ძნელად თანხმდებოდნენ. უკანასკნელთა შორის ამ თემაზე ჩამოყალიბდა ორი ბანაკი: უმრავლესობა, რომელსაც მიტროპოლიტი **ბესარიონ ნიკიელი** მეთაურობდა, და უმცირესობა მიტროპოლიტ **მარკოზ ეფესელის** (ეპგენიკოსის) წინამძღვრობით.

უნია 1439 წლის 5 ივლისს გაფორმდა. მარკოზ

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ეფესელი ვერ გატეხეს. კრიტიკულ წუთში იგი მეგობრებმა და თანამოსაგრეებმა მიატოვეს, მაგრამ მისი პრინციპი კლდესავით ურყევი აღმოჩნდა. ქართველი დელეგატებიც მის მხარეზე დადგნენ.

ასე შეიქმნა **უნია** და, შესაბამისად, **უნიატური ეკლესია**, რაც ნიშნავს რწმენით კათოლიკობას, პრაქტიკით და ტრადიციით - მართლმადიდებლობას, ე.წ. აღმოსავლური სტილის ქრისტიანობას.

უნიას ბიზანტიაში ხალხის დიდი ნაწილის, სამღვდელოებისა და, მეტადრე, ბერმონაზონთა რისხვა მოჰყვა. კონსტანტინოპოლის საკათედრო ტაძრებს მორწმუნეებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. ზოგან უნიატები გაასამართლეს და დასაჯეს. ალაგ-ალაგ სისხლიც დაიღვარა.

კეისარი, პატრიარქი და მისი ეპისკოპატი სამცეცხლს შუა აღმოჩნდნენ: ერთის მხრივ, ბერების, ხუცებისა და მათი სულიერი შვილების დიდი არმია, რომელიც შეთანხმების დეზაფუირებას მოითხოვდა და იძახდა: „მართლმადიდებლობა ან სიკვდილი!“ და ხალხს ანტისამთავრობო გამოსვლებისაკენ მოუწოდებდა, თანაც წარმატებით; მეორეს მხრივ, კარსმომდგარი და აღბორცეული მტერი, ვისაც საქრისტიანოს მთლიანობა სასიკვდილო ლახვრად ესახებოდა; მესამე მხრივ, დასავლეთიდან ულტიმატუმები სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების შესახებ...

1449 წელს უშვილძიროდ გარდაიცვალა იმპერატორი იოანე და სკიპტრა გადაეცა მის ძმას – კონსტანტინე XII-ს, კეთილშობილს და ვაჟკაცს, რომელმაც ღირსებით ითვისა სამშობლოს უღმობელი ხვედრი. 1452 წელს

## I. ბიბლიური რელიგიები

---

მუჰამედ II იერიშზე გადავიდა. ვითარება საგოდებელი გახდა. ამ დროს გამოჩნდა კარდინალი ისიდორე პაპის სიგელით, რათა სასიცოცხლო პრობლემები განეხილა. მან წმ. სოფიას ტაძარში წირვა აღასრულა უმაღლეს სამღვდელთაგანთან ერთად, მეფისა და სენატის თანდასწრებით, რასაც ხუცესმონაზვნებისა და მათგან წაქეზებული მასების ამბოხება მოჰყვა. ისტერია, რამაც მწვერვალს მიაღწია, ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელზეც გავრცელდა და მათგან ერთ-ერთმა პაპის მოციქულს პირში მიახალა: „ჯობია სულთანის ჩაღმას დავემორჩილოთ, ვიდრე პაპის ტიარასო“. სჯეროდათ, რომ კონსტანტინეს წმ. ქალაქს, მარიამ ღვთისმშობელის წილხვედრს, ღმერთი იცავდა: საგანგებო წამს ზეციური მხედრობა გამოჩნდებოდა და ვაი მას, ვინც ავი ზრახვით კურთხეულ ზღურბლს გადმოსცდებოდა... განრისხებული პაპიც ნიშნს უგებდა: „უმჯობესია კონსტანტინოპოლი თურქებმა დაიპყრონ, ვიდრე მწვალებლებმაო“.

კონსტანტინოპოლი კი უკვე ალყაში იყო და საარაკო გმირობით იცავდა თავს.

კარდინალმა ისიდორემ, დაჩოქილმა და ცრემლმორეულმა, ძლივს დაითანხმა პაპი მაშველი ჯარის გამოყვანაზე. მოწოდებას მეფეებიც გამოეხმაურნენ და მძლავრი არმია, აღჭურვილი ტექნიკით და ბრძოლის უნარით, აღმოსავლეთისაკენ დაიძრა.

მაგრამ...

1453 წლის 29 მაისს, პირველი მსოფლიო საეკლესიო კრებისა და წმ. კონსტანტინე დიდის ხსენების დღეს, ღამის 2 საათზე, კონსტანტინოპოლის შტურმი

## I. ბიბლიური რელიგიები

---

დაიწყო. კონსტანტინე ბრძოლის ველზე გავიდა სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის თავმიძღვნილი ჯარისკაცის დარად. ბერძენთა გვერდით იტალიელი მოხალისეები იდგნენ უძლეველი რაინდის ჯოვანი ჯუსტინიანის მეთაურობით. რამდენიმე შეტევა მოიგერიეს, მტერი უკუაგდეს, მაგრამ ბედითმა ისარმა ჯუსტინიანის გონება წაართვა, რის გამო მხედრები წუთით შედრკნენ და დაიბნენ. ოსმალებმა ყიჟინა დასცეს, უშველებელი ზარბაზნები აამოქმედეს და კედლებზე ავიდნენ; ღიად დარჩენილ კარს მიაღწიეს და კონსტანტინეს რაზმის ზურგში მოექცნენ. დილის რვა საათზე მტერმა გალავანი გადათელა და სულთანსაც მალე ახარეს, - „ქალაქთა მზე“ შენს ხელთაა და გელოდებაო. ტრიუმფატორმაც არ დააყოვნა და გეზი წმიდა სოფიისაკენ აიღო, რომელიც მლოცველებს ველარ იტევდა. მოსთქვამდნენ და ღმერთს სასწაულს სთხოვდნენ. ელოდნენ ანგელოზებს და სწამდათ, რომ ისინი საღმრთო მახვილს შეაგებებდნენ მოძალადეთა ორლესულ ხმალს. მხოლოდ კარის შეღწევამ და მეყსეულად ამდინარებულმა სისხლმა აუხილა მათ თვალი და დაანახა უგუნურების, ფანატიზმისა და ზიზლის ნაყოფი: მოლის ამბიონზე ასვლა და მაჰმადიანთა მრწამსის წარმოთქმა; სულთანის საკურთხეველში შესვლა და ნამაზის შესრულება; განუკითხავი ხოცვა და ჟლეტა, მუჰამედისავე „წყალობით და სიბრალულით“ რომ შენელდა სამი დღის შემდეგ; 3000-მდე გადარჩენილი ბერძენი ჯარისკაცის ერთბაშად მოსრვა; მოხუცების, ქალებისა და ბავშვების მონებად ქცევა და დაყიდვა; მათ თვალწინ ნადავლის განაწილება; ეკლესიების მეჩეთებად გადაკეთება;

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ხატების ფხრეწა; ქანდაკებების გადაღობა; დაუწვავ და დაუნგრეველ სახლებში გამარჯვებულთა მოკალათება და, რაც მთავარია, – ველზე აღსრულებული მეფის, ვითარცა ვინმე შეურაცხთაგანის, ძლივსგამოცნობილი გვამის დაცინვა. მერე თავის წარკვეთა და ურჩების მოთვინიერების მიზნით ცენტრალურ მოედანზე - ავგუსტეონზე აღმართვა...

როდესაც კოალიციური ლაშქარი ნავსადგურს მიუახლოვდა, წმიდა სოფის სამრეკლოდან, უკვე მინარეთად წოდებულიდან, მოეძინი მუსლიმებს ნამაზის შესასრულებლად უხმობდა. უეჭველია, მათაც გაეხსნათ გონება და გაახსენდათ ის უკეთურებანი და სიმხეცე, რასაც მათი წინაპარი ჯვაროსნები ბერძენთა შორის იქმოდნენ. მათ დაინახეს ანგარებითი სარწმუნოების შედეგი: ქრისტიანული იმპერიის სამეფო ტახტზე იჯდა სულთანი და დასავლეთისკენ იცქირებოდა.

ბერძნული ქალაქი რამდენიმე დღეში თურქულ ქალაქად – სტამბულად („კონსტანტინოპოლის“ თურქული გამოთქმა) - იქცა. ქრისტიანები ერთ უბანში შეყუჩდნენ - ფანარაში. იქ დაიდო ბინა პატრიარქმა. ოსმალეთის კანონმა ქრისტიანთა უფლებები მკაცრად შემოფარგლა. ასეა დღემდე.

**კათოლიკობა.** დიდი სქიზმის შემდეგ რომის ეკლესიის მრწამსი და პრაქტიკა, აღმოსავლეთის ეკლესიათა მრწამსსა და ტრადიციასთან მიმართებით, ცალკე კონფესიად იქნა გააზრებული. ამიტომ ამ ეკლესიის ტერიტორიული საზღვრები მოიშალა და 1054 წლიდან იგი ყველგან არსებობს, სადაც კი მისი მრწამსისა და ტრადიციის მიმდევრები სახლობენ. აღნიშნული ეპოქიდან (XI-XIII სს.) დაიწყო მისიონერობა კათოლიკობის

## I. ბიბლიური რელიგიები

---

დედამიწის ნებისმიერ მხარეში გასავრცელებლად.

კათოლიკური აღმსარებლობა თავის სივრცეში მთლიანად მოიცავს მართლმადიდებლურ რწმენათა და ტრადიციათა სისტემას. სხვანაირად რომ ვთქვათ, იმ მამებისა და იმ კრებების მოძღვრება-მემკვიდრეობას, რომლის მადლმოსილებას მართლმადიდებელი ეკლესია აღიარებს, კათოლიკური ეკლესიაც აღიარებს; ის ლოცვები, საგალობლები და საკითხავები, რომელთა კანონიკურობაში მართლმადიდებლებს ეჭვი არ ეპარებათ, არც კათოლიკებს ეპარებათ ეჭვი. კანონიკური ლიტურატურა პატრისტიკის ხანაში, ეკლესიათა ერთიანობის დროს, შეიქმნა და ეს ლიტურატურა (ვთქვათ, იოანე ოქროპირის ლიტურგია) კათოლიკებისთვისაც ისეთივე ავტორიტეტია, როგორც მართლმადიდებლებისთვის. ამ ორ კონფესიას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ **ძველ საეკლესიო წიგნებში გადმოცემულ საღვთისმეტყველო მოძღვრებას ანუ დოგმატიკას კათოლიკები ახალ ფორმულებს ანუ დოგმატებს უმატებენ**. მაგალითად: ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსი როგორც მართლმადიდებლური, ისე კათოლიკური დოგმატიკის საფუძველია. მისი მე-8 წევრის თანახმად, სულიწმიდა მამისაგან გამოდის, კათოლიკებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ეს ასეა, მაგრამ უმატებენ, – ძისაგანაც გამოდის.

დღემდე კათოლიკურმა ეკლესიამ ოთხი სპეციფიკური დოგმატი გამოიმუშავა. ესენია:

I. **ფილიოკვე**. ესაა ლათინური სიტყვა და ნიშნავს „ძისაგანაც“, „და ძისაგანაც“, რომელიც ჩამატებულია რწმენის სიმბოლოს მე-8 მუხლში. ამდენად ფილიოკვე

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ამ მუხლის ინტერპოლაციაა.

II. **პაპის უცდომელობა.** დოგმატი პაპის უცდომელობის ანუ შეუმცდარობის (და არა უცოდველობის) შესახებ გულისხმობს კათოლიკური ეკლესიის საჭეთმპყრობელის მიერ ეკლესიის სახელით დოგმატისა და მორალის საკითხებზე ექს-კათედრიდან (სამქადაგებლო კათედრიდან) გაკეთებული განცხადებების შეუმცდარობის რწმენას. პაპი გამოცხადებულია წუთისოფელში ქრისტეს მოსაყდრედ და, ამდენად, ხილული ეკლესიის წინამძღვრად. ყველა სხვა ეპისკოპოსი (პატრიარქებიც) მოციქულთა მოსაყდრენი არიან, პაპი ქრისტეს მოსაყდრეა. ეს თვალსაზრისი დოგმატის რანგში 1870 წელს ვატიკანის პირველ საეკესიო კრებაზე აიყვანეს.

### III-IV. ორი მარიოლოგიური დოგმატი:

ა) **ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახება.** ეს რწმენა დოგმატად პაპმა პიუს IX-მ 1854 წელს ჩამოაყალიბა და დღესასწაულიც დააწესა – მარიამის უმანკო ჩასახება (8 დეკემბერი). იესომ პირველცოდვა უბიწოდ ჩასახვის გზით აღზოცა. მარიოლოგიური დოგმატით, იესოს უბიწოებისათვის აუცილებელი იყო მისი უბიწო სხეულში ჩასახვა. შესაბამისად, მარიამი ყოვლითურთ, ჩასახვისთანავე, უბიწო უნდა ყოფილიყო. ამის გამო მარიამს პირველცოდვის დაღი არ მიჰკარებია, იგი საშოშივე, ჩასახვის წამიდანვე, უფალმა წმიდა ჰყო.

ბ) **ღვთისმშობლის ამაღლება,** რომელიც დოგმატის სახით პაპმა 1950 წელს ჩამოაყალიბა.

პირველ დოგმატს მართლმადიდებელი ეკლესია არ იწყნარებს, მეორესთან კი სადავო არაფერი აქვს,

## I. ბიბლიური რელიგიები

---

რადგან იგი ერთიანობის დროინდელ ტრადიციას ეფუძნება და არსობრივად იმ დღესასწაულის დოგმატად ფორმირებაა, რომელსაც ღვთისმშობლის მიძინებად ანუ ზეცად აღყვანებად ვიცნობთ (15 აგვისტო).

მართლმადიდებლობასა და კათოლიკობას შორის არის სხვა არადოგმატური, მაგრამ არსებითი თეორიული სხვაობანი. ასეთებია, მაგალითად, რწმენა საიქიოში **განსაწმენდელის** (სალხინებელის) ანუ დროებითი ჯოჯოხეთის არსებობის შესახებ და რწმენა **წმინდანთა ზედმეტი მადლის** შესახებ. წმინდანები, თითქოს, იმდენ მადლს მოიძუშავენ, რომ არა მხოლოდ საკუთარი თავის ცნობა ძალუბთ, არამედ შესაძლებელია, მათი მადლის სიუხვე სხვათაც შეეწიოს. ინდულგენციების პრაქტიკას ეს რწმენა და თეორია კვებავს.

კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების რწმენის საფუძველზე გაერთიანება თითქმის მათი განცალკევებისთანავე დაიწყო. ამ გზაზე ბოლო დროს თვალსაჩინო ნაბიჯები გადაიდგა. კერძოდ, - რომისა და კონსტანტინოპოლის მამათმთავრებმა ერთმანეთის მიმართ წინაპრების წყევლა აღხოცეს: 1965 წლის 7 დეკემბერს აღნიშნულ ქალაქებში ერთსა და იმავე დროს სამარცხვინო ფურცლები უწოდეს და საზეიმოდ დახიეს ანათემათა ტექსტები, რომლებიც ცხრა საუკუნის წინათ დაიწერა. 1975 წლის 14 დეკემბერს ვატიკანში ზარ-ზეიმით აღნიშნეს ამ ფაქტის ათი წლისთავი. სიქსტის კაპელაში პაპმა პავლე IV-მ ეკუმენური სიტყვა წარმოთქვა, მივიდა ქალკედონის მიტროპოლიტ მელიტონთან, დაიჩოქა და წაღები დაუკოცნა. მეტიც: 1987 წლის 6 დეკემბერს



## I. ბიბლიური რელიგიები

---

რომში, წმ. პეტრეს ბაზილიკაში, აღსარების საკუროთ-ხევლის წინ, პაპმა იოანე-პავლე II-მ და ყოვლადუწმიდესმა პატრიარქმა დემეტრეოს I-მა ერთხმად წარმოთქვეს სავედრებელ-სამადლობელი ლოცვები და ნიკეა-კონსტანტინოპოლის რწმენის სიმბოლო. ამის მიუხედავად, მართლ-მადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის ექვთარის-ტიული ერთობა არ განახლებულა.

კათოლიკეების საერთო რიცხვმა 2000 წელს მილიარდს გადააჭარბა. კათოლიკური ეკლესიის ცენტრი დღეს ვატიკანია, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით სარგებლობს.

რომსა და საქართველოს შორის, როგორც ისტორიული საბუთებიდან ჩანს, სარწმუნოებრივი ურთიერთობა „დიდ სქიზმასთან“ ერთად არ გაწყვეტილა. გავიხსენოთ ჩვენი მამა და მოძღვარი, საქართველოს ეკლესიის თვალშეუდგამი ავტორიტეტი - წმ. გიორგი ათონელი (+1065), რომელსაც, სწორედ დიდი სქიზმის შემდეგ, 1065 წელს, ოფიციალური საუბარი ჰქონდა იმპერატორ კონსტანტინე დუკიწთან. ხელმწიფე მოინიბლა ქართველი ბერის განათლებით და ჰკითხა: რატომაა, რომ ჩვენ და თქვენ, ქართველები, საფუარიანი პურით და წყალგარეული ღვინით ვწირავთ, რომაელები - ხმადით და ზედაშეთი? წმ. მამის პასუხი, ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთი იყო: აღმოსავლეთის ეკლესიებში, სადაც საუკუნეთა მანძილზე ბორგავდა და მძვინვარებდა ქრისტეს ადამიანური ბუნების დამაკნინებელი თუ უარმყოფელი ერესი, მარტივ მორწმუნეთათვის წუთისოფლად მოსული მაცხოვრის თვალსაჩინო ხატი რომ წარმოედგინათ,

## I. ბიბლიური რელიგიები

---

მოგვიანებით აფუებული პურით და წყლიანი ზედაშით ზიარების აღსრულების წესი შემოიღეს. რომის ეკლესიის წინაშე მოციქულებრივი ტრადიციის შეფერადების აუცილებლობა არ დამდგარა და დარჩა ისე, როგორც თავდაპირველად იყო. მაშასადამე, მოცემული მსჯელობის თანახმად, თუკი სარწმუნოებრივ ცდომილებას არა აქვს ადგილი, ერესი არც ერთი წესია და არც მეორე. პირველი (ხმიადი) ძველი და დასაბამიერია, მეორე (საფუარიანი) – პრაქტიკული მოთხოვნებით გაპირობებული. შეგვიძლია დავასკვნათ: რომელიმე მათგანის უზურპაცია და გაფეტიშება უგუნურების ნიშანია.

იმპერატორი, რომელიც ეკლესიათა შერიგების მომხრე იყო, პასუხით კმაყოფილი დარჩა. რომაელები აღფრთოვანდნენ. მათ მთაწმინდელი მამის პეტრეს ქალაქში ჩაყვანისა და პაპის წინაშე მისი წარდგინების სურვილი გამოთქვეს. აგიოგრაფი არ აზუსტებს, ღირსი მამა გამოეხმაურა თუ არა ამ შეთავაზებას. ცნობილია მხოლოდ, რომ რამდენიმე დღის შემდეგ, 29 ივნისს, ორშაბათს, იგი გარდაიცვალა. უკანასკნელ დროს გაირკვა, რომ გიორგი მთაწმინდელმა რომის საყდრისადმი სიმპათიები თეოლოგიურ-ლიტერატურულ შემოქმედებაშიც გამოამჟღავნა. ამას ადასტურებს წმ. ათანასე ალექსანდრიელის რწმენის სიმბოლოს მისეული თარგმანი, რომელშიც წმ. სულის გამომავლობის მუხლი შევსებულია ფორმულით – „სულიწმიდა არის მამისაგან და ძისა... გამოსვლით“. ესაა ფილიოკვე, რაც არც გიორგი მთაწმინდელს და, ცნადა, არც მის თანამოსაგრეებს მწვალებლობად არ მიაჩნდათ (იხ. ა.კოჭლამაზაშვილისა და ა.ლამბაშიძის

## I. ბიბლიური რელიგიები

---

გამოკვლევა კრებულში „მრავალთავი“, 1999, №18). უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგი მთაწმინდელმა, მისმა ბიოგრაფმა და ათონელი ქართველების დიდმა ნაწილმა, რომელთაც ბერძენ ბერებთან მაშინ უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, კონსტანტინოპოლის 1054 წლის 20 ივლისის კრების ვერდიქტი არ გაიზიარეს და რომის ეკლესიის პოზიცია დაიჭირეს. სავარაუდებელია, რომ ამ პოზიციას იმდროინდელი საქართველოს სამეფო კარი, სამღვდლო და საერო საზოგადოებათა არა ერთი და ორი წარმომადგენელი ემხრობოდა.

XIII ს-იდან, მეფე რუსუდანის დროიდან, საქართველოში შეიქმნა კათოლიკური ეკლესია (ძირითადად მესხეთ-ჯავახეთში), რომელიც მეტნაკლები წარმატებით თითქმის ყველა კუთხეში იკაფავდა გზას. მის მხარეზე არც თუ იშვიათად მეფე-მთავრები, ეპისკოპოსები და, წარმოდგინეთ, კათალიკოსებიც კი გადადიოდნენ. ქართველ იერარქთა შორის ერთ-ერთმა ყველაზე განათლებულმა მღვდელმთავარმა – კათალიკოსმა ანტონ პირველმა – საგანგებოდ მოწვეულ კრებაზე 1755 წლის 12 დეკემბერს საჯაროდ აღიარა რომის პაპის პრიმატი და წმიდა სულის ძისაგანაც გამომავლობის დოგმატი, რის გამოც იგი განკვეთეს, დილეგში ჩააგდეს და მხოლოდ ცრემლით მონანიების შემდეგ დაუბრუნეს ხარისხი.

მკვლევართა მიერ არაერთგზის თქმულა და დაწერილა, რომ კათოლიკურმა და, კერძოდ, საქართველოს კათოლიკურმა ეკლესიამ ჩვენი ეროვნული კულტურის, მეცნიერების, პოლიტიკისა და, მეტადრე, ეკონომიკის წინაშე (ქართველი კათოლიკები ტრადიციულად ვაჭრები

## I. ბიბლიური რელიგიები

---

და ბანკირ-ფინანსისტები იყვნენ) სასურველი სიტყვა თქვა – ქვეყანას ღირსეული შვილები აღუზარდა.

საქართველოში დღეისათვის მცხოვრებ კათოლიკეთა რიცხვის შესახებ სხვადასხვა მონაცემი არსებობს: მთავრობა, რომის პაპის ვიზიტის დროს, 50000-ს ასახელებდა, სტატისტიკის დეპარტამენტის ბოლო მონაცემი (იხ. ზემ.) 35000-ს უთითებს. საქართველოს კათოლიკეები ტიბიკონის მიხედვით სამ ნაწილად განიყოფიან: 1. ლათინური ტიბიკონისაღნი, 2. სომხური ტიბიკონისაღნი და 3. სირიულ-ქალდეური ტიბიკონისაღნი. პირველი და მესამე წესის კათოლიკეები კავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორის ეპისკოპალურ დაქვემდებარებაში იმყოფებიან. მათი ეპისკოპოსი დღეს არის ჯუზეპე პაზოტო (რეზიდენცია თბილისში, მიძინების ტაძარში). მეორე წესის კათოლიკეები კი სომეხთა ეპისკოპოსის იურისდიქციაში შედიან.

## რეფორმაცია და პროტესტანტობა

დიდი სქიზმიდან სამი საუკუნის შემდეგ დასავლეთ ევროპის ჩრდილოეთში რეფორმატორული მოძრაობა დაიწყო. ძირითად მიზეზად დასახელებულია რომის ეკლესიის რიგორიზმი ანუ სიმკაცრე, კულტმსახურების გადატვირთვა, დოგმატების სიმრავლე და პაპების სარწმუნოებრივ-პოლიტიკური გავლენის ზრდა, რასაც უკურეაქცია მოჰყვა.

## I. ბიბლიური რელიგიები

---

რეფორმაციისა და პროტესტანტობის არსებითი ნიშანი ტრადიციათა გადაფასება და შეცვლაა, მაგრამ მათ შორის გარკვეული სხვაობაცაა. რეფორმაცია, ძირითადად, ეკლესიის პრაქტიკის (ღვთისმსახურების) და კანონიკური წყობის რეკონსტრუქციას გულისხმობს, პროტესტანტობა – თეორიების, თვით ღოგმატების, ცვალებადობასაც. ერთიც და მეორეც ლათინური სიტყვებია: „რეფორმაციო“ გარდაქმნას ნიშნავს, „პროტესტანტის“ – დაპირისპირებას, გამიჯვნას. თითოეულის ხასიათი და ბუნება სახელწოდებებშიც ჩანს: რეფორმატორი მიზნად ძველის გარდაქმნას ისახავს, პროტესტანტი კი არსებულსა და ტრადიციულს უპირისპირდება. რეფორმაცია საღვთო გადმოცემას, როგორც რწმენის ერთ-ერთ წყაროს, ე.ი. ეკლესიის ავტორიტეტს პრინციპში (გლობალურად) არ უარყოფს, პროტესტანტობა კი სწორედ საღვთო გადმოცემის, ეკლესიის მამებისა და კრებების ავტორიტეტის გაუფასურებას ნიშნავს.

პროტესტანტობა XVI ს-იდან სამი დენომინაციის სახით მოგვევლინა. მათი დამაარსებლები არიან: მარტინ ლუთერი (იხ. ქვ.), ულრიხ (ჰუდრიხ) ცვინგლი (1484-1531) და ჟან კალვინი (1509-1564). მათ ბევრი საერთო და ბევრი განსხვავებული თეორია ჰქონდათ. საერთოა, მაგალითად, იმის აღიარება, რომ, თითქოს, ყოველ ადამიანს შეუძლია ინდივიდუალურად შეიტყოს ბიბლიისაგან, რა და როგორ უნდა სწამდეს; ეკლესიის მამათა ავტორიტეტის გათვალისწინება აქ აუცილებელი არაა.

XVI-XVII სს-ში სამი პროტესტანტული ეკლესია შეიქმნა: ლუთერისეული (ლუთერული), ცვინგლისეული

## I. ბიბლიური რელიგიები

(ცვინგლიანობა), კალვინისეული (კალვინიზმი). მათ მალე სხვა სახელწოდების, თეორიისა და პრაქტიკის ეკლესიები (დენომინაციები) მიემატნენ, რომელთაგან ზოგიერთის შესახებ ქვემოთ საგანგებოდ შევჩერდებით.

### დუხობორები და მალაკნები

დუხობორები და მალაკნები ერთმანეთის განაყოფნი არიან.

ასპარეზზე პირველად დუხობორები გამოჩნდნენ (XVIII ს-ის 60-იან წლები). მათი სამშობლო რუსეთის ცენტრალური გუბერნიებია. დამაარსებლები **სილუენ კოლესნიკოვი, ილარიონ პობიხორინი და კაპუსტინი** არიან. მათი მიმდევრები ძირითადად ბატონყმობით უკმაყოფილო გლეხები იყვნენ, რომლებმაც თავიანთ თავს „დუხობორები“ ანუ „სულისათვის მებრძოლნი“, „სულით მებრძოლნი“ უწოდეს. ამით გამოხატეს რწმენა, რომ ისინი წმიდა სულის მატარებელი არიან და ამავე სულით ებრძვიან სატანას.

დუხობორებმა უარყვეს ბიბლიის ტექსტი და მის ნაცვლად შემოიღეს „ცხოვრების წიგნი“. ეს „წიგნი“ არსებობდა ზეპირად და გადაეცემოდა თაობიდან თაობას, რომელიც გვიან მეცნიერებმა ჩაიწერეს და მკვლევრებისთვის ხელმისაწვდომი გახდა. „ცხოვრების წიგნი“ თავმოყრილია თქმულებები და ისტორიული ცნობები ამ მიმდინარეობის შექმნისა და მისი შემდგომი ბედის შესახებ.

## I. ბიბლიური რელიგიები

---

დუხობორები აღიარებენ ქრისტეს, მაგრამ არა ღმერთად, არამედ ადამიანად, რომელშიც ყველაზე მეტად გამოვლინდა ღვთაებრივი სული და გონი; იგი ჩვეულებრივ ადამიანად დაიბადა, რომელშიც ღვთის სული და გონი შემდეგ ჩასახლდა. მათი რწმენით, ღმერთი გამორჩეულ პიროვნებებში დღესაც „სახლდება“. ასეთ პიროვნებებს ღვთის დარი პატივი უნდა მივაგოთ. დუხობორებს მარტივი ღვთისმსახურება აქვთ. სწამთ სულის უკვდავება და ზიარებას იღებენ სულიერად, სიტყვიერად.

დუხობორების თემში მალე პობიროხინის მოწაფემ, თერძმა **სემიონ უკლეინმა**, ახალი დენომინაცია ჩამოაყალიბა - მალაკნობა.

**მალაკნები**, დუხობორებისაგან განსხვავებით, აღიარებენ ბიბლიის ავტორიტეტს, მაგრამ ყველაფერს, ბიბლიის ტექსტსაც და საეკლესიო საიდუმლოებებსაც, სიმბოლურად გებულობენ. მაგალითად, ერთარსება-სამება, მათი აზრით, შემდეგნაირად უნდა გავიაზროთ: მამაღმერთი არის მეხსიერება, ძეღმერთი – გონება და სულიწმიდა – ნება. ასევე თავისებურად ესმით მათ ქრისტეს განკაცების ფაქტი: ქრისტე მოევლინა ქვეყანას, რათა ეხსნა იგი მოძღვრებით და არა თავისი თავის ნებაყოფლობითი შეწირვით. აღდგომის საიდუმლოს ისინი იაზრებენ არა რეალურ ფაქტად, არამედ ქრისტეს მცნებათა აღდგინებად მის მიმდევართა შორის. მათ, დუხობორების მსგავსად, წყლით ნათლისღება მიაჩნიათ ზედმეტად. აღიარებენ მხოლოდ ამ საიდუმლოს სულიერ მხარეს. ისინი ნათლობას უწოდებენ მოძღვრების აღქმას, ზიარებას - უფლის სიტყვის შთანერგვას. მორწმუნეთა საბოლოო მიზნად კი

## I. ბიბლიური რელიგიები

---

სულიერ აღორძინებას რაცხენ.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია და მთავრობა დუხობორებსა და მალაკნებს დევნიდა. 1841-50 წლებში მათი ერთი ფრთა კავკასიაში გადმოსახლეს. მალაკნები თბილისსა და კახეთის ზოგიერთ რაიონში დამკვიდრდნენ. ისინი ძირითადად ხელოსნობას, განსაკუთრებით - მეეტლე-ობას მისდევდნენ. დუხობორებმა ყოფილი ბოგდანოვკის (დღეს ნინოწმინდის) რაიონში დაიდეს ბინა, სადაც ადრე გამუსლიმებული ჯავახები (ქართველები) ცხოვრობდნენ. მათ საქმიანობას მესაქონლეობა და მეცხვარეობა შეადგენს.

გასული საუკუნის 90-იან წლებში დუხობორების დიდმა ნაწილმა, რელიგიური იდეალების მიხედვით, დატოვა ჯავახეთი და ცენტრალურ რუსეთში, წინაპართა სამშობლოში, გადასახლდა. მათი რიცხვი საქართველოში ამჟამად უმნიშვნელოა. დუხობორებისა და მალაკნების ქართული საკრებულოები დღეისათვის დაახლოებით 3500 მურწმუნეს ითვლის.

## ლუთერანები და მათი ეკლესია საქართველოში

მარტინ ლუთერი 1483 წლის 10 ნოემბერს საქსონიაში, ქაისლენში, დაიბადა. იგი მორწმუნე კათოლიკედ აღიზარდა, 24 წლის ასაკში ბერად აღიკვეცა, მღვდლად ეკურთხა, საუნივერსიტეტო განათლება შეიძინა და



## I. ბიბლიური რელიგიები

---

თეოლოგიის პროფესორი გახდა. იგი რომაელთა 1:17-ის განმარტების შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გადარჩენის ერთადერთი საშუალება ქრისტეს მიმტევებელი სიყვარულია. მთავარია რწმენა, შემდეგ კი – საქმე. ამ თეორიის გაღრმავებამ ლუთერი რჯულის ანუ კანონის, ე.ი. საეკლესიო წესების ტრადიციული გაგების უარყოფამდე მიიყვანა. საკუთარი თეოლოგიური სისტემა მან დასრულებული სახით 1517 წელს წარმოადგინა. იგულისხმება 95 თეზისი, რომელიც 31 ოქტომბერს ვიტენბერგის მთავარი ტაძრის კარიბჭეზე გააკრა. პაპი თავიდან დიალოგის პოლიტიკას დაადგა, მაგრამ ბოლოს, როდესაც ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა, მან ბულა გამოაქვეყნა და პროტესტანტ მღვდელს სინანულისკენ მოუწოდა, მაგრამ ბრალდებულმა სინანულზე უარი თქვა და აღნიშნული ბულა დაწვა. ასე შეიქმნა პირველი პროტესტანტული ეკლესია - ლუთერანობა.

ლუთერანობა გერმანიის ოფიციალურ კონფესიად (კათოლიკობის გვერდით) 1555 წელს აღიარეს. იგი, აქტიური მისიონერული მოღვაწეობის შედეგად, გავრცელდა სკანდინავიის ქვეყნებში (შვეციას, ნორვეგიასა და ფინეთში). აგრეთვე, ბალტიისპირეთის რეგიონებსა და აშშ-ში. 1970 წელს ლუთერანელების რიცხვი 75 მილიონს აღწევდა. ძირითადი ნაწილი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სახლობს. ისინი 1948 წლიდან გაერთიანებული არიან კალვინისტებთან და უნიატებთან საერთო სახელწოდების ქვეშ – **ევანგელური ეკლესია გერმანიაში**.

ლუთერანული ღვთისმსახურება გამოირჩევა უბრა-

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ლოებით. იგი ამოიწურება საღმრთო წერილის კითხვით, ქადაგებით და გალობით. შენარჩუნებულია საკურთხეველი, ჯვარი, ორღანი, რელიგიური ფერწერა (ხატების გარდა). ღარიბულ მაგიდაზე ბიბლია ასვენია.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლუთერანობამ, ათაბაგ მზეჭაბუკის ინიციატივით, საქართველოში ლუთერის დროსვე შემოაღწია და მრევლიც გაიჩინა. ეს თეორია მეცნიერულად არ დასტურდება. სამაგიეროდ ფაქტია, რომ 1817-1818 წლებში ჩვენს ქვეყანას ჯგუფ-ჯგუფად ესტუმრენ უცხოების მაძიებელი ლუთერანები. გაირკვა, რომ ისინი საქართველოში მეორედ მოსვლის მალე დადგომის შიშმა ჩამოიყვანა. მათ სჯეროდათ, რომ ამ დროს ევროპა სისხლის ტბაში ჩაიხშობოდა, საქართველო კი გადარჩებოდა.

ლტოლვილებმა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში „კოლონიები“ შექმნეს, რომლებსაც ერთმანეთთან მყარი ეკლესიური კავშირი ჰქონდათ. 1914 წლის მონაცემებით, ამიერკავკასიაში 21 000 ლუთერანი ცხოვრობდა. მათგან გერმანელი 17 000 იყო. ჰყავდათ პასტორთა სათანადო კონტინგენტი. გააჩნდათ წესდება, რომლის თანახმად გერმანელთა კოლონიები საქართველოში ევანგელურ-ლუთერანულ ეკლესიად გამოცხადდა. მისი ცენტრალური შტაბი – პასტორთა კრება ანუ სინოდი – თბილისში მდებარეობდა. ხელმძღვანელს ობერპასტორი ერქვა.

აღსანიშნავია კოლონისტების შრომის კულტურა და ენთუზიაზმი. ლუთერის ასკეტური სისტემის თანახმად, განუზომელი ფასი აქვს შრომაში გამოვლენილ სიბეჯითეს. „ო, ძვირფასო ქრისტიანებო, – წერდა იგი, – ღმერთზე

## I. ბიბლიური რელიგიები

---

უნდა ილოცოთ ცოტა, მაგრამ ღრმად, ვინაიდან ის გმობს ხანგრძლივ და სიტყვამრავალ ლოცვებს“. ამიტომაც საქართველოში იშვიათად ნახავდით ფუქსავატ გერმანელს. შრომობდნენ და სწავლობდნენ გულმოდგინედ. ქმნიდნენ ღოვლათს. გამოირჩეოდნენ სანიმუშო ყოფაქცევით, პუნქტუალობით.

პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს საქართველოს ლუთერანელებს ბრალად გერმანიის აგენტობა დასდეს. დაიწყო დევნა და გასახლება. დაუხურეს ეკლესიები და სკოლები. მხოლოდ პერესტროიკის წყალობით მოიპოვეს სამლოცველო სახლის განხრის უფლება თბილისში. აქვე დაარსდა გერმანული კულტურის ცენტრი და სათვისტომო.

დღეისათვის ქართველი მორწმუნე ლუთერანელების რიცხვი 500-მდე აღწევს. ისინი ცხოვრობენ თბილისში, სოხუმში, გაგრაში, რუსთავში, გარდაბანსა და ბოლნისში. ჯერჯერობით მათ ერთი ეკლესია აქვთ (თბილისში), სადაც საკვირაო სკოლა ფუნქციონირებს.

## რეფორმატორები

რეფორმატორული ეკლესიები პირველად შვეიცარიაში, ციურიხსა და ჟენევაში, 1523-1541 წლებში ჩამოყალიბდა პროტესტანტულ-რეფორმატორული მოძრაობის მამამთავრების ურლის ცვინგლისა და ჟან კალვინის მეთაურობით. ამ ქალაქებში კათოლიკე

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ეპისკოპოსის თანამდებობა გააუქმეს და ეკლესიის მმართველობა საქალაქო საბჭოს ხელში გადავიდა.

ცვინგლმა გაიზიარა ლუთერის პროტესტანტული შეხედულებები, მაგრამ დაუპირისპირდა მის თვალსაზრისს იესო ქრისტეს მიერ ზიარებისეული პურისა და ღვინის განმსჭვალვის შესახებ და ჩამოაყალიბა მოძღვრება, რომლის თანახმადაც ზიარებისეული პურა და ღვინო მაცხოვრის ხორცისა და სისხლის სიმბოლოა და ეს რიტუალი მისი პიროვნებისა და ღვაწლის მოსახსენებლად სრულდება.

კალვინმა ცვინგლის შეხედულებები გააღრმავა. მისი მოძღვრების არსებითი ნიშნებია: დაცემის შემდეგ ადამიანში თავისუფალი ნების უარყოფა, გამართლებისა და გადარჩენის ერთადერთ სახსრად რწმენის აღიარება (საქმეების გარეშე), პიროვნებათა ბედის წინასწარ-განსაზღვრულობა.

რეფორმატორული მოძრაობა, რომელიც კალვინიზმის სახელითაცაა ცნობილი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელდა. მისი მქადაგებლები საქართველოშიც მოვიდნენ და 1995 წელს ეკლესია ბათუმში დააარსეს. მათ მიმდევრები ქობულეთში, ფოთში, ოზურგეთში და ლანჩხუთშიც ჰყავთ. ქართველი რეფორმატორების საერთო რიცხვი 300-მდე აღწევს.

ქართველი რეფორმატორები ტრადიციული რეფორმატორებისაგან (კალვინისტებისაგან) იმით განსხვავდებიან, რომ ისინი ბავშვებს არ ნათლავენ.

## ბაპტისტები

სახელწოდების ძირი ბერძნულია და ნიშნავს **წყლით ნათლობას**, კონკრეტულად – **შთაფლვით ანუ ჩაყვინთვით ნათლობას** (ბერძნ. *ბაპტიზო* - „ვნათლავ წყლით“). ამდენად, ბაპტისტების სულიერ ცხოვრებაში ყურადღება ნათლისღებაზეა გადატანილი; იგი შთაფლვით უნდა შესრულდეს. რიტუალი, თუ მდინარეზე გასვლის საშუალება არ არის, სრულდება ბაპტისტურიაში ანუ სამლოცველო სახლის აუზში პრესვიტერის (წინამძღვრის, ხუცესის) მიერ. განგება მარტივია - ლოცვა, რწმენის დამოწმება, წმიდა სამების დიდება და დალოცვა. ამასთანავე, რაც არსებითია, ინათლებიან მხოლოდ მორწმუნენი, ე.ი. მოწიფულ ასაკში, როდესაც ადამიანს ჩამოუყალიბდება ნაბიჯის დამოუკიდებლად გადადგმის უნარი.

ბაპტისტები, ანაბაპტისტებისაგან განსხვავებით, სავალდებულოს არ ხდიან ისეთი პიროვნების ხელმეორედ მონათვლას, რომელიც სიყრმის ასაკშია მონათლული, მაგრამ თვლის, რომ მონათლულია და გაცნობიერებულიც აქვს ნათლისღების შინაარსი. თუკი კონკრეტულ პიროვნებას, ადრე უკვე მონათლულს, მაინც სურს, რომ ნათლისღების წესი შეასრულოს, ამ წესს არა საიდუმლოს (ნათლისღების საიდუმლოს ერთგვისობიდან გამომდინარე), არამედ მხოლოდ დეკლარაციის მნიშვნელობა ექნება.

ბაპტიზმის აკვანი დიდი ბრიტანეთი და ნიდერლანდიაა, განსაკუთრებით - ამსტერდამი. პირველი თემის

## I. ბიბლიური რელიგიები

---

დამაარსებლად ყოფილ ანგლიკან მღვდელს **ჯონ სმიტს** ასახელებენ. მან, **თომას ჰელვისთან** ერთად, 1611-1612 წწ-ში ანგლიკანებისა და მენონიტების დიდი ჯგუფი მონათლა. ასე ჩაეყარა საფუძველი ბაპტიზმს.

რუსეთის ყოფილ იმპერიაში ბაპტისტური ეკლესია, ბალტიისპირეთის შემდეგ, პირველად საქართველოში, თბილისში, 1867 წლის 20 აგვისტოს ჩამოყალიბდა. ამ დროს ერთმანეთს შეხვდნენ გერმანელი ბაპტისტი **მარტინ კოლვეიტი** და თბილისის მალაკანთა თემის წინამძღვარი **ნ.ი. ვორონინი**, რომელმაც ბაპტიზმი აღიარა, მონათლა და ძველი თანამორწმუნეების დიდი ნაწილი გაიყოლია. ამდენად, თბილისის ბაპტისტთა ეკლესია რუსი მალაკანების ბაზაზე შეიქმნა. ამ თემში მოგვიანებით ქართველებიც გაერთიანდნენ, მაგრამ მათი რიცხვი იმდენად მცირე იყო, რომ ქადაგება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. 1919 წელს ვითარება შეიცვალა და ქართულენოვანი სექციის დაარსება შესაძლებელი გახდა. ეს მისია სამხედრო სამსახურიდან ახლადდაბრუნებულმა **ილია კანდელაკმა** იკისრა. იგი ბოლშევიკებმა 1927 წელს მოკლეს, როდესაც ქადაგებიდან შინ ბრუნდებოდა.

1944 წელს თბილისის ბაპტისტთა თემს *ქრისტიანი ევანგელისტების კავშირი* შეუერთდა. დღეისათვის ეს ორი მიმართულება (ბაპტისტები და ევანგელისტები, რადგან მათ შორის არსობრივი სხვაობა არაა) გაერთიანებულია და ეწოდება **სახარების რწმენით მონათლულ ქრისტიანთა კავშირი**.

ამჟამად საქართველოში ბაპტისტთა ეკლესიის

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ოფიციალური სახელწოდებაა **საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია (სებე)**, რომლის მონათლულ წევრთა რიცხვი 5000-ს უდრის, თანამდგომთა და თანამგრძნობთა ჩათვლით, - 17000-ს. ისინი საქართველოს ყველა რეგიონში ცხოვრობენ. მათ შორის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშიც, რომლებთან კავშირი ცენტრს დღესაც შენარჩუნებული აქვს.

კომუნისტური რეჟიმის დროს ბაპტისტ-ევანგელისტების ნაწილმა უარი თქვა რეგისტრაციასა და სახელმწიფოსთან ნებისმიერი ფორმით თანამშრომლობაზე. ისინი დაუპირისპირდნენ თანამორწმუნეებს, რომლებიც ამ თვალსაზრისით შედარებით ლოიალობას იჩენდნენ. მათ ცალკე ეკლესიები ჩამოაყალიბეს, რომლებსაც შესაძლებელია, პირობითად, **რადიკალები ან ფუნდამენტალისტ-ბაპტისტური ეკლესიები** ვუწოდოთ. ბოლო დროს მათ რიგებს იღეურად ის ევანგელისტ-ბაპტისტებიც შეუერთდნენ, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ეპისკოპოს მალხაზ სონღულაშვილის კურსს ქვეყნის ტრადიციებთან და კულტურულ ღირებულებებთან დაახლოების შესახებ. არაოფიციალური მონაცემების თანახმად, კონსერვატორ, ე.ი. რეფორმათა მოწინააღმდეგე ბაპტისტ-ევანგელისტთა რიცხვი 1000-მდე აღწევს. ისინი ძირითადად ბათუმსა და თბილისში ცხოვრობენ.

ასე რომ, საქართველოში მონათლული ბაპტისტების საერთო რიცხვი, როგორც ლიბერალური, ისე რადიკალური ფრთისა, 6000-მდე აღწევს.

## ევანგელისტ-ორმოცდაათიანელები

**ორმოცდაათიანელი** ანუ, ბერძნულად, პენტეკოსტელი არის იმ ქრისტიანთა საერთო სახელწოდება, რომელთა თავისებურებას ქარიზმატული განწყობილება ანუ რელიგიური ანთებულობა და „უცხო ენებზე ლაპარაკის უნარი“ წარმოადგენს. ისინი დღეს თავიანთ თავს ევანგელისტებად, ანდა *სახარებისეულად მორწმუნე ქრისტიანებად* მოიხსენიებენ.

ამ მიმდინარეობის წარმოშობის ოფიციალურ თარიღად 1906 წელი ითვლება, როდესაც ქ. ლოს-ანჯელესში პირველად შედგა „სულით ნათლობა“ „უცხო ენებზე ლაპარაკითურთ“.

ორმოცდაათიანელობის სპეციფიკური ნიშანი არეკლილია სახელწოდებაში - *ორმოცდაათი* ანუ, ბერძნულად, *პენტეკოსტე*. აქ იგულისხმება აღდგომიდან ორმოცდამეათე დღის სასწაული - მოციქულებზე წმიდა სულის გადმოსვლა და მათი შემოსვა უცხო ენებზე მეტყველების უნარით (საქ. მოც. 2:1-8).

ევანგელისტ-ორმოცდაათიანელები ყურადღებას იმ ფაქტზე ამახვილებენ, რომ „ენებზე ლაპარაკის“ ნიჭი, მოციქულების მსგავსად, პირველ ქრისტიანებს, კერძოდ, წარმართობიდან ახლადმოქცეულებსაც ჰქონდათ (საქ. 10:14). ისინი თვლიან, რომ უცხო ენებზე ლაპარაკი, მოციქულებისა და პირველქრისტიანების მსგავსად, ყველა მორწმუნეს შეუძლია. საჭიროა მხოლოდ თავდავიწყებული ლოცვა და ექსტაზი, მუხლდადრეკა და ხელაპყრობა,



## I. ბიბლიური რელიგიები

---

ყოველივე ამქვეყნიურის დავიწყება და გონების ზეცად ამალღება. ორმოცდაათიანელთა პრაქტიკაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ნათლობას. პრინციპის თანახმად, ეს რიტუალი უნდა ჩატარდეს მდინარეში, ტბაში ან ზღვაში, თანაც ცივ ამინდში, რითაც ისინი ხაზს უსვამენ ამ ტრადიციის სახარებისეულ საფუძველს (ქრისტეც ზამთარში და მდინარეში მონათლა).

ევანგელისტ-ორმოცდაათიანელთა მოძღვრება და პრაქტიკა რუსეთში, გერმანელთა დასახლებებში, რევოლუციამდე გავრცელდა. რუსულენოვანი საკრებულოები კი პირველად 1922 წელს ოდესაში ჩამოყალიბდა. დამაარსებლად ითვლება **ი. ე. ვორონაევი**. იგი მალაკნის ოჯახში დაიბადა, მაგრამ ბაპტისტად მონათლა და ამერიკაში გადასახლდა, სადაც ორმოცდაათიანელი გახდა. მან საბჭოთა კავშირში ფართო მისიონერული ქსელი გააბა და ბევრგან წარმატებას მიაღწია.

ეს დენომინაცია საქართველოში შედარებით გვიან გამოჩნდა. პირველი ჯგუფი თბილისში დაახლოებით 1939 წელს ჩამოყალიბდა. იგი რუსი ეროვნების მოქალაქეებით იყო დაკომპლექტებული. ქართულენოვანი რიტუალი პირველად 1945 წელს გორში შედგა, რომელიც ერთ იქაურ კაცს, რუსეთიდან დაბრუნებულს, ჩაუტარებია. გორელი ორმოცდაათიანელები მალე თბილისის რუსულენოვან თანამორწმუნეებს დაუკავშირდნენ და მათთან ორგანიზაციულადაც გაერთიანდნენ. ეს ფაქტი იმდროინდელ სპეცსამსახურებს არ გამოპარვიათ და მქადაგებელთა წინააღმდეგ სერიოზულ ზომებს მიმართეს.

საქარართველოში ამჟამად 5000 მონათლული

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ორმოცდაათიანელი ცხოვრობს, მოარულ-თანამდგომე-ბითურთ - 10 000-მდე. მათი თემები, თბილისისა და ქუთაისის გარდა, ბევრ სხვა რაიონშიც გვხვდება. ცენტრალური ეკლესიები არის თბილისში. ძირითადია სამი ეკლესია. დანარჩენი ეკლესიები ან ერთის, ან მეორის, ან მესამის იურისდიქციაში შედიან. ყველაზე მრავალრიცხოვანი და, ასე თუ ისე, ოფიციალური ის ეკლესიაა, რომელსაც **ოლეგ ხუბაშვილი** ხელმძღვანელობს.

### ხსნის არმია

ეს მოძრაობა ინგლისელი მეთოდისტების წრეში წარმოიშვა. დამაარსებელია მეთოდისტი მქადაგებელი **უილიამ ბუთი**. მან 1861 წელს ინგლისში ჩამოაყალიბა ორგანიზაცია - „მოძრაობა საზოგადოების აღორძინებისათვის“, რომელსაც შემდეგ „ქრისტიანული მისია“ ეწოდა, 1878 წლიდან - „ხსნის არმია“. ამ სახელწოდების ეკლესიები მალე ამერიკის, ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში გაფორმდა. შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის ცენტრი ვაშინგტონია.

უ. ბუთის სისტემა დაფუძნებულია სამხედრო დისციპლინასა და სტრუქტურაზე, კერძოდ, სუბორდინაცია-იერარქიაზე. ეკლესიებს ჯარისკაცები ემსახურებიან, რომელთა უფროსები ოფიცრები არიან, ოფიცერთა უფროსები - პოლკოვნიკები, პოლკოვნიკთა უფროსები - გენერლები. საერთაშორისო ალიანსს (ერთიან

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ეკლესიას) სათავეში მთავარსარდალი უდგას. ეკლესიის წევრები სამხედრო ფორმებით არიან შემოსილი, - მუნღირებით და ეპოლეტებით წოდებთა მიხედვით, თუმცა მათ ხელში იარაღს, ვერც ცივს და ვერც თბილს, ვერ ნახავთ.

ღვთისმსახურება მარტივია. კრებები ტარდება როგორც დარბაზებში, ისე გარეთ, ხალხმრავალ ადგილებში. მიღებული ნორმაა მსვლელობები სასულე ორკესტრის თანხლებით. ხშირად წარმოითქმის საჯარო აღსარებები და მონანიებები. სიმღერები და ცეკვები უმეტესად მოღერნის სტილში სრულდება.

„არმიის“ მთავარ მიზანს ჰუმანიტარული მისია წარმოადგენს. ხსნიან უსახლკაროთა თავშესაფრებს, უფასო საავადმყოფოებსა და სასადილოებს; ეხმარებიან ლტოლვილებს, პენსიონერებს, ფიზილურად და სულიერად შეჭირვებულებს ეროვნებისა და სარწმუნოების განუსხვავებლად.

„ხსნის არმიის“ ორგანიზაციები (ეკლესიები) დღეისათვის ასზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს. მისი ჯარისკაცები საქართველოში, თბილისში, პირველად 1993 წელს გამოჩნდნენ და, ქვეყნის ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ჰუმანიტარული საქმიანობის ფართო ქსელი გააბეს. მათ ორგანიზაციები (ეკლესიები), თბილისის გარდა, ქუთაისში, გირში, რუსთავსა და ბათუმშიც აქვთ. „არმიელების“ ჰუმანიტარულმა დახმარებამ 1995-1996 წლებში საქართველოში შემოსული ყველა ჰუმანიტარული დახმარების 42% შეადგინა. ყველაზე კრიზისულ წლებში (1993-1994) მათ საქართველოში 13 800 ტონა პროდუქტი შემოიტანეს და 300 000 სულზე გაანაწილეს.

## I. ბიბლიური რელიგიები

---

2000 წელს „არმიელთა“ უფასო სასაღილოებში (თბილისი, გორი, გარდაბანი, რუსთავი, მარტყოფი, დედოფლისწყარო, ქუთაისი, ბათუმი, ქობულეთი) 7500 უპოვარი (ბენეფიციარი) იკვებებოდა.

„ხსნის არმიელთა“ საღვთისმსახურო შეკრებებში საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 800 კაცი მონაწილეობს.

## ახალსამოციქულო ეკლესია

დაარსების თარიღი 1832 წელია. პირველი ორგანიზაცია ინგლისში შეიქმნა, მაგრამ უფრო ვრცელი ასპარეზი გერმანიაში ჰპოვა და იქიდან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დავრცელდა.

ამ დენომინაციის არსებითი ნიშანი **პირველმოციქულთა პრაქტიკის განახლება-აღდგენის სურვილში** მდგომარეობს. მის მიმდევრებს მძაფრი ესქატოლოგიური მოლოდინი აახასიათებთ. მათ, დანარჩენი პროტესტანტებისაგან განსხვავებით, შენარჩუნებული აქვთ სამი საიდუმლო – ნათლისღება, კონფირმაცია (სულიწმიდის აღბეჭდვა ანუ იგივე მირონცხება) და ზიარება. ახალმოციქულები ნათლავენ ბავშვებს და მიცვალებულთათვისაც ლოცულობენ, ე. ი. პანაშვილებს იხდიან.

ახალმოციქულთა პირველი თემი საქართველოში 1994 წელს დაარსდა. თბილისში ორი ეკლესია არსებობს. ანალოგიური ეკლესიებია ბათუმში, ქუთაისში, ახმეტასა და ზოგ სხვა რაიონში. ეს ეკლესიები 700-მდე წევრს აერთიანებს.

## მე-7 დღის ადვენტიზტები

**ადვენტუს** ლათინურია და ნიშნავს მოსვლას. ლაპარაკია მაცხოვრის მეორედ მოსვლასა და ცათა სასუფევლის განახლებაზე. ადვენტიზტთა თემა, რომლისგანაც შემდეგ „მე-7 დღის ადვენტიზტები“ წარმოდგენს, აშშ-ში XIX ს-ის 30-იან წლებში დაფუძნდა ყოფილი ბაპტიზტის, ფერმერ **ულიამ მილერის** თაოსნობით. მან წინასწარმეტყველ დანიელის წიგნის 8:14-ის მიხედვით, სადაც აღწერილია ხილვა და ნახსენებია 2300 დღე-ღამე, გამოიტანა დასკვნა, რომ თითქოს წუთისოფლის აღსასრული 1843 წლის 21 მარტიდან 1844 წლის 21 მარტამდე პერიოდში დადგება. იგი წინასწარმეტყველებდა ყველასა და ყველაფრის სიკვდილს, გარდა ადვენტიზტებისა. ბევრი გულუბრყვილო ამ თარიღს მომზადებული შეხვდა: ტოვებდნენ კარ-მიდამოს, აჩანაგებდნენ ქონებას, არ სვამდნენ, არ ჭამდნენ და გულხელდაკრეფილნი ელოდნენ უზენაეს განაჩენს... წინასწარმეტყველება არ გამართლდა. მორწმუნეთა უმრავლესობას გული გაუტყდა და სექტა მიატოვა, მაგრამ მილერს მალე გამოუჩნდნენ თანამოაზრენი, რომელთაც მისი შეცდომა „გამოასწორეს“. ერთ-ერთი ასეთი ადვენტიზტი **იოსებ ბაიტი** (1792-1872) გახლდათ. მან შაბათის უქმობის ძველი აღთქმისეული ტრადიცია განაახლა და შეიმუშავა წესდება, რომლის საფუძველზე მის მიმდევრებს „მე-7 დღის ადვენტიზტები“ ეწოდათ. მათ „პროსპექტში“ ნათქვამია: „ჩვენ გვწამს ახალი აღთქმის მოწმობა იმის თაობაზე, რომ იესო ქრისტე კვლავ მოვა – ერთდროულად და ყველასათვის

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ხილულად. ჩვენ არ ვიცით, როდის მოხდება ეს, მაგრამ გვჯერა, რომ უკვე ახლოსაა ეს დღე“.

ადვენტიტები ორ ნაწილად არიან გაყოფილი. პირველს შედარებითი ლიბერალიზმი ახასიათებს და მისი მიმდევრები თავიანთ თავს ოფიციალურ და ღია ეკლესიას უწოდებენ. მეორე რადიკალურობით გამოირჩევა. მისი მიმდევრები თავიანთ თავს საზოგადოებისა და სახელმწიფოსაგან განყენებულად მოიაზრებენ. საქართველოში ორივე მიმართულება არსებობს.

„მე-7 დღის ადვენტიტები“ საქართველოში პირველად 1904 წელს გამოჩნდნენ. მათ თბილისში მცირერიცხოვანი თემი ჩამოაყალიბეს, რომელიც რუსულენოვანი იყო. ცნობილი არაა, ეს თემი სახელმწიფოსა და საზოგადოებისადმი ლიბერალური იყო თუ რადიკალური. საბჭოთა პერიოდში ორივე მიმართულება არსებობდა და დღესაც არსებობს.

საქართველოში ადვენტიტების საერთო რიცხვი 400-ს აღწევს.

## იეჰოვას მოწმეები

ეს კონფესია ჩვენში **იელოველების** სახელითაა ცნობილი. „იაჰვე“, რომლის დამახინჯებული ფორმა „იელოვაა“, ძველებრაული სიტყვაა, ღვთის ერთ-ერთი სახელი (ებრაელები სიტყვა „ღმერთს“ არ ახსენებდნენ) და ნიშნავს: „მყოფს“, „არსებულს“, „ჭეშმარიტს“.

## I. ბიბლიური რელიგიები

---

მაშასადამე, იაჰვე ეპითეტია, რომელიც შემდეგ გასუბსტანტივდა და ღვთის საკუთარ სახელად, ეთნონიმად იქცა. „იეჰოვას მოწმეებს“ სწამთ, რომ იაჰვე ღვთის უცვალელებელი სახელია და იგი დღესაც ამ სახელით უნდა მოვიხსენიოთ.

ეს მიმდინარეობა ამერიკაში, პენსილვანიის შტატში, XIX ს-ის 70-იან წლებში დაარსდა სახელწოდებით „ბიბლიის მკვლევართა საზოგადოება“. ხელმძღვანელი **ჩარლზ ტეის რასელი** გახლდათ. მან 1879 წელს ჟურნალი „საგუშაგო კოშკი“ დააარსა, რომელმაც ხსენებული საზოგადოების გააქტიურებას სტიმული მისცა. „საზოგადოება“ 1884 წელს უკვე რეგისტრირებულ იქნა. მის წევრებს 1931 წელს „იეჰოვას მოწმეები“ ეწოდათ. ისინი **რასელისტებისა და რუტერფორდისტების** სახელითაც არიან ცნობილი (ჯოზეფ ფრანკლინ რუტერფორდმა 1916 წელს რასელი შეცვალა).

„იეჰოვას მოწმეთა“ არსებითი ნიშანი ქუჩა-ქუჩა და კარ-კარ სიარულია. ისინი ესაუბრებიან ყველას, ვინც გაუჩერდებათ; ურიგებენ ლიტერატურას და, ვისაც ინტერესს შენიშნავენ, შეკრებებზე ეპატიჟებიან. მათ პრაქტიკაში უდიდესი ადგილი ე.წ. შტუდიებს ანუ ბიბლიის შესწავლას უჭირავს. აწყობენ რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონგრეს-კონფერენციებს. გამოირჩევიან აქტიურობით.

„იეჰოვას მოწმეები“ უარყოფენ სამების დოგმატს და აღიარებენ ერთ ერთსახოვან ღმერთს, რომელსაც დაჟინებით იაჰვეს, უფრო გავრცელებული ვარიანტით - იეჰოვას უწოდებენ; იესო ქრისტეს მიიჩნევენ ღვთის მხოლოდშობილ ძედ და პირველქმნიდებად; უარყოფენ

## I. ბიბლიური რელიგიები

---

სულიწმიდის პიროვნულობას და მას „ღვთის უნილავ ქმედით ძალას“ უწოდებენ; არ სჯერათ სულის უკვდავება, სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობა; სწამთ, რომ დაარსდება იაჰვეს სამეფო, რომელშიც 144.000 რჩეული დამკვიდრდება და უკვდავებას ეზიარება. მათ ეახლებათ უამრავი ქვეშევრდომი, რომლებიც უკვდავი იქნებიან, მაგრამ მაინც ქვეშევრდომები. ისინი უარს ამბობენ ცეცხლსასროლ იარაღზე და ალტერნატიულ სამხედრო სამსახურს მოითხოვენ. ერიდებიან სისხლის გადასხმას და ა.შ.

„იეჰოვას მოწმეთა“ თეოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბრძოლას ქრისტესა და ლუციფერს შორის. უკანასკნელი ადამიანთა მეთვალყურე იყო, მაგრამ ამპარტავნების სენი შეეყარა და ზეციურ მამასთან გათანაბრება მოისურვა. მან აცდუნა ადამი და ევა და, რადგან ღვთის უძღურების ილუზია შეექმნა, ყოვლის-შემოქმედს ომი გამოუცხადა. ეს ომი დღემდე გრძელდება. მან უმძაფრესი სახე მას შემდეგ მიიღო, რაც სატანის ამქვეყნიური სამეფო – საბჭოთა კავშირი და სოცბანაკი - შეიქმნა. 1918 წელს დედამიწაზე იესო ქრისტე დაბრუნდა და აღნიშნული ომის ახალი ფაზა - არმაგედონი - დაიწყო. მისი მიზანი ყველა სატანისეული სახელმწიფოს დამსხვრევაა, რის შედეგადაც მოისპობიან ურწმუნონი და შეიქმნება ერთიანი, თეოკრატიული, „იელოვას მოწამეთა“ ღვთაებრივი სახელმწიფო; შეიმუხრება ლუციფერი და მისი არმია.

„იეჰოვას მოწმეთა“ რიცხვი, 1996 წლის მონაცემებით, ხუთ მილიონს აღწევს. მათი ორგანიზაციები დღეს ოფიციალურად თუ არაოფიციალურად და მეტნაკლები წარმატებით მსოფლიოს თითქმის ყველა



## I. ბიბლიური რელიგიები

---

სახელმწიფოში მოქმედებს.

საქართველოში ამ მიმდინარეობის ისტორია 1953 წლიდან იწყება. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა რეგიონში ქადაგებდნენ ვალენტინა მიმინოშვილი, რომელსაც იეპოვას მოწმეები ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკში გაუცვნიან, ძმები გუდაძეები (ციმბირიდან 1962 წელს დაბრუნებულები), ვლადიმერ გლადიუკი (რომელიც ვითომ სამუშაოს საძებრად, სინამდვილეში კი გალის რაიონში სამისიონეროდ შევიდა) და სხვანი. 1970 წელს ენგურჰესზე თორმეტი პროზელიტი (ახლადმოქცეული) მონათლა, რაც უშიშროების სამსახურს შეუშინებელი არ დარჩენია და მქადაგებელთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეებიც აღიძრა. ამის მიუხედავად 1973 წლის 19 აგვისტოს იეპოვას მოწმედ სოხუმში 45 კაცი მონათლა. მათი მიმდევრები 1976 წელს თბილისშიც გაჩნდნენ და მალე დედაქალაქი ქართველი იეპოველების ცენტრად იქცა.

„საქართველოს იეპოვას მოწმეთა კავშირი“ (ეს მათი ოფიციალური სახელწოდებაა) დღეს, მესვეურთა თქმით, 15000-ს მონათლულ წევრს აერთიანებს, თანამგრძობ-თანამდგომელებიანად კი - 40000-ს.

ქართველი იეპოველების სულიერ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენად თანამედროვე ქართულ ენაზე ახალი აღთქმის კიდევ ერთი თარგმანის შესრულება უნდა ჩაითვალოს. გამოცემა, რომელიც ჩვენთვის ახლახან (2004 წლის ივლისში) გახდა ცნობილი, ასეა დასათარგმნელი: ბიბლია. ქრისტიანულ-ბერძნული წერილები. ახალი ქვეყნიერების თარგმანი, გერმანია, 2003. მთარგმნელის (თუ თარგმნელების) ვინაობა წიგნში

## I. ბიბლიური რელიგიები

---

აღნიშნული არ არის, თუმცა, ერთი შეხედვით, პუბლიკაცია გულმოდგინედ შესრულებული ჩანს. თარგმანს საფუძვლად უდევს ამავე სახელწოდების ინგლისური გამოცემა (1950 წ.) და გამართულია „იეჰოვას მოწმეთა“ საღვთისმეტყველო-ბიბლიოლოგიური პრინციპების მიხედვით: ღმერთი თარგმნილია იაჰვედ, ჯვარი - ძელად ან ბოძად.

### მორმონები

ამ მომდინარეობის ისტორია დაკავშირებულია ჯოზეფ სმიტის სახელთან. იგი ჩრდილო-აღმოსავლეთ ამერიკიდან, ვერმონტოს შტატიდან, იყო. ფიქრი, თუ რომელი რელიგია მოიცავს სრულ ჭეშმარიტებას, მას სიყრმითგანვე უღრღნიდა გულს. და, აი, 1820 წელს, როდესაც იგი 15 წლის იყო, მან პირველი საკვირველება იხილა. უღრან ტყეში ლოცვის დროს მას მამა ღმერთი და იესო ქრისტე გამოეცხადნენ და მიუთითეს, რომ არც ერთი ეკლესიის წევრი არ გამხდარიყო და მორიგ გამოცხადებას დალოდებოდა. მორმონებს სწამთ, რომ ეს გამოცხადება არის „ყველაზე დიდი მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში ქრისტეს ამალღების შემდეგ.“

მეორე გამოცხადება 1821 წელს მოხდა: სმიტს საძილე ოთახში „ანგელოზი მორინი“ წარუდგა და აუწყა: მე იმ წინასწარმეტყველის შვილი ვარ, რომლის სახელია მორმონი და რომელიც ქრისტეს შობამდე V ს-ში ცხოვრობდა. ანგელოზმა სმიტი გორაკზე აიყვანა და

## I. ბიბლიური რელიგიები

---

მიწაში ჩამარხული ქვის ყუთი აჩვენა. ყუთში ლითონის ფირფიტებიანი წიგნი და სათვალე იდო. ოთხი წლის შემდეგ სმიტმა ავტორისაგან, მორმონისაგან, დავალება მიიღო: ჩემი წიგნი ინგლისურად აამეტყველე! მორმონის წიგნი 1830 წელს ითარგმნა და დაისტამბა. ვინც იგი წაიკითხა და ერწმუნა, მას მორმონი ეწოდა. იმა წლის 6 აპრილს სმიტმა და მისმა ხუთმა თანამოაზრემ „იესო ქრისტეს ეკლესია“ დააარსეს და აქტიურ მოღვაწეობას შეუდგნენ. სმიტი ქალაქის მერი გახდა და პრეზიდენტობის კანდიდატადაც იქნა წარდგენილი, რასაც დიდი ალიაქოთი მოჰყვა; სმიტი და მისი ძმა ხირამი ბრბომ მოკლა, მაგრამ მორმონები უფრო გააქტიურდნენ. მათ, ბრინგჰემ იანგის შთაგონებით, თავიანთ თავს „უკანასკნელი დღის წმინდანები“ უწოდეს და მორმონების გაერთიანებასაც იმ დღიდან „უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესია“ დაერქვა.

მორმონთა რჯულმოდრევების პირველწყარო, ბიბლიასთან ერთად, არის „მორმონის წიგნი“, რომლის თანახმადაც სემიტები, მორმონის წინამძღვრობით, ამერიკაში ძვ. წ. V ს-ში მოვიდნენ. მათ აგრეთვე სწამთ, რომ ამ კონტინენტს ადღგომის შემდეგ იესო ქრისტეც ეწვია. იესო ღვთის შვილია, მაგრამ ღმერთი არ არის; მან ადამიანებს ცხოვრების წესი ასწავლა. მორმონები თვლიან, რომ ისინი იუდაურ-ქრისტიანულ ტრადიციას აღრმავებენ. მათ ცხოვრების მკაცრი რეჟიმი აქვთ. სასტიკად აკრძალულია ალკოჰოლი და ნიკოტინი; 1890 წლამდე დაშვებული იყო მრავალცოლიანობა, თუმცა ოჯახის სიწმინდეს დიდ ყურადღებას აქცევენ და

## I. ბიბლიური რელიგიები

---

დღესაც აქცევენ; გამოირჩევიან შრომის მაღალი კულტურით.

მორმონები დღეს ბევრ ქვეყანაში არიან. ისინი აქტიურ მისიონერულ და ჰუმანიტარულ კულტურულ საქმიანობას ეწევიან. უკანასკნელი მონაცემების მიხედვით მათი საერთო რიცხვი 8,5 მილიონამდე აღწევს. ბოლო წლებში ისინი საქართველოშიც გამოჩნდნენ.

## იუდაიზმი



იუდაიზმი ებრაელთა ნაციონალური კონფესიაა, რომელიც ძველ აღთქმას ემყარება. ტრადიციის მიხედვით, რომელსაც მასორეტიული ეწოდება („მასორა“ გადმოცემა), ძველი აღთქმა სამ ნაწილად იყოფა: **თორა** ანუ რჯული, რიმელიც მოსეს ხუთ წიგნს მოიცავს; **წინასწარმეტყველებანი** და **წერილები**.

იუდეველები, ქრისტიანებისაგან განსხვავებით, მესიას დღესაც ელოდებიან და სწამთ, რომ იგი ისრაელის ძველ სამეფოს და დიდებას აღადგენს.

იუდაიზმის ჩამოყალიბების ისტორია მოკლედ ასეთია: 533 წელს, ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, ებრაელებმა იერუსალიმში იაჰვეს სადიდებლად სოლომონის ტაძარი აღადგინეს, დააწესეს დღესასწაული ხანუკა („სატფურება“, „განახლება“) და ჩამოყალიბეს ახალი თემი - იუდეველები (იუდას, პატრიარქ იაკობის შვილის, შთამომავლები). მათ ამ თემში არ შეიყვანეს ისინი, ვინც ტყვეობაში არ იყვნენ ნამყოფი და პალესტინაში

## I. ბიბლიური რელიგიები

---

დარჩნენ.

ახალი რელიგიური თემის გარეთ დარჩენილმა ებრაელებმა ცალკე თემი შექმნეს, რომელსაც, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, **სამარიელები** ეწოდათ. მოგვიანებით სხვა რელიგიურ-პოლიტიკური პარტიებიც წარმოიქმნა - **ფარისეელებისა** და **სადუკეელებისა**. ძველი წელთაღრიცხვის დასასრულსა და ახლის დასაწყისში ახალი სექტა შეიქმნა - **ნაზორეველთა**, რომელიც მკვდარი ზღვის სანაპიროებზე მოქმედებდა. მას **ესეელთა** თემსაც უწოდებდნენ, სადაც, სავარაუდებელია, აღიზარდა იოანე ნათლისმცემელი. ამ სექტის წევრები არ ჭამდნენ მცენარეულ საკვებს. გავიხსენოთ, რომ იოანე ნათლისმცემელიც მხოლოდ ველურ თაფლსა და კალიებს (მკალს) ჭამდა. მათ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დარჩათ, რომლის არსებობა მხოლოდ 1947 წელს გახდა ცნობილი.

თორისა და ძველი აღთქმის სხვა კანონიკური წიგნების შემდეგ ებრაელების (ისრაელიანების) წმინდა წიგნად ითვლება **თალმუდი** და **კაბალა**, რომლებშიც თეორიული საკითხებია გაშუქებული და ღვთისმსახურების წესებია მოცემული. კაბალის ზეგავლენით XVIII ს-ში პოლონეთსა და რუსეთში, შემდეგ კი დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში აღმოცენდა იუდაიზმის ახალი მიმდინარეობა - **ხასიდისმი** (ებრ. ღვთისმოსავი). მისი ძირითადი მიზანი იყო და არის იუდეური ღვთისმსახურების რეფორმა, რიტუალების რიცხვის შემცირება. სამაგიეროდ – ყურადღების გადატანა პიროვნების სულიერსა და ზნეობრივ სრულყოფაზე. ხასიდისმის მამათმთავრად

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ითვლება მოხეტიალე მკურნალი ისრაელ ბენ ელიეზერი ანუ ბეშტი (1700-1760). იგი არ უარყოფდა წიგნიერ სიბრძნეს, მაგრამ ამბობდა, რომ ხასიდის ღვაწლი უფრო აღმატებულია, ვიდრე თალმუდის წესების გულმოდგინედ შესრულება, რადგან პირველი ეფუძნება შინაგან რწმენას და სინდისს, მეორე - კანონს; პირველს წარმართავს სიყვარული, მეორეს - შიში და მოვალეობა. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ხასიდთა მოძღვრების ზოგიერთი დეტალი ეხმიანება იმ ჭეშმარიტებებს, რომლებიც ქრისტიანობის, როგორც უნივერსალური რელიგიის, საფუძველშია ჩადებული. ამას ცხადყოფს „ხასიდური სწავლანი“, რომელშიც კკითხულობთ: თუ გვინდა ვიხსნათ ლაფში ჩავარდნილი ადამიანი, საკმარისი არ არის ხელის გაწვდენა. მხსნელი თავადაც უნდა ჩავიდეს ორმოში, ლაფში; მხსნელმა თავის თავზე უნდა იტვირთოს ის სიბინძურე, რომელიც დაგროვდა ადამს აქეთ ამ წუთისოფელში...

იუდაიზმი მონოთეისტური რელიგიაა; აღიარებს ერთადერთ ღმერთს, – სამყაროს შემოქმედს, რომელსაც მრავალი ეპითეტით ვუხმობთ: **იაჰვე** (დამახინჯებული ფორმაა “იელოვა“), **ადონაი**, **ელი**, **საბაოთ** და სხვა. იუდაისტური მოძღვრების ძირითადი დოგმატები რაბინმა მოსე მაიმონიდმა XII ს-ში რეზიუმეს სახით ჩამოაყალიბა: 1. არსებობს ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო; 2. ის ერთია; 3. ის უსხეულოა; 4. ის მარადიულია; 5. უნდა ვილოცოთ მხოლოდ მასზე; 6. ღვთიური გამოცხადებანი ჭეშმარიტებაა; 7. მოსე ყველაზე დიდი წინასწარმეტყველია; 8. თორა მოსეს ღმერთმა უკარნახა; 9. მოსეს კანონის შეცვლა სხვა კანონით არ შეიძლება; 10. ღვთიური განგება

## I. ბიბლიური რელიგიები

---

მართავს სამყაროს; 11. არსებობს კეთილისათვის ჯილდო და ბოროტისათვის სასჯელი; 12. მესია ისრაელში მოვა; 13. მკვდრებით აღდგომა ჭეშმარიტებაა.

იუდეველთა ღვთისმსახურების ბირთვს დილის, შუადღისა და საღამოს ლოცვები შეადგენს. მლოცველები ტალითით (სპეციალური მოსასხამით) იმოსებიან და თეფილინს (პატარა ქუდს) იხურავენ. მორწმუნეთა გაერთიანებებს სინაგოგა ეწოდება (სიტყვა ბერძნულია და იმასვე ნიშნავს, რასაც ეკლესია). საზოგადო ლოცვა რომ შესრულდეს, ათი მორწმუნე მაინც უნდა შეიკრიბოს. მოძღვარს რაბინი ეწოდება. იგი რიტუალებსაც ასრულებს და სასულიერო განათლების პროცესსაც წარმართავს. ებრაელები განსაკუთრებულ ყურადღებას კვების რეჟიმს აქცევენ; მხოლოდ წყვილჩლიქოსან მცოხნავ ცხოველთა ხორცს ჭამენ. ისინი უქმობენ შაბათს და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დღესასწაულების მამაპაპური წესით გადახდას. უდიდესი დღესასწაულებია: პასეჟი (ფესახი), რითაც ეგვიპტიდან, მონობის ქვეყნიდან, გამოსვლას იხსენებენ და გაზაფხულის ბუნიობის პირველ სავსე მთვარეს აღნიშნება; ხანუქა (21 დეკემბერი), რომელიც ებრაელთა 167 წლის (ძვ.წ.) აჯანყების წარმატებით დამთავრებას აღნიშნავს; ფერიმი (მოდის თებერვალ-მარტში), რომლის დროსაც ებრაელი ქალის, ესთერის, ეროვნულ ღვაწლს იხსენებენ. სადღესასწაულო დღეებში მორწმუნეები განუწყვეტლივ გალობენ და ბიბლიას კითხულობენ, კლავენ საკლავს, რომელიც უნდა გამოიძარღვოს და, უდაბნოში ორმოცდღიანი ლტოლვილების არდავიწყების ნიშნად, მის მოხარშულ ხორცს



## I. ბიბლიური რელიგიები

---

მწარე ბალახთან ერთად მიირთმევენ.

საქართველოში ებრაელების პირველი ტალღა ძვ.წ. VI ს-ში, ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დალაშქრის შემდეგ, მოვიდა. მეტ-ნაკლები მასშტაბის შემოსახლებებს შემდეგშიც ჰქონდა ადგილი. განსაკუთრებით ახ.წ. 70 წლის ახლო ხანს, როდესაც რომაელებმა იუდეველთა აჯანყება სისხლში ჩაახშვეს, იერუსალიმი წარტყვევნეს და სოლომონის ტაძარი ნაცარტუტად აქციეს. წმ. ნინო, როდესაც ქართლში შემოვიდა, თავიდან ებრაელთა ბაგინში (სინაგოგაში) ცხოვრობდა და მისი ქდაგების შედეგად პირველად ებრაელები გაქრისტიანდნენ (მღვდელი აბიათარი, სიდონია და სხვ.). ძველი წერილობითი წყაროები და უკანასკნელი ხანის არქეოლოგიური აღმოჩენები (სამარხები და ეპიგრაფიკული ძეგლები) ჩვენს ისტორიაში მათ აქტიურ მონაწილეობაზე მეტყველებს. ებრაელები საქართველოს სხვადასხვა რაიონში კომპაქტურად სახლდებოდნენ და, როგორც წესი, ქალაქური ტიპის დასახლებებს უყრიდნენ საფუძველს. ისინი ვაჭრობდნენ, მოგზაურობდნენ და ექსპორტ-იმპორტს მისდევდნენ, რითაც ჩვენი ქვეყნის გარესამყაროსთან ურთიერთობის გაღრმავებას უწყობდნენ ხელს. ამ ფაქტს კი, თავის მხრივ, წვლილი საქართველოს ცივილიზებულ მსოფლიოსთან კულტურულ ინტეგრაციაში შეჰქონდა.

ქართველმა ებრაელებმა შემოქმედებითი უნარი მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურისა და სპორტის ასპარეზზეც გამოავლინეს. მათი ძველი სინაგოგები, საფლავთა კომპლექსები თუ ხელნაწერები (მათ შორის ლაილაშის X ს-ის თორა) როგორც ებრაული, ისე

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ქართული კულტურის ისტორიის შემადგენელი ნაწილებია.

ებრაელთა დასახლებები საქართველოს ბევრ რაიონში გვხვდება. მათი ქართული დიასპორა ადრე მრავალრიცხოვანი და ღონიერი იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც სსრკ-დან ებრაელთა დეპორტაცია დაიწყო, საქართველოში იუდაიზმის მიმდევართა რიცხვი ერთობ შემცირდა და დღეს 10.000-ს არ აღემატება. ყველაზე დიდი სინაგოგა თბილისისაა, შემდეგ - გორის, ქუთაისის, რუსთავის, ბათუმის, ახალციხის, ონის და ა.შ.

ებრაელობა დღეს ლოცვის წესის მიხედვით ძირითადად ორ ნაწილადაა გაყოფილი: **სეფარადებად და აშქენაზებად**. სეფარადებად აღმოსავლური წესის ებრაელები იწოდებიან, აშქენაზებად - დასავლური წესისაღანი. ქართველი ებრაელების დიდი ნაწილი (80%) თავის თავს სეფარადად თვლის. ისინი ძირძველი ქართულენოვანი ებრაელები არიან. აშქენაზები XIX ს-ში გადმოსახლდნენ რუსეთიდან, პოლონეთიდან და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებიდან. საქართველოში მათ უფრო რუსულენოვან ებრაელებად იცნობენ.

## ისლამი



**ისლამი**, - **მაჰმადიანობა**, **მუსლიმანობა** VII ს-ის 20-იან წლებში არაბეთის ნახევარკუნძულზე (დღევანდელ საუდის არაბეთში) ჩამოყალიბდა. იმ დროს არაბეთის ნახევარკუნძული თითქმის ყველა აღმოსავლური სარწმუნოების თავშესაყარს წარმოადგენდა; მკვიდრი მოსახლეობა ძირითადად წარმართი იყო, მაგრამ ასევე ბლომად იყვნენ ებრაელები და ქრისტიანები, უმეტესად - მწვალებელნი, ბიზანტიის იმპერატორთა მიერ დევნილნი. ყველაზე მეტად იქ ყურეიშელთა ტომი დაწინაურდა, რომელიც პატივს მიაგებდა ღვთაებას **ალლაჰი**. მუჰამედიც, რომელმაც ახალ რელიგიურ სისტემას დაუდო სათავე, ყურეიშელი გახლდათ.

მუჰამედი 570-632 წლებში ცხოვრობდა. დაიბადა და აღიზარდა ქალაქ **მექაში**, რომელიც ყურადღებას პირველ რიგში ტაძარ **ქაბის** გამო იპყრობდა. იქ ესვენა **შავი ქვა**, რომელსაც სასწაულმოქმედ ძალას მიაწერდნენ. ლეგენდის მიხედვით, იგი ალაჰმა უბოძა ადამს. ადამის შვილმა მისთვის ააგო პირველი ტაძარი, რომელიც წარღვნის შემდეგ

## I. ბიბლიური რელიგიები

---

განაახლეს “ალაჰის მეგობრებმა” - აბრაამმა და ისმაილმა. ბუნებრივია, რომ ამ სალოცავს არ აკლდა თაყვანისმცემელთა რიცხვი. მათ შორის აქტიურობდა ვაჭარი მუჰამედი, რომელსაც რთული ცხოვრების გზა განევლო. იგი, ღარიბი ვაჭრის - აბდალაჰის - შვილი, ადრე დაობლებულა და ბავშვობა მოჯამაგირეობაში გაუტარებია. იყო მწყემსი, შემდეგ - ქარავნის გამყოლი (აქლემთა გამრეკავი). მერე მდიდარი ქალი - ჰადიჯა - შეირთო და გახდა ვაჭარი. ჰადიჯა ვაჭრის შვილი იყო და, ორი ქმრის გარდაცვალების შემდეგ, თავადაც ვაჭრობას მიჰყო ხელი. მუჰამედმა და ჰადიჯამ უმწიკვლო ოჯახი შექმნეს და სავაჭრო ოპერაციებს ერთობლივად აწარმოებდნენ.

მუჰამედი ებრაელი და ქრისტიანი სასულიერო პირების ქადაგებებს ისმენდა და რელიგიური აღმაფრენით გამოირჩეოდა. იგი ხშირად განმარტოვდებოდა და ლოცულობდა, რომლის დროსაც მას ზეციური ქადაგება ჩაესმოდა. მუჰამედი, რასაც ისმენდა, თავის მსახურებს და მეგობრებს გადასცემდა, რომლებსაც ეს ნაამბობი ეტრატზე, პალმის ფურცლებსა თუ ქვის ფილებზე გადაქონდათ. ასე შეიქმნა **ყურანი**, რაც არაბულად „კითხვას“ ნიშნავს. მუჰამედის სახელი კი მოციქულის პატივით შეიმოსა.

წარმართებმა მუჰამედის მოკვლა გადაწყვიტეს, რის გამოც მან მექა დატოვა და **მედინაში** გადაიხვეწა. ესაა **ჰიჯრა**, რაც 622 წელს მოხდა. ამ ფაქტს მუსლიმანები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რომ წელთაღრიცხვას იქიდან იწყებენ. პირველი სალოცავი სახლი **მეჩეთი** მათ მედინაში ააგეს. ამის შემდეგ მუჰამედი, ახალი სახელმწიფოს დამაარსებელი და სარდალი, დაბრუნდა და 630 წელს,

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ჰიჯრიდან 8 წლის შემდეგ, ზარ-ზეიმით შევიდა მექაში, სადაც გარდაიცვალა. გვიანდელი ცნობის თანახმად, მუჰამედი იერუსალიმსაც სწვევია და წმიდა ადგილები მოულოცავს. ამიტომ აღნიშნული ქალაქები - მექა, მედინა და იერუსალიმი - მუსლიმანთა უდიდესი საკულტო ცენტრებია.

ისლამური ღვთისმეტყველების ერთ-ერთი საინტერესო საკითხი ყურანის (ქითაბის, ე.ი. წიგნის, არაბ.) ბიბლიასთან მიმართების გარკვევაა. მუსლიმებს სწამთ, რომ ყურანი ზეცაში შექმნილი წიგნია, რომელიც ებოდა ყველა ღირს წინასწარმეტყველს: ადამს, ნოეს, აბრაამს, მოსეს, იესო ქრისტეს და, რა თქმა უნდა, წინასწარმეტყველთა გვირგვინს - მუჰამედს. ყველა ბიბლიური წიგნი, თორა თუ სახარება (ინჯილი), ჩვენამდე შერყვნილი სახითაა მოღწეული. ყურანი არის ერთადერთი, რომელიც სრულყოფილად შეიცავს ჭეშმარიტებას.

ყურანი იზიარებს ბიბლიურ უწყებას სამყაროსა და საზოგადოების თავგადასავალზე, სამყაროს ექვს დღეში შექმნაზე, სამოთხეზე, პირველცოდვაზე, მსოფლიო წარღვნაზე, პატრიარქებზე, რჩეულ ერზე, წინასწარმეტყველებზე, იესო ქრისტესა და მოციქულებზე, მეორედ მოსვლასა და მკვდართა აღდგომაზე. ეს ისტორია არეკლილია მის სტრიქონებსა და სტროფებს - აიებს - შორის. ძველი და ახალი აღთქმის ამა თუ იმ პასაჟს შეხვდებით ყურანის ყოველ გვერდზე. სხვა საკითხია, თუ რამდენად ზუსტად და ობიექტურადაა წარმოდგენილი და გაშუქებული მუსლიმანთა პირველ წიგნში ბიბლიური მოტივები. ფიქრობენ, რომ მუჰამედი საღმრთო წერილს უმუშალოდ არ იცნობდა. ძველი და ახალი აღთქმის ამბები მან ზეპირსიტყვიერი

## I. ბიბლიური რელიგიები

---

გადმოცემებიდან შეითვისა.

მუჰამედი ფიქრობს, რომ ქრისტიანებმა იესოს მოძღვრება სწორად ვერ გაიგეს და დაამახინჯეს. მუჰამედმა უარყო ქრისტიანული დოგმა სამების შესახებ. მას მიაჩნია, რომ სამება სამ ღმერთს ნიშნავს და ქრისტიანებს მრავალღმერთიანობაში სდებს ბრალს. იგი ფიქრობს, რომ ქრისტიანები სამ ღმერთს აღიარებენ: მამას, იესოს და მარიამს. ფიქრობენ, რომ მუჰამედი ქრისტიანული მოძღვრების შეფასებისას იმ სექტის გავლენას განიცდიდა, რომელსაც ღვთისმშობელი ღვთის რანგში აჰყავდა და მას ღმერთს უწოდებდა.

იესო ქრისტეს ქვეყნად მოვლინების მიზეზს ყურანი შემდეგნაირად ხსნის: ვინაიდან მოსეს რჯულს ყავლი გაუვიდა, საჭირო გახდა მისი რეფორმა. ეს მისია დაეკისრა მარიამის ძეს, რომელიც ეუბნება ებრაელებს: „დავამტკიცებ ჭეშმარიტებას, რაც მოგეცათ ჩემამდე რჯულში (იგულისხმება მოსეს კანონები) და დავრთავ ნებას ზოგიერთი რამისა, რაც იყო აკრძალული თქვენთვის“. იესოს (ისას) სახე ყურანში ვრცლადაა წარმოდგენილი. იგი ხალხს ზნეობრივი ცხოვრების გაკვეთილს აძლევს; არის წმიდა და უმანკო. ამასთანავე იქმს სასწაულს, რათა მოციქულებსა და მოწაფეებს შორის რწმენა განამტკიცოს.

გამოსყიდვის ქრისტიანული დოგმატი ისლამისათვის უცხოა. იესო სოფლის მსხნელი და მაცხოვარი კი არ არის, არამედ – წინასწარმეტყველი. მუჰამედი გაკვირვებულია ქრისტიანების რწმენით მესიის ჯვარზე სიკვდილის შესახებ და ამბობს: როგორ დაუშვებდა ღმერთი ასეთი წინასწარმეტყველის სიკვდილს და ისიც სხვათა ცოდვების

## I. ბიბლიური რელიგიები

---

გულისათვის? მუჰამედმა გაიზიარა ზოგიერთი მწვალებლის თეორია და განაცხადა: იესო ქრისტე არ მომკვდარა, მის მაგივრად სხვა (სვიმონ კვირინელი) გააკრეს ჯვარზე, ხოლო თავად ზეცად ამაღლდა ენოქისა და ელიას მსგავსად; პირდაპირ შევიდა სამოთხეში, სადაც ჯერჯერობით, საყოველთაო აღდგომამდე, მხოლოდ წინასწარმეტყველები და მოციქულები ბინადრობენ. მუჰამედს სწამს, რომ იესო ქრისტე კვლავაც მოვა დედამიწაზე, „როცა დადგება საათი“. ეს დრო ხალხისათვის უცნობია. ადამიანები მხოლოდ ნიშნებით მიხვდებიან მის მოახლოებას. ჯერ გამრავლდება ცოდვა: შუღლი, ჭირი და ომები. მერე გამოჩნდება ორი მეომარი ერი – გოგი და მაგოგი, რომელთა შეტაკების დროს განადგურდება კაცობრიობა. ამ დროს აღდგება საოცარი ცხოველი, რომელიც „ნიშანს დაადებს“ მორწმუნეთ და ურწმუნოთ, მაშინ მოვა ქვეყნად იესო და ყველა ირწმუნებს მას.

ისლამი, როგორც ყველა რელიგია, ორი ნაწილისაგან შედგება: დოგმატებისაგან და კულტისაგან. მისი დოგმატიკა ხუთ მცნებას (ბურჯს) ეფუძნება: 1. ერთი ღმერთის, ალაჰის რწმენა; 2. ანგელოზების რწმენა; 3. საღვთო წერილის რწმენა; 4. საყოველთაო აღდგომისა და უკანასკნელი სამსჯავროს რწმენა და 5. ბედისწერის რწმენა.

ისლამურ ღვთისმსახურების ძირითადი ელემენტებია რწმენის ფორმულა (შაჰადი): „ლა ილაჰა ილლა-ლ-ლაჰუ ვა მუჰამადუ რასულუჰუ“ (არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამედი ალაჰის მოციქული), დღეში ხუთგზის ლოცვა, მშრალი მარხვა, მოწყალება (ზაქათი) და პილიგრიმოზა (ჰაჯი) ანუ სალოცავად მოგზაურობა მექასა და მედინაში.

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ლოცვას, როგორც წესი, წინ უძღვის მოსამზადებელი საფეხური – განბანა. ყოველი ლოცვა ზემოაღნიშნული ფორმულით იწყება: “არ არს ღმერთი...” ამ ფორმულას მუსლიმანი წარმოთქვამს ყველგან, ყოველ მნიშვნელოვან მომენტში, მათ შორის - სიკვდილის წინ.

მუსლიმთა უდიდესი დღესასწაულებია: ურაზა-ბაირამი (გაზაფხულის მარხვის, რამაზანის, დამთავრება), ყურბან-ბაირამი (ურაზა-ბაირამიდან 70 დღის შემდეგ: ესაა მსხვერპლშეწირვის დღე, - კლავენ ცხოველებს), მავლიდი - მუჰამედის დაბადების დღე, მიჰრაჯი - მუჰამედის ზეცად ამაღლების დღე, შაჰსეი-ვაჰსეი ანუ აშურა და სხვა. შაჰსეი-ვაჰსეი სამელოვიარო დღესასწაულია, რითაც შიიტები (იხ, ქვემოთ) მუჰამედის შვილიშვილისა და სიძის - ჰუსეინისა და ალის - მოწამებრივ ღვაწლს იხსენიებენ. ძლოცველები შედიან ექსტაზში, რასაც თვითგვემა ახლავს.

მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ დაისვა კითხვა: ვინ გამხდარიყო მისი, როგორც მოციქულის, მემკვიდრე, ე.ი. ხალიფა (სულიერი და პოლიტიკური ლიდერი)? მორწმუნეთა აზრი ორად გაიყო. ნაწილი პიროვნული ღირსების პრინციპს აძლევდა უპირატესობას, ნაწილი - შთამომავლობას. გაიმარჯვა პირველმა პარტიამ და მოციქულის მოსაყდრედ ჯერ აბუ-ბაქრი გამოცხადდა, შემდეგ ომარი და შემდეგ ოსმანი. როდესაც მეოთხე ხალიფას არჩევის დრო დადგა, ის პარტია გააქტიურდა, რომელიც მემკვიდრეობითობის პრინციპს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ პარტიამ მაშინ თავისი გაიტანა და ხალიფას პოსტი მუჰამედის სიძემ ალიმ დაიკავა. ატყდა ომი, რომელმაც 661 წელს ალი შეიწირა. იმ დღიდან მუსლიმთა სამყარო



## I. ბიბლიური რელიგიები

---

ორ ბანაკად გაიყო: **სუნიტებად** (აღმოსავლეთის მოწინააღმდეგეებად) და **შიიტებად** (აღმოსავლეთის მომხრეებად). ორივე არაბული სიტყვაა: სუნა გადმოცემას (ტრადიციას) ნიშნავს, შია - პარტიას, ამხანაგობას. პირველნი თავიდანვე უმრავლესობას წარმოადგენდნენ, მეორენი დღესაც უმცირესობაში არიან (დაახლოებით 12%).

ისლამში სხვა მომდინარეობები და რელიგიურ-ფილოსოფიური თეორიებიცაა ცნობილი. მათგან აღსანიშნავია **სუფიზმი**. მისი უდიდესი წარმომადგენელი და თეორეტიკოსია **ლაზალი**. მან არაბულ ენაზე შექმნა ტრაქტატები, რომლებშიც წარმოდგენილია პიროვნების სულიერი სრულყოფის სისტემა. შეიძლება ითქვას, რომ სუფიზმი არის ისლამის ეზოთერული (შინაგანი) მხარე, რომლის მიზანი პიროვნებაში აბსოლუტის აღმოჩენა და ინდივიდის უზენაესთან ზიარებაა. მასწავლებლებს შეიხები ჰქვიათ, მწირ-მოძღვრებს - დერვიშები, მოწაფეებს - მიურიდები.

დღეისათვის მსოფლიოში მილიარდზე მეტი მუსლიმი ცხოვრობს. მათ შორის საქართველოს მოქალაქეებიც არიან, რომელთა რიცხვი დაახლოებით ნახევარი მილიონია.

საქართველოს გეოგრაფიული და ისტორიული პირობების გამო ისლამურ სამყაროსთან ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა, რამაც კვალი ქართული კულტურის ისტორიასა და ეთნოგრაფიულ ყოფაშიც დატოვა. „ოქროს ხანას“ და აღორძინების პერიოდში (XI-XIII და XVI-XVIII სს.) ქართულ ენაზე ისლამური სიტყვაკაზმული მწერლობის ბევრი პირველხარისხოვანი ძეგლი ითარგმნა. უეჭველია, რომ გამუსლიმანებული ქართველებიდან შემოქმედებითი უნარით არა ერთი და ორი პიროვნება

## I. ბიბლიური რელიგიები

---

გამოირჩეოდა. მათგან ზოგი მშობლიურ ენაზე აგრძელებდა მოღვაწეობას (მაგალითად, XVII ს-ის ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე), უმრავლესობა კი სხვაენოვან გარემოს შეესისხლხორცა. მათი სახელების გამოვლენა და წარმოჩენა ჩვენი აღმოსავლეთმცოდნეების კვლევა-ძიების საგანია.

აჭარელი და აფხაზი და ჩრდილოკავკასიელი (ქისტები, დაღესტნელები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ) მუსლიმები სუნიტები არიან. მათი ზუსტი რიცხვი ცნობილი არაა. აღმოსავლეთ საქართველოში, აზერბაიჯანელთა შორის, შიიზმია გავრცელებული. თბილისის მეჩეთი აღმოსავლეთ საქართველოს მუსლიმთა ცენტრად ითვლება. იქ აღმოსავლეთ საქართველოს მთავარი მოლა და ახუნდი (ზედამხედველი) მსახურობს (ბ-ნი ალი ალიევი). თბილისის მეჩეთში შიიტები და სუნიტები ერთად ლოცულობენ, რაც იშვიათობაა.

გამუსლიმებული ქართველები, შუასაუკუნეობრივი ეროვნულ-პოლიტიკური ხედვისა და მენტალიტეტის თანახმად, ქართველებად აღარ ითვლებოდნენ. თანამედროვე ცნობიერებით, ეს გაუგებრობაა და ამ გაუგებრობისაგან ჩვენი ხალხი მთლიანად გათავისუფლებული დღესაც არაა, რაც აზიანებდა და აზიანებს ეროვნული ერთიანობის იდეას. ამ იდეის მიხედვით ქართველი ერი - ქრისტიანიც და მუსლიმიც - არის ერთიანი და განუყოფელი. თუ გვინდა გავუფრთხილდეთ მას, პატივი უნდა ვცეთ თითოეულის სინდისს და სარწმუნოებას კეთილმორწმუნე დავით აღმაშენებლის მსგავსად.

მაგალითად ჩვენი ქვეყნის ახლო წარსულიდან საქართველოს დამფუძნებელი კრების ოფიციალური განცხადებაც გამოგვადგება:

## I. ბიბლიური რელიგიები

---

„... ნურავინ იფიქრებს, რომ სარწმუნოება ხელს შეუშლის ქრისტიან და მაჰმადიან ქართველების ერთობას. რჯული რჯულია, მაგრამ სისხლი და ეროვნება კიდევ სხვაა. ჩვენ მაჰმადიან ძმებს რჯული აერთებს სხვა მაჰმადიანებთან, მაგრამ ენით, სისხლით, იერით ქრისტიან ქართველებთან არიან... ქრისტიანი ქართველები არ ვიცნობთ მაჰმადის სარწმუნოებას და ბევრს ჰგონია, რომ იგი საერთოდ განათლებისა და დაწინაურების წინააღმდეგია. ეს მართალი არაა. არაბები და სპარსელები მაჰმადიანები არიან, მაგრამ ერთ ღროს თავის განათლებით ევროპის ყველა ერზე მაღლა იდგნენ. თვითონ მოციქული მაჰმადი ქრისტიანების სახარებას დიდად აფასებდა და ამბობდა - სახარება ღვთისგან მოვლენილი წიგნიაო. მაჰმადის ყურანში ბევრია ქადაგება სიყვარულისა და კეთილი საქმეების და ყოველი ქრისტიანი ქართველი ყოველთვის პატივს უნდა სცემდეს მაჰმადის რჯულს, რომლის აღმსარებელია მრავალი მილიონი სხვადასხვა ხალხი და რომელსაც მისდევს ჩვენი ღვიძლი ძმებიც. მაჰმადის რჯული ჩვენი ძმების რჯულია და მუდამ განსაკუთრებულის ყურადღებით უნდა ვეპყრობოდეთ მას. პატივს უნდა ვსცემდეთ ყოველი ადამიანის რჯულს, მით უფრო ძმისას.

უნდა გავიმეოროთ კიდევ ერთხელ: რჯული სხვადასხვა გვაქვს მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს, მაგრამ ორივენი ერთი საქართველოს შვილები ვართ. ერთი ენა, ერთი სისხლი, ერთი ხასიათი გვაქვს. ჩვენი ძალა შეერთებაშია. ბედნიერებას მხოლოდ ერთობა და ძმობა მოგვიტანს.

არავინ უნდა დაივიწყოს ეს. ამისათვის უნდა ვმუშაობდეთ ყველა“ (“მაჰმადიანი ქართველები“, ტფ. 1920, გვ. 15-16).

## ბაჰაიზმი



„ბაჰაის სარწმუნოება“ ახალი ეპოქის ნაყოფია. მისი სამშობლო ირანია, დამაარსებლები – **ბაბი** და **ბაჰა-ულა**. სახელი არაბულია და „ღვთის დიდებას“ ნიშნავს.

ბაბი და ბაჰა-ულა XIX ს-ის შუა წლებში ცხოვრობდნენ. ისინი მუსლიმები იყვნენ, მაგრამ ქრისტიანული და სხვა მონოთეისტური ლიტერატურით დაინტერესდნენ და, ღვენიასა და საპყრობილეს მიუხედავად, საკუთარი რელიგიურ-თეოლოგიური სისტემის შემუშავება და გავრცელება მოახერხეს. ამ საქმეში ყველაზე დიდი წვლილი ბაჰა-ულას უფროს ვაჟს **აბდულ-ბაჰას** მიუძღვის, რომელმაც მამის ხვედრი გაიზიარა: დიდხანს იჯდა სატუსალოში, მაგრამ ირანის შაჰმა, რომელსაც ჰუმანიზმსა და ცივილიზაციაზე პრეტენზია ჰქონდა, იგი გაათავისუფლა და საზღვარგარეთ წასვლის საშუალება მისცა. მან, ხანდაზმულობის მიუხედავად, ევროპისა და ამერიკის კონტინენტები შემოიარა და მიმდევართა შესამჩნევი რიცხვი შეიძინა. ასე რომ, ბაჰაელთა სარწმუნოებას საბოლოო სახე აბდულ-ბაჰამ მისცა.

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ბაჰაელები რწმენით ღმერთმა სამყარო სიყვარულით შექმნა და ადამიანები იმდენად უყვარს, რომ მათთან აღთქმა ანუ ხელშეკრულება დადო. ხელშეკრულება კი ორმხრივ ვალდებულებას გულისხმობს, რის გამოც ღმერთი ჩვენ ობლად არ გვტოვებს და თავის ნებას და განზრახვას გვატყობინებს. როდესაც კაცობრიობა გზიდან გადაუხვევს და სულიერად ავადდება, ღმერთი დედამიწაზე თავისი ნების წარმომჩენსა და განმცხადებელს გზავნის. იგი ადამიანებს ღვთის სიტყვას და განზრახვას აუწყებს. ამგვარი განმცხადებელი ძველ დროში ქრისტე იყო, ახალ დროში კი - ბაჰა-ულა. ერთიც და მეორეც, ბაჰაელები თქმით, ისე არეკლავენ ღვთის სახეს, როგორც გაპრიალებული სარკე მზის სხივებს. თუ გვინდა შევიმეცნოთ ღმერთი და გავიგოთ მისი ნება, ქრისტეს და ბაჰა-ულას უნდა მოვუსმინოთ. ღვთის ნება კი ერთი მწყემსის ერთ სამწყსოში კაცობრიობის გაერთიანებაა.

ბაჰაის სარწმუნოების არსებითი ნიშანი რასებისა და ტომების ერთიანობისკენ მოწოდებაა. ბაჰაელები იდეალი კაცობრიობის ერთი სარწმუნოების ორბიტაში გაერთიანება და ამ სახით ღვთის სასუფევლის დედამიწაზე დამკვიდრებაა. მათი თქმით, კაცთა მოდგმა მშვენიერი ბაღის მსგავსია, სადაც სხვადასხვა ფორმისა თუ სურნელის ყვავილები ხარობენ. მშვენიერების საწინდარი სწორედ ყვავილების სიმრავლე და მრავალფეროვნებაა. კაცობრიობის ხიბლიც რასათა და ტომთა ნაირგვარობაა. „ადამიანებო, თქვენ ერთი ხის ნაყოფები და ერთი ტოტის ფოთლები ხართ!“ - ქადაგებს ბაჰა-ულა.

ბაჰაელები ღვთისმსახურების მთავარი მომენტი

## I. ბიბლიური რელიგიები

---

ყოველდღიური ინდივიდუალური ლოცვაა. ლოცვა შესაძლებელია ყველგან, რადგან ღმერთი ყველგანმყოფია: საგანგებო შენობები საჭირო არაა. მთავარი აქცენტი პიროვნების გაუმჯობესებაზე უნდა იქნას გადატანილი, უნდა აიკრძალოს მაგარი სასმელები და უაზრო გართობები, რათა საზოგადოებაში მშვიდობამ და ჰარმონიამ დაისადგუროს. ბაჰა-ულას მოძღვრება „ახალ მსოფლიო წესრიგს“, ახალი ქვეყნის მშენებლობას გულისხმობს.

საქართველოში, თბილისში, 1993 წლიდან „ბაჰაის სასულიერო ასამბლეა“ მოქმედებს, რომელიც ქვეყნის მასშტაბით 500-მდე მოქალაქეს აერთიანებს.

## II არაბიბლიური რელიგიები ზოროასტრიზმი და იეზიდები



ზოროასტრიზმი სპარსეთში ჩაისახა და აღმოცენდა. ამის გამო მას ხშირად **ფარსიზმსაც** ეძახიან. მისი დამაარსებელია **ზოროასტრი** ანუ **ზარათუშტრა**. ამ სახელისგანაა წარმომდგარი ტერმინი - **ზოროასტრიზმი**.

ზარათუშტრა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ძვ.წ. VII-VI სს-ში. იგი იყო მაზდეანი ანუ ღვთაება **აჰურამაზდას** ერთგული მსახური. ასე რომ, **ზოროასტრიზმი მაზდეანობის მემკვიდრეა**.

მაზდეიზმი ერთ-ერთი უძველესი **დუალისტური რელიგიაა**. სახელწოდება დაკავშირებულია უზენაეს და კეთილ ღვთაებასთან - აჰურამაზდასთან. იგი გავრცელებული იყო სპარსელთა წინაპრებს - არიელებს შორის. მის დოგმატებსა და ღვთისმსახურების წესებს საბოლოო სახე ზარათუშტრამ (ბერძნული წარმოთქმით - „ზორო-

## II. არაბიბლიური რელიგიები

---

ასტერ“, იგივე ზარატუსტრა) მისცა, რისთვისაც უკანასკნელს მოიხსენიებენ რეფორმატორად და წინასწარმეტყველად. მან დაწერა **გათების** ანუ საგალობლების კრებული, რომელიც შესულია აღნიშნული რელიგიის ფუძემდებელ წიგნში - **ავესტაში**

უზენაესი ღვთაებაა **აჰურამაზდა** ანუ **ორმუზი**. მას დასაბამიდანვე უპირისპირდება და ებრძვის **არიმანი** - ბოროტებისა და წყვდიადის მეუფე. ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის განუწყვეტელია. ეს ჭიდილი კი, თავის მხრივ, მსოფლიოს განვითარებისა და ცივილიზაციის საფუძველს წარმოადგენს, რადგან სიკეთე უძლეველია. აჰურამაზდას გვერდით კეთილი ძალები ღვანან. ესენია: მისი შვილი **მითრა**, რომელიც ციდან ქვეყნად ჩამოვიდა და კაცის სახე მიიღო. აგრეთვე კეთილი ანგელოზები, ე.წ. **იაზატები**. ხოლო არიმანთან ბოროტი სულები - **დევები** არიან, იგივე დემონები და ეშმაკები. აჰურამაზდას სიმბოლოა **ცეცხლი**. იგი ასახიერებს ღვთის სამართალს. ამიტომაც, ქადაგებდა ზარათუსტრა, ადამიანმა პატივი უნდა მიაგოს ცეცხლს, როგორც მართლმსაჯულების ამქვეყნიურ სახეს. ცეცხლი ადამიანს უნდა ახსენებდეს ზეციურ სამსჯავროს და იქ ჩაუქრობელ ალს, რომ იყოს ფხიზლად, - არ გადაიქცეს გვენიის ტყვედ. აქედან წარმოდგება **ცეცხლთაყვანისმცემლობა**.

მაზდეანურ ტაძრებში, საკურთხევლის წინ, ჩაუქრობლად ენთო კოცონი, რასაც მორწმუნენი სასოებით ემსახურებოდნენ. პიროვნების უზენაესი ვალია, გააკეთოს არჩევანი სიკეთის სასარგებლოდ, თითოეულმა ჩვენგანმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ბოროტების შემუსრვის საქმეში. ზარატუსტრა ამბობდა: ბოროტების დაძლევის საშუალებაა



## II. არაბიბლიური რელიგიები

---

„კეთილი აზრი“, „კეთილი სიტყვა“, „კეთილი საქმე“.

საისტორიო წყაროები ადასტურებს, რომ ზორო-ასტრიზმი ერთ დროს საქართველოშიც იყო გავრცელებული. ეს ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული სისტემა საუკუნეთა მანძილზე სპარსეთის სამეფო დინასტიების – აქემენიდებისა და სასანიანების – ოფიციალური კონფესია იყო. ჩვენს ქვეყანას პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად ძველთაგანვე მჭიდრო კავშირი ჰქონდა მეზობელ ქვეყნებთან. მათ შორის, აღმოსავლეთის ცივილიზაციებთან და ცხადია, ეგრისისა და იბერიის სამეფოებშიც შემოაღწევდა ორმუზდისა და მითრას კულტები, ე.ი. ცეცხლთაყვანისმცემლობა. ამას ადასტურებს ჩვენამდე მოღწეულ ლიტერატურულ ძეგლთა შორის უძველესი - წმ. შუშანიკის, წმ. ევსტათისა და წმ. აბიბოს ნეკრესელის „წამებანი“.

მითრაიზმის კვალი, ისტორიულ-ლიტერატურული ტექსტების გარდა, გამოვლენილია ძველ ქართულ ონომასტიკონშიც (საკუთარ სახელებში): მითრიდატე, მირდატ („მითრას ბოძებული“), მირიან („მითრასეული“) და სხვა. აგრეთვე - ეთნოგრაფიაში. დასავლეთ საქართველოში - სამეგრელოს, სვანეთსა და გურიაში - შემორჩენილია წეს-ჩვეულება, რომელსაც მისრობა (მირსობა) ეწოდება. ესაა დიდმარხვის წინა დღეებში, ყველიერის ორშაბათამდე, ღორის დააკვლა, რომელსაც გარკვეული რიტუალი ახლავს. ამ დროს „მირსას“, როგორც სინათლის ღვთაებას, ხალხი თვალის ჩინსა და გამჭრიახობას შესთხოვს.

ზოგიერთი ქრისტიანი ღვთისმეტყველი და რელიგიათა მკვლევარი ფიქრობს, რომ მაზდეანობა და მითრაიზმი

## II. არაბიბლიური რელიგიები

---

ქრისტეს ქვეყნად მოსვლას მისტიურად, დაფარულად წინასწარმეტყველებდა და მარადიული ქრისტეს განკაცებას მოასწავებდა. მას შემდეგ, რაც დედამიწაზე მხსნელი მოვიდა, ზარათუშტრას მოძღვრებამ მისია ამოწურა და რამდენიმე საუკუნის განმავლობაში არსებობას ინერციით განაგრძობდა.

დღეისათვის იგი შეცვლილი სახითაა შემორჩენილი ინდოეთსა და ირანში: ინდოეთში - **ფარსების სექტა**, ირანში - **გებრებისა**. ზოროასტრიზმის ელემენტებს შეიცავს აგრეთვე იეზიდების რელიგიური რწმენა და პრაქტიკა.

**იეზიდები** ანუ, როგორც თავიანთ თავს უწოდებენ, **ეზიდები** ეთნიურად და ენობრივად ქურთები არიან. იეზიდების რელიგია სინკრეტულია, ახლოს დგას ზოროასტრიზმთან, მაგრამ, ამავე დროს, მასში ქრისტიანობის, იუდაიზმისა და ისლამის ელემენტებიცაა ასახული.

იეზიდები აღიარებენ ერთ ღმერთს და თაყვანს სცემენ ამომავალ მზეს, რომელიც, მათი რწმენით, ღვთის ამქვეყნიური ხატია. თაყვანს სცემენ აგრეთვე ვარსკვლავებს, მთვარეს და ცეცხლს. მათი მთავარი დღესასწაულია “მზის დაბადება“, რომელიც 20 დეკემბერს აღესრულება. მორწმუნეთა საზოგადოება ორ კასტადაა გაყოფილი – საეროდ (მიურიდებად) და სასულიეროდ. სასულიერო წოდება იერარქიულია: არიან **ფირები** და არიან **შეიხები**.

საქართველოსა და სომხეთში ქურთ-იეზიდები 1875 წლის ახლო ხანს თურქეთიდან გადმოსახლდნენ, მეორე ნაკადი კი 1917-1918 წლებში შემოვიდა. საქართველოში მათი რიცხვი დღეს 30 000-ს აღწევს. აქვთ სათვისტომო და კულტურის ცენტრი.

## ინდუიზმი



ინდუიზმი ინდოეთის ნახევარკუნძულზე ჩამოყალიბდა. იგი ირანულ-სირიული და ინდოეთის ადგილობრივი კულტების შერწყმის შედეგად შეიქმნა. აბორიგენების ძველი რელიგია, რომელიც თანამედროვე მეცნიერებაში **ვედების** სახელითაა ცნობილი, პოლითეისტური იყო, მაგრამ ძ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე მონოთეიზმში გადაიზარდა, თუმცა მრავალმერთიანობის ელემენტები შეინარჩუნა. ასე შეიქმნა **ინდუიზმი**.

ინდუსთა წმინდა წიგნებია: **ვედები**, **ბრაჰმანა** (ახსნა), **არანიაკა** (ტყის წიგნი), **უპანიშადები** (კომენტარები) და **სუტრა** (სიტყვასიტყვით: ძაფი, სამართი, თარგი). მათ გვერდით ღვას **მაჰაბჰარატა** (დიდი ბჰარატა), - ვრცელი პოემა, რომლის ფასი ინდოელთა სულიერი კულტურისათვის განუზომელია. ამას ცხადყოფს ინდოეთის რესპუბლიკის სახელი ჰინდი ენაზე - ბჰარატა.

## II. არაბიბლიური რელიგიები

---

„მაჰაბჰარატა“ გვამცნობს ისტორიულ, ძვ.წ. XI-X სს-ის, ამბავს - ძალაუფლებისათვის ბრძოლას ბჰარატთა გვარის ორ შტოს - პანდავებსა და კაურავებს, ე.ი. პანდუსა და კურუს შთამომავლებს შორის. ეს იყო სასტიკი ომი, რასაც აურაცხელი მსხვერპლი მოჰყვა. სისხლმა დააფიქრა საზოგადოება და გააღვივა მშვიდობისა და სათნოების იმპულსი; შერიგების, პატიების, შეწყალების, საღმრთო ვალის (დჰარმის) შეგნება. ამ წიგნში გამორჩეული ადგილი „ბჰაგავადგიტას“ უჭირავს, რომელშიც მეეტლისა და სარდლის – კრიშნასა და არჯუნას - დიალოგია წარმოდგენილია. კრიშნა ღმერთია, მოვლენილი დედამიწაზე პანდავების ნათესავად, მეგობრად და სამხედრო მრჩევლად, მათი გამარჯვების საწინდრად. ამკობს ეპითეტები: ბრძენი დამრიგებელი, მეომარი, ბოროტ სულთა დამმარცხებელი, ღვთაებრივი მწყემსი. ლეგენდები მის სიყვარულზე მწყემსი გოგონებისადმი უძველესი დროიდან შესულია ინდურ ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

ინდუსთა რწმენა რეზიუმეს სახით ასე გამოითქმის:

1) არსებობს ის, მხოლოდ ერთი, - სხვის გარეშე; 2) ესაა - შენ; 3) მე თავად ვარ ბრაჰმა. ეს ფორმულები მოკლედ ასე იშიფრება: ხილული და არახილული სამყარო, მიკროკოსმოსი და მაკროკოსმოსი არსობრივად ერთი და იგივე რეალობაა - ერთი სინამდვილის ორი გამოვლინება. ეს ქვეყანა არის მათა, ილუზია. მისი ხილვა და განცდა „უვიცობის“ (ავიდიას) შედეგია. ვინც განიკურნება უვიცობისაგან, თვალს გაუსწორებს ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტების მეცანი კი ყველგან და ყველგან ჭვრეტს ერთს, რადგან მისი სული (ატმანა) არის მსოფლიო

## II. არაბიბლიური რელიგიები

---

სულის ანუ უმაღლესი ღვთაების (პარამა-ატმანას) ნაწილი, ხოლო მიზანი – მასთან ერთყოფა, **სამადჰი**, რომელიც ითარგმნება „დანთქმად“ (იგულისხმება – უფლის წიაღში დამკვიდრება).

ბრაჰმა არის სამყაროს სული, რომლისგანაც შედგება ყოველი და რომელიც ყველგან სუფევს. ბრაჰმა იხილვება ყოველ საგანში, წუთისოფლის ნებისმიერ მოვლენაში: ქვაში, ხეში, ცხოველში, ცხადია - ადამიანში, ქარსა თუ მზეში, ომსა თუ ქორწილში. აქედან გამომდინარეობს მისი ეპითეტებისა და სიმბოლოების სიმრავლე. მეტადრე - საკულტო ხელოვნების თავისებურება, ინდუსთა ტაძრების მრავალგამოსახულებიანი ბარელიეფები. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იქ უამრავი ღმერთია, მაგრამ თევზების, გველების, ყვავილებისა და სხვათა სახით მორწმუნე თაყვანს სცემს ბრაჰმას, რომელმაც მიიღო ეს ღროებიანი და ილუზიური ფორმები. ამდენად, ბრაჰმა სამყაროშია და სამყარო ბრაჰმაში. ესაა პანთეისტური თვალსაზრისი, რასაც ეფუძნება ინდუსთა კოსმოლოგია. ბრაჰმა მარტო არ არის: სუფევს ორ თანაარსთან - **ვიშნუს** (ვედების მიხედვით, რუდრასა) და **შივასთან** - ერთად. ესაა ტრიმურტი, რაც ერთარსება-სამების ქრისტიანულ დოგმატს მოგვაგონებს. ტრიმურტი არის ერთი და იგივე ღვთაების სამი გამოვლინება, სამი სხვადასხვა ფორმა, სამი გვამი. მაჰაბჰარატას დამატებაში - გარივანშაში - ვკითხულობთ: „ის, ვინც არის ვიშნუ, არის იმავდროულად შივა; ის, ვინც არის შივა, არის ბრაჰმა. არსებით ერთია, მაგრამ სამი ღმერთია: შივა, ვიშნუ, ბრაჰმა“. ტრიმურტი აერთიანებს სამ კოსმიურ

## II. არაბიბლიური რელიგიები

---

პრინციპს - შემოქმედებას, ნგრევას და შენარჩუნებას: შემოქმედია ბრაჰმა, დამანგრეველი – შივა, ხოლო მცველი ანუ შემანარჩუნებელი - ვიშნუ. სამივე არსებობს ერთ ღვთაებაში და თითოეული - სამებაში.

ტრიმურტს გამოსახავდნენ სამთავიან არსებად: შუაში ბრაჰმა, მარჯვნივ ვიშნუ და მარცხნივ შივა.

ხილული სამყარო არსებით ასეთია: ქმნილებები დახარისხებულნი არიან ზეალმაგალი კიბის მსგავსად. ღმერთი წუთისოფლის ყოველ საგანში სუფევს სხვადასხვა დოზით, ყველაზე მეტად კი ადამიანში. ამიტომაც ითვლება პიროვნების, ინდივიდის, ე.ი. „მეს“ სული უზენაესი არსის - ღმერთის - ნაწილად, მის ანასხლეტად. აქედან ცხადია ყოველი სულდგმულის იდეალი - განიცადოს სამადჰი და დაუბრუნდეს პირველ საწყისს. ეს მარტივად არ ხდება: უზენაესთან მისაახლებლად სულს მომზადება სჭირდება. მან უნდა გაიაროს განწმენდისა და გაუმჯობესების ვრცელი გზა. ამისათვის ერთჯერ დაბადება არ კმარა. პიროვნება დედამიწას ევლინება სხვადასხვა დროს და აღნიშნული გზაც რამდენიმე ცხოვრების ჯაჭვისაგან შედგება. ამას გვაუწყებს მოძღვრება კარმასა და სამსარაზე. ესაა მეტემფსიქოზი ანუ რეინკარნაცია. ე.ი. ხელახალი განსხეულების, სულების გარდასახვის რწმენა და თეორია.

**კარმა** არის კეთილი და ბოროტი საქმეების ჯამი, რასაც წუთისოფლის სტუმარი ყოველ ნაბიჯზე დაატარებს როგორც ტვირთს. კარმაზეა დამოკიდებული ადამიანის ბედი, მისი მომავალი. ამიტომაც, ბუნებრივია, ადამიანი ცდილობს პირადი კარმის გაუმჯობესებას, ტვირთის შემსუბუქებას. ბოლოს კი - უღლის, ე.ი. კარმის თავიდან

## II. არაბიბლიური რელიგიები

---

მოშორებას, მოსპობას, რადგან იგი ქვეყნიდება სულს და ატყვევებს დედამიწაზე.

კარმა არის მიზეზი იმისა, რომ ადამიანი დაქვემდებარებულია **სამსარას** (გამოითქმის „სანსარად“). ეს სიტყვა სანსკრიტზე ნიშნავს „მოგზაურობას“. მოცემულ შემთხვევაში - სულის მოგზაურობას სხეულიდან სხეულში, არსებიდან არსებაში. ე.ი. სამსარა არის ახალ-ახალ დაბადებათა, ახალ-ახალ გარდასახვათა, განსხეულებათა წრებრუნვა.

რით შეიძლება დავაღწიოთ თავი სამსარას? - წუთისოფლის უკეთურებათა დათრგუნვით, განწმენდით, განსპეტაკებით და ამაღლებით.

ინდუსთა რწმენით, ღმერთებმა საზოგადოება დაყვეს **ვარნებად** ანუ, ევროპული ტერმინით - **კასტებად**. „ვარნა“ ნიშნავს ფერს. კაცობრიობა შედგება ოთხი ფერის ანუ ვარნასაგან: **ბრაჰმანების, ქშატრიების, ვაიშიების და შუდრებისაგან**. უმაღლესი ფენა ბრაჰმანთა ვარნაა. ვარნა შთამომავლობითი ინსტიტუტია: ადამიანი, დაბადებული რომელიმე ვარნაში, რჩება ამ ვარნის წარმომადგენლად სიცოცხლის ბოლომდე. თუ რომელ ვარნად უნდა მოეკლინოს დედამიწას კონკრეტული სული, განაპირობებს წინარე ცხოვრებაში ჩადენილი საქმეების შედეგი, ე.ი. კარმა. ვინც წესიერ, ღვთისმოსაწონ ცხოვრებას ეწევა, მისი შემდეგი განსხეულება უმაღლეს ვარნაში აღესრულება. ხოლო უღირსი - მდაბალი ადამიანი ქვემო რანგს დაუბრუნდება, ანდა სულაც ცხოველად ან ჭიად მოეკლინება ქვეყანას.

ინდუსთა საერთო რიცხვი 2000 წლის მონაცემებით 859 მილიონამდე აღწევს.

## ბუდიზმი



ბუდიზმი გავრცელებულია აღმოსავლეთ აზიაში, მაგრამ მიმდევარნი თითქმის ყველა კონტინენტზე ჰყავს. წარმოიშვა ძვ.წ. VI-V სს-ში ჩრდილოეთ ინდოეთში, სადაც მისი დამაარსებელი, ბუდა, ცხოვრობდა.

ბუდა ინდოეთის ერთ-ერთი ტომის, შაკიების, უფლისწული იყო. მისმა დედამ - მაიამ (მაჰა-მაიამ „დიდმა მაიამ“) შვილის დაბადებამდე სიზმარში თეთრი სპილო იხილა, რომელიც ფერდში შეუვიდა. სიდჰარტაც, ასე დაარქვეს ბავშვს, დედის ფერდიდან დაიბადა, დედა კი გარდაიცვალა. მოგვებმა მამამისს უწინასწარმეტყველეს: შენი შვილი მეფე გახდება, ოღონდ არა ამა ქვეყნისაო. მშობელი, ამის გამგონე, დაიზაფრა, რადგან არ სურდა, რომ მემკვიდრე რელიგიურ მოღვაწეობას შედგომოდა და ამქვეყნიურ დიდებაზე უარი ეთქვა. იგი შვილს ფუფუნებაში - საგანგებოდ მოწყობილ სასახლესა და ბაღნარში ზრდიდა, გარესამყაროსაგან იზოლირებით; ცდილობდა მომავალ მეფეს ცხოვრების ჭირვარამი და ჩრდილოვანი



## II. არაბიბლიური რელიგიები

---

მხარეები არ ეხილა, წუთისოფლის ხმაურს მის ყურამდე არ მიეღწია, რომ მისგან განშორების სურვილი არ გასჩნოდა. მიუხედავად ამისა, სიდჰარტა თავს ბედნიერად ვერ გრძნობდა. ხშირად განმარტოვდებოდა, დაჯდებოდა სადმე კუნჭულში და მიეცემოდა ფიქრებს. მამას არ ეამა ეს ფაქტი. იფიქრა: შვილი განდევილად არ წავიდესო და სასწრაფოდ შერთო მშვენიერი ასული - იასიდორი.

მაგრამ მოხდა საბედისწერო რამ: 29 წლის იყო უფლისწული, როცა ინება და მსახურთან ერთად სრასასახლის გალავანს გადააბიჯა. სიდჰარტამ ოთხი „სიახლე“ იხილა, რამაც შეძრა იგი და შეცვალა მისი ცხოვრება. მას ჯერ საზარლად დაწყლულებული, სნეული ადამიანი შემოეყარა, მერე კი - წელში მოხრილი, ღრმად მოხუცი კაცი; ნახა შრომისაგან ილაჯგაწყვეტილი, მშვიერი და დაგლახაკებული არსება; წააწყდა სამგლოვიარო პროცესიას, და ბოლოს დაინახა მძიმე ფიქრებში ჩაფლულ-ჩაძირული მოხეტიალე განდევილი.

ჰკითხა მსახურს მიხრწნილ მოხუცზე: ნუთუ ასეთი დაიბადაო? - არა, ის ისეთივე ახალგაზრდა და აყვავებული იყო, როგორც შენ; მერე ბევრია მაგისტანაო? - ბევრი, ჩემო ხელმწიფევე, ასეთია ცხოვრების კანონი, ყველანი უნდა დავბერდეთო; მეცო? - დიახ, ჩემო ხელმწიფევე, შენც!

... და უფლისწულმა იმავე ღამით დატოვა სასახლე, ახალგაზრდა ცოლი, თოთო ვაჟი და განმხოლოვდა საზოგადოებისაგან; იწყო ფიქრი, თუ როგორ უნდა დაეხსნა თავი ადამიანს ბოროტებისა და სატანჯველისაგან. შვიდი წლის მანძილზე სიდჰარტა გაუტამა ამაოდ თრგუნავდა

## II. არაბიბლიური რელიგიები

---

ხორცს, ამაოდ გვემდა საკუთარ სხეულს, რათა გამოეცხადებინა თავისი უზრუნველი და ფუფუნებიანი ცხოვრება სასახლეში; ამაოდ უკირკიტებდა წმიდა წიგნებს ამ წუთისოფლის საიდუმლოს ამოსახსნელად. ასე უშედეგოდ გრძელდებოდა თვითგვემა...

და, აი, ერთი მდინარის ნაპირას, **ბოდჰის ხის ძირას**, იგი გასწვივდა: გამოეცხადა ოთხი ჭეშმარიტება. აქ დაერქვა მას ბუდჰა („გასწვივებული“). მისი პირველი ზრახვა იყო ხალხისათვის გაეცხადებინა ეს ჭეშმარიტებანი, როგორც წამალი ტანჯვისა. მაგრამ ბოროტი სული, მარა, შეუჩნდა მას და ყოველმხრივ - ათასგვარი ნიბლებით, მუქარებით, დაშინებებით - ცდილობდა აეძულებინა სიდჰარტა უფლისწულყოფილი, აწ უკვე ბუდჰა ანუ „გასწვივებული“, უარი ეთქვა ამ განზრახვაზე, იმ მოწოდებაზე, რისთვისაც მოეკვლინა იგი წუთისოფელს. ბუდამ დაძლია ცთუნებანი და შიშები, ავსულისაგან მოვლენილი, და თავისი მოძღვრების ქადაგებას შეუდგა (გავიხსენოთ მათეს სახარებიდან, როგორ გამოსცდიდა ეშმაკი იესოს უდაბნოში ორმოც დღეს, რათა დაებრკოლებინა იგი). მისი პირველი მსმენელები იყვნენ ხუთი ადამიანი და ორი ირემი. ქადაგება ასე დაიწყო: „ბჭენი ხსნისა დაე განცხადდეს სუყველასათვის! ადამიანებო, განიხვენით ყურნი თქვენი და მისმინეთ მე: გზა ხსნისა ნაპოვნია! მე გამოძვრავთ თქვენ და, თუ ჩემი სწავლის თანახმად იცხოვრებთ, მიიღებთ იმას, რის გულისთვისაც კეთილშობილნი ჭაბუკნი ტოვებენ სამშობლოს და მიდიან უცხო ქვეყნებში გასანათლებლად. თქვენ პირისპირ იხილავთ ჭეშმარიტებას“.

## II. არაბიბლიური რელიგიები

---

ჭეშმარიტება არის ოთხი:

1. **არსებობს ტანჯვა.** ყველაფერი ტანჯვაა წუთისოფელში. მთელი სიცოცხლე გადის მორალურ, სულიერ ან ფიზიკურ ტანჯვაში. დაბადება არის ტანჯვა, სნეულება არის ტანჯვა, სიყვარული არის ტანჯვა, სიყვარულის საგანთან განშორება არის ტანჯვა, სიყვარულის ვერმიხვდომა არის ტანჯვა, სიბერე, სიკვდილი არის ტანჯვა...

2. **არსებობს ტანჯვის მიზეზი.** ეს არის წყურვილი ყოფნისა, არსებობისა, სიცოცხლისა, რასაც ადამიანი მიჰყავს დაბადებიდან დაბადებისკენ. ტანჯვას იწვევს სურვილები, ვნებები, სწრაფვანი სურვილთა დასაკმაყოფილებლად და სხვა.

3. **არსებობს განკურნება:** გათავისუფლება ყოველი სურვილისგან.

4. **არსებობს გზა განკურნებისა და ხსნისა,** რომელიც რვა საფეხურისგან, ბილიკისაგან შედგება: ა) მართალი სარწმუნოება ანუ რწმენა, რომ სიცოცხლე ტანჯვაა; ბ) მართალი განზრახვა, რათა მოვიქცეთ ამ ოთხი ჭეშმარიტების შესაბამისად; გ) მართალი სიტყვა ანუ მართალი განზრახვის გამოხატვა მართალი სიტყვით; დ) მართალი საქმე ანუ მართალი ქცევა, როგორც მართალი სიტყვის რეალიზაცია, რათა ერთი იყოს სიტყვა და საქმე იმ ოთხი ჭეშმარიტების შესატყვისად; ე) მართალი ცხოვრება: არავის ავნო, არ მიაყენო ზიანი ცოცხალ არსებას; ვ) მართალი სწრაფვა: მისწრაფებანი, ტენდენციები იმ ოთხი ჭეშმარიტების კვალდაკვალ; ზ) მართალი მეხსიერება: ადამიანს სულმუდამ უნდა ახსოვდეს,

## II. არაბიბლიური რელიგიები

---

თუ კიდევ რა რჩება გაუკეთებელი ჭეშმარიტი ცხოვრების გზაზე; ც) მართალი თვითდაუნჯება: მეხსიერებაში, ხსოვნაში აღარ უნდა ინახებოდეს მიწიერი ცხოვრების შთაბეჭდილებები, რადგან მიწიერი ცხოვრება ილუზიაა.

ბუდისტების რელიგიური იდეალი არის **ნირვანა**. ესაა სრული სიმშვიდე: არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ - თავისებური ყოფნა, უფრო - ზეყოფნა, როცა ყოველი შეგრძნება ნულოვან წერტილშია მოქცეული.

პირველი მოკვდავთაგან, ვინც მიაღწია ნირვანას, იყო ბუდა, რომელიც ისე არ მომკვდარა, როგორც მოკვდავი კვდებოდა. ორმოცი წლის ხეტიალისა და ჭეშმარიტებათა ქადაგების შემდეგ, ოთხმოცდახუთი წლის ასაკში, იგი წავიდა ნირვანაში, რასაც ბუდისტები ამგვარად სახელობენ: **მაჰა-პარი-ნირვანა** ანუ „დიდი გადასვლა ნირვანაში“.

ბუდიზმი პასუხს არ ცემს კითხვაზე, როგორ წარმოიშვა სამყარო. ყველაფერი, რაც არსებობს, მუდამ არსებობდა, ყველაფერი მუდმივ ცვალებადობაშია. სამყარო მხოლოდ ილუზიაა. ერთადერთი რეალური, ჭეშმარიტი არსებობა აქვს ნირვანას, რისკენაც უნდა მიისწრაფოდეს ადამიანი.

ბუდიზმში, ქრისტეს მოძღვრების მსგავსად, უარყოფილია ბოროტების წინააღმდეგ ბოროტებითვე ბრძოლა, ორივეგან უმაღლესი ზნეობრივი პრინციპია მტრის სიყვარული („გიყვარდეთ მტერნი თქვენნი“, მათე 5:44). ბუდისტურ წიგნებში ვკითხულობთ: „ვაი იმას, ვინც ძალადობას ძალადობით ებრძვის!... მტრობა არასოდეს მოსპობილა მტრობითვე, არამედ სიყვარულით... ნუ

## II. არაბიბლიური რელიგიები

---

გვძულს, ვისაც ვეზიზლებით. მოვიკლათ გულში მტრობის გრძნობა... განრისხება სიკეთით დაამარცხე, ბოროტება - სიქველით“. სხვაგან: „მან გამლანძღა, მცემა, მტანჯა!... ვინც ასე ჰგოდებს, მტრობის გრძნობა დაიხშოს გულში, რადგან მტრობა მტრობითვე ვერ მოისპობა. მისი ძლევა არამტრობით თუ შეიძლება. ამგვარი წესია უკუნისიდან“.

მართალია ბუდიზმი ინდოეთში წარმოიშვა, მაგრამ უფრო ფართო გავრცელება ამ ქვეყნის გარეთ ჰპოვა, განსაკუთრებით ჩინეთში, ჩინეთის გზით კი იაპონიაში, კორეაში, შორეული აღმოსავლეთის ბევრ სხვა ქვეყანაში. ბუდიზმის ძლიერი კერა არსებობდა ტიბეტში, სადაც ტიბეტურ ენაზე შეიქმნა უმდიდრესი ბუდისტური ლიტერატურა. ტიბეტის გავლენით ბუდიზმი მონღოლებს შორისაც გავრცელდა.

ბუდისტების საერთო რიცხვი დღეს 359 მილიონს აღწევს.

## „კრიშნას ცნობიერება“



XX ს-ის 60-იან წლებში ამერიკისა და ევროპის მრავალ ქვეყანაში გავრცელდა რელიგიურ-თეოსოფიური სისტემა, რომლის მიმდევარნი **კრიშნაიტებად** ან **ვაიშნა-კებად** იწოდებიან. დამაარსებელია **შრილა პრაბჰუპადა**, რომელიც ინდოეთიდან ამერიკაში 1965 წელს ჩავიდა და კრიშნას მოძღვრების ქადაგებას შეუდგა. მან 1966 წელს „კრიშნას ცნობიერების საერთაშორისო საზოგადოება“ დააარსა, რომელმაც სამოღვაწეო ველი მსოფლიო მასშტაბით გააფართოვა.

პრაბჰუპადამ 12 წლის განმავლობაში 14-ჯერ შემოუარა მსოფლიოს. იყო მოსკოვშიც, სადაც თანამოაზრეთა ჯგუფი შეიძინა. მათ 1978-80 წწ-ში ორგანიზაციები მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ტალინში, ერევანში, თბილისსა და სოხუმში ჩამოაყალიბეს. თაოსნობის ინიციატორები - რიცხვით 50 - საბჭოთა კანონმდებლობით გაასამართლეს და დასაჯეს. დევნა პერესტროიკამდე გაგრძელდა.

„კრიშნას ცნობიერების“ თეილოგია მოკლედ ასეთია:

კრიშნა უზენაესი პიროვნებაა; თავდაპირველი

## II. არაბიბლიური რელიგიები

---

უფალი, მიზეზთა მიზეზი. ყველაფერი მას ეკუთვნის და ემორჩილება; ყველა ნახევარღმერთი: ბრაჰმა, შივა, ჩანდრა, ვარუნა და სხვ. მისი მსახურები არიან. თავი რომ დავალწიოთ სამსარას ანუ სიკვდილ-სიცოცხლის ბორბალს და სულიერ სამყაროში დავბრუნდეთ, უნდა მივენდოთ კრიშნას, გავხდეთ მისი მსახური. მაშინ მატერიალური ენერგია, გნებავთ, - კარმის კანონი, ვეღარ მოახდენს სამსარაზე გავლენას და აღარ მოგვიწევს წუთისოფელში შემოსვლა.

უზენაეს იდეალთან ზიარების საშუალებად კრიშნაიტები ღვთაებრივ სიყვარულს (ბჰაქტის) მიიჩნევენ. ადამიანის გულში ამ სიყვარულის დანერგვის ეფექტური გზა არის **მაჰამანტრა**, ე.ი. დიდი მანტრა. „მანტრა“ სანსკრიტზე ნიშნავს მარცვალს, სიტყვას, ფრაზას, „მაჰამანტრა“ - დიდ, ზებუნებრივ სიტყვას, რომელსაც მისტიური და შთამაგონებელი ძალა აქვს. კრიშნაიტებს სწამთ, რომ ამ საგალობლის „მოუკლებლად“ წართქმით კრიშნას მიუახლოვდებიან. აი, ეს საგალობელი:

„ჰარე კრიშნა, ჰარე კრიშნა,  
კრიშნა კრიშნა, ჰარე ჰარე,  
ჰარე რამა, ჰარე რამა,  
რამა რამა, ჰარე ჰარე“.

ქართველი კრიშნაიტების რიცხვი ბოლო მონაცემებით 200-ს არ აღემატება.

## ჯაინიზმი და სიქჰიზმი



ორივე კონფესია ინდუიზმთან დაპირისპირებამ წარმოშვა, თუმცა ისინი სხვადასხვა ასაკის არიან: პირველი - ძვ. წ. V ს-ში შეიქმნა, მეორე - ახ. წ. XV-XVI სს-ში. მათ შორის საერთო, პირველ რიგში, კასტური სისტემის უარყოფა და საყოველთაო თანასწორობის იდეაა.

**ჯაინიზმი** მომდინარეობს სიტყვისაგან „ჯინა“ (სანსკ.), რაც „გამარჯვებულს“ ნიშნავს. დამაარსებელია ბერი **მაჰავირა**, რომელმაც რეინკარნაციათა ციკლი გასერა და წუთისოფელზე გამარჯვების გზა სხვებსაც ასწავლა. იგი 18 წლის იყო, როდესაც იჯახი მიატოვა და მწირმონაზვნურ ცხოვრებას შეუდგა: მოგზაურობდა, ქველმოქმედებდა და მოუკლებლად ლოცულობდა, რის შედეგადაც გასხივოსნდა, სულიერი აღმასვლის საკუთარი სისტემა ჩამოაყალიბა და ქადაგებას შეუდგა. მისი ქადაგებების შინაარსი თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა. რამდენიმე საუკუნის შემდეგ კი ჩაიწერეს და წმ. წიგნები შეადგინეს.

რა გზით ძალუძს ადამიანს, რომ ახალ-ახალ დაბადებას თავი დააღწიოს? - სიბრაღულის და სიყვარულის მეტად და მეტად განვითარებით! მაჰავირას მთავარი



## II. არაბიბლიური რელიგიები

---

პრინციპი ძალადობის სრული უარყოფა და ნებისმიერი სახის სიცოცხლის გაფრთხილებაა. იმისათვის, რომ უმცირესი ზომის ცოცხალი ორგანიზმი უნებლიეთაც კი არ გაანადგურონ, ღვთისმომადგენელი (ასკეტები) პირბადეს ატარებენ და სიარულის ან დაჯდომის წინ მიწას ფაქიზად ხვეტავენ. ისინი ნიადაგს არ ამუშავებენ და მხოლოდ იმას ჭამენ, რასაც ბუნება თავისთავად გვთავაზობს. ვინც რწმენაში აღმატებულია, უბიწოებისა და სიღარიბის აღთქმას დებს და მონასტრის (ამრამის) მკვიდრი ხდება. ტაძრებში იმ ადამიანთა ქანდაკებები დგას, რომლებმაც რეინკარნაციის წრებრუნვას თავი დააღწიეს. ასეთი, მაჰავირას შემდეგ, **ბაჰუბალაა**.

**სიქიზმი** მომდინარეობს სიტყვისაგან „სიქ“, რაც ჰინდი ენაზე მოწაფეს ნიშნავს. დამარსებელია გურუ ნანაკი, რომელმაც გასხვოსნებას მიაღწია. მოძღვრება და პრაქტიკა, რომელიც მან დანერგა, წინააღმდეგობაშია როგორც ინდუიზმთან, ისე ისლამთან, მაგრამ ერთის ელემენტებსაც ატარებს და მეორისაც. სიქისტების არსებითი ნიშნებია: მკაცრი მონოთეიზმი, გამარტივებული ღვთისმსახურება, განსაკუთრებული ტანსაცმელი, მოშვებული წვერი და ხმალ-ხანჯალი, რაც მორწმუნეებს მიანიშნებს, რომ უფლებებსა და თავისუფლებას დაცვა სჭირდება. განსაკუთრებულ ყურადღებას ისინი ოთხ ცხოვრებისეულ მომენტს აქცევენ – სახელის შერჩევას, ყრმობაში შესვლას, ქორწინებას და დასაფლავებას (კრემაციას). მათ ტაძრებში საპატო ადგილზე ასვენია წმინდა წიგნი „გურუ გრანი საჰიბი“. რომელსაც უწმინდურობისაგან დაცვის მიზნით ნაჭერი ფარავს და მისი კითხვა და მოსმენა საგანგებო წესის დაცვას საჭიროებს.

სიქები მეომარ ხალხად ითვლებიან. მათი საერთო რიცხვი 10 მილიონს აღემატება.

## კონფუციანობა და დაოიზმი



ორივე რელიგია ჩინური წარმოშობისაა და, ბუდიზმთან ერთად, ჰარმონიულად თანაარსებობენ. ორივესათვის დამახასიათებელია წინაპართა კულტი, რაც ჩინელების უძველესი ბუნებითი რელიგია იყო.

**კონფუციანობა** უფრო ფილოსოფიურ-მორალური მოძღვრებაა, ვიდრე საკუთრივ რელიგია. მისი შემქმნელია ბრძენი **კონფუცი**, რომელიც ძვ. წ. VI ს-ში ცხოვრობდა. მის ნაწერებში ყურადღება წინაპრების, მშობლებისა და ხელისუფლების თაყვანისცემაზეა გადატანილი. უსიტყვოდ უნდა დავემორჩილოთ როგორც მამას, ისე ხელმწიფეს, რათა მშვიდობამ დაისადგუროს და ადამიანები სულიერად განვითარდნენ. კონფუციანელებს არც მღვდლები ჰყავთ, არც ღვთაებები და არც ტაძრები აქვთ. სამაგიეროდ, თითოეული ცხოვრებისეული ნაბიჯი (ჭამა, სახლში შესვლა, სახლიდან გასვლა, მუშაობის დაწყება და ა.შ.) რიტუალურია. ისინი პერიოდულად აკითხავენ წინაპართა საფლავებს და შესაწირავიც მიაქვთ. მათ რჯულში დიდი

## II. არაბიბლიური რელიგიები

---


ადგილი ეთმობა იმპერატორისა და მისი ქვეშევრდომების ურთიერთობას. ამის გამო ჩინეთში, ვიდრე იქ კომუნისტური მმართველობა გაიმარჯვებდა, ყველა სახელმწიფო მოხელე ვალდებული იყო, რომ კონფუციუს მოძღვრება ზედმიწევნით შეესწავლა.

**დაოიზმიც** ძვ. წ. VI ს-ში ჩამოყალიბდა. დამაარსებელია ფილოსოფოსი **ლაოძი** (ნიშნავს „მოხუც მოძღვარს“). მის წიგნს **დაოდეძინი** ეწოდება, რაც „გზას და სიქველეს“ ნიშნავს.

ქვეყანას და ამქვეყნიურ ცხოვრებას ორი ურთიერთ-საწინააღმდეგო ძალა წარმართავს: ინი, რომელიც ცივი, ბნელი და მდებრობითია, და იანი, რომელიც ცხელია, ნათელი და მამრობითი. ისინი ერთმანეთს აწონასწორებენ, რის გამოც სამყაროში ჰარმონიაა. ჰარმონია რომ შევინარჩუნოთ, ადამიანებმა თაყვანი უნდა ვცეთ ცის, მიწის, ქარის, მდინარეების და მთების სულებს (ღვთაებებს). სოფლის მთავარ სალოცავს მიწის ღვთაების ტადარი წარმოადგენს, მაგრამ მორწმუნეები წმ. მთებსა და კუნძულებზეც დადიან: მიაქვთ ძღვენი, რათა სულების კეთილგანწყობა დაიმსახურონ. ყველაზე საკრალური ადგილი ტაიშანის მთაა, რომლის ნიადაგში მლოცველები საკმევლიან ჩხირებს არჭობენ და ანთებენ.

ძვ. წ. II ს-იდან, როდესაც ჩინეთში ბუდიზმი გავრცელდა, დაოიზმმა ამ რელიგიისაგან ბევრი ელემენტი შეითვისა, რის გამოც მას ძენ-ბუდიზმსაც უწოდებენ.

## შინტოიზმი



შინტოიზმი იაპონელების უძველესი რელიგიაა. ბუდიზმი იქ ახ. წ. VI ს-ში გავრცელდა, მაგრამ მას უფრო არისტოკრატიული საზოგადოება ეტანებოდა. ხალხის დიდი ნაწილი ტრადიციული სარწმუნოების ერთგული რჩებოდა. იმპერატორებს მოსახლეობასთან დაპირისპირება არ სურდათ, რისთვისაც ისინი ადგილობრივ რიტუალებსაც ასრულებდნენ. XIX ს-ში შინტოიზმი იაპონიის ეროვნულ რელიგიად გამოცხადდა და ბუდიზმთან მისი შერწყმის პროცესი გაღრმავდა.

იაპონელები, ჩინელების მსგავსად, ძველთაგანვე წინაპართა სულებსაც სცემდნენ თაყვანს და ბუნებასაც. ღვთაებები გარდაცვლილთა სულები - კამიები - არიან, რომლებმაც თავი ჩანჩქერებს, ოკეანეთა ტალღებს, ვულკანთა კრატერებსა და მთებს შეაფარეს, შემდეგ კი მთელი სამყარო გამსჭვალეს - მზე, მთვარე, ხე, ქარი და ა.შ. კამიები კარგ საქმეებსაც აკეთებენ და ცუდსაც, რაც იმაზეა დამოკიდებული, ვასიამოვნებთ თუ არა მათ. ამიტომ მორწმუნე შინტოისტები კამიებთან მუდმივ კონტაქტში არიან; ყოველი საქმის დაწყების წინ, გაჭირვებისა თუ დაღმინების ჟამს, მათ მიმართავენ

## II. არაბიბლიური რელიგიები

---

და მათგან რჩევა-დარიგებას ელოდებიან. თითოეულ ოჯახს საკუთარი კამა (წინაპრის ღვთაებრივი სული) ჰყავს. მისთვის საკუთრხეველია აღმართული და საკუთრხეველზე ავგაროზები (ხის ისრები ან ქალღმერთის ბაფთები) აწყვია. აქვთ საკრებულო ტაძრებიც, რომლებიც კონკრეტული ადგილის კამის (ან კამიების) ადგილსამყოფელია. მორწმუნემ, რომელსაც ტაძარში შესვლა და სულთან შეხვედრა სურს, ჯერ თორი (ტაძრის კარიბჭის ზღურბლი) რიტუალურად უნდა გადალახოს, შემდეგ განიწმინდოს: პირში წყალი გამოივლოს და ხელები დაიბანოს, რათა წმინდა სივრცეში შესვლის უფლება მოიპოვოს. მას შეუძლია სამლოცველო დარბაზში შევიდეს, მაგრამ მთავარ დარბაზში ვერ შევა, რადგან იქ კამი ბინადრობს და ეს ადგილი წმიდათაწმიდაა. ლოცვა-ვედრება რომ შესმენილ იქნას, მორწმუნემ ჯერ შესაწირავი უნდა გაიღოს, მერე ზარი ააწკარუნოს, ხელს სამჯერ შემოჰკრას და ასე ცხადყოს, რომ მზადაა.

„შინტო“ იაპონურად გზას ნიშნავს. იგულისხმება კამიებთან მისასვლელი გზა, რომელიც გასხივოსნებით მთავრდება. მიზნის მიღწევის საუკეთესო საშუალება მედიტაცია (ლოცვა, ექსტაზი, გარინდება) და მკაცრი ფიზიკური დისციპლინაა: საბრძოლო ხელოვნება, ხრემის ბალის ხანგრძლივად ცქერა და მეტაფიზიკური რეალობის განცდა, ჩაის სმის ცერემონია, ყვავილების თაიგულთა ასხმა და სხვა. მიცვალებულთა სულების ცხონებისათვის შინტოისტები წმინდა ადგილებში დიდ რიტუალურ მსვლელობებს აწყობენ. იხდიან დღესასწაულებს, რომელთაგან გამორჩეული გაზაფხულისა და ახალი წლის დადგომაა. ამ დღეებს ისინი გრანდიოზული შეკრებებით აღნიშნავენ: ცეკვებით, მუსიკით, ჭიდაობით (სუმო, კარატე) და მშვილდ-ისართა ტყორცნით.

## აფრიკის, ავსტრალიისა და ამერიკის რელიგიები



ამ კონტინენტებისა და მათი მიმდებარე კუნძულების მკვიდრ მოსახლეობას დამწერლობა არ გააჩნია. ამიტომ მათი რწმენა-წარმოდგენები და რიტუალები თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემა, რის გამოც ეს რწმენა-წარმოდგენები და რიტუალები შედარებით სწრაფად იცვლება, სხვაფერდება, ძველს კარგავს და ახალს იძენს. მაგალითად ამერიკელი აბორიგენების ზნე-ჩვეულებათა ისტორია გამოგვადგება. ბევრი რამ, რაც მათ კოლუმბის დროს სწამდათ და აღასრულებდნენ, დღეს ან გამქრალა, ან გამოცვლილი.

ბუნებრივია ისიც, რომ, კომუნიკაციათა სიმცირის გამო, ერთი და იმავე რეგიონის ეთნოსებს ზშირად

## II. არაბიბლიური რელიგიები

---

ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული სარწმუნოებრივი შეხედულობები და წესები აქვთ. ეს ის რელიგიებია, რომლებიც მოცემულ რეგიონთა ბუნებიდანაა ამოზრდილი და იმ ელემენტებს შეიცავენ, რასაც ადგილობრივი გარემო გვთავაზობს. სხვადასხვა ქვეყნის ბუნებას, ბევრ სხვაობასთან ერთად, ბევრი საერთოც აქვს. ესაა მიზეზი, რომ ჩამოთვლილი კონტინენტების აბორიგენტთა რელიგიებს საერთოც ბევრი აქვთ. საერთოა ანიმიზმი, ფეტიშიზმი, ტოტემიზმი და მაგია, რომლის მსახურ-მიმდევრებს შამანები ჰქვიათ. მაგია იგივე ჯადოქრობაა. შესაბამისად, ჯადოქრებსა და შამანებს ერთი და იგივე ფუნქცია აქვთ. ისინი შეიძლება კარგ საქმეებსაც ემსახურობდნენ (შელოცვები გზის წარმართვისათვის) და შეიძლება ცუდსაც (შელოცვები გზის გამრუდებისათვის). მონადირე ტომებში უფრო მეტად ტოტემია გავრცელებული, მიწათმოქმედებში - ფეტიში. ალაგ-ალაგ შემოქმედი ღმერთის იდეასაც ვამჩნევთ. ის აბორიგენტები, რომლებიც ქრისტიანობას ან ისლამს ეზიარნენ, ტრადიციებს ხშირ შემთხვევაში იოლად არ თმობენ და მსოფლიო რელიგიისეულ პრაქტიკასთან მამაპაპეული ადათ-წესების შეხამებას ცდილობენ, მაგრამ ასეთი რამ უფრო ეროვნული თვითმყოფადობისა და ინდივიდუალურობის შენარჩუნების სურვილითაა გაპირობებული, ვიდრე სარწმუნოებრივი მოტივით.

**აფრიკელების ბუნებითი რელიგია.** დასავლეთ აფრიკულმა ტომებმა, ბამბარებმა და დოგონებმა, იციან,

## II. არაბიბლიური რელიგიები

---

რომ სამყარო ერთმა ღმერთმა შექმნა, მაგრამ იგი ქმნილებისაგან შორსაა და მასთან კავშირი არა აქვს. მისი სახელია ამმა, რომელმაც სხვა ღმერთებიც გააჩინა. ადამიანებთან კონტაქტში ეს ღმერთები შედიან. ისინი ადამიანების წინაპრები იყვნენ და თავიდან ჩვეულებრივი ადამიანების სახით ცხოვრობდნენ, მაგრამ სიკვდილის შემდეგ ღმერთებად იქცნენ და ღღეს უღრან ტყეებში ბინადრობენ. მათი კეთილგანწყობა რომ მოვიპოვოთ, საჭიროა მსხვერპლშეწირვა. მიწის ღვთაების გული რომ მოვიგოთ, მიწაზე ან ფეტვის ფაფა უნდა დავასხათ, ან სისხლი დავაპკუროთ, ან ცხოველი ჩავმარხოთ.

აფრიკელი ფერადკანიანების ეთნოგრაფიაში გამორჩეული ადგილი თემის წევრად გახდომის რიტუალს (ინიციაციას) უჭირავს. ყმაწვილმა, რომელიც კაცობაში შედის, უნდა დაამტკიცოს, რომ უკვე კაცია; უნდა შეიჭრას ჯუნგლში და ნადირი მოკლას. ვნახოთ, იტირებს თუ არა, როდესაც, მაგალითად, ჩუჩას წააჭრიან... გამოცდილი ქალი გაარკვევს, მზადაა თუ არა იგი ქალისათვის. ბელადები მას მხოლოდ ამ შემთხვევაში ეტყვიან იმას, რასაც გარეშე ხალხს და იმავე თემის არასრულფასოვან წევრებსაც არ ეუბნებიან.

აფრიკელებს სწამთ: სულებთან კონტაქტი რომ შევძლოთ, ჩვენც სულებად უნდა ვიქცეთ. ამისათვის საჭიროა მაგიური სიტყვების ცოდნა, ფეტიშების გამოყენება და ტრანსში გადასვლა. ეს უკანასკნელი ეგზალტაციის მეშვეობით საკუთარი სხეულიდან გასვლას და ამ სხეულზე მაღლა დადგომას გულისხმობს. ეს ის



## II. არაბიბლიური რელიგიები

---

მოვლენაა, რასაც ქართულ ხალხურ რელიგიაში „ატაცებულობა“, „შეპყრობილობა“, „ქადაგად დაცემულობა“ ჰქვია. „ატაცებული“, როგორც წესი, უჩვეულოდ იქცევა და „უცხო ენაზე“ ლაპარაკობს. შესაძლებელია, ტრანსში ერთდროულად რამდენიმე ადამიანი, კოლექტივი ან მთელი სოფელი გადავარდეს.

**ავსტრალიელების ხალხური რელიგია.** ამ კონტინენტისა და მისი მეზობელი კუნძულების აბორიგენტთა რელიგიას მარტივი პოლითეიზმი, ტოტემიზმი და მაგიის სხვადასხვა ფორმა შეადგენს.

ყველაზე პოპულარული მითი გვაუწყებს: სამყარო და ღმერთები მაშინ გაჩნდნენ, როდესაც „დიდი სიზმრის“ დრო, ალჩერიგა, იდგა. ღმერთებმა ავსტრალია და იქაური ტომების (პაპუასების და სხვათა) წინაპრები საკუთარი ხელებით შექმნეს, რის გამოც დაიღალნენ და დაისვენეს. მათგან ზოგი ცაში ავიდა, ზოგიც დედამიწაზე დარჩა. დარჩენილებმა სხვადასხვა ადგილს შეაფარეს თავი. ეს ადგილები დღეს წმინდა და აკრძალული, ე.ი. ტაბუირებული ზონებია. მნიშვნელობით და პოპულარობით **აიერს როკი** გამოირჩევა, სადაც შესვლა და ბინადრობა მხოლოდ და მხოლოდ წინაპართა სულებს შეუძლიათ.

სულებს და ღვთაებებს თითოეული ტომი თავ-თავისი ტოტემის მეშვეობით უკავშირდება. ტოტემებთან კი ის რიტუალები გვაახლოებს, რომლებიც ღმერთებმა ადამიანებს ჯერ კიდევ „სიზმრის ხანაში“ შეასწავლეს. რიტუალების ძირითადი ფუნქციაც „სიზმრის ხანაში“

## II. არაბიბლიური რელიგიები

---

ჩვენი დაბრუნება და სასიცოცხლო ენერჯის შექმნაა. რიტუალები ნაირნაირ ფეტიშებსა და მაგიური მოქმედებების კომპლექსს შეიცავს, მათ შორის მასიურ ცეკვებს და სიმღერებს. ქალის და კაცის როლი როგორც რიტუალებში, ისე ცხოვრების სხვა დეტალებში მკაცრად გამიჯნულია.

ავსტრალიელი, პოლინეზიელი და მელანეზიელი ხალხების პრაქტიკაში განსაკუთრებული ადგილი შამანების ინსტიტუტს უჭირავს. იმისათვის, რომ ადამიანებს ცხოვრებაში ხელი მოემართოთ, საქმე სარფიანად წარემართოთ და ცუდი არაფერი შეემთხვეთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ტაბუს დაცვას ენიჭება. ესაა ერთადერთი სახსარი, რათა წინაპართა სულები არ გავარისხოთ და მათ ჩვენზე ზრუნვის სურვილი აღუძრათ. შამანების უპირველესი ფუნქცია ტაბუს დაცვა, მოცვალებულების გამოხმობა და მათი მომადლიერებაა.

**ინდიელების ხალხური რელიგია.** „ინდიელი“ ამერიკის აბორიგენი ტომების ზოგადი სახელია. ისინი სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობენ და კონტინენტის სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობენ. ამის მიუხედავად მათ რელიგიურ ცნობიერებასა და პრაქტიკაში მსგავსი და საერთო მონაცემებიც ბევრია. ამასთანავე: ამერიკის ძველი დაწინაურებული ერების – მაიას, აცტეკებისა და ინკების – წარსული მატერიალურმა და ლიტერატურულმა ძეგლებმაც შემოგვინახა, რაც ისტორიული პროცესის მეტ-ნაკლები სიზუსტით გამოკვლევის საშუ-

## II. არაბიბლიური რელიგიები

---

ალებას იძლევა.

როგორც ჩრდილო, ისე ლათინური ამერიკის ინდიელთა რელიგია წარმართობაა. არსებობენ მზის, მთვარის, მიწის, წვიმის და ა.შ. ღმერთები. ზოგიერთ ტომს ღმერთების ღმერთიც ჰყავს. ესენია: ჩრდილოეთში – ჩემენტუ (დიდი სული), რომელიც სხვა სახელითაცაა ცნობილი (ნესულკი და ვაკან-ტაკა), და სამხრეთში – პაჩამამა, რომელიც ცის, ხმელეთისა და წყლის ღვთაებათა უფალია. ჩემენტუ და პაჩამამა მრისხანე ღმერთები არიან და თუ გამპვინვარდნენ, ქარიშხალი და მეხთატეხა გარდაუვალია. მათ ასწავლეს ადამიანებს ნადირობაც, სოფლის მეურნეობაც და სახლების აშენებაც. ესა თუ ის ხელობა კარგად რომ ავითვისოთ და ცხოვრება გემოზე მოვიწყოთ, ღმერთების კეთილგანწყობილება უნდა მოვიპოვოთ. ღმერთებს და სულებს კი ყველაზე მეტად სისხლიანი მსხვერპლი მოსწონთ. რიტუალური ბრძოლები, რომლებიც სამხრეთ ამერიკაში აქა-იქ დღესაც იმართება, არც თუ იშვიათად სიკვდილით მთავრდება. ასეთი რიტუალები იმ რიტუალების გადმონაშთია, რომლის დროსაც ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ხდებოდა და რომლებსაც ინდიელები XVI ს-შიც ასრულებდნენ ხალხმრავალი ცეკვებით, საზეიმო ღვთისმსახურებით და საწესო სიმღერებით. ასე ისინი განსაკუთრებით ომის ღმერთს, ხუიცილოპოჩტლის, ემსახურებოდნენ. მისიონერებმა, რომლებიც ცენტრალურ ამერიკას XV ს-ის მიწურულს ეწვივნენ, მეხიკოს ცენტრში, თეოკალის ტაძარში, თავიანთი თვალთ ნახეს და აღწერეს, თუ როგორ

## II. არაბიბლიური რელიგიები

---

ფატრავდნენ სამსხვერპლო კაცებს ქურუმები და მფეთქავ გულებს ქვის საკურთხეველზე დებდნენ. მაიას ძველი დედაქალაქის ჩიცენ-იცას შემოგარენში ერთი უზარმაზარი ჭა დღესაც დგას. შემორჩენილია წერილობითი ცნობა: როდესაც უსაშველო გვალვებს დაიჭერდა, ქურუმებს იქ ქალიშვილები მიჰყავდათ და ექსტაზური ცეკვებისა და სიმღერების თანხლებით, ისინი მათ ჭაში ისროდნენ; ძვირფასეულობასაც აყობდნენ, რათა წვიმის ღმერთის გული მოეგოთ. ახალი დროის არქეოლოგიურმა გამოძიებამ ამ ცნობის სრული სიმართლე დაადასტურა. „წვიმის ცეკვა“ და მისი დახმარებით სულებთან დაკავშირების რიტუალი ცენტრალურ ამერიკაში ჩვენს დროშიც სრულდება. ბავშვებს თოჯინებს (კაშინებს) ურიგებენ, რომლებშიც მათი მფარველი სული მყოფობს. მოწიფული ყმაწვილები ერთმანეთს ტკივილამტანობაში, მამაცობასა და მამაკაცურობაში ეჯიბრებიან. აქტიურობენ შამანები და გვარწმუნებენ, ბოროტი სულების განდევნა და ნებისმიერი დაავადების განკურნება შეგვიძლიაო.

ინდიელების ზოგიერთი მითი და ლეგენდა ბიბლიის ამა თუ იმ ამბავს მოგვაგონებს. მეცნიერებს ვერ გაურკვევიათ: ეს თქმულებები ქრისტიანობის ზეგავლენით შეიქმნა, თუ ისინი მხარის ევროპეიზაციამდეც არსებობდნენ?

ინკების შთამომავლებს სწამთ, რომ პირველი ადამიანი ადანევა იყო. მას ქალწული მარიამისაგან შვილი ეყოლა - მამა მანუელი, რომელმაც ახალი კაცობრიობა შექმნა და ცაში ამაღლდა. იგი ყოველ წითელ პარასკევს კვდება, მაგრამ ცოცხლდება... ახალი აღთქმის კვალი აქ

## II. არაბიბლიური რელიგიები

---

დავას თითქოს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მსგავსი რწმენა-წარმოდგენები ინდიელებს ძველადაც ჰქონდათ. ამას აცტეკების ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაების, სინათლის ღვთაების, კეცალკოატლის (მაიელების სახელწოდებით - კუკულკანის) ამქვეყნიური თავგადასავალი მოწმობს. იგი „აღმოსავლეთის მზის ქვეყნიდან“ მოვიდა. მას გრძელი თეთრი სამოსი ეცვა და წვერს ატარებდა. მან ადამიანებს მეცნიერება, გონივრული წეს-ჩვეულება და კანონები ასწავლა; შექმნა სამეფო, სადაც სიმინდის ტარო ადამიანის სიმაღლეს აღწევს, ბამბა თავისთავად იღებება. ამის მიუხედავად ხალხი მას მტრულად შეხვდა და ისიც იძულებული გახდა, რომ მათი ქვეყანა მიეტოვებინა. მან აიღო თავისი კანონები, წიგნები, სიმღერები და იმავე გზას გაუდგა, რითაც მოვიდა. როდესაც ზღვის ნაპირს მიაღწა, ატირდა და თავი დაიწვა, გული კი ცისკრის ვარსკვლავად იქცა. ლეგენდის მეორე ვარიანტი ასეთია: კეცალკოატლი (კუკულკანი) სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ როდესაც გემზე შედიოდა, მეორედ მოსვლის პირობა დადო.

ამაზონის ინდიელებს, რომლებიც დღესაც ნახევრად ველურ პირობებში ცხოვრობენ, სწამთ, რომ ტექნიკა და ცივილიზაცია მათ გმირმა, ზებუნებრივმა არსებამ, მოუტანა. იგი უკან გაბრუნდა და ცხოვრობს იქ, სადაც ბოროტება არ არსებობს და სადაც წინაპრები განისვენებენ. იქ სიმინდი თვითონ იზრდება და სიკვდილი უცნობია. იმ ქვეყანას რომ თვალი შეავლონ, შამანები მარხულობენ და ტრანსში შედიან.

## II. არაბიბლიური რელიგიები

---

ინდიელებმა იციან, რომ უხსოვარ დროში მსოფლიო წარღვნა მოხდა. ყველაფერი წყლით დაიფარა და ყველა ადამიანი დაიხრჩო ერთადერთი მართალი კაცის, კოქს-კოქსისა და მისი ოჯახის წევრების გარდა, რომლებმაც გემს შეაფარეს თავი. როდესაც ამინდი დაცხრა, ცოლქმარმა პირველად ძერა გაუშვეს, რათა შეეტყოთ, იკლო თუ არა წყალმა. ძერა დაიკარგა. შემდეგ კი ჩიტი, კოლიბრი, გააფრინეს და, აჰა, მან ნისკარტით აყვავებული რტო მოიტანა, რამაც პატრონებს ქვეყნის გადარჩენის ამბავი ამცნო.

## უმთავრესი ცნებები

### მოკლე რელიგიათმცოდნეობითი ლექსიკონი

#### ა

**აბატი** – ლათინურენოვან სამყაროში მღვდლის, უფრო კი მონასტრის წინამძღვრის, საერთო სახელი. მომდინარეობს არამეული სიტყვისაგან „აბბა“ (მამა).

**აბრაამის, ისაკისა და იაკობის წიალი** – ცათა სასუფეველის, სამოთხის სინონიმი.

**აბსოლუცია (ლათ.)** – ცოდვებისაგან გახსნა, გათავისუფლება.

**აგაპე (ბერძნ.)** – იხ. „აღაპი“.

**აგარიანი** – აგარის (აბრაამის მხევლის, ისმაილის დედის) შთამომავალი; არაბების და, ზოგჯერ, მუსლიმების საერთო სახელი.

**აგიოგრაფია (ჰაგიოგრაფია)** – ქრისტიანი მოღვაწეებისა და მოწამეების ცხოვრებათა აღწერა („აგიოს“ წმინდა და „გრაფეს“ აღწერა, ბერძნ.).

**აგრაფი (ბერძნ.)** – „დაუწერელი“ ქრისტეს გამონათქვამი, რომელიც ოთხთავში შესული არაა (შდრ. იოანე 21:25). ერთ-ერთი მაგალითია „გაცემა მეტი ნეტარებაა, ვიდრე მიღება“ (საქმე 20:35).

**ადგილობრივი კრება** – ქვეყნის, ოლქის, ქალაქის ან სოფლის ეკლესიის კრება, რომელზეც სხვადასხვა საეკლესიო საკითხი განიხილება.

**ადეპტი (ბერძნ.)** – რომელიმე მოძღვრების, კონფესიის, თეორიის თავგამოდებული დამცველი.

**ადვენტუსი** – ლათ. „მოსვლა“. შობის წინა პერიოდის სახელწოდება.

**ადვენტისტები** – იხ. „მე-7 დღის ადვენტისტები.“

**ადონაი (ებრ. „უფალი ჩემი“)** – ღვთის ერთ-ერთი ბიბლიური სახელი.

**ავგაროზი** – ავი თვალისაგან დამცავი საგანი. მომდინარეობს ერთ-ერთი პირველი ქრისტიანი მეფის აბგარის (ავგარის) სახელისაგან, რომელსაც, ძველი გადმოცემის თანახმად, ქრისტემ თავისი ხელთუქმნელი ხატი და ეპისტოლე გაუგზავნა.

**ავტოკეფალია** – თვითთავადობა, თავისი თავის მმართველობა (ბერძნ.) ავტოკეფალური ეკლესია – მმართველობის საკითხში დამოუკიდებელი ეკლესია, რომელიც იერარქიულად ცალკე ერთეულია.

**ათეიზმი (ბერძნ.)** – ღვთის არსებობის უარყოფა.

**ათი მცნება** – თეოლოგიური და ზნეობრივი კოდექსი, რომელიც წინასწარმეტყველ მოსეს სინას მთაზე



გადაეცა (გამ. 19-34).

**აიაზმა (ბერძნ.)** – იგივე „ჰაგიასმა“; ნაკურთხი წყალი.

**აკოლუთია** – ბერძნული სიტყვაა და მიმღევრობას, მიჯრით დალაგებას, ამ შემთხვევაში, – ერთმანეთის მიყოლებით წარმოსათქმელი ლოცვების ან საგალობლების ერთობლიობას ნიშნავს.

**ალაჰი** – ღვთის სახელი არაბულად.

**ალი** – ბოროტი სული, ეშმაკი (არაბ.).

**ალილო** – საშობაო ქართული ხალხური საგალობელი.

**ალილუია** – „ადიდეთ უფალი!“ (ებრ.). ქრისტიანულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში სამგზის წარმოითქმის, რადგან წმ. სამებას განეკუთვნება.

**ამაღლება** – ქრისტიანული დღესასწაული, რომელიც აღდგომიდან მეორმოცე დღეს აღინიშნება (შდრ. მარკოზი 16: 14-19; ლუკა 24:33-53; საქმე 1:3-11).

**ამბა** – მონასტრის წინამძღვარი (ნიშნავს „მამას“ ებრ.).

**ამბიონი (ბერძნ.)** – ამაღლებული ადგილი ეკლესიაში, აღსავლის კარის წინ, სადაც სახარება და ქადაგება წარმოითქმის.

**ამინ!** – „ჭეშმარიტად!“ (ბერძნ.). დამადასტურებელი, დასკვნითი სიტყვა, რომელიც ლოცვის, ქადაგების და დაფიცების ბოლოს წარმოითქმის.

**ანაბაპტისტები (ბერძნ.)** – ხელმეორედ ნათლობის

მაღიარებლები; ძველი პროტესტანტული და რეფორმატორული ეკლესია. დაარსდა 1521 წ. გერმანიაში; დამაარსებელია მემუდუე ნიკოლოზ შტორნი.

**ანათემა (ბერძნ.)** – ეკლესიისაგან განკვეთა, განყენება. სინონიმებია „შერისხვა“, „შეჩვენება“, „დაწყევლა“.

**ანალოგია (ბერძნ.)** – დახრილი მაგიდა ეკლესიაში, რომელზეც სახარება ან ხატი დევს.

**ანაფორა (ბერძნ.)** – 1) მოსასხამი, რომელსაც სასულიერო პირი ყოფაცხოვრებაში ატარებს; 2) წირვის დროს დარჩენილი პური და ღვინო, რომელთაც ღარიბებს ურიგებენ.

**ანაქორეტობა (ბერძნ.)** – წუთისოფლისაგან განყენებულობა, განდევილობა, მეუღაბნოობა.

**ანგელოზი** – ზეციური არსება, უხორცო და გონიერი ძალა, შუამავალი ღმერთსა და ადამიანს შორის, მაცნე (ბერძნ.).

**ანგლიკანური ეკლესია (ანგლიკანობა)** – გარდამავალი საფენური კათოლიციზმისა და პროტესტანტობას შორის ტრადიციასთან მიმართების საკითხში; ჩამოყალიბდა 1534 წ.

**ანდერძის აგება** – საღვთისმსახურო რიტუალი („წესის აგება“); ლოცვა-ვედრება მიცვალებულის იმქვეყნიური მდგომარეობის შემსუბუქებისათვის.

**ანთროპომორფიზმი (ბერძნ.)** – ღვთაებისათვის ადამიანური თვისებების და სახის მინიჭება.

**ანთროპოსოფია** – სიტყვასიტყვით ‘სიბრძნე ადამიანის შესახებ’ (ბერძნ.). რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება და პრაქტიკა, დაარსებული XIX-XX სს-ის მიჯნაზე ძირითადად შტაინერის, ბლავაცკაიას და შიურეს მიერ, რომელთა თანახმად ადამიანს საიდუმლო სიბრძნის პიროვნულად წვდომის უნარი აქვს და ამ უნარის მეშვეობით მას თვითონ, საკუთარ ძალებზე დაყრდნობით, განდმრთობის მიღწევა ამქვეყნადაც შეუძლია.

**ანიმიზმი** – რწმენა, რომ ყველა საგანს სული აქვს (ლათ. ანიმა „სული“).

**ანტიფონი (ბერძნ.)** – ორო გუნდის მონაცვლეობით გალობა.

**ანტიქრისტე** – 1) ქრისტეს წინააღმდეგ მებრძოლი; 2) ბოროტებით აღსავსე პიროვნება, რომელიც, აპოკალიფსის თანახმად, მეორედ მოსვლის და ქვეყნის აღსასრულის წინ მოვა, გამეფდება, მაგრამ მისი ხელმწიფება ქრისტეს მიერ შეიმუხრება.

**აპოკალიფსი (ბერძნ.)** – ახალი აღთქმის ბოლო, 27-ე წიგნი, რომელსაც ქართულად გამოცხადება ეწოდება.

**აპოკრიფი** – ბიბლიური და არაბიბლიური, მაგრამ სასულიერო შინაარსის წიგნები, რომლებიც, ეკლესიის რწმენის თანახმად, სულიწმინდის მადლით აღვსილნი არ არიან. ზოგჯერ მისი სინონიმებია „არაკანონიკური“ და „დაუბეჭდავი“. მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან, რომელიც დაფარულს, საიდუმლოს ნიშნავს.

**აპოლოგეტიკა** – ქრისტიანული მწერლობის დარგი, ჩამოყალიბებული II-III სს-ში, რომლის მიზანი

ელინიზმისაგან და იუდაიზმისაგან ახალი აღთქმისეული მოძღვრების დაცვა იყო.

**აპოლოგია** – დაცვა (ბერძნ.).

**აპოსტასია (ბერძნ.)** – საყოველთაო განდგომა რწმენისაგან.

**აპოფთეგმები (ბერძნ.)** – მომდინარეობს სიტყვისაგან აპოფთეგმატა „გამონათქვამები“. ეს არის ეკლესიის მამათა დამოძღვრით-შეგონებითი გამონათქვამების კრებული, რომელშიც მასალა დალაგებულია ანბანურად (ავტორთა სახელების მიხედვით), ანდა თემატურად. ცნობილია ძველი ქართული თარგმანითაც.

**არდაგი** – სუდარა (ბერძნ.), რომელშიც იესოს გვაში გაახვიეს.

**არიანელობა** – მოძღვრება. რომელიც IV ს-ის 10-იან წლებში მღვდელმა არიოზმა ჩამოაყალიბა; ძე ღმერთის (ქრისტეს) მამა ღმერთთან თანადაუსაბამობის უარყოფა და ქმნილებად მიჩნევა („იყო ღრო, როცა მამას ძე არ ჰყავდა“). დაიგმო ნიკეისა და კონსტანტინოპოლის მსოფლიო საეკლესიო კრებებზე (325 და 381) და ერესად გამოცხადდა.

**არმაგელონი** – ბიბლიური ქალაქი, რომელმაც სახელი სისხლისმღვრელი ომებით გაითქვა. აპოკალიფსში ეს სიტყვა ბოლო ჟამის საშინელი მოვლენების, გადამწყვეტი ბრძოლის სახელწოდებაა.

**არქიელი** – მღვდელმთავარი, ეპისკოპოსი (ბერძნ.).

**არქიერატიკონი** – მღვდელმთავრისათვის განკუთვნილი წიგნი, რომელიც ქიროტონის (ხელდას-

ხმის) წესებსაც მოიცავს.

**არქიმანდრიტი** – უმაღლესი საბერო წოდება და თანამდებობა ( ბერძნ. „ბაკის უფროსი“).

**„არწივი“** – სამღვდელმთავრო ნოხი, რომელზეც ორთავიანი არწივია გამოსახული.

**ასამაღლებელი** – ლოცვის დამაბოლოებელი, ხმამაღლა აღსავლენი ნაწილი, რაც მღვდლის ან დიაკონის მიერ საზეიმოდ წარმოითქმის.

**ასკეტიზმი** – სიტყვასიტყვით ნიშნავს ვარჯიშს (ბერძნ.), ქრისტიანული შინაარსით – ბერმონაზვნურ ცხოვრებას.

**აქსიოს** – „ღირსი“ (ბერძნ.). ამ სიტყვით, შეკითხვის სახით („ღირსია?“) მიმართავს მღვდელმთავარი ეკლესიას (სასულიერო და საერო პირთა კრებულს) იმ ადამიანის შესახებ, რომლის ხელდასხმას იგი აპირებს. ერთმაც რომ დაიძახოს – „ანაქსიოს!“ (არ არის ღირსი!), იმ ჟამს კურთხევა აღარ შედგება.

**აღაპი** – მიცვალებულის სულის შეწვევისათვის 1) სხვადასხვა სახის შესაწირავი, 2) ლოცვა-ვედრების ტექსტი და 3) საქველმოქმედო სუფრა (ტრაპეზი).

**აღდგომა** – უდიდესი საუფლო დღესასწაული (მათე 28:1-15; მარკოზი 16:1-8; ლუკა 24:1-8; იოანე 20:1-18). ქრისტიანი ღვთისმეტყველები მის წინასახედ ძველი აღთქმის პასექს მიიჩნევენ. მოძრავია. აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის (დღელამტოლობის), ე.ი. გრიგორისეული კალენდრის 21 მარტის, პირველი სავსე მთვარის შემდგომ კვირას. აღმოსავლეთის მართლმ-

დიდებელ ეკლესიებში, რომლებიც პასქალიის (იხ.) ორიენტირად ძველი სტილის (ე.ი. იულიუსის) 21 მარტს ტოვებენ, ეს პრინციპი დარღვეულია, რადგან იულიუსის კალენდრის 21 მარტი უკვე აღარაა ბუნიობის თარიღი (ბუნიობა ორი კვირის წინ იყო).

**აღთქმა** – ანდერძი, დაპირება, კავშირი, ხელშეკრულება (ებრ. „ბერიით“, ბერძნ. „ღიათეკე“, ლათ. „ტესტამენტუმ“, რუს. „ზავეტ“).

**აღმსარებლობა** – რომელიმე სარწმუნოების აღიარება. იგივეა რაც კონფესია.

**აღსავლის კარი** – კანკელის შუა კარი, საკურთხეველში შესასვლელი.

**აღსარება** – შვიდთაგან ერთ-ერთი საეკლესიო საიდუმლოს, სინანულის, შემადგენელი ნაწილი, რომლის დროსაც მორწმუნე ცოდვებს ინანიებს, მღვდელი კი უფლის სახელით შეუწოდებს (ლათ. კონფესიონი).

**აღსაყდრება** – მღვდელმთავრად ხელდასხმა (ბერძნ. ინტრონიზაცია).

**ახალი ადამი** – იესო ქრისტე.

**ახალი აღთქმა** – 1) ადამიანსა და ღმერთს შორის ახალი ურთიერთობა, რომლის შინაარსი ძირითადად საიდუმლო სერობის დროს გაცხადდა; 2) ბიბლიის მეორე ნაწილი, რომელშიც წარმოდგენილია იესო ქრისტეს ცხოვრება და მისი მოციქულების მოღვაწეობა. შედგება 27 წიგნისაგან.

**ახალი იერუსალიმი** – ქრისტეს ეკლესია. იგივეა, რაც ახალი ისრაელი.

## ბ

**ბაბილონის გოდოლი** – ბაბილონის კოშკი, რომლის შენებას წარღვნის შემდეგ მიჰყვეს ხელი, მაგრამ ღმერთმა დაანგრია და მშენებლები სხვადასხვა ენაზე აალაპარაკა, რათა ერთმანეთის ვერაფერი გაეგოთ (დაბ. 11:1-9). გამოიყენება ამპარტავანი ტომისა და ქვეყნის სიმბოლოდ.

**ბაზილიკა** – მოგრობო, ნავისებური ტაძარი.

**ბაირალი** – საეკლესიო დროშა, რომელიც წუთისოფელზე გამარჯვების სიმბოლოა.

**ბაპტიზმი** – იხ. ძირითად ტექსტში.

**ბაპტისტერიუმი** – სანათლაუი; ადგილი, სადაც ნათლისღების რიტუალი სრულდება.

**ბარტყული** – ბერმონაზვნის თავსაბურავი.

**ბარძიმი** – მაღალფეხიანი სასმისი, რომელიც ზიარების დროს გამოიყენება.

**ბასილი დიდის წირვა** – წირვის (ლიტურგიის) ის რედაქცია, რომელიც კესარიის მავარებისკოპოსმა წმ. ბასილმა (+379) შეიმუშავა. იგი მართლმადიდებელ ეკლესიაში დიდმარხვას, შობის წინა დღეს და 1 იანვარს, წმ. მამის ხსენების დღეს, სრულდება.

**ბელზებელი** – სატანა, ავი ძალებისა და დემონების მთავარი.

**ბელიარი** – ებრაული სიტყვა, რომელიც სატანის სინონიმა (2 კორ. 6:15).

**ბერმონაზონი** – მამრობითი სქესის სასულიერო პირი, რომელმაც წუთისოფლისეულ კეთილდღეობაზე ნებაყოფლობით თქვა უარი.

**ბზობა** – იერუსალიმში იესო ქრისტეს დიდებით შესვლა (მათე 21:1-11; მარკოზი 11:1-11; ლუკა 19:29-44; იოანე 2:13-17). ამ დროს მას ხალხი, ქართული ტრადიციით, ბზის (ბაის) ტოტებს უფენდა.

**ბიბლია** – საღვთო წერილი, წმინდა წერილი. იხ ძირითად ტექსტში.

**ბისონი** – მღვდელმთავრის შესამოსელი ლიტურგიის დროს, წითელი ფერის ძვირფასი ქსოვილი, იმ შესამოსლის სიმბოლო, რომელიც მაცხოვარს წამების დროს წამოასხეს.

**ბულიზმი** – იხ ძირითად ტექსტში.

## ბ

**წმ. გადმოცემა** – ქრისტიანული სარწმუნოების პირველწყარო (ბიბლიასთან ერთად), რომელსაც საფუძვლად მაცხოვრისა და მოციქულების ზეპირად გადმოცემული მოძღვრება უდევს.

**გამოსვლათა** – მოსეს ხუთწიგნეულის მე-2 წიგნი, რომელშიც ეგვიპტიდან ებრაელების გამოსვლაა აღწერილი.

**გამოცხადება** – 1) აპოკალიფსი (იხ.); 2) ღვთის ნების ადამიანებისათვის წარმოჩენა.



**„განიცადე“** – გალობა, რომელიც ღვთისმსახურთა ზიარების დროს სრულდება.

**განცხადება** – საუფლო დღესასწაული, რომელიც დაკავშირებულია მდ. იორდანეზე ქრისტეს ნათლის-ღებასთან და წმ. სამების წარმოჩენასთან (მათე 3:13-17; მარკოზი 1:9-11; ლუკა 3:21-22; იოანე 1:29-34). იგივეა, რაც ქართ. ნათლისღება და ბერძნ.-ლათ. ეპიფანია.

**განკითხვის დღე** – საყოველთაო სასამართლო, რომელიც ქვეყნის აღსასრულის და მეორედ მოსვლის დღეს აღესრულება. „საშინელი სამსჯავრო“.

**განსაწმენდელი** – კათოლიკეების რწმენა დროებითი სატანჯველის, პურგატორიუმის შესახებ. იგივეა, რაც სალხინებელი.

**გაპათიოსნება** – მოცვალებულის სულის მეოხები-სათვის მის ცხედარზე საეკლესიო წესის შესრულება.

**გარდამავალი დღესასწაულები** – აღდგომაზე დამოკიდებული, ე.ი. მოძრავი დღესასწაულები.

**გარდამოხსნა** – 1) ქრისტეს სხეულის ჯვრიდან ჩამოღება; 2) ქსოვილი, რომელზეც გამოსახულია მაცხოვრის ჯვრიდან ჩამოხსნის და საფლავად დადების ამბავი.

**გარდამოხსნის გადმოსვენება** – საეკლესიო რიტუალი, რომელიც წითელ პარასკევს (ნახ.) აღესრუ-ლება და რომელსაც სამგლოვიარო ხასიათი აქვს.

**გენია** – ჯოჯოხეთის ცეცხლი.

**გნოსტიციზმი** – მისტიკურ-ფილოსოფიური

მოძღვრება, რომელიც ქრისტიანობის, იუდაიზმისა და წარმართობის ელემენტებს შეიცავდა (I-IV სს.). სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „მცოდნეობას“ (ბერძნ.). წარმოშობისთანავე რამდენიმე მიმდინარეობად დაიყო. არსებითი ნიშნებია: კაცობრიობის ორ ძირითად ბანაკად დაყოფა: 1) ბუნებითად მცოდნეებად და მადლმოსილებად და 2) ბუნებითად არმცოდნეებად და მადლმოკლებულებად; ძველი აღთქმის იაჰვე და ახალი აღთქმის ღმერთი სხვადასხვაა, პირველი ბოროტია, მეორე – კეთილი; მატერიალური სამყარო ბოროტმა ღმერთმა შექმნა. ეკლესიამ ეს მიმდინარეობა II ს-ში ერესად გამოაცხადა და მისი მიმდევრები ანათემას გადასცა. მათ შორეულ მემკვიდრეებად თანამედროვე მკვლევარები ერაყში მცხოვრებ რელიგიურ ჯგუფებს „მანდეისტებს“, იგივე „საბისტებს“, „იოანე ნათლისმცემლის ქრისტიანებს“ ასახელებენ.

**გრიგორისეული (გრიგორიუსის) კალენდარი** – იგივე ახალი სტილი; იულიუსის კალენდრის (ნახ.) რეფორმირებული ვარიანტი, რომელიც რომის პაპმა გრიგორიუს XIII-მ 1582 წელს შემოიღო. მისი მიზანი იყო, ასტრონომიულ სეზონთა მიჯნებს (მზებუდობასა და ბუნიობას), რომლებთანაც შობა და აღდგომაა მისადაგებული, იგივე თარიღები შერჩენოდათ, რაც ეკლესიამ IV ს-ში მათთვის მონიშნა. ამიტომ, აღნიშნული რეფორმის თანახმად, დღეთა ანგარიში გადანაცვლებულ იქნა 10 დღით – 4 ოქტომბრის მომდევნო დღე 15 ოქტომბრად გამოცხადდა. ამის შემდეგ ბუნიობა კვლავ 21 მარტს დაემთხვა, ზამთრის მზებუდობა – 21 დეკემბერს. ახალი სტილი XX საუკუნის 20-იან წლებში აღმოსავლეთის

მართლმადიდებელ ეკლესიებშიც დამკვიდრდა იერუსალიმის, რუსეთის, საქართველოსა და სერბეთის ეკლესიების გარდა.

## ღ

**დაბადება** – 1) ბიბლიის პირველი წიგნის „შესაქმის“ სინონიმი; 2) ძველი აღთქმის სახელწოდება ქართულ ტრადიციაში.

**დავითნი** – „ფსალმუნთა“ (იხ.) სინონიმი.

**დასდებული** – მოკლე და ვრცელი საგალობლების, ოღონდ არა ფსალმუნების, ცალკეული სტროფი ანუ ტროპარი.

**დაუჯდომელი** – სადიდებელი ლოცვები და საგალობლები, რომლებსაც ფეხზე დგომით ისმენენ (ბერძნ. აკათისტო).

**დაფარნა (ბერძნ.)** – ბარძიმის გადასაფარებელი.

**დეიზმი** – ბუნებისაგან ღვთის სრულად გამიჯნულობა, აბსოლუტურად ტრანსცენდენტულობა. იდეალისტურ-ფილოსოფიური თეორია და რწმენა, რომელიც შემოქმედი ღმერთის არსებობას აღიარებს, მაგრამ თვლის, რომ იგი შორსაა ქმნილებისაგან და მის ცხოვრებასა და არსებობაში აღარ ერევა.

**დეკანოზი** – წინამძღვარი (ბერძნ.), უფროსი მღვდელი; სამრევლოს, დიდი ეკლესიის ან, ძველი

ტრადიციით, მონასტრის წინამძღვარი. ამ სახელით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ხატის მსახურს და „საყმოს“ რელიგიურ ლიდერს მოიხსენიებენ.

**დენომინაცია** – სიტყვა ლათინურია და „გადარქმევას“ ნიშნავს, მაგრამ რელიგიათმცოდნეობაში ორი მნიშვნელობა აქვს: 1) ამა თუ იმ რელიგიური მიმდინარეობის ზოგადი სახელი; 2) ის რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც ეკლესიისა და სექტის შუალედურ რგოლს, ე.ი. გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს.

**დიაკონი** – იერარქიულად უქვემოეს საფეხურზე მყოფი სასულიერო პირი. ნიშნავს მსახურს (ბერძნ.).

**„დიდაქე“** – 12 მოციქულის მოძღვრება. ქრისტიანული მწერლობის უძველესი ძეგლი, რომელიც აპოკრიფადაა მიჩნეული.

**დიდი ოთხშაბათი** – ვნების კვირის ოთხშაბათი, იუდას მიერ მაცხოვრის გაცემის დღე. ყოველი შვიდეულის ოთხშაბათს აღმოსავლეთის ეკლესიებში როგორც წესი, განსაკუთრებული გამონაკლისების გარდა, მარხვით აღნიშნავენ.

**დიდი პარასკევი** – ვნების პარასკევი; წითელი პარასკევი. ჯვარცმის დღე (მათე 27; მარკოზი 15; ლუკა 23; იოანე 17:28-40); საეკლესიო წელიწადის ყველაზე მძიმე დღე. ძველი ტრადიციის ეკლესიებში ამ დღეს ჟამისწირვა არ სრულდება, ყოველი პარასკევი კი (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) მარხვის დღეა.

**დიდი შაბათი** – ვნების შაბათი. საეკლესიო გადმოცემით, ამ დღეს იესო ქრისტე ჯოჯოხეთში ჩავიდა,

რომ იქიდან მართალთა სულები აღმოეყვანა.

**დიდი ხუთშაბათი** – ვნების ხუთშაბათი. დღე, როდესაც იესო ქრისტემ მოწაფეებს ფეხები დაბანა, საპასეჟო კრავის ნაცვლად უსისხლო მსხვერპლი შეწირა და წმ. ზიარების საიდუმლო (ნახ.) დააწესა, რის გამოც ეს დღე საიდუმლო სერობის დღედ იწოდება (მათე 26: 17-30; მარკოზი 14:12-26; ლუკა 22: 14-21; იოანე 13:1-35).

**ღითეიზმი** – ორღმერთიანობა; ორი ღმერთის რწმენა (ბერძნ.).

**დიკასტერია** – საეკლესიო სასამართლო.

**დიოფიზიტობა** – ორბუნებოვნობის დოგმატი, რომლის თანახმადაც განკაცებულ ღმერთს ორი ბუნება ჰქონდა: იყო სრული ღმერთი და სრული კაცი. ორივე ბუნება ერთ პიროვნებაში შეურევნელად, შეურწყმელად, განუყოფლად და დაუპირისპირებლად არსებობდა... მას ნამდვილად სციოდა, შიოდა და სტკიოდა. ეს დოგმატი IV მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (451 წ.) ჩამოყალიბდა მონოფიზიტობის (ნახ.) საპირისპიროდ (უფრო ვრცლად იხი დირითად ტექსტში).

**დიპტიქი** – მოსახსენიებელი წიგნი, სიტყვასიტყვით „ორნაწილელი“ (ბერძნ.), განკუთვნილი მიცვალებულებისთვისაც და ცოცხლებისთვისაც. მასში პირველ რიგში პატრიარქების სახელები შეაქვთ.

**დოგმატი** – სიტყვა ბერძნულია და თავდაპირველი შინაარსით ნიშნავს ზოგადად მოძღვრებას, მაგრამ ღვთისმეტყველებაში მან უცვალბებელი, ზედმიწევნით

მტკიცე მოძღვრების მნიშვნელობა შეიძინა. მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიის პოზიციით, ძირითადი საღვთის-მეტყველო დოგმატები თვით საღვთო წერილსა და საღვთო გადმოცემაშია ნამცნები, მაგრამ გამოთქმით და წერილობით ისინი მოგვიანებით ეკლესიის წმ. მამებისა და კრებების მიერ ჩამოყალიბდნენ. თითოეული დოგმატი საღვთო წერილს ეფუძნება და რჯულის ამა თუ იმ მხარეს ფორმულების, დადგენილებების და განაწესების სახით გადმოსცემს. მათი წყალობით სარწმუნოების სფეროში თვითნებური და სუბიექტური განმარტებები უნდა აილაგმოს.

**დოგმატური ღვთისმეტყველება** – ქრისტიანული სარწმუნოების საფუძვლების სისტემური გადმოცემა.

**დოკეტიზმი** – გნოსტკური მიმართულება, რომლის თანახმად მაცხოვარი წუთისოფელში არარეალური, მოჩვენებითი სხეულით მოვიდა (დოკეო – „მგონია, მეჩვენება“ ბერძნ.).

**დომინიკანელები** – რომის ეკლესიაში 1208 წელს წმ. დომინიკეს მიერ დაარსებული ორდენი.

**დუალიზმი** – ორმაგობა, ორი დაუსაბამო საწყისის, კეთილისა და ბოროტის რწმენა. ცნობილია დუალიოსტური რელიგიები (იხ. „ზოროასტრიზმი“).

**დუხობორები** – რუსული წარმოშობის სექტა. იხ. ზემ. ძირითად ტექსტში.

**დრაჰმა** – ინდუსთა რელიგიურ-ეთიკური ცნება: მისაგებელი, ვალი, მოვალეობა.

## ე

**ევტერი** – მცირე ზომის სამლოცველო, რომელიც საზოგადო მსახურებისთვის არაა განკუთვნილი. შეიძლება დიდი ტაძრის ნაწილი იყოს, ანდა ცალკეც იდგეს. სახელწოდება წარმომავლობით ბერძნულია: „ევზე“ – ლოცვა. რუსეთში მას „ჩასოვნია“ შეესაბამება, ლათინურ-ენოვან სამყაროში – „ორატორია“, „კაპელა“.

**ევზარქატი** – საევზარქოსო, ე.ი. ტერიტორია, სადაც ეკლესიას ევზარქოსი (ნახ.) განაგებს.

**ევზარქოსი** – წარმომავლობით ბერძნულია (ექსარხოსი) და სიტყვასიტყვით „გარემთავარს“ ნიშნავს. ამ სახელით ძველი ბერძნები იმ მეფისნაცვლებს იხსენიებდნენ, რომლებიც კოლონიებს მართავდნენ. აღმოსავლეთის ეკლესიებში ევზარქოსი იმ მღვდელმთავარს ნიშნავს, რომელიც მეზობელი ეკლესიის სამღვდელმთავრო სინოდის მიერაა დანიშნული და ამავე სინოდის წინაშე ანგარიშვალდებული. ასეთი მღვდელმთავარი რუსეთის ეკლესიის უწმინდესმა სინოდმა საქართველოს ეკლესიაში მაშინ მოავლინა, როდესაც ამ ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა (1811).

**ევზეტიკა** – სასულიერო მწერლობის დარგი, რომელიც ბიბლიის ცალკეული მუხლების, თავების და წიგნების შინაარსობრივ განმარტებას მოიცავს. მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან „ექსეგესის“ – განმარტება, ძველი ქართულით – თარგმანება.

**ეგზორცისტი** – ადამიანი, რომელიც ლოცვის ძალით ბოროტ სულებს დევნის.

**ელეზი** – სამოთხე, ღვთის მიერ დედამიწის აღმოსავლეთით გაშენებული ბაღი, წალკოტი, სადაც დაასახლა მან ადამი და მისი ცოლი ევა (დაბ 2:7-8).

**ევანგელიონ** – კეთილი ამბის უწყება, სახარება (ნახ.).

**ევანგელური ეკლესია** – იმ პროტესტანტული ეკლესიების საერთო სახელი, რომლებიც მთლიანად უგულვებელყოფენ საღვთო გადმოცემას და საეკლესიო ტრადიციას.

**ევანგელური ეკლესია გერმანიაში** – შეიქმნა 1948 წელს. იხ. ძირითად ტექსტში „ლუთერანები ...“

**ევანგელისტი** – კანონიკური სახარების ავტორი, მახარებელი. ევანგელისტები არიან: მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე.

**ევლოგია** – კურთხევა, დალოცვა (ბერძ.); საეკლესიო პრაქტიკაში უწოდებენ სეფისკვერს, რომელსაც დატეხენ და წირვის დამთავრების შემდეგ მორწმუნეებს დაურიგებენ.

**ექპარისტია** – ზიარება. სიტყვასიტყვით მაღლობის შეწირვას ნიშნავს. შვიდ საეკლესიო საიდუმლოთაგან ერთ-ერთი, რომელიც იესო ქრისტემ ძველი აღთქმისეული პასექის (სისხლიანი მსხვერპლის) ნაცვლად დააწესა. ესაა რიტუალი, რომელიც პურის ჭამით და ღვინის შესმით მთავრდება. ძველი და ტრადიციული ეკლესიების რწმენით, პური და ღვინო მაცხოვრის ჭეშმარიტი ხორცი



და სისხლია, არატრადიციული და პროტესტანტული რწმენით – სიმბოლური. ევქარისტია იგივე ჟამისწირვაა.

**ეკლესია** – მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან *კალეო*, *ეკკალეო*, რაც მოხმობას ნიშნავს. ქრისტიანთა შორის „ეკლესიას“ სამი მნიშვნელობა აქვს. ეკლესია არის 1) თანამორწმუნეთა საზოგადოება, კრება, ერი (არა ნაციის გაგებით); 2) ადგილი (შენობა), სადაც ეკლესიის წევრები იკრიბებიან და 3) ქრისტეს სხეული, გვამი, ხოლო თითოეული მორწმუნე – მისი ესა თუ ის ნაწილი, ასო (1 კორ. 3:16-17). მოცემული ქვეყნის ეკლესია მოცემული ქვეყნის სახელს ატარებს (საქართველოში მცხოვრები მართლმადიდებლების საზოგადოებას „საქართველოს ეკლესიის“ სახელით მოვიხსენიებთ).

**ეკლესიათა მსოფლიო საბჭო (ემს)** – იმ ეკლესიების თანამეგობრობა, რომლებიც იესო ქრისტეს ღმერთად და მაცხოვრად აღიარებენ. შეიქმნა ამსტერდამში 1948 წელს. თავიდან მის ძირითად ფუნქციას ათეიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და სოციალისტური რეჟიმის მიერ დაჩაგრული ქრისტიანების დაცვა წარმოადგენდა. ამის გამო სტალინის დიქტატურის დროს ემს-ს საქმიანობას სსრკ-ში უნდობლად და მტრულად ეკიდებოდნენ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მასში 1962 წელს გაწევრიანდა. 1978-1982 წწ-ში მისი თანაპრეზიდენტი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე იყო. ამ ეკლესიამ ემს-ს რიგები 1997 წელს დატოვა ქვეყანაში ანტიეკუმენურ განწყობილებათა მოძალების გამო.

**ეკლესიასტე** – ძველი აღთქმის კანონიკური წიგნი, რომლის ავტორად წინასწარმეტყველი სოლომონი ითვლება.

**ეკლესიის მამები** – დიდი წმინდანები და მოღვაწეები, რომლებსაც მართლმადიდებლური მოძღვრების (თეოლოგიის, დოგმატიკის), კანონიკისა და ლიტურგიკული პრაქტიკის ჩამოყალიბების საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით. ასეთები არიან: ათანასე ალექსანდრიელი (+373), ბასილი დიდი (+379), გრიგოლ ღვთისმეტყველი (+390), იოანე ოქროპირი (+407), კირილე ალექსანდრიელი (+444), მაქსიმე აღმსარებელი (+662), იოანე დამასკელი (+749), თეოდორე სტუდიელი (+826), სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი (+1032) და სხვა.

**ეკლესიოლოგია** – მოძღვრება ეკლესიაზე.

**ეკუმენიზმი** – მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან „ოიკუმენე“, რაც დასახლებას, ბინადრობას ნიშნავს, მეორეული შინაარსით – დასახლებულ მსოფლიოს, ე.ი. დედამიწის ადამიანებით დასახლებულ ნაწილს; „ეკუმენური მოძრაობა“ – მსოფლიო მოძრაობას; ეკუმენური საეკლესიო კრებები – მსოფლიო საეკლესიო კრებებს, ეკუმენური პატრიარქი – მსოფლიო პატრიარქს. XIX-XX სს-ის მიჯნაზე ევროპის პროტესტანტული ეკლესიების ინიციატივით დასაბამი ქრისტიანულ ეკუმენურ მოძრაობას მიეცა. შეიქმნა „ეკლესიათა მსოფლიო საბჭო“ (ნახ.) და „ევროპის ეკლესიათა კონფერენცია“, რომელთა მიზანი სხვადასხვა აღმსარებლობის ქრისტიანთა დაახლოებაა საყოველთაო მშვიდობისა და თანხმობისათვის

ხელისშეწყობის მიზნით. მოგვიანებით ამ მოძრაობას მართლმადიდებელი ეკლესიებიც შეუერთდნენ.

**ელი** – ღვთის ერთ-ერთი სახელი ძველ აღთქმაში; ნიშნავს „სიმტკიცეს.“

**ელიობა** – ძველი აღთქმის ერთ-ერთი დიდი წინასწარმრეტველის, წმ. ელიას (ილიას) ხსენების დღე – 20 ივლისი (ახ. სტ. 2 აგვისტო), რომელიც საქართველოში ფართო მასშტაბით აღინიშნება. ტაძრები უფრო ხშირად მაღალ ადგილებზე, მთის თხემებზეა აგებული. ეწყობა ღამის თევა, იკვლება საკლავი, იშლება საერთო ტრაპეზი და იმართება სპორტული შეჯიბრებები.

**ემანუელ** – ებრაული სიტყვაა და ნიშნავს: „ჩვენთან არს ღმერთი!“ ესაა იესო ქრისტეს წინასწარმეტყველური სახელი, რომლის შესახებ ესაია წინასწარმეტყველი ამბობს: „აჰა, მუცლად იღებს ქალწული; შობს ძეს და სახელად ემანუელს უწოდებენ“ (ეს. 7:14).

**ემბაზი** – ქვის, ხის ან ლითონის ჭურჭელი, რომელშიც წყალი ასხია და ნათლისღებისათვის არის განკუთვნილი. სიტყვა ბერძნულია და ნიშნავს: „შესვლა“, „ჩასვლა“. იგულისხმება ქრისტეს ეკლესიაში შესვლა, რაც ნათლისღების გზით და ემბაზის მეშვეობით ხორციელდება.

**ენკენია (ბერძნ.)** – ტაძრის განახლების დღესასწაული (ქართულად „სატფურება“), რომელიც დასაბამს იერუსალიმის დიდი ტაძრის განახლებიდან იღებს.

**ენქერი (ბერძნ.)** – მღვდელმთავრის შესამოსლის ნაწილი, გვერდზე ჩამოსაკიდი, რომელიც ღვთიური

ენერჯის, სულიერი მახვილის სიმბილოა.

**ენციკლიკა** – რომის პაპის ვრცელი და საყოველთაო წერილი რელიგიის, მორალის, პოლიტიკის და სხვა საკითხებზე. სიტყვა ლათინურია და ნიშნავს: ციკლური, პერიოდული. ძველ ქართულში მას „მრგვლიადმოსავლელი ეპისტოლე“ შეესატყვისება.

**ეპარქია** – ტერიტორიული ერთეული (ოლქი), რომლის ეკლესიებს ეპისკოპოსი განაგებს. იგივეა, რაც ლათ. „დიოცეზი“.

**ეპისკოპოსი** – სიტყვასიტყვით „ზედამხედველს“ ნიშნავს (ბერძნ.). უმაღლესი რანგი სამღვდლო იერარქიაში. მის პრეროგატივაში შედის ეპარქიის მართვა, მირონის მოხარშვა და მღვდელ-დიაკონთა კურთხევა.

**ეპისტოლე** – წერილი, გზავნილება (ბერძნ.).

**ეპიტაფია** – სიტყვასიტყვით: „საფლავსა ზედა“.  
1) წარწერა საფლავის ქვაზე; 2) დაკრძალვაზე წარმოთქმული ლექსი ან ქადაგება.

**ეპიფანია** – იგივეა, რაც განცხადება (ნახ.).

**ერესი** – მომდინარეობს ბერძნული ზმნიდან „ჰაირეო“, რაც პიროვნულ არჩევანს ნიშნავს. ქრისტიანულ ტერმინოლოგიაში მან პიროვნული აზრის, ახირების, აკვიატების შინაარსი შეიძინა და იმასვე ნიშნავს, რასაც ქართ. „წვალება“, „მწვალებლობა“ (ნახ.).

**ერესიარქი** – ამა თუ იმ ერეტიკული მოძღვრების, მწვალებლობის დამაარსებელი.

**ერეტიკოსი** – ერესის მიმდევარი, მწვალებელი.

**ერთდღიანი მარხები** – 1) ყოველი შვიდეულის ოთხშაბათი და პარასკევი (გარდა ხსენილისა); 2) ნათლისღების წინა დღე – 5 (ახ. სტ. 18).I; 3) იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა – 29.VIII (11.IX); 4) ჯვართამაღლება 14 (27). IX.

**ესქატოლოგია (ბერძნ.)** – მოძღვრება უკანასკნელი დღის შესახებ.

### 3

**ვარნა** – სანსკრიტზე ნიშნავს ფერს. იგივეა, რაც „კასტა“ (ნახ. ძირითად ტექსტში თ. „ინდუიზმი“).

**ვატიკანი** – რომის უბანი, სადაც მდებარეობს წმ. პეტრეს საფლავი და პაპის რეზიდენცია – წმ. საყდარი. 1929 წლიდან ლატერანის კონკორდატის (ხელშეკრულების) ძალით, რომელიც წმ. საყდარსა და მუსოლინის მთავრობას შორის გაფორმდა, იგი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

**ვნება** – 1) ტანჯვა, წამება (ძვ. ქართ.); 2) სექსუალური ლტოლვა.

**ვნების კვირა** – აღდგომის წინა და დიდმარხვის ბოლო შვიდეული, როდესაც ეკლესია იესო ქრისტეს ვნებანს (ტანჯვა-წამებას) მოიხსენიებს.

**ვნების მარხვა** – ყველაზე მძიმე და მკაცრი მარხვა (ვნების კვირას).

**ვულგატა** – ბიბლიის ლათინური თარგმანი, რომელიც ნეტარმა იერონიმუსმა 386-406 წლებს შორის შეასრულა. ნიშნავს საყოველთაოს, საერთო-სახალხოს.

## ზ

**ზატიკი** – წარმოშობით ძველი სპარსული სიტყვაა და საზეიმო დღეს ნიშნავს. აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: 1) კრებული, რომელშიც წარმოდგენილია ლიტურგიკული მასალა (საგალობლები) აღდგომიდან სულიწმინდის მოფენამდე და ყოველთა წმიდათა კვირიაკემდე. არსებობს წიგნი „მცირე ზატიკი“, რომელშიც აღდგომის მომდევნო კვირის, ბრწყინვალე შვიდეულის, საკითხავ-საგალობლებია მოთავსებული, 2) აღდგომის სინონიმი, 3) სადღესასწაულო შვიდეული, 4) 50-დღიანი საზეიმო ციკლი (ძვ. ქართ. ერგასეული) აღდგომიდან სულთმოფენობამდე, 5) ძველი აღთქმის საპასეჟო კრავი, იგივე „პასეჟი“, „პასქა“, (შესაწირი ბატკანი), 6) მაცხოვარი, იესო ქრისტე, ჩვენთვის შეწირული პასეჟი, პასქა.

**ზედაშე** – ყურძნის სუფთა წვენიდან დამზადებული წითელი ღვინო, რომელიც წმ. ზიარების დროს გამოიყენება.

**ზეთისცხება** – შვიდიდან ერთ-ერთი საიდუმლო, რომელიც ეკლესიაში პერიოდულად სრულდება და მაკურნებელ ძალას შეიცავს (შდრ. მარკოზი 6:13; იაკობი

5:14-15). არსებობს ზეთის კურთხევის წესი.

**ზესკნელი** – ანგელოზთა სამყოფელი.

**ზიარება** – წმ. საიდუმლო, რითაც მორწმუნე ღმერთთან კავშირს ამყარებს. ნახ. „ეკქარისტია“.

**ზოღიაქო** – მომდინარეობს ბერძნული სიტყვესაგან „ძოღიაკოს“, რაც „ცხოველისეულს“ ნიშნავს. ბერძნები ამა თუ იმ თანავარსკვლავედს (ვარსკვლავთა წრეს) ამა თუ იმ ცხოველს ამსგავსებდნენ და შესაბამის სახელს არქმევდნენ. ისინი მათ აკვირდებოდნენ და მისნობდნენ.

**ზორვა** – კერპებისათვის მსხვერპლის შეწირვა (ძვ. სპარს.).

**ზოროასტრიზმი** – იგივე მაზდეანობა, ცეცხლთაყვანისმცემლობა. იხ. ძირითად ტექსტში.

## თ

**თაღმუდი** – ებრაელთა რელიგიურ-ზნეობრივი და სოციალურ-სამართლებრივი კანონების კრებული; ძირითადად ძველი აღთქმის კომენტარები; მრავალტომიანი წიგნი, რომელიც თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა (ძვ. წ. IV–ახ. წ. V), შემდეგ კი ჩაიწერეს.

**თეატინელები** – კათოლიკე ბერების ორდენი, რომელიც თეატირის ეპისკოპოსმა (საფრანგეთი) XVI ს-ში დაარსა.

**თეიზმი (ბერძნ.)** – ფილოსოფიური მოძღვრება,

რომელიც ღვთის არსებობას აღიარებს.

**თემიდა** – მართლმსაჯულების ქალღმერთი ძველ საბერძნეთში. გამოხატავდნენ თვალახვეულს, რომელსაც ერთ ხელში სასწორი უჭირავს, მეორეში – მახვილი.

**თეოგონია (ბერძნ. „ღმერთების წარმოშობა“)** – ნიშნავს: 1) მითებს იმის შესახებ, თუ როგორ შეიქმნენ ღმერთები და 2) ელინურ ღვთისმეტყველებას ზოგადად.

**თეოდემოკრატია (ბერძნ.)** – იეზუიტების (ნახ.) მოძღვრება, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ხალხის ძალაუფლებას აღიარებს, მაგრამ საღვთო კანონებს უპირატესობას, ეკლესიას კი კონტროლის ფუნქციას ანიჭებს.

**თეოდიცეა** – ღვთის გამართლება (ბერძნ.). რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ლაიბნიცმა ჩამოაყალიბა. მიზანად ისახავს, რომ ღვთის იდეასთან მიმართებაში უსამართლობისა და ბოროტების რეალურ არსებობას ახსნა-განმარტება მოუძებნოს.

**თეოკრატია (ბერძნ.)** – ეკლესიის მიერ სახელმწიფოს მართვა.

**თეოლოგია (ბერძნ.)** – ღვთისმეტყველება.

**თეოსოფია** – „ღვთის სიბრძნე“ (ბერძნ.). თვითშემეცნების რელიგიურ-მისტიკური მოძღვრება, რომელსაც საფუძვლად რუდოლფ შტაინერისა და ელენე ბლავატსკაიას (XIX-XX) თეორიები უდევს.

**თენი** – საგალობელთა 12-ტომოვანი კრებული წელიწადის 12 თვის მიხედვით. ბერძნულიდან ქართულად



თარგმნა და ორგინალური მასალითაც შეავსო გიორგი მთაწმინდელმა (+1065).

**თორა** – 1) ძველი აღთქმის პორველი ხუთი წიგნი, რომელსაც ებრაელები რჯულის წიგნს უწოდებენ და თაყვანს სცემენ. ტექსტი, რომელსაც სინაგოგაში კითხულობენ, დაწერილია ეტრატის (პერგამენტის) გრაგნილზე და სინაგოგაში ინახება. იხ. ძირითად ტექსტში „იუდაიზმი“; 2) იუდეველთა სალოცავი, სინაგოგა.

**თეურგია** – „ღვთისძიერი საქმე“ (ბერძნ.). ნიშნავს სულებთან კონტაქტის დამყარებას და ამ გზით საოცრებათა მოქმედებას.

**თომიზმი** – კათოლიკური ფილოსოფია, რომელიც თომა აქვინელმა (1224-1274) ჩამოაყალიბა.

**თორმეტი სახარება** – სახარების თორმეტი მონაკვეთი, რომლებმაც ქრისტეს ტანჯვა-წამებაა აღწერილი. იკითხება ვნების მარხვაში, დიდ ხუთშაბათს.

## ი

**იაღვარი** – საგალობლების კრებული, რომელიც საქართველოს ეკლესიაში XI ს-მდე გამოიყენებოდა. ბერძნულ დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია. შემონახულია ქართული თარგმანით.

**იაჰვე** – ძველებრაული ტეტრაგრამატონის „იჰვჰ“-ს თანამედროვე გახმოვანება; ვარიანტები – „იეჰოვა“ და,

დამახინჯებული ფორმა, „იელოვა“; ღვთის ერთ-ერთი სახელი, რაც ნიშნავს: მყოფი, არსებული, ჭეშმარიტი, ძვ. ქართ. თარგმანით – „მე ვარ, რომელი ვარ!“ (გამ. 3:14).

**იბაკო და იკოსი** – მცირე ფორმის საგალობლები.

**იეზუიტები (ლათ. „იესოს საზოგადოება“)** – ბერმონაზონთა ორდენი რომის კათოლიკურ ეკლესიაში. დააარსა ი. ლოიოლამ 1534 წელს პარიზში. იეზუიტები კონტრეფორმატორულ პოზიციაზე იდგდნენ და მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდნენ. ზოგიერთ ქვეყანაში საერო ხელისუფლება მათ მკვეთრად უპირისპირდებოდა, რის გამოც პაპი იძულებული ხდებოდა, რომ მათი მოღვაწეობის ასპარეზი შეეზღუდა.

**იერარქია (ბერძნ.)** – სიტყვასიტყვით ასე ითარგმნება „სიწმინდეთ მთავრობა“ ან „სიწმინდეთ-დასაბამობა“ ან „მღვდელთმთავრობა“. არსებობს როგორც საღვთო ანუ ზეციური იერარქია (მთავრობა), ისე საეკლესიო იერარქია. პირველი ანგელოზთა დასებს გულისხმობს, მეორე – სამღვდელთა ხარისხებს.

**იკონოგრაფია (ბერძნ.)** – ხატწერის თეორია, კანონიკა და პრაქტიკა.

**ინდუიზმი** – ნახ. ძირითად ტექსტში.

**ინდულგენცია** – ლათ. „წყალობის სიგელი“, რომელსაც შუა საუკუნეებში რომის პაპები გასცემდნენ ამა თუ იმ ერისკაცის ცოდვების მიტევებისათვის. საფუძვლად უდევს კათოლიკური რწმენა წმინდანთა ჭარბი მაღლის შესახებ.

**ინიციაცია** – ლათ. „განდობა“, „თანაზიარება“, სულიერი კიბის გარკვეულ საფეხურზე ასვლა და ხელდასხმა.

**ინკვიზიცია (ლათ. „გამოძიება“)** – საგამომძიებლო-სასამართლო ორგანო, ტრიბუნალი კათოლიკურ ეკლესიაში, რომლის მიზანი ერეტიკოსებისა და ჯადოქრების გამოვლენა და დასჯა იყო (XIII-XVIII).

**ინტრონიზაცია** – სიტყვა ბერძნულია და „აღსაყდრებას“ ნიშნავს.

**იოანე ოქროპირის ლიტურგია** – ჟამისწირვის ძირითადი წესი (რედაქცია) აღმოსავლეთის მართლ-მადიდებელ ეკლესიებში, რომლის ავტორი არის კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსი (პატრიარქი) წმ. იოანე ოქროპირი (+407).

**იოგა (იუჯ „ერთად შეკონვა“, „კავშირი“, სანსკრ.)** – რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემა; ჩაისახა ინდოეთში (ძვ. წ. II ს.); დამაარსებელი: ბრძენი პატანჯალი; ფიზიკური და სულიერი ვარჯიშების თეორია და პრაქტიკა.

**ისაგოგია** – შესავალი (ბერძნ.). იხმარება ბიბლიის მისამართით და „ბიბლიოლოგიის შესავალს“ ნიშნავს.

**ისიქაზმი (ბერძნ.)** – სამონასტრო-ასკეტური ცხოვრების წესი, რომელიც საბოლოოდ XIV ს-ში ათონის მთაზე ჩამოყალიბდა და სხვა მონასტრებშიც გავრცელდა. დამაარსებლად ბერი გრიგორი პალამა (XIII-XIV) ითვლება. იგი ამტკიცებდა: ნათელი, რომელიც მოციქულებმა თაბორის მთაზე იხილეს, შეუქმნელი და

მარადიულია; მისი განჭვრეტა კი მხოლოდ მღუმარებითაა შესაძლებელი. ამის თაობაზე სახელწოდება მიგვანიშნებს: „ისიქაზმოს“ – მღუმარება, სიწყნარე.

**ისლამი** – ნახ. ძირითად ტექსტში.

**ისმაილიტები** – 1) აბრაამის პირველი ვაჟის, ისმაილის, შთამომავლები; 2) მუსლიმთა საერთო სახელი; 3) ერთ-ერთი ისლამური სექტის (ისმაილიტ-მულიდების, ასასინების, ქართ. – ალმუთელების) სახელწოდება.

**იუდაიზმი** – ნახ. ძირითად ტექსტში.

**იულიუსის კალენდარი (ძველი სტილი)** – დროის აღრიცხვის ის სისტემა, რომელიც ეგვიპტელი ასტრონომის სოსიგენეს (სოზიგენეს) რჩევით იმპერატორმა იულიუსმა ძვ. წ. 45 წ. 1 იანვარს რომის იმპერიაში შემოიღო. ამ სისტემის თანახმად მომდევნო სამი წელიწადის ხანგრძლივობა 365 დღელამით განისაზღვრება, ყოველი მეოთხე წელიწადისა (ნაკიანი წელიადი) – 366-ით. ეს უმნიშვნელოვანესი კალენდარული რეფორმა იყო, მაგრამ პრობლემა ვერ მოგვარდა: ასტრონომიული მიჯნებისათვის (მზებედობა, ბუნიობა) მონიშნული თარიღები საუკუნეების შემდეგ რამდენიმე დღით ჩამორჩნენ იმავე ასტრონომიულ მიჯნებს. ამის გამო 1582 წელს ჩატარდა რეფორმა, რის შემდეგად იულიუსის კალენდარს ძველ სტილს უწოდებენ (იხ. გრიგორისეული კალენდარი).

**ირმოლოგიონი** – ნახ. „ძლისპირნი და ღვთისმშობლისანნი“.

**იუპიტერი** – რომაულ მითოლოგიაში ცის, სინათლისა და წვიმის ღმერთი. ბერძნულ მითოლოგიაში

მას ზევსი შეესაბამება.

**იურისდიქცია** – სივრცე (ტერიტორიული თუ სულიერი), რომელიც ამა თუ იმ მღვდელმთავრის სამართლებრივი მოქმედების ასპარეზს შეადგენს.

**ილუმენი** – მართლმადიდებელი მონასტრის წინამძღვარი.

## კ

**კაბალა** – ებრაული წიგნი, რომელიც თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა („კაბალაჰ“ ძვ. ებრ. გადმოცემას, თქმულებას ნიშნავს).

**კაბალისტიკა** – 1) კაბალაზე დაფუძნებული რელიგიურ-მისტიკური მოძღვრება და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი; 2) ისეთი რამ, რასაც თითქოს მაგიური ძალა აქვს; ბუნდოვანი, საიდუმლოებით მოცული, ძნელად გასარკვევი რამ.

**კათაკმეველი** – მოსანათლად გამზადებული.

**კათალიკოსი (კათოლიკოსი)** – აღმოსავლეთის ქვეყნების ეკლესიათა უპირატესი ეპისკოპოსი. სიტყვა ბერძნულია და საყოველთაოს ნიშნავს.

**კათარზისი** – განწმენდა (ბერძნ.).

**კათედრა** – 1) შემალღებული ადგილი, საიდანაც ქადაგებენ; 2) ეპისკოპოსის რეზიდენცია.

**კათოლიკე** – 1) საყოველთაო და მსოფლიო

ეკლესიის საერთო სახელი; 2) რომის კათოლიკური ეკლესიის წევრი.

**კათოლიციზმი** – მართლმადიდებელ ეკლესიებში მას ხშირად პაპიზმს უწოდებენ. ვრცლად იხ. ძირითად ტექსტში.

**კალანდობა** – საახალწლო ზეიმი (უფრო დასავლეთ საქართველოში).

**კალვინიზმი** – ერთ-ერთი პროტესტანტული მიმდინარეობა; რეფორმატორული ეკლესია, რომლის დამაარსებელია ჟან კალვინი (1509-1564). მისი მოძღვრების არსებითი ნიშანია პიროვნების მომავლის წინასწარგანსაზღვრულობა.

**კანდელი** – ეკლესიის ჭერზე ან ხატის წინ ჯაჭვით ჩამოკიდებული ლამპარი, რომელშიც ზეთი ანთია.

**კანონი** – 1) საეკლესიო ცხოვრების რეგლამენტი, იურიდიული ნორმა, წესი; 2) „დაბეჭდილი“, ე.ი. კანონიკური ბიბლია; 3) ცხრა გალობისაგან შემდგარი საგალობელი, რომელიც ცისკარზე სრულდება.

**კანონიზაცია** – სარწმუნოებისათვის თავდადებული ან ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული ღვაწლის მქონე პიროვნების წმინდანად აღიარება.

**კანონიკა** – 1) საეკლესიო ცხოვრების იურიდიული მხარე; 1) სასულიერო მწერლობის დარგი, რომელიც კანონიკურ ლიტურატურას შეისწავლის.

**კარდინალი** – პაპის შემდეგ უმაღლესი სასულიერო თანამდებობა რომის ეკლესიაში. იგივეა, რაც ბერძნულენოვან სამყაროში მიტროპოლიტი.

**კასტა** – იხ. ვარნა.

**კატაბასია (ბერძნ.)** – სიტყვასიტყვით: „ქვევით ჩასვლა“. მცირე ფორმის საგალობელი ან ლოცვა, რომელიც კერძო საღვთისმსახურო პრაქტიკაში გამოიყენება.

**კატაკომბები** – ვრცელი მიწისქვეშა გალერეები, სადაც პირველ ხანებში დევნილი ქრისტიანები აფარებდნენ თავს.

**კატეხიზმო** – დარიგება (ბერძნ.); ქრისტიანული მოძღვრების მოკლე გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით.

**კელია კალინი** – ბერის საცხოვრებელი სენაკი.

**კერპი** – წარმართულ ღვთაებათა სკულპტურული გამოსახულება.

**კვაკერები** – პროტესტანტული ეკლესია; შეიქმნა 1649 წ. ინგლისში. დამაარსებელია გრაფი ფოტსი. უარყოფენ ყოველგვარ საეკლესიო წესსა და პიროვნული სიწმინდის წყაროდ „შინაგან ნათელს“ სახავენ.

**კვართი** – პერანგი. იხ. საუფლო კვართი.

**კვეთა** – იხ. პროსკომიდია.

**კვეთებული** – ლოცვა სულიერი ავადმყოფისათვის.

**კვერექსი** – გარკვეული თანმიმდევრობით წარმოსათქმელი ჩამოლოცვა საზოგადო და კერძო ღვთისმსახურებაზე.

**კვერთხი** – მღვდელმთავრის ან ბერის ყავარჯენი (არგანი).

**კლერიკალიზმი** – სიტყვა ლათინურია („საეკ-

ლესიო“), ფუძე კი ბერძნული „კლერიკოს“ (სამღვდელი) და ორი მნიშვნელობა აქვს: 1) საეკლესიო იდეოლოგია ზოგადად და 2) ეკლესიის დიქტატი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე.

**კონგრეგაცია** – 1) ერთი და იმავე წესდების მქონე მონასტრების გაერთიანება რომის ეკლესიაში; 2) რომის პაპთან არსებული ადმონისტრაციული ორგანო.

**კონდაკი** – 1) ჯოხი, რაზეც დახვეულია ეტრავტი; 2) სასულიერო პირებისათვის განკუთვნილი წიგნი, რომელშიც საზოგადო ღვთისმსახურების (მწუხრის, ცისკრის, ჟამისწირვის) ტექსტებია მოცემული; 3) მცირე ფორმის საგალობელი.

**კონკორდატი** – ხელშეკრულება (ლათ.), რომელსაც ვატიკანი სხვადასხვა სახელმწიფოებთან დებს.

**კონსისტორია (ლათ. „შეკრების ადგილი“)** – 1) კარდინალთა თათბირი რომის პაპის მეთაურობით; 2) საეპარქიო ორგანო რუსეთის ეკლესიაში.

**კონფესია (ლათ.)** – აღმსარებლობა.

**კონფირმაცია** – 1) მირონცხების საიდუმლო, რომელიც ლათინური წესის ეკლესიებში ნათლისღების შემდეგ, მოწიფულ ასაკში, აღესრულება; 2) ეკლესიის წევრად მიღების წესი იმ პროტესტანტულ ეკლესიებში, სადაც ჩვილებს არ ნათლავენ. სიტყვა ლათინურია და „განმტკიცებას“ ნიშნავს.

**კონფუციანობა** – იხ. ძირითად ტექსტში.

**კოსმოლოგია** – მოძღვრება სამყაროს შესახებ (ბერძ.).



**კულტი (ლათ.)** – 1) ზოგადად: თაყვანისცემა, მსახურება, რელიგია; 2) რელიგიური ორგანიზაციის ფორმა, რომელსაც ლიდერის გაფეტიშება და გაკერპება ახასიათებს. მას ხშირად ტოტალიტარულ სექტასაც უწოდებენ.

**კურია** – რომის პაპის მმართველობის ორგანო.

**კრეაციონიზმი** – მოძღვრება სამყაროს შექმნის შესახებ (ლათ. კრეაცია „შექმნა“).

**კრიალოსანი** – მძივებიანი ძაფი. მძივების რაოდენობა „კირიე ელვისონის“ ანუ, ქართ. „უფალო შეგვიწყალების“ იმ რაოდენობას შეესაბამება, რაც მლოცველმა ერთ ჯერზე უნდა წარმოთქვას.

**კტიტორი (ბერძნ.)** – პიროვნება, რომელიც ეკლესიას თავისი სახსრებით აშენებს („კტიძო“ - კეთება, ქმნა). ქართულად „ქტიტორადაც“ ითარგმნება.

**კურთხევა** – 1) ქიროტონია (ნახ.); 2) დალოცვა.

**კურთხევანი** – სამღვდლო წიგნი კერძო მსახურებისათვის (ნათლობა, ჯვრისწერა, წესის აგება და სხ.).

## ს

**ლაბირინთი** – ბერძნულ მითოლოგიაში: მრავალი დახლართული შესასვლელისა და გამოსასვლელის, აუარებელი ოთახის შემცველი ძნელად გასაგნები შენობა, რომელიც დედალოსმა მეფე მინოსს კუნძულ კრეტაზე

აუგო.

**ლავრა** – დიდი მონასტერი.

**ლავსაიკონი** – საიმპერიო კარის მოხელისადმი, ლავსიუსისადმი, წმ. პალადი ჰელენოპოლელის (IV-V სს) გაგზავნილი ნაშრომი, სადაც მეუდაბნოე მამათა ცხოვრების ესა თუ ის საყურადღებო ამბავი და სხვადასხვა საგანზე მათი ბრძნული გამონათქვამები არის შემოკრებილი. ქართულად თარგმნა ეფრემ მცირემ. (XI ს.).

**ლაზარეთი** – სამხედრო ნაწილთან არსებული პატარა საავადმყოფო. დაკავშირებულია იმ ლაზარეს სახელთან, რომელიც ავად იყო, მოკვდა, მაგრამ ქრისტემ გააცოცხლა (იოანე 11:1-25).

**ლამა** – ბუდისტი ბერი. სიტყვა ტიბეტურია: უზენაესი, ციური.

**ლამაიზმი** – ბუდიზმის განშტოება. აღმოცენდა ჩვ. წ. VII ს-ში; გავრცელებულია ჩინეთში, მონღოლეთსა და იაპონიაში.

**ლარნაკი (ბერძნ.)** – ლანგარი (თეფში), რიმელზეც წმ. ნაწილებს აწყობენ.

**ლეგატი** – რომის პაპის მოციქული, ელჩი, მის მიერ გაგზავნილი (ლათ.).

**ლეგენდა** – ზეპირად გავრცელებული ამბავი, რომელიც რელიგიურ შინაარსს მოიცავს. აქვს სხვა, არარელიგიური მნიშვნელობებიც. სიტყვა ლათინურია და ასე ითარგმნება: “ის, რაც უნდა წაიკითხონ.“

**ლევიანები** – იაკობის შვილის, ლევის, შთამომავლები, რომლებსაც ძველი აღთქმის ეკლესიაში

ღვთისმსახურების უფლება ჰქონდათ.

**ლექციონარი** – ლიტურგიკული კრებული, რომელიც დღესასწაულებისათვის განწესებულ ბიბლიურ საკითხავებს შეიცავს.

**ლიმონარი** – VI-VII სს-ის სირიელი მამის იოანე მოსხის აგიოგრაფიულ-დიდაქტიკური კრებულის სახელწოდება (ბერძნ.), რაც მდელოს (სამოთხეს) ნიშნავს.

**ლიტანია (ბერძნ.)** – საყოველთაო ლოცვა, რომლის დროსაც ეკლესიას გარს უვლიან; იმართება დიდი დღესასწაულის, განსაკუთრებული მოვლენის ან საერთო განსაცდელის დროს.

**ლიტია** – მოკლე ლოცვა მიცვალებულის სულის საოხად.

**ლიტურგია** – იგივეა, რაც ევქარისტია, ჟამისწირვა, უსისხლო მსხვერპლის შეწირვა (ეტიმოლოგიურად: „ერის საქმე“, ე.ი. საერთო მსახურება).

**ლიტურგიკა** – ლიტურგიისა და ლიტურგიკული ტექსტების შემსწავლელი მეცნიერება.

**ლიფანალი** – მიცვალებულის სულთან დაკავშირებული ცერემონიალი სვანეთში.

**ლოგოსი (ბერძნ. „სიტყვა“)** – წმ. სამების მეორე პირი, ღვთის ძე, რომელიც განკაცდა (იოანე 1:1-5).

**ლოცვა** – ღმერთთან საუბარი.

**ლუთერანობა** – იხ. ძირითად ტექსტში.

**ლუციფერი (ლათ.)** – ჯოჯოხეთის მბრძანებელი; ეშმაკთუხუხცესი, სატანა.

## მ

**მაგია** – ჯადოსნობა; კეთილი ან ბოროტი ძალების მომადლიერება.

**მაღლი** – წყალობა, რომელიც ინდივიდს ღვთის მიერ პიროვნული დამსახურების გარეშეც ენიჭება.

**მაზდეანობა** – იგივე ზოროასტრიზმი (ნახ.).

**მათუსალა: მათუსალას ხნისა** – იტყვიან ძალიან ხნიერ ადამიანზე. იგულისხმება კაცთა მოღვმის ერთ-ერთი წინაპარი მათუსალა, რომელმაც 969 წელი იცოცხლა (დაბ. 5:27).

**მაკაბელთა წიგნები** – ძველი აღთქმის ოთხი არაკანონიკური წიგნი, რომლებშიც აღწერილია ებრაელთა ბრძოლა სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის.

**მაკროკოსმოსი** – დიდი კოსმოსი (ბერძნ.).

**მალაკანი** – იხ. ძირთად ტექსტში.

**მამონა** – არამეულ-ბერძნული სიტყვაა და სიმდიდრეს ნიშნავს; 1) ძველი აღმოსავლეთის ზოგ ხალხში სიმდიდრის ღვთაება; 2) ზოგადად: ანგარება, ვერცხლის-მოყვარეობა.

**მანანა** – ციური საჭმელი, რითაც ღმერთი ებრაელებს უდაბნოში ასაზრდოებდა.

**მანდიზმი** – ქრისტიანულ-გნოსტიკური კონფესია; იგივე „საბაიზმი“, „იოანე ნათლისმცემლის ქრისტიანები“, რომელიც ჩვ. წ. I ს-ში ახლო აღმოსავლეთში აღმოცენდა.

მისი მიმდევრების რიცხვი ამჟამად ნახევარ მილიონს არ აღემატება. „მანდა“ არამეული ენის მანდურ დიალექტზე ცოდნას ნიშნავს.

**მანიქველობა** – ერესი, ფილოსოფიურ-მისტიკური მოძღვრება, რომელიც III ს-ში ახლო აღმოსავლეთში სპარსელმა რეფორმატორმა მანიმ ჩამოაყალიბა. ქრისტიანობისა და მაზდეანობის კონგლომერატს წარმოადგენდა.

**მანტრა (სანსკ.)** – სიტყვა, ლოცვა.

**მარა (სანსკ.)** – ბოროტი, მომაკვდინებელი სული ბუდიზმში.

**მასონი (ფრანგ. „კალატონი“)** – რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც XVIII ს-ში ინგლისში შეიქმნა და საიდუმლო საზოგადოებათა სახით ევროპისა და ამერიკის სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. მასონები თავს მიიჩნევენ სოლომონის ტაძრის მშენებელთა შთამომავლებად. არსებობს მასონთა უამრავი დამოუკიდებელი საზოგადოება (ლოჟა) რომლებსაც გროსმაისტერები (არქიტექტორები) ხელმძღვანელობენ.

**მართლმადიდებლობა** – იხ. ძირითად ტექსტში.

**მარონიტები** – წმ. მარონის მიმდევრები; ძველი ტრადიციის ეკლესია ლიბანში, რომელიც XIII ს-ში რომის ეკლესიას შეუერთდა, მაგრამ თავისებური წეს-განგება შეინარჩუნა. დღეისათვის 600 ათასამდე მიმდევარი ჰყავს. ვარაუდობენ, რომ ისინი მონოთელიტების შორეული მემკვიდრეები არიან.

**მარტვილია** – სულთმოფენობა, ერგასისი, აღდგომიდან 50-ე დღე.

**მარტვილობა (ბერძნ.)** – 1) ზოგადად: დამოწმება, დადასტურება; 2) ქრისტიანული სარწმუნოებისათვის ტანჯვა-წამება და ამ გზით ჭეშმარიტების დადასტურება.

**მარტირიკა** – მარტვილთა ცხოვრების კრებული.

**მარტიროლოგი** – „წამებათა“ აღმწერი.

**მარხვა** – ღროის გარკვეული მონაკვეთი, როდესაც მორწმუნე პიროვნული განწმენდისათვის განსაკუთრებით ზრუნავს (თავს იკავებს ცხოველური საკვებისაგან და ა.შ.).

**მარხვანი** – ლიტურგიკული კრებული, რომელიც აღდგომის წინა მარხვის (დიდმარხვის) საგალობლებს შეიცავს; ტრიოდინი.

**მაჰმადიანობა (ისლამი)** – იხ. ძირითად ტექსტში.

**მაჰატმა (სანსკ.)** – დიდი სული; ღვთაებრივი პიროვნება.

**მელავითნე** – ის, ვინც ეკლესიაში დავითნს (ფსალმუნს) კითხულობს.

**მელიტაცია (ლათ.)** – მჭვრეტელობა. ლოცვის მნიშვნელობითაც იხმარება.

**მეთოდისტები** – პროტესტანტული ეკლესია; შეიქმნა 1729 წ. ინგლისში; მოითხოვენ ანგლიკანური ეკლესიის წესების ზუსტ („მეთოდურ“) შესრულებას.

**მენონიტები** – პროტესტანტული ეკლესია, რომელიც მღვდელმა მენო სიმონსმა 1536 წელს დაარსა. არსებითი ნიშანი: მეორედ მოსვლის მძაფრი მოლოდინი და ქრისტეს ათასწლოვანი სამეფოს დაარსების რწმენა

(იხ. ქილიაზმი).

**მეორედ მოსვლა** – უკანასკნელ ჟამს ქრისტეს მეორედ მოსვლა.

**მესია** – ებრაული სიტყვაა და ნიშნავს: ცხებული (ბერძნ. ქრისტე).

**მეტანია** – მუხლდადრეკით ლოცვა.

**მეტანოია (ბერძნ.)** – სინანული; სიტყვასიტყვით: „გონების განახლება.“

**მეტაფიზიკა (ბერძნ.)** – „ფიზიკის შემდეგ“, იგულისხმება: მატერიალური სამყაროს მიღმა არსებული სამყარო და მისი შემეცნების არაემპირიული მეთოდი.

**მეტემფსიქოზი (ბერძნ.)** – რეინკარნაცია (ნახ.).

**მეტაფრასი (ბერძნ.)** – წმინდანის ძველი „ცხოვრებისა“ თუ „წამების“ განახლებულ-გამშვენებული რედაქცია.

**მეტაფრასტი** – მეაფრტასის ავტორი.

**მეუდაბნოე** – უდაბნოში (უკაცრიელ ადგილზე) მცხოვრები ბერი.

**მითი და მითოსი (ბერძნ. „გადმოცემა“, „თქმულე-ბა“)** – 1) ძველი თქმულებები ღმერთებსა და გმირებზე, სამყაროს შექმნასა და სიცოცხლის წარმოშობაზე; 2) გადატანით: მონაწილე, ტყუილი რამ.

**მიკროკოსმოსი** – „პატარა კოსმოსი“ (შემოსაზღვრული სივრცე).

**მირონი** – 30-ზე მეტი სურნელოვანი ნივთიერებისაგან დამზადებული ზეთი, რომელიც სხვადასხვა

პიროვნებისა თუ საგნის კურთხევის დროს გამოიყენება.

**მირონცხება** – ნახ. კონფირმაცია.

**მირქმა** – საუფლო დღესასწაული (ძვ. ქართ. „მიქუმა“, გულზე მიკონება) (წყარო: ლუკა 2:29-30).

**მისანი** – მკითხავი.

**მისია** (ლათ. „გაგზავნა“) – მივლინება რაღაც მიზნისათვის.

**მისიონერი** – ეკლესიის მიერ სარწმუნოების გასავრცელებლად წარგზავნილი მქადაგებელი.

**მისტერია** (ბერძნ. „საიდუმლოება“) – 1) საეკლესიო რიტუალი, რომლის ქმედითი ძალა ადამიანის თვალისათვის დაფარულია; 2) საღვთო მნიშვნელობის მოვლენა (მაგ. ჯვარცმა – გოლგოთის მისტერია).

**მისტიკოსი** – სულიერი სამყაროს მჭვრეტელი.

**მიტრა** (ბერძნ.) – მაღალი თანამდებობის სასულიერო პირების თავსარქმელი, რომელსაც მღვდელმსახურების დროს იხურავენ. იგივეა, რაც ლათ. „ტიარა“.

**მიტროპოლიტი** – ეპისკოპოსის უმაღლესი კატეგორია.

**მიურიდიზმი** – მუსლიმთა გაერთიანება, რომლის მთავარი მიზანი ურწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლაა (არაბ. „მიურიდი“ მოწაფე, შეგირდი).

**მიძინება** (ზეცად აღყვანება) – საღვთისმშობლო დღესასწაული (15.VIII).

**მნათე** – ეტიმოლოგიურად: ის, ვისაც ეკლესიაში სანთლების ანთება ევალება; ზოგადად: ვინც მღვდელ-



მსახურს ეხმარება (რეკს ზარს და ა.შ.).

**მოკვი** – წარმართი ღვთისმსახური.

**მოლა** (არაბ. „ბატონი“) – მუსლიმთა ღვთისმსახური.

**მონაზონი (ბერძნ.)** – 1) ზოგადად: ბერი, „მარტომყოფელი“; 2) მონასტრის მკვიდრი ქალი.

**მონოთეიზმი (ბერძნ.)** – რელიგია, რომელიც ერთ ღმერთს აღიარებს.

**მონოთელიტობა** – ერესი, რომელიც VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაგმო (680-681). ამტკიცებდა, რომ ქრისტეს ორი ბუნება, მაგრამ ერთი ნება ჰქონდა (ბერძნ. მონოს „ერთი“ და თელემა „ნება“).

**მონოფიზიტობა** – იხ. ძირითად ტექსტში.

**მონსინიორი** – მაღალი იერარქიის სასულიერო პირის აღმნიშვნელი სიტყვა რომის ეკლესიაში. იგივეა, რაც ქართ. „მეუფე.“

**მორმონები** – იხ. ძირითად ტექსტში.

**მოციქული** – აპოსტოლი (ბერძნ.). ეს სახელი, როგორც წოდება, ეკლესიამ ქრისტეს 12 და შემდეგ კიდევ სამოცდაათ მოწაფეს მიანიჭა.

**მრევლი** – ეკლესიის იმ წევრთა კრებული, რომლებსაც სასულიერო ხარისხი არა აქვთ; ერისკაცები.

**მრწამსი** – სარწმუნოების სიმბოლო (ნახ.), რომელიც იწყება სიტყვით: “მრწამს...”

**მსგეფსი** – დროის ის მონაკვეთი (მაგ. აღდგომის შემდეგი შვიდეული), როდესაც ოთხშაბათი და პარასკევი ხსნილია.

**მუნიტები** – პანეკუმენისტური მოძრაობა, „გაერთიანებული ეკლესია“ (მეორე სახელწოდება: სულიწმინდის ასოციაცია), რომელიც კორეელმა მქადაგენელმა სან სენ მუნიმ 1954 წელს ამერიკაში დაარსა.-

**მუფთი** – მუსლიმთა იურისტ-ღვთისმეტყველი, ყურანის განმმარტებელი; უმაღლესი სასულიერო პირი.

**მღვდელი** – საეკლესიო იერარქიის მეორე საფეხური (ქვემოდან ზემოთ).

**მუჯაჰიდი (არაბ. „ღვთის გზაზე მუყაითი“)** – ჯიჰადის მონაწილე (იხ.).

**მღვდლობა** – შვიდ საეკლესიო საიდუმლოთაგან ერთ-ერთი; ღვთისმსახურად ხელდასხმა.

**მწვალებლობა** – ერესი (ნახ.).

**მწირი** – 1) წმ. ადგილთა მომლოცველი; 2) ზოგადად: მიუსაფარი და უპოვარი, სხვა ქვეყნიდან მოსული.

**მწუხრი** – დაისი, საღამო, როდესაც მორწმუნეები საერთო ლოცვისათვის იკრიბებიან.

**მწყემსი** – მოძღვარი, სასულიერო პირი ზოგადად.

## 6

**ნათლია** – პიროვნება, რომელმაც მეორე პიროვნებას ნათლისღების გზაზე ხელი გაუმართა. მას

მეორენაირად, ძველი ქართულით, „მიმქუმელი“ ეწოდება.

**ნათლისღება** – 1) ერთ-ერთი საუფლო დღესასწაული (ნახ. განცხადება); 2) შვიდთაგან ერთ-ერთი საიდუმლო; პიროვნების ეკლესიის წევრად გახდომა, რაც წყლის დასხმით ან წყალში შთაფლვით აღესრულება.

**ნათლული** – ის, ვინც ნათლიის თანადგომით მოინათლა.

**ნამაზი (სპარს.)** – მუსლიმთა ლოცვა, რომელსაც დღეში ხუთჯერ ასრულებენ.

**ნეოფიტი** – პროზელიტი (ნახ.).

**ნესტორიანობა** – ერესი, რომელიც კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ნესტორიმ ჩამოაყალიბა. ამტკიცებდა, რომ მარიამმა შვა კაცი, რომელსაც ღმერთი მერე შეუერთდა, ე.ი. იესო ქრისტე ორ პირს მოიცავდა. დაგმო III მსოფლიო საეკლესიო კრებამ (431 წ.).

**ნიმფა** – ბერძნულ მითოლოგიაში მეორეხარისხოვანი ქალღმერთი.

**ნომოკანონი** (ბერძნ.) – რჯულისკანონი.

**ნუნციუსი** (ლათ.) – რომის პაპის წარმომადგენელი (ელჩი, დესპანი) რომელიმე სახელმწიფოს მთავრობასთან.

## ო

**ობსკურანტი** (ლათ. „ბნელი“) – განათლებისა და მეცნიერების მტერი, წყვედიადის მსახური; ბნელეთის

მოციქული.

**ოდიკი** – ოთხკუთხა ქსოვილი, რომლის შუაგულში გამოსახულია მაცხოვრის საფლავად დადება, ხოლო კუთხეებში – ოთხი მახარებელი. დევს საკურთხეველზე; შლიან წირვის დროს და უსისხლო მსხვერპლის შეწირვას მასზე ასრულებენ. სიტყვა ბერძნულია და მომდინარეობს სიტყვისაგან „ოდოს“ (გზა). იგივეა, რაც ბერძნული და ლათინური ტრადიციის სხვა ეკლესიებში „ანტიმენსა“.

**ოდინი** – უმაღლესი ღვთაება ძველ სკანდინავიელთა მითოლოგიაში.

**ოთხთავი** – ოთხი კანონიკური სახარება.

**ოკულტიზმი (ლათ. ფარული, საიდუმლო)** – მისტიკურ მოძღვრებათა და ქმედებათა საერთო სახელი.

**ორაკული (ლათ.)** – 1) წინასწარმეტყველება, რომელსაც ძველ საბერძნეთსა და რომში წინასწარმეტყველი ქალები (სიბილები) წარმოთქვამდნენ; 2) ადგილი, ტაძარი, სადაც ქურუმები წინასწარმეტყველებდნენ.

**ორატორია (ლათ.)** – იგივეა, რაც ეგვტერი (ნახ.).

**ორგია (ბერძნ.)** – ძველ საბერძნეთსა და რომში ღვინისა და მხიარულების ღმერთის დიონისეს (ბახუსის) დღესასწაული.

**ორდენი (ლათ.)** – 1) კათოლიკე ბერების საზოგადოება, რომელსაც გარკვეული წესდება აქვს (მაგ. იეზუიტთა ორდენი); 2) კათოლიკე რაინდთა საზოგადოება ნახევრად სასულიერო ხასიათისა; 3) ჯილდო.

**ორთოდოქსია (ბერძნ.)** – 1) მართლმადიდებლობა, როგორც კონფესია; 2) რაიმე მოძღვრების განუხრელად

მომდევრობა; რაიმე შეხედულებათა ურყევი თანმიმდევრობა.

**ორმუზდი** – იხ. ძირითად ტექსტში „ზორო-ასტრიზმი“.

**ორმოცდაათიანელები** – იხ. ძირითად ტექსტში.

**ოსანა** – „გვიხსენი ჩვენ“, ღვთის სადიდებელი შეძახილი ებრაულად.

**ოქტოიხოსი (ბერძნ. რვა ხმა)** – საეკლესიო კრებული, რომელშიც საგალობლები დალაგებულია ხმათა მიხედვით.

**ოშო** – იხ. რაჯნეშიტები

## კ

**პაგანიზაცია (ლათ.)** – რომელიმე გაქრისტიანებული ეთნოსის (მაგ. ქართველი მთიელების) კვლავ წარმართობისაკენ მიდრეკა.

**პანალია** – ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ეპისკოპოსს გულზე ჰკიდია. მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან „პან ჰაგიონ“ (ყოვლადწმინდა).

**პანაშვიდი (ბერძნ.)** – ლოცვა მიცვალებულის სულის შემწეობისათვის.

**პანდორა** – ბერძნულ მითოლოგიაში: მშვენიერი ქალი, რომელსაც ზევსმა ადამიანის ყველა უბედურებით სავსე ყუთი მისცა; ცნობისმოყვარეობის გამო მან ყუთს თავი ახადა და განთავისუფლებული უბედურებანი ქვეყანას

მოედვნენ. აქედან: „პანდორას ყუთი“ – ყოველგვარი უბედურების წყარო.

**პანთეიზმი (ბერძნ.)** – ღმერთი ბუნებაში და ბუნება ღმერთში.

**პანთეონი (ბერძნ. „ყველა ღმერთი“)** – 1) ძველ საბერძნეთსა და რომში ყველა ღმერთის სახელზე აგებული ტაძარი; 2) (გადატ.) სასაფლაო, სადაც გამოჩენილი ადამიანები განისვენებენ.

**პაპი (ლათ.)** – იგივეა, რაც პატრიარქი (ნახ.).

**პარაკლისი (ბერძნ.)** – ლოცვა ნუგეშისათვის.

**პასექი (ებრ. „ფესახ“ ჩავლა ან გადავლა)** – 1) მონობის ქვეყნიდან, ეგვიპტიდან, ებრაელთა გამოსვლის წინ პირმშოთა ამოწყვეტისგან გადარჩენის, ანდა მკვდარი ზღვის მშვიდობიანად გადავლის აღმნიშვნელი დღესასწაული; 2) ქრისტეს აღდგომა.

**პასქალია** – აღდგომის დღეთა კალენდარული სქემა.

**პატრიარქი (ბერძნ. მამათმთავარი)** – 1) ავტოკეფალური ეკლესიის უპირატესი ეპისკოპოსი, მეთაური; 2) ებრაელი ერის, ანდა ნებისმიერი ერის, ზოგადად - კაცობრიობის წინაპარი.

**პატრისტიკა** – ეკლესიის მამათა ნაშრომების კორპუსი, საეკლესიო მწერლობა, რასაც შეისწავლის პატროლოგია.

**პეშიტო (ფეშიტო)** – ძველი აღთქმის სირიული თარგმანი.

**პირველშეწირულის ლიტურგია** – აღესრულება დიდმარხვაში. ავტორია რომის პაპი გრიგოლ დიდი, დიალოგონი (VI-VII). ასე ეწოდება, რადგან გამოიყენება წინა დღით ბასილი დიდის ლიტურგიაზე შეწირული ტარივი (პური, სეფისკვერი).

**პოლითეიზმი** – რელიგია, რომელიც მრავალ ღმერთს აღიარებს; მრავალღმერთიანობა.

**პორფირი** – რომის იმპერატორების წითელი მოსასხამი. ასეთივე მოსასხამი ბიზანტიურ ეპოქაში ეპისკოპოსებმაც გამოიყენეს.

**პოსეიდონი** – ზღვის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში.

**პრესვიტერი (ბერძნ.)** – მღვდელი, ხუცესი.

**პროზელიტიზმი** – 1) ზოგადად: ახლადმოქცეული; 2) ღონისძიება სხვა სარწმუნოების მიმდევართა გადმობირებისათვის.

**პროსკომიდია** – იგივე „კვეთა“ ანუ შესაწირი სეფისკვერის აღმოკვეთა. სიტყვა ბერძნულია და ნიშნავს „მიტანას“, „მიძღვნას“ (ეტიმოლოგიურად თითქმის იმავეს, რასაც „პროსფორა“).

**პროტესტანტობა (ლათ.)** – 1) ზოგადად: დაპირისპირებულობა, დისიდენტობა; 2) ქრისტიანული რელიგიის განშტოება. იხ. ძირითად ტექსტში.

## უ

**უამნი** – საგალობელთა კრებული, რომელიც განკუთვნილია ყოველდღიური საზოგადო მსახურებისათვის.

## რ

**რაბი (ებრ.)** – მოძღვარი.

**რაბინი** – სინაგოგის (ნახ.) წინამძღვარი.

**რამაზანი (არაბ.)** – მუსლიმთა მთავრის კალენდრის მეცხრე თვე, როდესაც ისინი ყოველდღიურად, მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე, მარხვას ინახავენ.

**რაჯნეშიტები** – სინკრეტული მოძღვრება და კულტი, რომელიც ინდურ და ჩინურ ტრადიციებს ეყრდნობა; საბოლოო მიზანი – გასხივოსნება. დამაარსებელია ინდოელი რაჯნეში (იგივე ოშო), რომელიც XX საუკუნის 60-70-იან წლებში ამერიკაში ცხოვრობდა და ქადაგებდა.

**რეინკარნაცია (ლათ.)** – ხელახალი განსხეულება; აღმოსავლეთის ბევრ ხალხში, ძველ ბერძენთა და ზოგიერთ ქრისტიან თავისუფლად მოაზროვნეთა შორის გავრცელებული რწმენა ამა თუ იმ სულის ახალ-ახალი განსხეულების შესახებ.

**რელიგია** – იხ. ძირითად ტექსტში.

**რელიკვია (ლათ. „დანატოვარი“)** – ზოგადად:



ძვირფასი სახსოვარი; ეკლესიაში: თაყვანისცემის საგანი – წმინდანთა ნაწილები, ტანსაცმელი და სხ.

**რეფორმაცია (ლათ. „ახალი ფორმის მიცემა“)** – იხ. ძირითად ტექსტში.

**რიტუალი (ლათ.)** – სარწმუნოებრივი შინაარსის მოქმედება.

## ს

**საბაოთი** – ღვთის ერთ-ერთი ეპითეტი ძველ აღთქმაში. თარგმანით - „ძალთა“ (უფალი საბაოთ - უფალი ძალთა).

**სადიაკვნე** – საკურთხეველის სამხრეთი ნაწილი (კუთხე, ოთახი), რომელშიც საეკლესიო ჭურჭელს და შესამოსელს ინახავენ.

**სადუკეველები** – პოლიტიკურ-რელიგიური მიმდინარეობა იუდეველთა შორის. არ ჰქონდათ ანგელოზების, სულის უკვდავებისა და მკვდრეთით აღდგომის რწმენა.

**სადღესასწაულო** – ლიტურგიკული კრებული, რომელშიც წარმოდგენილია საეკლესიო საკითხავ-საგალობლები უძრავ დღესასწაულთა.

**საენტოლოგია (ინგლ.)** – მეცნიერებათმცოდნეობა, მეცნიერებათმეტყველება; ამერიკული წარმოშობის რელიგიურ - ფილოსოფიური და ასკეტური სისტემა, რომლის დამაარსებელია ლაფაიეტ რონალდ ჰაბბარდი

(1911 - 1986); წარმოადგენს ქრისტიანობისა და სხვა რელიგიების კონგლომერანტს; გამოირჩევა სიმკაცრით.

**საეპისკოპოსო** – ეპარქია (ნახ.).

**საერონი** – ეკლესიის არასასულიერო წევრები.

**საზოგადი ღვთისმსახურება** – ყველა მორწმუნისათვის განკუთვნილი ღვთისმსახურება: წირვა, მწუხრი და ცისკარი. ნახ. ლიტურგია.

**საიდუმლო სერობა** – უფლის ბოლო სერობა (ვახშმობა), როდესაც მან ზიარების საიდუმლო დააწესა.

**საიქიო** – სულის სამყოფელი გარდაცვალების შემდეგ.

**საკრალური** – ის, რაც წმინდა და ღვთაებრივია (ლათ. „საკერ“ წმინდა).

**საკრამენტი** – 1) სიწმინდე ზოგადად; 2) საეკლესიო საიდუმლო.

**საკურთხეველი** – ტაძრის საკრალური ნაწილი, სადაც უსისხლო მსხვერპლი იწირება.

**საკურთხი** – 1) შესაწირავი ზოგადად; 2) მიცვალებულის სახელზე მომზადებული საჭმელი.

**სალოსი (ბერძნ.)** – „ქრისტესთვის სულები“; ასკეტური ცხოვრების ერთ-ერთი ფორმა – „ღვთის გლახა.“

**სამება** – ერთარსება-სამება, ტრიადა (ბერძნ.).

**სამკვეთლო** – საკურთხეველის ჩრდილოეთის კედელზე მიდგმული მაგიდა, რომელზეც კვეთა სრულდება.

**სამოთხე** – მართალთა განსასვენებელი საიქიოში.

**სამოციქულო საწელიწადო** – ლიტურგიკული კრებული, რომელშიც შესულია საქმე მოციქულთა, პავლეს 14 და 7 კათოლიკე ეპისტოლეები.

**სამრეკლო** – კოშკი ზარითურთ.

**სანაწილე** – ყუთი, რომელშიც წმ. ნაწილები ინახება.

**საპატრიარქო** – პატრიარქის რეზიდენცია და კანცელარია.

**სატანა** – დაცემული ანგელოზი, ბოროტი სული, ღვთის მტერი, ეშმაკი, ბელზებელი, ლუციფერი (ნახ.).

**სატანის ეკლესია** – დაარსდა 1966 წელს სან-ფრანცისკოში ანტონ ბეის, მეტსახელად „შავი პაპის“ მიერ; აშშ-სა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში რეგისტრირებულია და ოფიციალურად მოქმედებს; ლიტერატურული პირველწყარო: ა. ბეის „სატანური ბიბლია“; არსებითი ნიშნები: სატანის თაყვანისცემა, მაგიური რიტუალები და ასტროლოგია; უპირველესი მიზანი: ქრისტიანობის დამარცხება. ცნობილია „ახალი ეპოქის“ სახელითაც. ორგანიზაციების შინაგანაწესი გასაიდუმლოებულია; ყველა ქვეყანაში სექტად მოიხსენიებენ.

**სატრაპეზო** – მონასტრის სასადილო.

**საუფლო კვართი** – ქრისტეს პერანგი, რომლის შესახებ სახარებაში ნათქვამია: „უკერველი იყო; თავიდან ბოლომდე ნაქსოვი;“ მასზე ჯარისკაცებმა წილი იყარეს, რითაც წინასწარმეტყველება აღსრულდა (იოანე 19: 23-24). ძველი საეკლესიო ტრადიციის თანახმად, იგი ქართველმა ებრაელებმა მცხეთაში მოიტანეს და იმ

ადგილას დაიკრძალა, სადაც სვეტიცხოველი აშენდა.

**საყდარი** – 1) ტახტი; 2) გადატანით: ეკლესია, ტაძარი.

**საწინასწარმეტყველო** – ლიტურგიკული კრებული, რომელიც ძველი აღთქმისეულ საკითხავებს მოიცავს.

**სახარება** – ევანგელე (ნახ.).

**სეკულარიზაცია** (ლათ. „სეკულარის“ საერო) – ეკლესიის გავლენისაგან ქვეყნისა და საზოგადოების გათავისუფლება.

**სენაკი** – მონაზონის პატარა ოთახი.

**სეპტუაგინტა (სეპტანტა, ქართ. სამოცდაათისეული)** – ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანი, რომელიც ძვ. წ. 270 წელს ალექსანდრიაში 72 მთარგმნელმა შეასრულა.

**სერაფიმები** – ანგელოზთა უზემოესი დასი.

**სეფისკვერი (პროსფორა)** – ზიარებისათვის განკუთვნილი პური.

**სექტა** – ეკლესიასთან და ქვეყნის ზოგად ტრადიციებთან დაპირისპირებული ჯგუფი. სიტყვა ლათინურია და გამოყოფას, ჩამოჭრას, მოკვეთას ნიშნავს, მეორეული აზრით – სკოლას, მიმდინარეობას.

**სიბილა (ბერძნ.)** – ძველ საბერძნეთსა და რომში წინასწარმეტყველი ქალი.

**სიმბოლო სარწმუნოებისა** – სარწმუნოების ძველი ფორმულები, რჯულმოდვრების რეზიუმეს სახით გადმოცემა; კონსპექტი. ცნობილია რამდენიმე სიმბოლო.

მათგან ყველაზე სრული ის სიმბოლოა, რომელიც ნიკეისა (325) და კონსტანტინოპოლის (381) კრებებმა ჩამოაყალიბეს. იხ. მრწამსი.

**სინაგოგა (ბერძნ.)** – იუდეველთა 1) საკრებულო და 2) სალოცავი სახლი.

**სინანული** – ერთ-ერთი საეკლესიო საიდუმლო. იხ. მეტანოია.

**სინედრიონი** – იუდეველი მღვდელმთავრების კრებული.

**სინოდი** – 1) მღვდელმთავართა კრება; 2) საეკლესიო კრება ზოგადად.

**სინოპტიკური სახარებები** – ამბავთა თითქმის ერთნაირად აღმწერი სახარებები (მათე, მარკოზი, ლუკა).

**სიონიზმი** – ებრაელთა რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც 1897 წელს შეიქმნა და ებრაელთა სახელმწიფოს აღდგენას ისახავდა მიზნად.

**სკოპცები (საჭურისები)** – ხლისტების (ნახ.) განაყოფი მცირერიცხოვანი სექტა, რომელიც მეფის რუსეთში არსებობდა. დამაარსებელია კონდრატე სელივანოვი. არსებითი ნიშანი: ნათლობა კასტრაციით (დასაჭურისებით).

**სპირიტიზმი (ლათ. სპირიტუს „სული“)** – მიცვალებულთა სულების გამოძახებისა და მათთან დაკავშირების რწმენა და რიტუალი.

**სპირიტუალიზმი (ლათ. „სულიერი“)** – რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება სულის პირველა-

ლობის შესახებ.

**სტაროვერები (სტარობრიატცები)** – ძველ-მართლმადიდებლები (იხ. ძირითად ტექსტში).

**სტიქარი (ბერძნ.)** – იმ პირთა კაბა, რომლებიც ეკლესიაში ღვთისმსახურებს ემსახურებიან. აქედან – სტიქაროსანი.

**სტიქიონი (ბერძნ. პირველსაფუძველი)** – ბუნების ძირითადი ელემენტები: ჰაერი, წყალი, მიწა და ცეცხლი.

**სტოიკოსი (ბერძნ.)** – 1) ძველ საბერძნეთში ერთ-ერთი ფილოსოფიური სკოლის, სტოიციზმის, მიმდევარი; 2) გაჭირვებისა და განსაცდელის მტკიცედ ამტანი ადამიანი.

**სუბოტნიკები** – მეშაბათეები; რუსული წარმოშობის იუდაურ-ქრისტიანული სექტა, რომელიც XVII--XVIII სს-ში ჩამოყალიბდა; ატარებენ წინადაცვეთის რიტუალს და ინახავენ შაბათს.

**სულთმოფენობა** – მოციქულებზე წმ. სულის გარდამოსვლის დღესასწაული (საქ. მოც. 2:1-41). იხ. მარტვილია.

**სუნა (არაბ.)** – წმ. გადმოცემა ისლამში.

**სუნიტები** – ისლამის მთავარი განშტოება; სუნას მიმდევრობა.

**სუფიზმი (არაბ.)** – მისტიკურ-ასკეტური მიმდინარეობა ისლამში, რომელიც მე-8 ს-ში წარმოიშვა.

**სქიზმა (ბერძნ. გაყოფა)** – საწესჩვეულებო და კანონიკურ საფუძვლებზე ეკლესიებს შორის ევქარისტული კავშირის გაწყვეტა. იგივეა, რაც რუს. რასკოლი.

**სქოლასტიკა (ბერძნ. მოძღვრება)** – 1) სისტემაში მოყვანილი საეკლესიო დოგმატიკა; 2) ფორმალური, ცხოვრებასა და პრაქტიკას მოწყვეტილი ცოდნა; უსაგნო მსჯელობა, ასოკირკიტობა.

## ტ

**ტარტაროზი** – ბერძნულ მითოლოგიაში: ქვესკნელის უბნელესი ადგილი, იგივე ჯოჯოხეთი.

**ტაძარი** – ღვთის სახლი, საყდარი (ნახ.).

**ტაძრად მიყვანება** – საღვთისმშობლო დღესასწაული, 21 ნოემბერი.

**ტელეპათია (ბერძნ.)** – მოვლენებისა და აზრების შორი მანძილიდან აღქმა.

**ტიპიკონი (ბერძნ.)** – ღვთისმსახურების სახე, წესი, თარგი. იგივეა, რაც ლათ. რიტუ. ცნობილია რამდენიმე სახის სამრევლო და საერო ტიპიკონი.

**ტოტემიზმი** – გვარის ან ტომის წინაპრად რომელიმე ცხოველის ან მცენარის აღიარება („ტოტემი“ ინდიელთა ერთ-ერთი ტომის ენაზე გვარს ნიშნავს).

**ტრაპეზი (ბერძნ.)** – საკურთხევლის მაგიდა, რაზეც უსისხლო მსხვერპლი იწირება.

**ტრიადა** – სამება (ნახ.).

**ტრიპტიქი (ბერძნ.)** – სამად მოსაკეცი ხატი (ქართ. სამკარედი).

**ტროპარი (ბერძნ.)** – სხვადასხვა დანიშნულების მცირე ფორმის საგალობელი.

## უ

**უღაბნო** – უკაცრიელი ადგილი, სადაც მონასტერია.

**უნია (ლათ. კავშირი)** – კათოლიკური და არაკათოლიკური ეკლესიების გაერთიანება რომის პაპის მეთაურობით.

**უსისხლო მსხვერპლი** – იხ. ევქარისტია.

**უცომობის დღესასწაული** – იხ. პასეჟი.

## ფ

**ფალოსი (ბერძნ.)** – მამაკაცის სასქესო ორგანოს, როგორც მწარმოებლური ძალის სიმბოლოს, გამოსახულება, რომელსაც თაყვანს სცემდნენ ძველი ხალხები. აქედან – „ფალოსის კულტი.“

**ფანატიზმი (ლათ. გამზაგება)** – რაიმე რწმენით (რელიგიით და სხ.) უკიდურესად გატაცება; ბრმადმორწმუნეობა.

**ფარისევლები** – იუდეური სექტა, რომელიც ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნაზე მოქმედებდა;



ყურადღებას ძირითადად რჯულის გარეგან მხარეზე ამახვილებდნენ.

**ფატალიზმი (ლათ. „ფატალის“ საბედისწერო)** – წინასწარ განსაზღვრული ბედის გარდაუვალობის რწმენა.

**ფერისცვალება** – ერთ-ერთი საუფლო დღესასწაული (მათე 17:1-7; მარკოზი 9:2-9; ლუკა 9:28-36). - 6 (19) .VIII.

**ფეტიშიზმი (პორტ. „ფეტიშე“ გაკეთებული)** – უსულო საგნების თაყვანისცემა, ნივთების გაიდევლება.

**ფეშხუმი (ბერძნ.)** – დაბალყელიანი თეფში, რომელზეც ბარძიმი დევს.

**ფეხთბანა** – რიტუალი, რომელიც მაცხოვრის მიერ მოწაფეების ფეხის დაბანას ასახიერებს (იოანე 13:1-10); სრულდება დიდ ხუთშაბათს.

**ფიდეიზმი (ლათ.)** – იდეალისტური მოძღვრება, რომლის თანახმადაც რელიგიურ რწმენას მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მეცნიერულ ცოდნას.

**ფილექტიზმი (ბერძნ. „მეტომეოზა“)** – ერთგვარი ეკლესიოლოგიური ერესი; ეკლესიების ეროვნული პრინციპით ორგანიზება (ქართველების ეროვნული ეკლესია, რუსების ეროვნული ეკლესია და ა.შ.); ზოგადად - ნაციონალიზმი ეკლესიაში.

**ფილიოკვე** – კათოლიკური ფორმულა წმ. სულის ძისაგანაც გამოსვლის შესახებ. იხ. მიმოხილვაში „კათოლიკობა.“

**ფორტუნა (ლათ.)** – 1) ბედ-იღბლის ღვთაება

რომაულ მითოლოგიაში; 2) ბენიერი შემთხვევა, ილბალი.

**ფსალმუნი (ებრ.)** – 1) ინსტრუმენტი; 2) საგალობელი, რომელიც ამ ინსტრუმენტზე სრულდებოდა.

**ფსალმუნნი** – ფსალმუნთა კრებული; ძვ. აღთქმის ერთ-ერთი წიგნი, რომლის ავტორია წინასწარმეტყველი დავითი, რის გამოც მას ქართულად „დავითნსაც“ უწოდებენ.

**ფსკენილი** – თოკისაგან მოქსოვილი კრიალოსანი (იხ.).

**ფრესკა (იტ.)** – წყლის საღებავით დახატული სურათი ახლად შეღესილ (ჯერ კიდევ სველ) კედელზე, ჭერზე. ზოგადად – კედლის მხატვრობა.

**ფუნდამენტალიზმი** – იგივეა, რაც ფანატიზმი (იხ.).

## ქ

**ქადაგება (ბერძნ. „ჰომილია“)** – სარწმუნოებაში განსწავლული პირის სამოძღვრო სიტყვა, რომლის შინაარსს საღვთო წერილის ესა თუ ის მონაკვეთი განსაზღვრავს.

**ქერუბიმი** – ანგელოზთა იერარქიაში ერთ-ერთი უმაღლესი დასი.

**ქვესკნელი** – ჯოჯოხეთი.

**ქილიაზმი (ბერძნ. „ხილიას“ ათასი)** – ესქატოლოგიური ერესი (II-V სს.), რომლის თანახმად მეორედ

მოსვლის წინ ქვეყანაზე ქრისტეს ათასწლოვანი სამეფო დაარსდება. ერთერთი ერესიარქია მონტანი, რის გამოც მას მონტანიზმსაც უწოდებენ.

**ქირომანტია (ბერძნ.)** – ხელისგულზე მკითხაობა.

**ქიროტონია** – იგივე ქიროთესია. ბერძნულია და ნიშნავს: ხელდასხმა (იხ.).

**ქორეპისკოპოსი** – სიტყვასიტყვით: სახლის (კარის) ეპისკოპოსი; მდივან-ეპისკოპოსი. იგივე, რაც სხვა ეკლესიებში „ვიკარი.“

**ქორონიკონი (ბერძნ.)** – დროის აღრიცხვის 532 წლიანი სისტემა; საქართველოში VIII ს-ში დაინერგა.

**ქორწინება** – ერთ-ერთი საეკლესიო საიდუმლო.

**ქრისტე (ბერძნ.)** – ცხებული (მესია); განკაცებული ღმერთის სახელი.

## ღ

**ღაზავათი (არაბ.)** – ნახ. ჰაზავათი.

**ღვთისმეტყველება** – მოძღვრება ღმერთზე და მის შემოქმედებაზე. იგივეა, რაც თეოლოგია.

**ღვთისმშობელი** – ქალწული მარიაში, რომელმაც იესო ქრისტე დაბადა.

**ღვთისმშობლისანი** – საგალობლის ბოლო ტროპარი.

**ღვთისმშობლის შობა** – საღვთისმშობლო

დღესასწაული (8.IX).

**ღვთის შვილები (სიყვარულის ოჯახი)** – ულტრაპროტესტანტული მიმართულების ეკლესია. ცნობილია ჰიპების მოძრაობის სახელითაც. დაარსდა ამერიკაში 1978 წელს დევიდ ბერგის მიერ. ახასიათებს მძაფრი ესქატოლოგიური მოლოდინი და ლიდერისადმი მორჩილება. ხშირად ტოტალურ სექტას უწოდებენ.

**ღმერთი** – ხილული და არახილული სამყაროს შემოქმედი.

**ღმერთკაცი** – იესო ქრისტე.

## ყ

**ყადი (არაბ.)** – მუსლიმთა სასულიერო მსაჯული, მოსამართლე.

**ყველიერი** – დიდმარხვის წინა კვირა მართლმადიდებელ ეკლესიაში; მარხვა ყველით და კვერცხით.

**ყურანი (არაბ. „კითხვა“, „წიგნი“)** – ისლამის პირველწყარო.

## შ

**შავი სამღვდლოება** – სასულიერო პირები, რომლებიც ბერმონაზვნები არიან.

**შაითანი (სპარს.)** – ავი სული, ეშმაკი.

**შამანი (მანჯ.-ტუნგ. „შამან“ ექიმი)** – ზოგ ხალხში: კულტის მსახური, ჯადოქარი, ექიმი.

**შამანიზმი** – ავი და კეთილი სულების კულტი.

**შანდალი** – სასანთლე.

**შარავანდი (ნიმბი, დიადემა)** – ნათელი, რომელიც წმინდანებს ადგათ თავს ფერწერულ ტილოზე.

**შარიათი (არაბ.)** – ისლამური სამართლის კოდექსი; რჯულის კანონი, რომელსაც „ისლამურ ქვეყნებში“ სახელმწიფო სამართლის სტატუსი აქვს.

**შაჰსეი-ვაჰსეი (სპარს.)** – მუსლიმთა (შიიტთა) რიტუალი, თვითგვემა, რითაც შიიტები ერთ-ერთი ხალიფას ვაჟის ჰუსეინის მოწამებრივ აღსასრულს იხსენებენ.

**შეიზი (არაბ.)** – მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო პირი, ღვთისმეტყველი და სამართალმცოდნე.

**შენდობის კვირა** – დიდმარხვის წინა კვირადღე, როდესაც მორწმუნეები ერთმანეთს ცოდვებს მიუტევებენ და შენდობასაც ითხოვენ.

**შერაცხვა** – იხ. კანონიზაცია.

**შერისხვა** – იხ. ანათემა.

**შესაქმე** – 1) ძვ. აღთქმის პირველი წიგნი; 2) ღვთის შემოქმედებითი აქტი.

**შიიზმი (არაბ. „შია“ პარტია)** – ისლამის განშტოება, რომელიც რჯულის პირველწყაროდ მხოლოდ ყურანს აღიარებს და სუნას უარყოფს.

**შინტოიზმი** – იხ. ძირითად ტექსტში.

**შობა** – საუფლო დღესასწაული (მათე 2:1-11; ლუკა 2:1-20) (25.XII).

## ჩ

**ჩანდრა** – მთვარის ღვთაება ინდურ მითოლოგიაში.

**ჩიჩილაკი** – საშობაო საგანი ქართულ ხალხურ რელიგიურ პრაქტიკაში: ჯოხი ბურბუშელასნაირი ანათლებით, მორთული ტკბილეულობითა და ხილით. სიმბოლურად წმ. ბასილი დიდის წვერს აღნიშნავს.

**ჩხიბვა** – ჯადოქრობა.

## ც

**ცელიბატი (ლათ.)** – დაუქორწინებელი დიაკონი ან მღვდელი.

**ცერერა (ლათ.)** – რომაულ მითოლოგიაში ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების ქალღმერთი (ბერძნულ მითოლოგიაში მას შეესაბამება დემეტრა).

**ცეცხლთაყვანისმცემლობა** – იხ. მაზდეანობა.

**ცისკარი** – დილის ღვთისმსახურება, რომელსაც არასამონასტრო ეკლესიებში, ჩვეულებრივ, მწუხრს მიაყოლებენ.

**ცოდვა** – ღვთის ნების საწინააღმდეგო სვლა,

მცნებათა დარღვევა.

**ცხონება** – საუკუნო სიცოცხლე სამოთხეში.

## ძ

**ძალნი** – ანგელოზთა ერთ-ერთი დასი, ზემოდან მეხუთე.

**ძველი აღთქმა** – 1) ძველი კავშირი ღმერთსა და ისრაელს (ზოგადად: კაცთა მოდგმას) შორის; 2) ბიბლიის პირველი ნაწილი (ძველი ტრადიციით 22 წიგნი).

**ძველი აღთქმის რჯული** – იგივე მოსეს რჯული, რომელიც ღმერთმა ისრაელიანებს სინას მთაზე გამოუცხადა.

**ძლისპირნი და ღვთისმშობლისაწნი** – მცირე ფორმის საგალობლები. ძლისპირი (ბერძნ. „ირმოსი“) არის გალობის პირველი ტროპარი, რომელიც მომდევნო სტრიქონების ხმას (ძალს, მელოდიას) განსაზღვრავს; ღვთისმშობლისა - ბოლო ტროპარი. ძლისპირთა კრებულს ბერძნულად ირმოლოგიონი ეწოდება.

## წ

**წანდილი** – კოლიო, საკურთხი, მოხარშული ხორბალი. ამზადებენ მიცვალებულთა ხსენების დღეებში.

**წარმართობა** – ბუნებითი რელიგია, ბუნებითი რჯული (რომ. 2:14), კერპთაყვანისმცემლობა - მრავალმერთიანობა.

**წარღვნა** – სასჯელი, რითაც ღმერთმა ცოდვილი კაცობრიობა დასაჯა.

**წითელი პარასკევი** – ვნების კვირის პარასკევი, როდესაც მორწმუნეები ქრისტეს ვნებას და ჯვარცმას იხსენებენ.

**წინადაცვეთა** – ჩუჩის მოჭრა, რაც პირველად აბრაამმა ღვთის შთაგონებით მოიმოქმედა (დაბ. 17:10-11); რიტუალი, რითაც ადამიანი ებრაელი ან მუსლიმი ხდება.

**წინადაცვეთა უფლისა** – ყრმა იესოს წინადაცვეთა და მისთვის სახელის დარქმევა; საუფლო დღესასწაული (ლუკა 2:21) (1.I).

**წინასწარმეტყველნი** – რჩეული ისრაელიანები, რომლებიც წმ. სულის შთაგონებით მხსნელის მოვლინებას წინასწარმეტყველებდნენ.

**წირვა** – იხ. ევქარისტია.

**წმინდანები** – განსაკუთრებული სულიერი ძალის და მაღლის მქონე ადამიანები, რომლებიც უკვე, საყოველთაო სამსჯავრომდე, ცათა სასუფეველში განისვენებენ. იხ. კანონიზაცია.



## ჭ

**ჭინკა** – ქართულ ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში: მაცთური, ალი, ქაჯი.

**ჭონა** – ქართული ხალხური ჩვეულება: აღდგომის წინა დღეს საგანგებო სიმღერით, რომელსაც „ჭონა“ ეწოდება, კარდაკარ სიარული და წითელი კვერცხის თხოვნა.

## ხ

**ხალენი** – მოსასხამი.

**ხალიფა (არაბ. ნაცვალი, მოადგილე)** – მუჰამედის, როგორც მოციქულის, საქმის გამგრძელებელი საერო და სასულიერო დარგში.

**ხარება** – საუფლო დღესასწაული იმის თაობაზე, რომ ანგელოზმა მარიამს აუწყა, სულიწმინდის ძალით დაორსულდებიო (ლუკა 1:26-38) (25.III).

**ხატი** – იესო ქრისტეს, ღვთისმშობლის, მოციქულეებისა და წმინდანების კანონიკური წესებით გამოსახვა.

**ხატმებრძოლობა** – ერესი, რომელიც აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებში VII-VIII სს-ში მძვინვარებდა; დაგმო VII მსოფლიო საეკლესიო კრებამ (787; ქნიკეა).

**ხატწერა** – იკონოგრაფია (იხ.).

**ხელდასხმა** – პიროვნების ამა თუ იმ სასულიერო ხარისხში აღყვანება. იხ. ქიროტონია.

**ხელმწიფებანი** – ანგელოზთა ერთ-ერთი დასი, ზემოდან მეექვსე.

**ხლისტები (ღვთის ადამიანები)** – რუსული წარმოშობის სექტა, რომელიც ცნობილია 1732 წლიდან. ისინი ლიდერებს აღმერთებენ და ქრისტედ მიიჩნევენ. დაყოფილი არიან ორ ნაწილად: „ძველი ისრაელი“ და „ახალი ისრაელი“. ახასიათებთ ქარიზმატულობა და ქორწინებისაგან თავის შეკავება.

## ჯ

**ჯაინიზმი** – იხ. ძირითად ტექსტში.

**ჯამე (არაბ. შესაკრებელი)** – მუსლიმთა მდიდრული სალოცავი.

**ჯვართამაღლება** – საუფლო დღესასწაული, რომელიც იმ ჯვრის აღმოჩენასთანაა დაკავშირებული, რომელზეც ქრისტე ევნო (14.IX).

**ჯვარი** – ქრისტიანთა უდიდესი სიწმინდე.

**ჯიჰადი (არაბ. ბეჯითობა, გულმოღვინება)** – მუსლიმთა საღვთო ომი სარწმუნოების დასაცავად. ცხადდება უკიდურესად ექსტრემალური სიტუაციის დროს საყოველთაოდ აღიარებული და დაფასებული სულიერი ლიდერის მიერ.

**ჯოჯოხეთი** – ცოდვილთა სულების ტანჯვის ადგილი.

### ჴ

**ჴაგიოგრაფია** – იხ. აგიოგრაფია.

**ჴაზავათი (ლაზავათი)** – წმ. ომი, რომელიც ექსტრემალურ სიტუაციაში ისლამის მტერთა წინააღმდეგ ცხადდება.

**ჴაჯი (არაბ.)** – იმ მუსლიმის საპატიო ტიტული, რომელმაც მექა მოილოცა.

**ჴიმნი (ბერძნ.)** – ხოტბა, საგალობელი.

**ჴიმნოგრაფია** – ჴიმნების შემსწავლელი მეცნიერება.

**ჴიჯრა (არაბ.)** – გადასახლება.

**ჴომილეტიკა** – სასულიერო მწერლობის დარგი, რომელიც ქადაგების ხელოვნებას და ქადაგებათა ტექსტებს სწავლობს.

**ჴომილია (ბერძნ.)** – ქადაგება.

**ჴიპოსტასი (იპოსტასი) (ბერძნ.)** – პიროვნება, პირი, სახე, ძვ. ქართ. გვამი, გვამოვნება, რაც თეოლოგიაში სამების თითოეული პირის მისამართით გამოიყენება.

**ჴუგენოტები** – იგივე კალვინისტები, რომლებსაც XVI-XVII სს-ში კათოლიკური ეკლესია და საფრანგეთის მთავრობა სდევნიდა. იხ. „ბართლომეს ღამე“.



## ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისაგან 3

შესავალი 5

რელიგია: სული და ღმერთი 5

საქართველო - რელიგიების გზათშესაყარი 14

მიმოხილვის პრინციპი 18

I. ბიბლიური რელიგიები 19

ქრისტიანობა 21

საღვთო ისტორია 23

ღვთისმეტყველება და ღვთისმსახურება 32

მართლმადიდებლობა 39

ძველმართლმადიდებელი ეკლესია 45

საქართველოს ეკლესია 47

მონოფიზიტობა და  
სომხური სამოციქულო ეკლესია 52

ღიღი სქიზმა:  
კათოლიკეები და ქართველი კათოლიკეები 56

რეფორმაცია და პროტესტანტობა 74

ღუხობორები და მალაკნები 76

ლუთერანები და მათი ეკლესია საქართველოში 78

რეფორმატორები 81

ბაპტისტები 83

ევანგელისტ-ორმოცდაათიანელები	86
ხსნის არმია	88
ახალსამოციქულო ეკლესია	90
მე-7 დღის ადვენტიისტები	91
იეჰოვას მოწმეები	92
მორმონები	96
იუდაიზმი	99
ისლამი	105
ბაჰაიზმი	114

**II არაბიბლიური რელიგიები** 117

ზოროასტრიზმი და იეზიდები	117
ინდუიზმი	121
ბუდიზმი	126
„კრიშნას ცნობიერება“	132
ჯაინიზმი და სიქჰიზმი	134
კონფუციანობა და ღაოიზმი	136
შინტოიზმი	138
აფრიკის, ავსტრალიისა და ამერიკის რელიგიები	140

**უმთავრესი ცნებები** 149

**მოკლე რელიგიათმცოდნეობითი ლექსიკონი** 149







ნუგზარ პაპუაშვილი

საქართველო  
და  
მსოფლიოს  
რელიგიები

